საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
№32 (75)
8 – 14 სექტემბერი, 2010

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

მედვედევმა და ალიევმა ერთმანეთს გაუგეს, სააკაშვილს კი — ვერა 2

პური კიდევ გაძვირდება 8

ხელისუფლება ხარჯებს მოსახლეობის ხარჯზე ამცირებს 10

კახა ლომაიას იჭერენ? 11

არნო ხიდირბეგიშვილი: რუსეთმა უნდა განსაზღვროს, რა სურს საქართველოში 14

რატომ არ ესვრიან მტერს ჯარისკაცები? 18

გამოსრიალებული პრეზიდენტისა და მეყინულე ბუდვინის არაკი 20

აშშ-ის ინტერესები კავკასიაში რუსეთისას არ ეწინააღმდეგება 30

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სექტანტი რექტორი ჰყავს

6



ალექსანდრე კვიტაშვილი 1995-1997 წლებში გაერთიანებული მეთოდისტური ეკლესიის კომიტეტის (ამქორი) საქართველოს მისიას ხელმძღვანელობდა.

**რექტორმა თევზაძემ მართლმადიდებელ სტუდენტებს საპირფარეშოსკენ მიუთითა, საით გაუშვებს მათ რექტორი კვიტაშვილი?**

## აგენიცა მაისურაძე: თუ ასე გაგრძელდა, ბაგაფშის მთავრობას ჩავბარდებით

15



## ლალი გელაშვილი: 15 სექტემბრამდე თუ არ მოგვხედავენ, პროტესტის ნიშნად მერიასთან დავიწვავთ თავს

9



## ექვსი არშესმენილი რჩევა და ათი მიზეზი, რომელთა გათვალისწინება გვმართებს

16

8 — 14 სექტემბერი, 2010 წელი. №32 (75)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# მედვედევმა და ალიევმა ერთმანეთს გაუგეს, სააკაშვილს კი — ვერა

**გასულ კვირას მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე უცნაური განცხადება გააკეთა, რომლებიც, ერთი შეხედვით, მისთვის დასაშვები ალოგიკურობის ზღვარსაც კი გადასცდა. თუმცა, ალბათ, არც ის უნდა გაგვიკვირდეს, თუ უახლოეს მომავალში ხელისუფლების წარმომადგენლები პირდაპირ ეთერში თავდაყირა სიარულს დაიწყებენ, რადგან, როგორც ჩანს, მოწადინებულნი არიან, რომ ფასების ზრდის გამო უკიდურესად უკმაყოფილო მოსახლეობის ყურადღება სხვა თემებზე გადაიტანონ. ინსტინქტის დონეზე, ისინი, სავარაუდოდ, გრძნობენ, რომ მაო ძედუნი მართალი იყო, როდესაც თქვა: „რაც უფრო ღარიბია ხალხი, მით უფრო რევოლუციურია ის“. ვიდრე საქართველოში გრძელდებოდა ბალაგანი სახელწოდებით ,,სანახაობა პურის ნაცვლად“, რეგიონის სხვა ქვეყნებში სერიოზული ხალხი რეალური საქმეებით იყო დაკავებული.**



## „გაზპრომი“ წინ მიიწევს

**დიმიტრი მედვედევის ვიზიტმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ რუსეთის პოზიციები რეგიონში სწრაფად და განუხრელად ძლიერდება. ჯერ იყო ვიზიტი სომხეთში, სადაც ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის თანახმად რუსული ბაზები ამ ქვეყანაში 2044 წლამდე დარჩება; შემდეგ მედვედევი ბაქოში ჩავიდა, სადაც, აგრეთვე, მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.**

**„გაზპრომმა“ და „სოკარმა“ ხელი მოაწერს შეთანხმებას, რომლის თანახმად რუსული კომპანია აზერბაიჯანში 2011-იდან ყოველწლიურად 2 მილიარდამდე კუბურ მეტრ გაზს იყიდის, 2012-დან კი — 2 მილიარდზე მეტს.** პირვანდელი შეთანხმება, რომელსაც ხელი შარშან ოქტომბერში მოეწერა, ითვალისწინებდა 0,5 მილიარდი კუბ.მ. ყიდვას, მალევე მხარეებმა ზღვარი 1 მილიარდამდე აწიეს, გასულ კვირას კი ეს მოცულობა გააორმაგეს. გაზის მოწოდება კაზიმაგომედ-მოზდოკის გაზსადენით ხდება, რომლის გამტარუნარიანობა წელიწადში 4,5 მილიარდი კუბური მეტრია.

„გაზპრომის“ თავკაცის — ალექსეი მილერის აზრით, „შეთანხმება უნიკალურია, რადგან ზედა ზღვარი არ არსებობს“. შესაბამისად, საუბარია შესყიდვების მუდმივ ზრდაზე, რაც თეორიულად, შეიძლება მთელი თავისუფალი გაზის შეძენით დაგვირგვინდეს. წელს აზერბაიჯანში, სავარაუდოდ, 24 მილიარდამდე კუბურ მეტრ გაზს მოიპოვებენ; დაახლოებით ნახევარს ქვეყნის შიგნით მოიხმარენ. სავარაუდოდ, ეს მაჩვენებელი წლეულს 14 მილიარდ კუბურ მეტრს მიაღწევს, რადგან გაზის მოხმარება ქვეყანაში, განსაკუთრებით ბაქოში ძალიან სწრაფად იზრდება. ეს გასაგებიცაა, აზერბაიჯანი, საქართველოსგან განსხვავებით, სწრაფად და დინამიურად ვითარდება.

**კომერციული თვალსაზრისით, ეს გარიგება „გაზპრომისთვის“ არც ისე მომგებიანია, რადგან შაჰ-დენიზის საბადოდან მიწოდებულ გაზში დსთ-ში ყველაზე მაღალი ფასი უნდა გადაიხადოს. ფასი ნავთობპროდუქტების კალათზე იქნება მიბმული (კორექტირება კვარტალში ერთხელ). იმ შემთხვევაში, თუ ტონა ნავთობის ფასი 75 დოლარის ნიშნულზე შენარჩუნდება, „გაზპრომს“ აზერბაიჯანული გაზის ათასი კუბური მეტრისთვის 245 დოლარის გადახდა მოუწევს.** შედარებისთვის: თურქმენულ გაზს რუსეთი 190 დოლარად ყიდულობს, ყაზახურს — 230-ად. ეს ფასი პოლიტიკურია და რუსული მხარე ამას, პრინციპში, არც მალავს. **აზერბაიჯანული გაზი, რომელიც ჩრდილოეთით გადაიქაჩება, დასავლეთით არ წავა (ხოლო თუ წავა, მხოლოდ რუსული მილსადენების მეშვეობით); ამ სქემამ „ნაბუკოს“ პროექტის მომავალი შეიძლება მეტად საეჭვო გახადოს. ამასთანავე, აზერბაიჯანული გაზი რუსულ „სამხრეთ ნაკადს“ „აზღვევს“. ამ გარიგებიდან აზერბაიჯანი მომავალ წელს 5 მილიარდამდე დოლარს მიიღებს.**

**რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტის დროს ხელი „სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ ხელშეკრულებასაც მოეწერა.** ამ შემთხვევაში კრემლი ოფიციალური ბაქოს წინადადებას დათანხმდა — სამურ-აფშერონის ჰიდროკვანძი აზერბაიჯანის ხელში დარჩა; მხარეები მის ერთობლივ ექსპლუატაციაზე შეთანხმდნენ. ეს, ალბათ, ლოგიკურიც იყო, **აზერბაიჯანმა რუსეთის სტრატეგიული ინტერესები გაითვალისწინა და სანაცვლოდ შესაბამისი ბონუსი მიიღო.**

ამასთანავე, რუსეთის პრეზიდენტის ბაქოში ვიზიტის დროს, ალექსეი მილერმა კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი, განცხადება გააკეთა: **„გაზპრომი განიხილავს „BRITISH PETROLEUM“-ის აქტივების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ ბრიტანული კომპანია მათ გაყიდვას დააპირებს“** („Reuters“). **საუბარი შეიძლება ეხებოდეს 25,5% წილს შაჰ-დენიზის პროექტში** (გაზის სავარაუდო მარაგი 1,3 ტრილიონი კუბური მეტრი) **37,43% წილს „აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის“ საბადოში** (სავარაუდოდ, 1 მილიარდამდე ტონა ნავთობი და 0,6 ტრილიონი კუბური მეტრი გაზი), **აგრეთვე, 30,1% წილს „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ კონსორციუმში.**

როგორც წესი, მსგავსი განცხადებები ცხელ გულზე, წინაპირობების არარსებობის შემთხვევაში, არ კეთდება. ამ თემას რუსეთი ძალიან ფრთხილად უახლოვდებოდა. **ივნისში მილერმა მხოლოდ ის განაცხადა, რომ „მზად არის, შაჰ-დენიზის პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა განიხილოს“,** ხოლო **ვიცე-პრემიერმა იგორ სეჩინმა რუსეთის ხელისუფლებას დახმარება აღუთქვა, რომ ყველა იმ კომპანიას, რომელიც „BP“-ის აქტივების შეძენას დააპირებს და, ამასთანავე, ხაზი გაუსვა იმას, რომ მსგავსი საკითხების კომენტირება განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან ამან შეიძლება ბაზრის მდგომარეობაზე იმოქმედოს. ამჯერად კი მილერმა გააკეთა განცხადება, რომელიც ერთმნიშვნელოვნად შეიძლება შეფასდეს როგორც განაცხადი „BP“-ის აზერბაიჯანული აქტივების შეძენაზე.** ისიც ფაქტია, რომ ბრიტანული კომპანია 30 მილიარდი დოლარის ღირებულების აქტივების გაყიდვას აპირებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის, უბრალოდ, ვერ ამოძვრება ორმოდან, რომელშიც მექსიკის ყურეში მომხდარი ავარიის შემდეგ ჩავარდა.

## ესე ამბავი სპარსული

**რატომ მიიწევს წინ დაჩქარებული ტემპით „გაზპრომი“ (და რუსეთი) აზერბაიჯანში და საერთოდ რეგიონში? საქმე „სამხრეთ ნაკადისა“ და „ნაბუკოს“ პროექტების კონკურენციის პრობლემით, ალბათ, არ შემოიფარგლება. შევეცადოთ, საკითხი უფრო ფართო კონტექსტში განვიხილოთ.**

თუ რუკას დავხედავთ, ვნახავთ, რომ ირანს აქვს სახმელეთო საზღვარი როგორც აზერბაიჯანთან, ისე თურქმენეთთან, აგრეთვე, თურქეთთან (სხვა მიმართულებებს ამჯერად არ შევეხებით) და ზღვაზე გასასვლელიც აქვს. უხეშად რომ ვთქვათ, მას იდეალური ადგილმდებარეობა გააჩნია საიმისოდ, რომ მისი მეშვეობით კასპიისა და ცენტრალური აზიის რეგიონიდან ენერგომატარებლები „გამოიწველოს“ (საკუთრივ ირანში არსებულ მარაგებს თავი რომც დავანებოთ). **ამჟამად ირანი აშშ-ისა და, შესაბამისად, ანგლო-ამერიკული სანავთობო კომპანიების მიერ არ კონტროლდება, თუმცა არავინ იცის, რა მოხდება ხვალ; ირანის მდგომარეობა დღესდღეობით არც ისე მყარი ჩანს. პირდაპირი პარალელის გავლება „ცივი ომის“ იმ პერიოდთან, როდესაც ირანს პროამერიკული ხელისუფლება ჰყავდა, არ გამოგვივა, რადგან მაშინ აზერბაიჯანსა და შუა აზიის რესპუბლიკებს კრემლი პირდაპირ აკონტროლებდა, თუმცა მასში შეიძლება დავინახოთ იმ პროცესების წინა სახე, რომელიც შეიძლება განვითარდეს იმ შემთხვევაში, თუ აშშ ირანს დაიმორჩილებს; რუსეთი იძულებული გახდება, სასწრაფო წესით** ▶

## მოკლედ



### ვის დარჩება ნუგზარ ერგემლიძე?

**ჯონდი ბაღათურიას პარლამენტში მხოლობით რიცხვში ყოფნა მოსწყინდა და გადაწყვიტა, რადაც უნდა დაუჯდეს, საკუთარი ფრაქცია შექმნას.** როგორც ამბობენ, მინიმუმ ექვსი დეპუტატის მოსაგროვებლად, ვაჭრობა უკვე დაწყებულია.

„დამითმეთ თითო-თითო წევრი და ჩემი ფრაქციით უმცირესობის შემადგენლობაში შემოვალ“, — ეუბნება ბაღათურია უმცირესობის ფრაქციებს. „ძლიერი საქართველოდან“ დათმობის კანდიდატი ნუგზარ ერგემლიძეა, „ქრისტიან-დემოკრატებიდან“ — რატი მაისურაძე ან თამაზ კვაჭანტირაძე. დანარჩენ ადგილებს დამოუკიდებელი დეპუტატები: პეტრე მამრაძე, კონსტანტინე გამსახურდია და კარლო კოპალიანი შეავსებენ და ჯონდიც დაისვენებს.



### უკრაინაში პრეზიდენტი ძლიერდება

**უკრაინის პრეზიდენტს უფლებამოსილებები მნიშვნელოვნად გაეზრდება. როგორც იუსტიციის მინისტრმა ალექსანდრე ლავრინოვიჩმა აღმოაჩინა, 2004 წელს ქვეყნის კონსტიტუცია დარღვევებით შეიცვალა და მას შემდეგ, რაც ამას საკონსტიტუციო სასამართლოც დაადასტურებს, ქვეყანა 2004 წლამდე მოქმედ კონსტიტუციას დაუბრუნდება.**

თუ ამჟამად უკრაინა საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, ხსენებული პოლიტიკური რეფორმის განხორციელებამდე იგი იყო და, სავარაუდოდ, კვლავაც საპრეზიდენტო-საპარლამენტოდ იქცევა. ეს ქვეყნის პირველი პირის უფლებამოსილებების მნიშვნელოვნად გაზრდას გულისხმობს.



### კონფედერაცია ნიშნავს ძმობას?

**„მხოლოდ მეტაფორული გამოთქმა, რომელიც პრეზიდენტმა ძმური კავშირის სინონიმად გამოიყენა“, — ასე შეაფასა პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივა ქართულ-აზერბაიჯანული კონფედერაციის შექმნის შესახებ ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა.** სამწუხაროდ, არ კონკრეტდება, როდის და სად განუმარტა სააკაშვილმა დარჩიაშვილს, ივლისში საქართველოში აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ვიზიტის დროს საქართველო-აზერბაიჯანის კონფედერაციის შექმნაზე საუბრისას რას გულისხმობდა ძმურ კავშირში და არც ისაა ცნობილი, ეს განმარტებები ექსკლუზიურად დარჩიაშვილს აახლეს თუ აზერბაიჯანელ კოლეგასაც.



### ფინანსთა მინისტრს პასუხს სთხოვენ

**„ქრისტიან-დემოკრატებმა“ ფრაქციის სხდომაზე ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი დაიბარეს.** ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანი ირწმუნება, რომ „საბაჟოზე ასობით ტონა სასკოლო ინვენტარი ხელოვნურად არის გაჩერებული, შედეგად კი ბაზარზე დეფიციტია შექმნილი“.

ფრაქციაში ეჭვობენ, რომ ხელისუფლება ახალ მონოპოლისტს ამზადებს: „მას შემდეგ, რაც მცირე ბიზნესის წარმომადგენლები ხელოვნურად შექმნილ წნეხს ვეღარ გაუძლებენ და გაკოტრდებიან, მთელი ბაზარი სწორედ ამ მონოპოლისტის ხელში გადავა, მას კონკურენტი არ ეყოლება და 50-თეთრიანი კალმისტრის 5 ლარად გაყიდვისთვისაც პასუხს არავინ მოსთხოვს“.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**◀ გააძლიეროს კონტროლი ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე, თუ არა და, ის 10-20 წლით დაკარგავს შესაძლებლობას ამ რეგიონებიდან ნავთობისა და გაზის მიღების** პერსპექტივას და, შესაბამისად, მისი როლი ევროპისა და აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების ენერგომატარებლებით მომარაგებაში მკვეთრად შემცირდება, რაც მის გეოპოლიტიკურ „წონაზე“ უდავოდ აისახება.

აშშ-ის როლი კი, მის მიერ ირანის „მორჯულების“ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაიზრდება, რადგან სამხრეთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ენერგომატარებლების მარაგებთან შეღწევის გარდა, ის მოიპოვებს კრიტიკულად მნიშვნელოვან გავლენას ევროპასა და ჩინეთში მათ მოწოდებაზე. საბოლოო ჯამში, **ირანის გაკონტროლებით აშშ ძალიან ძლიერ დარტყმას მიაყენებს სამივე გლობალურ ოპონენტს — ჩინეთს, ევროკავშირსა და რუსეთს; ეს უკანასკნელი კი იძულებული გახდება, ერთადერთ შესაძლებელ კონტრ-სტრატეგიას მიმართოს და სამხრეთით მდებარე პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე კონტროლი გააძლიეროს, რის შედეგადაც შეიძლება რეგიონში გავლენის სფეროების ისეთივე განაწილება მივიღოთ, როგორსაც ადგილი 1979 წლამდე, შაჰის ჩამოგდებამდე, ჰქონდა.**

რუსეთი, როგორც ჩანს, არ აპირებს ყოველივე ეს პოსტ ფაქტუმ გააკეთოს (როდესაც უკვე გვიანი იქნება) და თადარიგს წინდაწინ იჭერს. მისი მოქმედება აზერბაიჯანში ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა. **„გაზპრომის“ მოწადინება, იყიდოს „მთელი აზერბაიჯანული გაზი“ და „BP“-ის კავკასიურ „მემკვიდრეობას“ დაეუფლოს, უფრო მეტია, ვიდრე „ნაბუკოს“ პროექტის ტორპედირება.** ფსონი (პერსპექტივაში) რუსეთისა როგორც გლობალური მოთამაშის სტატუსია. დღევანდელი კონიუქტურა და ბარაკ ობამას „გადატვირთვის“ პოლიტიკა მის მოქმედებას ხელს უწყობს.

**საქართველო ამ კონტექსტში** (რაოდენ პროზაულად არ უნდა გაიჟღეროს) **მეორეხარისხოვანი მიმართულებაა.** იმას, რომ ამ დერეფნის გამოყენებით მანძილი ევროპელ მომხმარებლამდე შედარებით მოკლდება,



**მიხეილ სააკაშვილის ცნობილი ფრაზა კონფედერაციის შესახებ, ერთი შეხედვით, შეიძლება შეფასდეს როგორც მორიგი გაუგებრობა, თუმცა იგი სავსებით სერიოზული იყო, როდესაც ესოდენ უცნაურ აზრებს აფრქვევდა.**

პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. სამაგიეროდ, რისკები დიდია, რადგან ჩვენს ქვეყანას უსაფრთხოების გარანტიები არ გააჩნია. **გაცილებით საშიში რუსეთისთვის გლობალურ პერსპექტივაში კასპიისა და ცენტრალური აზიის გაზისა და ნავთობის სამხრეთის მიმართულებით გადინებაა** (ირანი, როგორც ენერგომატარებლების გლობალური გამანაწილებელი კვანძი). დღეს ეს აქტუალურად შეიძლება არ მოგვეჩვენოს, თუმცა გავითვალისწინოთ, რომ ზესახელმწიფოები საფრთხეების განეიტრალებისთვის წინდაწინ ემზადებიან.

**ეს ძალზე სერიოზული თამაშია და ადრე თუ გვიან (ალბათ, მალე) ამოიწურება დრო, როდესაც აზერბაიჯანს ბალანსის პოლიტიკის გატარება, „ორ სკამზე ჯდომა“, შეეძლება.** ერთი შეხედვით, ყველაფერი ნორმალურადაა; აზერბაიჯანი „გაზპრომს“ თუ მეტ გაზს მიჰყიდის, მეტ ფულს მიიღებს, ამ ფულის მეშვეობით კი ნავთობისა და გაზის მოპოვებას გაზრდის და სხვა მყიდველების დაკმაყოფილებასაც შეძლებს. თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ სქემამ რეალურად იმუშაოს: ჯერ ერთი, გაზის მოპოვება ჩადებული ფულის პირდაპირპროპორციულად არ იზრდება, თანაც ყოველივე ეს ვაკუუმში არ ხდება. ქვეყნის წინაშე შეიძლება წამოიჭრას ახალი (კარგად დავიწყებული ძველი) საფრთხეები, რომლებიც შესაძლებლობას არ მისცემს, „იდეალური მომწოდებლის“ როლი შეასრულოს. **„დამოკლეს მახვილის“ ფუნქცია ამ შემთხვევაში ყარაბაღის საკითხს დაეკისრება, თუმცა არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ აზერბაიჯანის წინაშე ახალი გამოწვევები დადგება.**

## კონფედერაციის ხაფანგი

შესაძლო ცვლილებები ირანში მაინც ვარაუდების სფეროს მიეკუთვნება. ასე რომ, ისევ დღევანდელ რეალობას დავუბრუნდეთ. აღმოაჩნდება თუ არა აზერბაიჯანს 10 მილიარდამდე კუბური მეტრი (ყოველწლიურად) იმ მომენტისთვის, როდესაც საუბარი „ნაბუკოზე“ დასკვნით სტადიაში შევა? „გაზპრომთან“ ურთიერთობის ტენდენციით თუ ვიმსჯელებთ, გადამწყვეტ მომენტში ასეთი მოცულობის „თავისუფალი“ გაზი შეიძლება არ აღმოაჩნდეს.

**მიუხედავად იმისა, რომ თეთრი სახლის ინტერესი სამხრეთ კავკასიის მიმართ ერთობ მინელდა, ხოლო მოქმედება უფრო ფრთხილი გახდა, აზერბაიჯანის ექსპორტის დასავლეთის მიმართულებაზე მიბმის მცდელობები გრძელდება. მიხეილ სააკაშვილის ცნობილი ფრაზა კონფედერაციის შესახებ, ერთი შეხედვით, შეიძლება შეფასდეს როგორც მორიგი გაუგებრობა.** აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ მას შემდეგი კომენტარი დაურთო: **„საქართველო-აზერბაიჯანის კონფედერაციული ურთიერთობების შესახებ ტექნიკური დეტალები უკვე გახმიანებულია, დანარჩენი კი დიპლომატიური მოლაპარაკებების საგანია“.** ამ კომენტარმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ **სააკაშვილი სავსებით სერიოზული იყო, როდესაც ესოდენ უცნაურ აზრებს აფრქვევდა.**

კონფედერაცია საქართველოსთან დასავლეთის მიმართულებაზე აზერბაიჯანის მიბმის ერთ-ერთი, არცთუ ურიგო საშუალებაა. კონფედერაცია ის ცემენტია, რომელმაც აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის ენერგოდერეფანი (და სამხედრო-პოლიტიკური კავშირი) უნდა შეკრას. თუმცა კონფედერაციის სუბიექტები ნებისმიერ შემთხვევაში სუვერენიტეტის ნაწილის დელეგირებას ახდენენ, რეალურად კი სუსტი ძლიერის სასარგებლოდ საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილს თმობს. საქართველო კი აზერბაიჯანზე გაცილებით სუსტი სახელმწიფოა, თურქეთზე რომ არაფერი ვთქვათ. როგორც ჩანს, **რეალურად ალიევს** (და აზერბაიჯანულ ელიტას) **აშშ-თან კავშირისთვის ბონუსად საქართველოს ნაწილობრივ** (დროთა განმავლობაში, შესაძლოა, სრულ) **მართვას სთავაზობენ.** აზერბაიჯანელების რეაქციის ზონდირებას, რატომღაც საქართველოს ხელისუფლება ახდენს. იმას კი, ვინც შეაფასებს ამ მოვლენებს არა კონკრეტული ფრაზების, არამედ შესაძლო პერსპექტივის მიხედვით, შეიძლება მოეჩვენოს, რომ **საქართველოს ინტერესების გადასახედიდან ეს სრული სიგიჟეა, რომელიც ქვეყნისთვის კატასტროფას მოასწავებს.**

ალბათ, გაგვიმართლა, რომ აზერბაიჯანს წინდახედული ლიდერი მართავს, რომელიც მსგავსი გეოპოლიტიკური ავანტიურების გეგმებს ეჭვის თვალით უყურებს და ფრთხილი დუმილით ხვდება. უფრო სწორად, გაუმართლათ აზერბაიჯანელებს, რადგან რეალისტი პრეზიდენტი ჰყავთ, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებასა და ღირსეულ მომავალზე ზრუნავს.

**დიმიტრი მონიავა**

## გაზეთებიდან



**თემურ შაშიაშვილი,**
**პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი:**

დავინტერესდი და ამოვიღე ინფორმაცია, თუ რა შემოსავალი ჰქონდათ გასულ წელს საქართველოში სასტუმროებს, რესტორნებს და, საერთოდ, კვების ობიექტებს. აღმოჩნდა, რომ გასულ წელს მათი შემოსავალი სულ ასი მილიონი იყო. ახლა წარმოიდგინეთ, თუ 2 მილიონი ტურისტი ჩამოვიდა საქართველოში, გამოდის, რომ თითოეულს დაუხარჯავს მხოლოდ 50 ლარი!

*„ასავალ-დასავალი“*



**თემურ ჩალაბაშვილი,**
**პოეტი:**

გაოგნებული ვარ, სადაც არ უნდა მიხვიდე, მკვდარ ადამიანს კი არა, ყველგან საქართველოს გლოვობენ. იკრიბება ხალხი, ყველგან საქართველოზეა ტირილი... ამას წინათ ჩემი მეგობარი გარდაიცვალა, ღმერთმა აცხონოს, მიშა ხავთასი, კოლორიტი ბიჭი იყო, უნივერსიტეტში მუშაობდა, გასვენებაშიც საუნივერსიტეტო საზოგადოებამ მოიყარა თავი და უნივერსიტეტის გლოვის სადღეგრძელო დაილია.

*„კვირის ქრონიკა“*



**თენგიზ სიგუა,**
**ყოფილი პრემიერ-მინისტრი:**

დღეს რაღაც კონფედერაციაზე ლაპარაკი არის ქართველი ხალხის დიდი შეურაცხყოფა, ქვეყნის პირველ პირს კი არა, ხელისუფლებასაც არა აქვს უფლება, რეფერენდუმის გარეშე გადაწყვიტოს ეს საკითხი, ეს ხომ სახელმწიფო წყობილების შეცვლაა? სააკაშვილს არავითარი უფლება არა აქვს, არც იურიდიული, არც მორადური, რომ ამ საკითხზე ილაპარაკოს.

*„კვირის ქრონიკა“*



**ზაქარია ქუცნაშვილი,**
**იურისტი:**

ჩვენ საქმე გვაქვს ავტორიტარულ ხელისუფლებასთან, რომელიც ეჭვმიტანილია უამრავი დანაშაულის ჩადენაში და რომელსაც წასვლის უფლებაც კი არა აქვს, თავისივე კრიმინალური სამყარო შეჭამს მას.

*„კვირის ქრონიკა“*



**ნოდარ ხადური,**
**ეკონომიკის ექსპერტი:**

2013 წელს საქართველოს ბიუჯეტის 30 პროცენტი საგარეო ვალის მომსახურებას უნდა მოხმარდეს, რაც მძიმე ტვირთად დააწვება ქვეყანას. ეს, რაც შეეხება სახელმწიფო ვალს, მთლიანი საგარეო ვალი კი გაცილებით მეტია — მთლიანი შიდა პროდუქტის 80 პროცენტს აღემატება და 8 მილიარდ დოლარზე მეტია.

*„ყველა სიახლე“*

## მოკლედ




### ინფლაცია 7%-მდე გაიზარდა

**საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ინფორმაციით, ივლისში წლიური ინფლაცია ივნისში დაფიქსირებული 3,7%-დან 7%-მდე გაიზარდა.**

მიმდინარე წლის ივლისში, 2009 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სამომხმარებლო კალათის ფასები 7%-ით გაიზარდა. წლიური ინფლაციის ზრდა გამოწვეულია ბენზინზე (26.8%) და დიზელზე (42.4%), ასევე ბოსტნეულზე (9.8%), შაქარსა და საკონდიტრო ნაწარმზე (22.6%), პურპროდუქტებზე (3.3%), ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე (4.8%), ხილზე (20.9%), ზეთსა და ცხიმზე (8.8%) ფასების ზრდით. ფასი მოემატა კატეგორიებს, როგორიცაა: „განათლება“ (50.3%), „ტრანსპორტი“ (8.5%), „ჯანმრთელობის დაცვა“ (3.9%).




### რა აწუხებთ დევნილებს

**სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ სპეციალური ანგარიში მოამზადა.** 80-გვერდიანი დოკუმენტი 2010 წლის იანვრიდან ივლისამდე პერიოდს მოიცავს და მის შესადგენად დევნილთა 500-მდე ოჯახი გამოიკითხა. ანგარიშში ასახული ძირითადი პრობლემები — საყოფაცხოვრებო პირობები, ჯანდაცვა და საცხოვრებელი ფართების დაკანონება ამ ანგარიშის გარეშეც ყველასთვის კარგად იყო ცნობილი, მაგრამ მათ მოგვარებას საშველი არც ანგარიშამდე დაადგა და საეჭვოა, მას შემდეგ ეშველოს, რაც ტუღუში მათ რეკომენდაციებთან ერთად პარლამენტს აახლებს.



### ალასანიამ გამოსავალი იპოვა

**სულ რამდენიმე დღეც მოვითმინოთ და ირაკლი ალასანია საკონსტიტუციო რეფორმასთან, ფასების ზრდასთან და სხვა ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით თავისი პარტიის პოზიციასაც გაგვაცნობს და, რაც მთავარია, გამოსავალსაც შემოგვთავაზებს.** როგორც ჩანს, პარტიას „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატები“ ახალი დიეტის რეცეპტი აქვს, თორემ ხელფასების მომატებას მას რომ არავინ ჰკითხავს, ყველამ ვიცით. სათავისო გამოსავალი ალასანიას პარტიამ უკვე იპოვა. ლიდერის განცხადებით, არჩევნების შემდეგ ბიზნესწრეებს „ამ პირობებში ჩატარებულ არჩევნებში მაღალი შედეგის მქონე პარტიისთვის“ დახმარების დაუცხრომელი სურვილი გაუჩნდათ.




### „ცენტრ-პოინტი“ ინვესტორს ეძებს

**სამშენებლო კომპანია „ცენტრ-პოინტის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ვახტანგ რჩეულიშვილმა განაცხადა, რომ მოსახლეობის წინაშე აღებული ყველა ვალდებულების შესრულებას ახალი კომპანიის დახმარებით შეეცდება.** რჩეულიშვილმა კომპანიის მიერ დაწყებული არაერთი მშენებლობის დაუსრულებლობა, ცხადია, ეკონომიკურ კრიზისსა და მოსახლეობის დაბალ გადახდისუნარიანობას დააბრალა. მისი თქმით, უცხოელ პოტენციურ ინვესტორებს არ სურთ იმ თანხის ვალად აღიარება, რომელიც მოსახლეობისგან აიკრიფა და მშენებლობას მოხმარდა. დაინტერესებულთა შორის არიან ქართული კომპანიებიც. „ცენტრ პოინტმა“ გადაწყვეტილება ორი კვირის ვადაში უნდა მიიღოს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გა[illegible]ზებულნი



**დიმიტრი მედვედევი, რფ-ის პრეზიდენტი:**

ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ჩვენს ეკონომიკურ ინტერესებს, უნდა გვესმოდეს, რომ არსებობს ერთი ქვეყნის ინტერესები, მეორე ქვეყნის ინტერესები. ისინი ყოველთვის პრაგმატული ხასიათისაა. ეს არაა კონტაქტები ჰუმანიტარულ სფეროში, სადაც ეს სფერო იდეალურია. ეს არის ის, სადაც ფულს გამოვიმუშავებთ. ეს ნორმალურია და აქ ჩვენი შესაძლებლობების ჩვენსავე სურვილებთან შეთავსება გვმართებს.

*special.kremlin.ru*



**ვლადიმერ პუტინი, რფ-ის პრემიერ-მინისტრი:**

მოდი ყველამ თავისი საქმე აკეთოს... მე მომწონს ჩემი სამუშაო. ვგრძნობ, რომ გამომდის და თანაც კარგად... კარგია, რომ მე და დიმიტრი ანატოლის ძემ (მედვედევმა) ფუნქციები გადავინაწილეთ, რომ მთავრობა დამოუკიდებლად მუშაობს... ვნახოთ, რა იქნება 2012 წელს.

*rian.ru*



**ილხამ ალიევი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი:**

ჩვენ განსაკუთრებით ვაფასებთ იმას, რომ რუსეთის პრეზიდენტი, დიადი სახელმწიფოს პრეზიდენტი, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მესამედ ეწვია აზერბაიჯანს. მეც ხშირად ჩავდივარ რუსეთში, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში. ეს იმ ურთიერთინტერესს ადასტურებს, რომელიც ჩვენ გვაქვს ერთმანეთის მიმართ და ასევე ადასტურებს იმასაც, რომ ჩვენს ურთიერთობას ძალზე ფართო დღის წესრიგი აქვს.

*special.kremlin.ru*



**დალია გრიბაუსკაიტე, ლიტვის პრეზიდენტი:**

საქართველოსთვის ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების გზა მხოლოდ რეფორმების წარმატებით დასრულების შემდეგ გაიხსნება.

*regnum.ru*



**ფიდელ კასტრო, კუბის რევოლუციის ლიდერი:**

მსოფლიო ატომური ომის ზღვარზე დგას. თუ აშშ და ისრაელი მიიღებენ გადაწყვეტილებას, სამხედრო ზეწოლა მოახდინონ ირანზე, რომელიც უარს ამბობს საკუთარი ბირთვული პროგრამის შეჩერებაზე, შესაძლოა, ეს ომი დაიწყოს. დედამიწაზე მცხოვრებ ხალხთა შვიდ მილიარდზე მეტი ადამიანის ამოცანაა, ეს არ დაუშვას... ბირთვული იარაღი უნდა გაქრეს.

*lenta.ru*

# ერაყი — ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ!

**წინა კვირაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საჯაროდ განაცხადა, რომ დაიწყო თავისი წინასაარჩევნო დაპირების შესრულება და ერაყიდან ამერიკის ჯარების გამოყვანა. ამის გამო ისედაც დატერორებულ ბაღდადის მოსახლეობასა და დიპკორპუსში ნამდვილმა პანიკამ დაისადგურა. არადა, ამერიკელი ჯარისკაცებიც ვერაფერს აკეთებდნენ ყოველდღე აფთქებული ბომბების წინააღმდეგ, მაგრამ რაღაც მინიმალურ დაცვას მაინც წარმოადგენდნენ. აი, ერაყელი სამართალდამცველების იმედზე კი ჩემი მტერი ყოფილიყოს, ალბათ, ამბობენ ისინი.**



## ვინც ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებებს უყურებს, იცის, თუ როგორია ერაყის დღევანდელობა და ერაყული „დემოკრატიის“ პირობებში გაუთავებელი ტერაქტებით რამდენი ათეული ადამიანი ფეთქდება ლამის ყოველდღე

გავიხსენოთ, როგორ შევიდა ამერიკის ჯარი ერაყში. იქ ისინი თურმე კაცობრიობისთვის საშიშ ბირთვულ და ქიმიურ იარაღს ეძებდნენ. მაშინდელი პრეზიდენტი, ბუში, შეგვპირდა ერაყში „დემოკრატიის დამყარებას“; ეს, ალბათ, მისი აზრით, ნიშნავდა „შუა აღმოსავლეთის (როგორც მან თბილისში გვიწოდა გაგანია ევროპელებს) დემოკრატიის ჩირაღდნის“, ანუ სააკაშვილისეულ მოდელს! მათი აზრით, მთავარს მიაღწიეს – ერაყის დიქტატორი სადამ ჰუსეინი ჩამოახრჩვეს, მაგრამ ვერავითარ საიდუმლო იარაღის საწყობს ვერ მიაკვლიეს.

**სამაგიეროდ, ბაღდადი და მისი სახელგანთქმული მუზეუმი პირწმინდად გაიძარცვა ამერიკელი და სხვა ჯარისკაცების, ასევე, ვისაც არ ეზარებოდა, მათ მიერ, ალბათ, „დემოკრატიის“ სახელით.** ყველამ იცის, რომ ბაღდადის მუზეუმი მსოფლიოს უძვირფასეს მუზეუმად ითვლებოდა. კაცობრიობის ცივილიზაცია ხომ სწორედ მესოპოტამიაში ჩაისახა: შუმერი, ბაბილონი, ასურეთი, ულამაზესი ქალაქი ნინევია, შემდეგ სპარსეთის იმპერიის ერთ-ერთი წამყვანი ნაწილი. ხოლო „1001 ღამიდან“ ვიგებთ, რომ ბაღდადი უკვე შუა საუკუნეებში უმდიდრესი ქალაქი ყოფილა და საკმაოდ განსწავლულიც, სადაც ხელოვნებასთან ერთად მათემატიკასა და ასტრონომიას ეუფლებოდნენ. და ეს მაშინ, როდესაც ევროპაში რენესანსი ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო, ხოლო ამერიკა საერთოდ არ არსებობდა!

**მაინც რა ამოძრავებდა ჯორჯ ბუშ უმცროსს? ერაყის ნავთობი? ის თითქოს რუსეთს შესთავაზეს რაღაცის სანაცვლოდ. მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი, ჩემის აზრით, მაინც ფსიქოლოგიური ფაქტორი უნდა ყოფილიყო: გავიხსენოთ, 1990 წლის 1 აგვისტოს ერაყმა სადამ ჰუსეინის ბრძანებით ანექსია გაუკეთა ნავთობით ძალიან მდიდარ თავის ყოფილ პროვინციას – კუვეიტს. ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ უფროსმა ამას ომის გამოცხადებით უპასუხა და უკვე 1991 წლის ზამთარში დაიწყო ოპერაცია „ქარიშხალი უდაბნოში“.**

ეს იყო ისტორიაში პირველი ომი ტელევიზიის ღია ეთერსა და „რიალ-ტაიმში“ და ჩვენ, ვინც დასავლეთში ვცხოვრობდით, პირდაპირ ტელეეკრანებზე ვუცქერდით ამერიკულ ბომბადმშენებში დადგმული ტელეკამერებიდან გადაღებულ კადრებს, ლაზერების სამიზნეებით რაკეტებს „წერტილოვანი დარტყმებით“ როგორ უშენდნენ სამხედრო ობიექტებს. **ცხადია, სადამ ჰუსეინი ასეთ თავისზე უპირატეს ძალას ვერ გაუმკვლავდებოდა და, როდესაც ბაღდადის დაბომბვა დაიწყო, მან თავისი ჯარები სასწრაფოდ გამოიყვანა კუვეიტიდან. ჯორჯ ბუშ უფროსმა სიტყვა შეასრულა, მხოლოდ კუვეიტით დაკმაყოფილდა და ერაყიდან ჯარები გაიყვანა.**

**როგორც ჩანს, მისმა შვილმა, რომელიც ნეო-კონსერვატორების ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, გადაწყვიტა მამის „დაუმთავრებელი“ საქმე ბოლომდე მიეყვანა, ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმი დაემხო და იქ „დემოკრატია დაემყარებინა“.** სადამის რეჟიმის დამხობა და სადამის ჩამოხრჩობა მან შეძლო, მაგრამ იქ შესვლის მთავარი მიზეზის — მასობრივი განადგურების იარაღის პოვნა ვერა. ამერიკელებმა ყველაფერი ბრიტანეთის მაშინდელ პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერს გადააბრალეს, ეს მან მოგვცა არასწორი ინფორმაციაო (საინტერესოა, რას აკეთებდა მაშინ მითიური CIA?), რაც ბლერს თანამდებობის დაკარგვად დაუჯდა. აი, **სწორედ მაშინ პირველ პლანზე წამოსწიეს ის, რომ ამერიკელები ერაყში დემოკრატიის ასაშენებლად შევიდნენო. არადა, ვინც ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებებს უყურებს, იცის, თუ როგორია ერაყის დღევანდელობა და ერაყული „დემოკრატიის“ პირობებში გაუთავებელი ტერაქტებით რამდენი ათეული ადამიანი ფეთქდება ლამის ყოველდღე.**

აქვე მახსენდება პეტერბურგში დიდი რვიანის სამიტი, სადაც ჯორჯ ბუშმა ტელეკამერების წინ ამაყად განაცხადა, ჩვენ ერაყში დემოკრატია დავამყარეთო, რაზეც პუტინმა დამცინავი ღიმილით უპასუხა, — გმადლობთ, ჩვენ ასეთი დემოკრატია არ გვჭირდებაო!

მაგრამ ვინ აწყობს ამ ყოველდღიურ აფეთქებებს და ვინმეს ხომ არ ჰგონია, რომ „ამაყი ერაყელი ხალხი“ იბრძვის ოკუპანტების წინააღმდეგ? **(სხვათაშორის** ▶

## მოკლედ



### ჯანი ბუკიკიო ჩამოდის

**იმის შესამოწმებლად, გაითვალისწინა თუ არა საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ ვენეციის კომისიის რეკომენდაციები, 16 სექტემბერს თბილისს ვენეციის კომისიის თავმჯდომარე ჯანი ბუკიკიო ეწვევა.** ვენეციის კომისია საქართველოში საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტო მოდელზე გადასვლის მომხრეა.

როგორც ცნობილია, 4-5 ივნისს ვენეციის კომისიის პლენარულ სხდომაზე საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საბაზისო პროექტის პრეზენტაცია და განხილვა უკვე გაიმართა. კომისიის წევრებს საბაზისო პროექტი თავად ავთანდილ დემეტრაშვილმა წარუდგინა.




### ტერორიზმის ექსპორტიორი — აშშ

**„WikiLeaks“-მა თავის საიტზე აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კიდევ ერთი დოკუმენტი გამოაქვეყნა. საუბარია მოხსენებით ბარათზე, რომელიც ცსს-ს ე. წ. „წითელი ბირთვის“ მიერაა მომზადებული და სათაურად აწერია: „რა მოხდება, თუ უცხოელები აშშ-ს „ტერორიზმის ექსპორტიორად“ განიხილავენ?“** ბარათი გრიფით „საიდუმლო არა უცხოელთათვის“ ობივატელის მომზადებულს უფრო ჰგავს, ვიდრე აშშ-ის მთავარი სადაზვერვო უწყებისას. მასში ჩამოთვლილია შემთხვევები, როდესაც ამერიკის მოქალაქეები ტერორიზმში იყვნენ ბრალდებულნი და შემდეგ განხილულია, რამდენად გართულდება ვაშინგტონის მდგომარეობა, თუ მას უცხოეთში ტერორიზმის „ექსპორტიორ სახელმწიფოდ“ აღიქვამენ.



### ობამა ცსს-ს პროდუქტია

**ამერიკელი ჟურნალისტი და ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი უეინ მედსონი ირწმუნება, რომ ობამა, ისევე, როგორც მთელი მისი ოჯახი, მჭირდო კავშირში იმყოფებოდა როგორც ცსს-სთან, ისე მსოფლიოს უმდიდრეს ელიტასთან — როტშილდებისა და როკფელერების ოჯახებთან.** „ვერანაირ ცვლილებას ვერ ვხედავ და, ზოგიერთი თვალსაზრისით, ის ბუშზე უარესია. კარგი იქნებოდა, ეს ინფორმაცია ცნობილი ყოფილიყო საპრეზიდენტო არჩევნებისას. ობამა ყოველთვის კეთილგანწყობილი იყო ცსს-ს მიმართ და ამართლებდა მას, ნაცვლად იმისა, რომ გუანტანამოსა და უცხოეთში წამების ფაქტები გამოეძია“, ამბობს მედსონი.



### არავითარი „დედა“ და „მამა“!

**ევროსაბჭო ოფიციალური დოკუმენტებიდან ცეცხლითა და მახვილით მოაშთობს მათ. საბჭოს წევრები თვლიან, რომ ეს სიტყვები გენდერული დისკრიმინაციის ხასიათს ატარებს და ქალს ამცირებს.** ევროსაბჭოს რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ქალისათვის ტრადიციული ქცევის მოდელად დიასახლისის შესახებ წარმოდგენები ითვლება და ეს ხელს უშლის სქესთა სრულ თანასწორობას. პირველად სიტყვების „დედა“ და „მამა“ გაუქმების იდეა შვეიცარიის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელ დორის შტუმპს დაებადა და ევროსაბჭოს მიმართა პრეტენზიით, აღარ წარმოედგინათ ქალები „პასიურ და მეორეხარისხოვან არსებებად, დედებად და სექსუალურ ობიექტებად“.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ **ამერიკელებს სულ არ აჟრიალებთ ტანში ტერმინ „ოკუპანტის“ გაგონებაზე, როგორც სააკაშვილის ჩინოვნიკები და ჯიბის ექსპერტები გვიმტკიცებენ, პირიქით, მშვიდად ამბობენ, რომ ავღანეთი და ერაყი მათი ოკუპირებულია).**

საერთოდ ერაყი, მართალია, ისლამური ქვეყანაა, მაგრამ მოსახლეობა იქ თითქმის თანაბრადაა გაყოფილი ისლამის ორ განშტოებაში სუნიტებად და შიიტებად. სისტემატიურად სწორედ ისინი აგდებენ ბომბებს ერთმანეთის მეჩეთებში საპარასკევო ლოცვის დროს (პატარა გადახვევა ისტორიიდან: როდესაც თბილისი სპარსელმა შიიტმა აღა-მაჰმად-ხანმა დაიპყრო, პირველ ყოვლისა, მან თბილისში სუნიტური მეჩეთი ააფეთქებინა და მხოლოდ მერე დაიწყო ქალაქის ძარცვა და ნგრევა). სწორედ ისინი ებრძვიან დღეს ერთმანეთს და მათ შორის მშვიდობის დამყარების მხოლოდ გულუბრყვილო ამერიკელებს თუ სჯერათ.

ერთ ეთნოსში საერთო სარწმუნოების ორი შტოს მტრობისა და სისხლიანი დაპირისპირების მაგალითია თუნდაც ირლანდია, სადაც, მართალია, ორივე ქრისტიანი და ერთი წარმოშობის ხალხია, მაგრამ ჩრდილოეთ ირლანდიაში მშვიდობა კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის მხოლოდ მაშინაა, როდესაც მათ შორის ინგლისური ტანკები დგება. სამაგიეროდ, მაშინ ირლანდიელები ბომბებს უკვე ინგლისის დედაქალაქში დებენ. ასევე უახლოეს წარსულში, იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, ჩვენ კიდევ ერთი წარმოშობის ხალხში ვნახეთ ომი — სერბებსა და ხორვატებში, ვინაიდან ისინი შუა საუკუნეებში ერთიანი ქრისტიანული ეკლესიის მართლმადიდებლობად და კათოლიკობად გაყოფის შემდეგ ხელოვნურად გადანაწილდნენ და ერთი ნაწილი (დღევანდელი ხორვატები) რომს დაუმორჩილეს, ხოლო მეორე ნაწილი (დღევანდელი სერბები) — კონსტანტინოპოლს. და მიუხედავად საერთო ენისა (სერბო-ხორვატული) და საერთო კულტურისა, მაინცდამაინც სწორედ დღეს დაერივნენ ერთმანეთს.

**სხვათაშორის, თვითონ სადამ ჰუსეინი სუნიტი იყო და რკინის ხელით მართავდა ქვეყანას, სადაც რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება წარმოუდგენელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ შიიტებს თავი დაჩაგრულად მიაჩნდათ: როგორც ეს აზიაშია მიღებული, სადამის გარემოცვა მთლიანად მისი ახლობლებით იყო დაკომპლექტებული, რომლებიც, გასაგებია, რომ ასევე სუნიტები იყვნენ. ამიტომ, როდესაც ამერიკელებმა სადამის რეჟიმი დაამხეს, არც მისი მოსახლეობის საგრძნობ შიიტურ ნაწილსა და არც მათ მხარდამჭერ ირანს ხმა არ ამოუღიათ.**

ვინაიდან ირანი ვახსენე, საინტერესო ფაქტია, რომ ის ერაყის შიიტებს აიარაღებდა, მაგრამ მათ, როგორც ჩანს, ინსტრუქცია ჰქონდათ, რომ ეს იარაღი ამერიკელების წინააღმდეგ არ გამოეყენებინათ, ვინაიდან, ალბათ, არ უნდოდათ ომის პროვოცირება. ხოლო ამერიკელებს ამ ბოლო ხანებში ესროდა და აფეთქებდა მხოლოდ ალ-ქაიდას ერაყის ფრაქცია, თუმცა მათ ამ ქვეყანაში სერიოზული დასაყრდენი მაინც არ ჰქონდათ.

ერაყში ასევე არსებობს სეპარატისტულად განწყობილი ეროვნული უმცირესობა — ქურთები. ამ ავტონომიას ერაყის ქურთისტანი ეწოდება და დიდი ქურთისტანის ნაწილია,



**ამერიკელებმა თავიანთი ჯარისკაცების 5.000-მდე კუბო წაიღეს, ერაყის მშვიდობიანმა მოსახლეობამ კი ამ პერიოდში ასი ათასამდე მოქალაქე დაკარგა რელიგიურ შეტაკებებში**

რომელიც ოთხ ქვეყანას შორისაა გაყოფილი. კიდევ უფრო დიდი ტერიტორიები უკავიათ მათ თურქეთში, ირანსა და სირიაში, ოღონდ იქ არც ერთში არსად ავტონომიური მმართველობა არ აქვთ. საერთოდ, ქურთების ძირითადი ნაწილი მუსლიმანია, მაგრამ მათი უძველესი სარწმუნოების მიმდევრები, იეზიდები, საქართველოშიც ცხოვრობენ, ხოლო იეზიდების მთავარი სალოცავი სწორედ ერაყის ქურთისტანშია.

**ბუშის ადმინისტრაციამ, თითქოს ერთი კოსოვო საკმარისი არ ყოფილიყოს, შემდეგ „აზიურ კოსოვოზე“ და ქურთისტანის დამოუკიდებლობაზე დაიწყო ზრუნვა, რაც დენთის კასრის სრული აფეთქებით ემუქრება ჩვენს არასტაბილურ რეგიონს.** ამ ბოლო დროს ამერიკელები თითქოს გონს მოვიდნენ და ვითომ კომპრომისი გამონახეს — ერაყის პრეზიდენტად იქ ქურთი დასვეს. მაგრამ რამდენად მიიღებს მას ერაყის ძირითადი მოსახლეობა (არაბები) ამერიკელების გასვლის შემდეგ, დაახლოებით უკვე ცნობილია. **ასე რომ, ერაყის სამ სახელმწიფოდ დაყოფა რომ გარდაუვალია, ამას ევროპაში, კარგა ხანია, ხედავენ, ამერიკელებს კი ხელი აქვთ ჩაქნეული და თავის გაფუჭებულ საქმეზე პასუხისმგებლობას არ გრძნობენ.**

**ჩვენს სამხრეთ რეგიონში რომ სამი ახალი სახელმწიფო წარმოქმნილიყო, როდესაც ამ სამ ნაწილს ერთად ცხოვრება არ უნდა და მშვიდობიან „განქორწინებაზე“ ყველა თანახმაა — ეს თითქოს არავითარ პრობლემებს არ უნდა უქმნიდეს რეგიონს, გარდა იმისა, რომ ასეთ დროს „ბინების გაყოფის პრობლემა“ დგება ხოლმე. მაგრამ აქ უკვე გარე ფაქტორები მუშაობენ — ქურთების ნაწილს მარტო ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობა არ აკმაყოფილებს და „დიდი ქურთისტანის“ შექმნა სურს.** ყველაზე მეტი აგრესიულად განწყობილი ქურთები თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობენ და „ქურთების მუშათა პარტიის“ ხელმძღვანელობით თურქეთიდან გამოყოფისთვის იბრძვიან, ამისთვის კი პარტიზანულ-ტერორისტულ ბრძოლის მეთოდებს იყენებენ. ევროსაბჭოს ზეწოლით, მათ თურქეთში „კულტურულ ავტონომიას“ მიაღწიეს. თუ ოცი წლის წინათ თურქეთში ქურთების ენა საერთოდ აკრძალული იყო, ვინაიდან თურქეთი მის ტერიტორიაზე სხვა ეთნოსების არსებობას უარყოფდა, ამჟამად დაშვებულია დაწყებითი სწავლება, აქვთ თავიანთი გაზეთები და რადიო ქურთულ ენაზე, ხოლო თურქეთის პარლამენტში ქურთ დეპუტატებს თავიანთი ფრაქცია აქვთ. მაგრამ **ერაყში ქურთისტანის დამოუკიდებლობის გამოცხადებით ეს მყიფე ბალანსი ირღვევა.**

საერთოდ, თურქების წინააღმდეგ მებრძოლ ქურთებს მოსამზადებელი ბაზები სწორედ ერაყის ტერიტორიაზე აქვთ, ხოლო თურქეთი სულ არ ერიდება არსებულ საზღვრებს და ტერორისტების წინააღმდეგ საპასუხო დარტყმებს სწორედ ერაყის ტერიტორიაზე ახდენს ხოლმე. **დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნის შემთხვევაში კი სერიოზული სამხედრო დაპირისპირება გარდაუვალია.** ოღონდ აქ ვინ შეიძლება იყოს შუამავალი? როდესაც სერბეთმა თავისი ჯარები შეიყვანა კოსოვოში, ის ნატოს თვითმფრინავებმა დაბომბეს. ამ შემთხვევაში ნატო რას იზამს? თავისივე წევრ თურქეთს დაბომბავს? არადა, თურქეთი სერბეთი არ არის და ნატოში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი არმია ჰყავს! **ამ შემთხვევაში კი ირანის ქურთები რატომ არ მოინდომებენ თავიანთი ძმები ქურთების გვერდით დადგომას? ასეთ დროს ირანი განზე არ გადგება და თავისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას არ შეურიგდება.**

აქ ერთი პატარა ისტორიული გადახვევა უნდა გავაკეთოთ: მეორე მსოფლიო ომის დასასრულს სტალინმა ირანის ტერიტორიაზე ორი ახალი „სახელმწიფო“ შექმნა, ირანის ქურთისტანი და ირანის აზერბაიჯანი (ირანის აზერბაიჯანში დღევანდელ აზერბაიჯანთან შედარებით, სულ ცოტა, ორჯერ მეტი აზერბაიჯანელი ცხოვრობს; ზუსტი მონაცემი არ არსებობს). ეს ორივე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ბაქოდან იმართებოდა. მაგრამ, მსოფლიოს გადანაწილების შესახებ იალტის ხელშეკრულებით, სტალინს ამის ნება არ ჰქონდა და ინგლისელების ზეწოლით 1947 წელს ირანიდან ჯარები გაიყვანა. სამაგიეროდ, დასავლეთის პარტნიორებმა თვალები დახუჭეს სტალინის მიერ აღმოსავლეთ ევროპის ოკუპაციაზე.

**ერაყის დაყოფის შემდეგ არის კიდევ ერთი სერიოზული საშიშროება. როგორც აღვნიშნე, ამერიკელების გასვლის შემდეგ და სადამის რკინის ხელის არ არსებობის შემთხვევაში, სუნიტები და შიიტები ერთ ქვეყანაში ვერ იცხოვრებენ. არადა, 80-იან წლებში ხანგრძლივი და სისხლიანი ომი მიმდინარეობდა ირანსა და ერაყს შორის — ვიდრე კუვეიტის ავანტიურას დაიწყებდა, სადამი შეეცადა, ირანის აღმოსავლეთ ნაწილში არაბებით დასახლებული ხუზესტანის პროვინცია შემოეერთებინა. მაშინ მან ეს ვერ შეძლო. მაგრამ ხვალ თუ ერაყის შიიტებმა, რომლებიც ეთნიკურად არაბებია, ცალკე სახელმწიფოს შედგენა დაიწყეს, რას იზამენ მეზობლად მყოფი ირანის, ანუ ხუზესტანის არაბები? სეპარატიზმის ჭია იქაც ხომ არ გაჩნდება? და, აი, კიდევ ერთი ომის სცენარი მზადაა და ნელი მოქმედების ნაღმიც ჩადებულია!**

მაინც რით დაიკვეხნიან ამერიკელები? ბარაკ ობამას იმდენი პრინციპულობა და ნამუსი აქვს, რომ არ უთქვამს „გავიმარჯვეთო“ (ჩვენ რუსთაველზე 2008 წლის 12 აგვისტოს ისეთი მარაზმი გვაქვს ნანახი ანალოგიურ თემასთან დაკავშირებით, ის, ალბათ, უკვე გინესის წიგნშია, როგორც მისი შემოქმედი ავტორი). ბარაკ ობამამ მხოლოდ ის თქვა, მისია შევასრულეთ და გამოვდივართო. აი, ამერიკულ რუსულენოვან ტელეარხ RTV–ს ინტერაქტიურ გამოკითხვაში კი თითქმის 90%-მა დააფიქსირა, რომ ამერიკა დამარცხდა. ხოლო **მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა პოლიტოლოგმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ ორი კვირის წინათ პოლონურ ჟურნალ „პოლიტიკაში“ განაცხადა, რომ ამერიკის პრესტიჟი იმდენად დაბლა დაეცა, რომ მას მსოფლიო ლიდერობის პრეტენზია აღარ უნდა ჰქონდეს. ნიშანდობლივია, თუ ამას ვინ ამბობს, იქნებ მისი თუნდაც ათი წლისწინანდელი წიგნები გავიხსენოთ?**

მოდი შევაჯამოთ: **მიდიან ამერიკელები და რეგიონში ტოვებენ სრულიად არეულ სიტუაციასა და ქაოსს, რაც მათ იქ შესვლამდე არ იყო. თვითონ რა მოიგეს? არც არაფერი, ამ ხნის განმავლობაში თავიანთი ჯარისკაცების 5.000-მდე კუბო წაიღეს. აი, ერაყის მშვიდობიანმა მოსახლეობამ კი ამ პერიოდში ასი ათასამდე მოქალაქე დაკარგა რელიგიურ შეტაკებებში. იყო თუ არა სადამ ჰუსეინი რეგიონის სტაბილურობის გარანტი? — რასაკვირველია, არა; მან ზედიზედ ორი ომი წამოიწყო ახალი ტერიტორიების ანექსიის მიზნით — ერთი ირანში, მეორე კუვეიტში, და ორივე წააგო. მაგრამ თავის ქვეყანაში, ერაყში, მიუხედავად ყველაფრისა, ის ნამდვილად იყო სტაბილურობის გარანტი, დღეს კი ეს შესანიშნავი ისტორიის მქონე ქვეყანა გეოგრაფიული რუკებიდან გაქრობის პირასაა.**

სადამის დროს ტერმინი „დემოკრატია“ იქ უცხო სიტყვათა ლექსიკონშიც არ ეწერა. დღეს კი იქ იციან, რომ „ბუშისეული დემოკრატია“ აქვთ, ანუ ერაყში აპრილის საპარლამენტო არჩევნების მომდევნო დღეს, სექტემბერში, მათ პრემიერ-მინისტრი და მთავრობა ჯერ კიდევ არ ჰყავთ — ვერ შექმნეს და ვერ მოილაპარაკეს! პრეზიდენტს კი აღმასრულებელი ძალაუფლება არ აქვს, ანუ სრული სახელისუფლო და სახელმწიფოებრივი ქაოსია! აი, ასეთ „დემოკრატიას“ ტოვებენ ამერიკელები ერაყში. ერაყელების აზრით, პოპულარული ამერიკული ტერმინი „დემოკრატია“ საჭმელია თუ სასმელი, დღემდე ვერ გაიგეს... ეს მათი ისლამი ნამდვილად არ არის!

**რამაზ კლიმიაშვილი**

საავტორო სვეტი



# ერთხელ მადაგასკარში

**უცნაურია, მაგრამ საქართველოსა და მადაგასკარს შორის ბევრი პარალელის გავლება შეიძლება. მადაგასკარი ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, სადაც „ფერადი“ ტექნოლოგიები აქტიურად გამოიყენეს. ბოლო ათწლეულში მოხდა გადატრიალება არჩევნების გაყალბების საბაბით; იყო კორუფციასთან ბრძოლაც, რასაც ადგილობრივები, სახასიათო პირდაპირობით, მარტივად „წილების გადანაწილებას“ უწოდებენ, იყო ინფრასტრუსტურის განვითარებაში უზარმაზარი თანხების ჩაყრა, განათლების რეფორმა და ახალი საავადმყოფოების აშენების პროგრამაც კი.**

ცხადია, განხეთქილება ხელისუფლებაში მოსული ძალის შიგნით მადაგასკარშიც მოხდა. იყო მრავალათასიანი აქციები, დედაქალაქის პარალიზება, შეტაკებები პოლიციასთან, ომახიანი შეძახილები „რავალუმანანა, წადი!“, „რაძუელინა, მოდი!“ (პრეზიდენტი და ოპოზიციის იმჟამინდელი ლიდერი, შესაბამისად). მართალია, **საქართველოსგან განსხვავებით, იქ პრეზიდენტი გაიქცა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოვლენები მადაგასკარში ბოლო ათწლეულში ოდნავ წინ უსწრებს ანალოგიურ მოვლენებს საქართველოში, გამორიცხული არაა, საბოლოო ჯამში პარალელი ამ თვალსაზრისითაც სრულყოფილი გამოდგეს.** აღსანიშნავია, რომ უკმაყოფილების ტალღა ანტანანარივუში მაშინ ფასების ზრდისა და სოციალური პირობების გაუარესების ფონზე აგორებულიყო, ხოლო ოპოზიციის ლიდერებმა ის, უბრალოდ, მათთვის სასურველ კალაპოტში მოაქციეს.

**დროებით შევეშვათ ისედაც გაჭირვებულ მადაგასკარს და მეზობელ მოზამბიკში გადავინაცვლოთ. პურზე და სურსათზე ფასის ზრდამ (ისევე, როგორც ჩვენთან, 15-20 პროცენტით მოიმატა) ხალხი ქუჩაში გამოიყვანა. პოლიციამ რეზინის ტყვიებისა და ცრემლსადენი გაზის გარდა ცეცხლსასროლი იარაღიც გამოიყენა. სამდღიანი არეულობის შედეგად 10 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 450-მდე დაიჭრა.**

ეს მხოლოდ ფერმკრთალი წინასახეა იმისა, რაც საქართველოში შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ფასების კატასტროფული ზრდა და მდგომარეობის ზოგადი გაუარესება არ შეჩერდება (რა მეთოდებით?). **შიმშილი ისეთი ძალაა, რომელიც ადამიანს უკიდურესად მკვეთრი ნაბიჯებისკენ უბიძგებს, მნიშვნელობა არ აქვს, აფრიკელი იქნება ის, ევროპელი თუ „მაშასადამე ევროპელი“; ასე რომ, ედუარდ შევარდნაძის სევდიანი წინასწარმეტყველება „პურის რევოლუციის“ შესაძლებლობის შესახებ შეიძლება სავსებით აქტუალური გამოდგეს.** სხვა საქმეა, შეძლებს თუ არა ოპოზიცია მართებულად გამოიყენოს ის უკმაყოფილება, რომელიც საზოგადოებაში აშკარად იგრძნობა.

ქვეყანას სერიოზული ეკონომიკური პრობლემები აქვს და ეს მიხეილ სააკაშვილის მგზნებარე გამოსვლებშიც კი აირეკლება. საპარლამენტო უმრავლესობის წევრებთან შეხვედრაზე მან განაცხადა, რომ მომავალში მოხდება **„ინფრასტრუქტურული პროექტების უფრო განაწილება დროში“** და რომ **„მომავალი წლის ბიუჯეტი ქამრის შემოჭერის ბიუჯეტი იქნება“,** თუმცა იქვე დასძინა: **„ჩვენ იმიტომ კი არ გვჭირდება ქამრების მოჭერა, რომ ძალიან ცუდად ვართ, უბრალოდ, იმის გამო, რომ ძალიან კარგად გვექნეს საქმე“.** როგორც ჩანს, ეს რთული პასაჟი სააკაშვილს იმ მარტივი ფაქტის კონსტატაციისთვის დასჭირდა, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ქამარს არ შემოვიჭერთ, შარვალი, ელემენტარულად, ჩაგვძვრება, რადგან ქვეყნის ეკონომიკა ისე „გახდა“, როგორც სოციალურად დაუცველი მადაგასკარელი პენსიონერი. **თუ „ქამრის შემოჭერა“ ზოგადად, ბიუჯეტთან მიმართებაში, ისეთივე მეთოდებით განხორციელდება, როგორც ეს წელს (მაგალითად) ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ბიუჯეტთან მიმართებაში მოხდა (გაუნახევრეს), ქვეყნის მასშტაბით ისეთივე მძიმე პრობლემებს მივიღებთ, როგორც წელს, ერთ კონკრეტულ ჯგუფს, ლტოლვილებს, შეექმნათ.** თუმცა ეკონომიკაზე ნუ გავაგრძელებთ, მითუმეტეს, რომ ბევრ ადამიანს, რომელიც ქალბატონ ვერა ქობალიას მოუსმენს, ამ თემაზე საუბრის სურვილი რატომღაც ხანგრძლივი დროით უქრება (შესაძლოა, პირვანდელი გათვლა შესაბამისი საკადრო გადაწყვეტილების წინ სწორედ ასეთი რეაქციის გამოწვევას ითვალისწინებდა).

ძალიან დიდი ალბათობით, მომავალ დეკადაში დაიწყება პროცესები, რომლებიც უახლოეს მომავალში ხელს შეუწყობს შიდაპოლიტიკური კრიზისის სწრაფ ესკალაციას. შემოდგომა ძალიან ცხელი იქნება, ზამთარი კი, შესაბამისად, — ცივი და ძნელად გადასატანი; მარტივად რომ ვთქვათ, წინ დიდი ანტანანარივუ გველოდება.

**დიმიტრი მონიავა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# რექტორმა გიგი თევზაძემ სტუდენტებს სამლოცველოს მოწყობისთვის საპირფარეშოსკენ მიუთითა,

# საით გაუშვებს მათ უნივერსიტეტის სექტანტი რექტორი კვიტაშვილი?

**ახლახან თანამდებობაშეცვლილ ალექსანდრე კვიტაშვილს, რომელიც საქართველოში ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ლადო გურგენიძის პროტექციით დაბრუნდა და ჯანდაცვის მინისტრის პოსტზე მოგვევლინა, მეტად საინტერესო ბიოგრაფია აქვს. მის საზღვარგარეთულ კარიერას, რომელსაც ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი ხშირად გვახსენებს, წინ უსწრებდა საქართველოში 1995-1997 წლებში გაერთიანებული მეთოდისტური ეკლესიის დახმარების კომიტეტის (ამქორი) საქართველოს მისიის უფროსის მოადგილეობა და მისიის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლობა. როგორც ჩანს, სწორედ აღნიშნული სექტის წყალობით გაიკვალა გზა საზღვარგარეთ ბატონმა კვიტაშვილმა.**



**ახალი რექტორის ბიოგრაფიის ეს მნიშვნელოვანი დეტალი საინტერესო არ იქნებოდა, რომ არა ის ფაქტი, რომ დღეს კვიტაშვილი, რომელმაც ჯანდაცვის სისტემაშიც ვერ ისახელა თავი, უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობას ასრულებს და ჯანმრთელობის ნაცვლად ახლა მას ქართული საზოგადოების სულიერი აღზრდა აბარია. თუ რა როლი აქვს კვიტაშვილის უნივერსიტეტში მოღვაწეობას და, საერთოდ, საქართველოში სექტანტებისთვის წამყვანი რგოლების ჩაბარებას, ამაზე გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, პროტოპრესვიტერი, მამა ბასილ მკალავიშვილი გვესაუბრება:**

— მინდა, მთელი საქართველოს მოსახლეობას ვაუწყო, რომ დღეს საქართველოს მართავენ სხვადასხვა სექტის წევრები, მათი მთავარი იდეოლოგი კი არის „თავისუფლების ინსტიტუტი“. რასელისტთა სექტის გაუქმებული რეგისტრაციის აღდგენა მომასწავებელი იყო იმისა, თუ რა მზაკვრული გეგმა მზადდებოდა მართლმადიდებელთა წინააღმდეგ. სანამ კონკრეტულ, დღის წესრიგში მდგომ, ფაქტს შევაფასებ, ნება მიბოძეთ, ცოტა შორიდან დავიწყო. **„იეღოველთა“ სექტა იმ აურაცხელ სექტათა წინამორბედი იყო, რომლებიც დაუნდობლად ღრღნიან ოცსაუკუნოვან ძირძველ ფესვებს მართლმადიდებლობისას, რამეთუ მასონთა დაუძინებელი მტერი სწორედ ეს სარწმუნოებაა. მათი უპირველესი მიზანია, დააძაბუნონ, ამოძირკვონ საზეპურო, ქართველ ერში ის ჭეშმარიტი, მაცხოვნებელი რწმენა, რომელიც უფალს მიგვაახლებს.** მე ვგრძნობდი და ხმამაღლა ვაცხადებდი იმ სავალალო მდგომარეობას, რომელიც დღეს თითოეული ჩვენთაგანის თვალწინ არს. **„იქ, სადაც კანონით დადგენილი წესები ირღვევა, სხვადასხვა უბედურებებია მოსალოდნელი“ (ბრიანჩანინოვი).**

შეგახსენებთ ახლო წარსულში ერის სამარცხვინო ფაქტებს: საქართველოს პირველი პრეზიდენტის არტილერიით განდევნას, შეუწყვეტელ მკვლელობებს, დაპატიმრებებს, ტერორს, გურამ შარაძის გაუგონარ დახვრეტას ქალაქის გულში, ჩემი ნაყოფიერი შრომის, გლდანის რაიონის „ა“ მიკრორაიონში გრანდიოზული ტაძრის, რომელიც დარბევის დროს დაანგრიეს (პატიმრობის შემდეგ ჯანმრთელობაშერყეულმა ულამაზესი სამრეკლო ავაგე), ხუთი წლის საპატიმროში გატარებას, ტელეკომპანიაში პროვოცირებული მართლმადიდებლების დაპატიმრებას, მეორე მხარეს ქრისტეს მგმობელთა „ნამუშაკევს“, გამრყვნელ და ახალგაზრდათა სულისწარმწყმედელ ტელე-გადაცემებს, ვინმე დეისაძის ნაჯლაბნს, ნაბოდვარს, რომლის პრეზენტაცია დიდი პატივით აღსრულდა დიდი ილიას უნივერსიტეტში, რომლის რექტორია თევზაძე, „თავისუფლების ინსტიტუტის“ აქტივისტი, რომელმაც სტუდენტებს სამლოცველო კუთხის მოსაწყობად საპირფარეშოსკენ მიუთითა, ვინმე დევიდ ჰეთევეის სამდღიან „გამაჯანსაღებელ სეანსებს“ სამი დღით დაეთმო სპორტის სასახლე, მზადებას გეიაღლუმის ჩასატარებლად, რომელიც ღვთის შეწევნით მართმადიდებელმა მრევლმა და შედარებით საღად მოაზროვნე სასულიერო პირებმა ჩაშალეს. ყველაფერი ეს გეგმაზომიერად მიდის ჯერჯერობით მათ სასარგებლოდ, შედეგად კი საქართველო სოდომ-გომორის ცოდვაში ეფლობა. **მართლმორწმუნეთა უსაზიზღრეს მტრებს აფინანსებს ეშმაკის მსახური „თავისუფლების ინსტიტუტი“, რომელიც სააკაშვილის მიერ ნაკარნახევ ღვთის მგმობელ იდეებს ამყარებს.**

მე შემოგთავაზებთ ამონარიდს ბათუმის წმიდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის წინამძღვრის ინტერვიუდან: **„ჩვენმა ძილმა ბევრი უბედურება დაგვატეხა თავს და ახლა მაინც უნდა გამოვფხიზლდეთ! სხვათაშორის, ტერიტორიის დაკარგვაც ჩვენი ძილის ბრალია. ხალხს ძინავს, თორემ მარტო ხელისუფლებას ვერ დავაბრალებთ ამას“.** მადლობა უფალს, ასეთი თვითალიარებისათვის.

**„საეკლესიო კანონმდებლობის წინაშე ნებისმიერი სამოქალაქო კანონი კარგავს ძალას, თუ ის წინააღმდეგობაში შევიდა შესაბამის საეკლესიო კანონთან“** (დიდი სჯულის კანონის შესავლის საკომენტარო ტექსტიდან). მამა მარკოზ! შეგახსენებთ: **ძინავს ხალხს (გეთანხმებით), მაგრამ უფრო ღრმა ძილით ეკლესიას ძინავს. დრო არ ითმენს, უფლის მეორედ მობრძანდება ახლო არს, თქვენ მოგეკითხებათ ყველა ის ცოდვა, რომელიც დღეს ტრიალებს საქართველოში.**

მაშინ, როცა ცხოვრებისეული რგოლის ყველა არტერია სექტანტებმა მოიცვეს, საპატრიარქოს წარმომადგენლები გამშვენიერებული ჯვრით აჯილდოვებენ ერთიმეორეს. გეკითხებით, რისთვის, რა სიკეთე აღასრულეთ ერის სასარგებლოდ? რით აამეთ უზენაესს, ასე რომ ამკობთ ერთმანეთს? ღალატისთვის (კომენტარი ზედმეტია). **„ვითარმედ ერი ეს ბაგითა მათითა პატივს მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან, ამაოდ მსახურებენ მე“ (მკ: 28 დას.7-6.).**

ამდენი უბედურება არ გვეყოფოდა და ახლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (მეცნიერების ტაძრის) ყოფილი „სახელოვანი“ რექტორის, ხუბუას ნაცვლად მოვალეობის შესრულება დაევალა ვინმე კვიტაშვილს, რომელიც 1995-1997 წლებში იყო გაერთიანებული მეთოდისტური ეკლესიის დახმარების კომიტეტის (ამქორი) მისიის ხელმძღვანელის მოადგილე და ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოში.

ქართველო ერო, შენთვის მომინდვია განსჯა. მე უდიდეს პატივს მივაგებ ჩვენს სახელოვან, ღვაწლმოსილ ერის კორიფეებს: მუსხელიშვილს, ჯავახიშვილს, ილია ვეკუას, ევგენი ხარაძეს, რომლებიც დღეს, ალბათ, საფლავში ტრიალებენ, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე. მე ვუერთდები ყველა იმ პატივდებულ პროფესორ-მასწავლებელს, რომელთაც გული შესტკივათ ფაქტობრივ მდგომარეობაზე. **მე მოვუწოდებ სრულიად საქართველოს, ყველამ აღიმაღლოს ხმა აღნიშნულ უკეთურებათა წინააღმდეგ. მოვუწოდებ საქართველოს საპატრიარქოს, გეყოთ ამდენი ლოიალობა, თქვენით ბოლოს და ბოლოს ღვთიური, კატეგორიული, პრინციპული სიტყვა, ერი ელოდება თქვენგან მას. ეკლესიის სიტყვა აღმატებულია, გეყოთ უკიდეგანო დუმილი. „მორჩილება ჯერ-არს ღმრთისა, უფროის, ვიდრე კაცთა“ (საქმე მოც. 5-29).**

სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ფლაგმანი უმაღლეს სასწავლებელთა, ტაძარი, სადაც აღიზარდნენ სახელოვანი მამულიშვილები; მის კედლებში ირწეოდა მეცნიერების აკვანი, მის კედლებში იწრთობოდა ქართველი ჭეშმარიტ მამულიშვილად, რომლებიც ერის ღირსებას, სულს განსხვავებულ ამპლუაში წარმოადგენდნენ; განსხვავებული ფორმით, განსხვავებული დოზით, სულიერად ამაღლებულნი შენობასაც კი მოკრძალებით შეავლებდნენ თვალს.

**უნივერსიტეტი ქვაკუთხედია სიწმინდისა, ჭეშმარიტებისა, რწმენისა (თუმცაღა დღეს მის კედლებში აღზრდილთ ჩარეცხილებად მოაიზრებენ მავანნი), უნივერსიტეტის არსებობიდან ხუბუამდე მესაჭენი იყვნენ მეცნიერები, რომელთა სახელის ხსენებაზე უდიდესი მოკრძალების გრძნობა გვეუფლება თითოეულ ჩვენგანს. დღეს კი სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, უნივერსიტეტის რექტორად გვევლინება სექტანტი, რომელსაც უნდა ვანდოთ მომავალი თაობის ბედი. ეს უკვე ზღვარს გადასული მკრეხელობაა!**

ნუთუ ასე ღრმად გვძინავს და ვერ ვაცნობიერებთ, საით მივექანებით? თუმცაღა უფალმა მაქსიმალურად უნდა შეგვიჭირვოს, რათა თითოეულ ჩვენგანში წარმოჩინდეს, ვისნი ვართ, უფლისა თუ ბარაბასი. მე ვურჩევდი კვიტაშვილს, კარგად დაფიქრდეს, ვისი სავარძელი უნდა დაიკავოს, გაათვითცნობიეროს, შეძლებს კი ამ მძიმე ჯვრის ღირსეულად ტარებას. და თუ ეს არ აღსრულდა, ჩვენ უნდა ჩავთვალოთ, რომ აქედან იწყება ახალგაზრდების სულიერი გადაგვარება.

**— თქვენ მიიჩნევთ, რომ ეკლესიამ თავისი სიტყვა უნდა თქვას ამ შემთხვევაში?**

— დიახ, ერის საჭირბოროტო საკითხებში წამყვანი როლი ეკლესიას ეგების. დაგმეთ პრეზიდენტისა და „თავისუფლების ინსტიტუტის“ ღვთისმგმობელი ერთობლივი ქმედებები. შეგახსენებთ: **„ამინ გეტყვით თქვენ, უმოლხინეს იყოს ქუეყანა იგი სოდომისა და გომორისა დღეს მას სასჯელოსა, ვიდრე ქალაქი იგი“ (მთ. 10-15).**

განუგეშებთ, ჩემო მრავალტანჯულო ერო. ქართველი ყოველთვის უმკლავდებოდა ყოველგვარ განსაცდელს. მტერსაც იგერიებდა და ხნულსაც ავლებდა. ანტიქრისტე საქართველოში ტახტს ვერ დაიდგამს (თავს ნუ ინუგეშებთ ვაიქართველები). რჩეული მიწა, ჩვენი წალკოტი, თვით ღმერთმა გვიბოძა. ჩვენი ქვეყანა ყოვლად წმიდა დედის წილხვედრია და მისი მადლიანი კალთა გვფარავს, რამეთუ საყოველთაო განკითხვა ჩვენს მიწა-წყალზე აღესრულება და აქ იქნება სრულიად მსოფლიოს მართლმადიდებელთა ნავსაყუდელი.

**„დაივიწყეთ ფართო გზა, უფალი თავისი გულმოდგინებით ვიწრო გზით მიგიძღვებით ზეციური სასუფევლისკენ, სხვა გზა კი მარადიულ წარსაწყმედელში მიგიყვანთ.“**

ღმერთმა დაგლოცოთ!

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სექტანტი რექტორი ჰყავს

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პრემიერ-მინისტრ სააკაშვილს თავშიჩარტყმული პრეზიდენტი დასჭირდება

**ბოლო დროს ხშირად საუბრობენ მიხეილ სააკაშვილის შესაძლო გაპრემიერებაზე 2013 წლის შემდეგ. ეს ეჭვი უფრო გამძაფრდა მას შემდეგ, რაც ახალი კონსტიტუციის დეტალები გახდა ცნობილი. შეიძლება ითქვას, რომ ახალი კონსტიტუცია მიხეილ სააკაშვილმა საკუთარ თავზე მიირგო. ვიხილავთ თუ არა სააკაშვილს პრემიერ-მინისტრად, დავით ბაქრაძეს კი — პრეზიდენტის რანგში და რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოში აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის, კონდოლიზა რაისის მორიგი ვიზიტი, ამ თემებზე პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილს ვესაუბრეთ.**



## ჰამლეტ ჭიპაშვილი:

## ადამიანი, რომელიც ისე ძლიერაა ხელისუფლებაზე შეყვარებული, როგორც სააკაშვილი, ასე ადვილად დათმობს ძალაუფლებას?

**— ბატონო ჰამლეტ, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის, კონდოლიზა რაისის ვიზიტი?**

— კონდოლიზა რაისმა კონფერენციის ფარგლებში რამდენიმე ქვეყანა მოინახულა, მათ შორის საქართველო. ამბობდნენ, რომ მიხეილ გორბაჩოვიც უნდა ჩამოსულიყო საქართველოში, მაგრამ, როგორც ჩანს, გორბაჩოვმა უარი განაცხადა. **რაისისა და იმ ადამიანების ჩამოსვლა, რომლებიც მასთან ერთად იმყოფებოდნენ, ქვეყნისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ესაა ამერიკელთა ჯგუფი, რომელიც დაახლოებულია დიდი რანგის პოლიტიკოსებთან, მაგრამ, ჩემი აზრით, მათ რაიმე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ ამერიკის დღევანდელ ადმინისტრაციაზე; მითუმეტეს კონდოლიზა რაისს, რომელიც ძველი ადმინისტრაციის ერთ-ერთ ქორადაა მიჩნეული.** არა მგონია, დღევანდელი ხელისუფლება რაისის რაიმე რჩევას სიხარულით შეხვდეს. ეს იქნება ის შემთხვევა, რომლის დროსაც რაისის გარემოცვა კიდევ გამოხატავს საქართველოს მიმართ სიმპათიასა და თანადგომას. ამას ხშირად აკეთებენ როგორც რესპუბლიკელები, ისე დემოკრატები, განსაკუთრებით ხშირად კი საქართველოს მიერ დაქირავებული მაკეინი, რომელიც ასეთ განცხადებებს მარტო სიყვარულით არ გააკეთებს, მას აშკარად აქვს რაღაც სხვა დაინტერესებაც. გავიხსენოთ თუნდაც შემთხვევა, როდესაც კაცი თავქუდმოგლეჯილი და პირზე ქაფმომდგარი ამტკიცებდა, რომ საქართველო ისეთი ქვეყანაა, სააკაშვილის ხელში რუსებმაც კი ქართველებს უნდა მიბაძონო. თურმე იმისთვის, რომ რუსეთმა განვითარებული სახელმწიფო შექმნას, ისეთივე უნდა გახდეს, როგორც „მიშლენდი“, ანუ მიშას სახელმწიფო.

**— ალბათ, განსაკუთრებით „მისაბაძი“ მას შემდეგ გახდა, რაც უცხოური ინვესტიციებიც კი აღარ შემოდის...**

— მაკეინს აბსოლუტურად არ აინტერესებს, შემოვა თუ არა საქართველოში ინვესტიციები. მას ფეხებზე ჰკიდია საქართველო და ქართველები. უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს პატივცემული მიხეილის ბედი, რადგან მიხეილი და მაკეინი სხვა მხრივაც ჩახუტებული არიან ერთმანეთთან.

**— სააკაშვილმა ახალი კონსტიტუცია თავის თავზე მოირგო და, ალბათ, 2013 წელს პრემიერ-მინისტრადაც მოგვევლინება.**

— საქართველოსთვის ამ ეტაპზე არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ახალი კონსტიტუციის მიღებას. ჯერ ერთი, ძველი კონსტიტუცია 1995 წელსაა მიღებული და კონსტიტუციები ასე სწრაფად არ იცვლება. მეორეც, რაც მთავარია, კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, რისგან შედგება, რას წარმოადგენს საქართველო. არის ის ფედერალური მოწყობის, უნიტარული მოწყობის და ასე შემდეგ. ძველ კონსტიტუციაში ეს არ ჩაიწერა, რადგან აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ფაქტობრივად დაკარგული იყო. ამდენად, ჩაწერეს, რომ ეს გამოტოვებული ადგილები შეივსება მაშინ, როცა საქართველოს იურისდიქცია აღსდგება ამ ტერიტორიებზეო. მიმაჩნია, რომ ანალოგიურის ან, თუნდაც სხვა სიტყვებით, იმავეს ჩაწერა დიდი სისულელეა.

**ახალ კონსტიტუციას იღებ 2010 წელს, ამდენი დრო გავიდა და სადამდე უნდა ველოდოთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას? როგორც ვხედავთ, სააკაშვილს ეს პრობლემა საერთოდ არ აღელვებს, ის დაინტერესებულია სულ სხვა რამით, კერძოდ, ახალ კონსტიტუციაში პრეზიდენტის როლის დაკნინებითა და პრემიერის უფლებების გაზრდით. უნდა ვივარაუდოთ, რომ 2013 წელს ის აპირებს, პრემიერის როლში მოგვევლინოს.**

ამის თაობაზე ის უცხოურ ჟურნალ-გაზეთებთან ინტერვიუში ამახვილებდა ყურადღებას. ასე რომ, **2013 წელსაც, ისევე როგორც დღეს, ყველაზე ძლევამოსილი პარტია იქნება „ნაციონალური მოძრაობა“. ეს პარტია ყოველთვის გაიმარჯვებს არჩევნებში, ვინაიდან ცუდი საარჩევნო კოდექსი და ნაციონალთა მიერ უკვე დახვეწილი მაქინაციები მათ ხელს შეუწყობს გამარჯვების ძალიან ადვილად მიღწევაში,** ეს მოსახლეობის 20-30 ლარით მოსყიდვით მოხდება, დაშინებით თუ სხვა გზებით, მათ პარლამენტში უმრავლესობით მოსვლა გარანტირებული აქვთ. მათი ლიდერი კი იქნება პრემიერ-მინისტრი მიხეილ სააკაშვილი და, როდესაც პარლამენტში ხმების ერთი მესამედი გარანტირებული გაქვს, ნებისმიერი კანონის მისაღებად სავსებით საკმარისია, ძალაუფლებაც შენს ხელთაა. თუ პრეზიდენტობას აქვს გარკვეული ვადა, ეს არ ეხება პრემიერის თანამდებობას — პრემიერს შეუძლია, პოსტი მთელი სიცოცხლე შეინარჩუნოს.

**— არსებობს თუ არა ამ პროცესების ხელისშემშლელი ფაქტორი?**

— ამას ხელი ერთადერთმა რამემ შეიძლება შეუშალოს. ესაა ოპოზიციური მოძრაობა და გამოფხიზლებული ქართული საზოგადოება. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არც ერთი აღარაა. **ამ ხელისუფლებამ მოქრთამვით, დაშინებით შეძლო არა მარტო ხალხის გადაბირება, არამედ ოპოზიციის მოსყიდვაც, რაც ძალიან სახიფათოა. ამდენად, მე ვერ ვხედავ გამოსავალს, როგორ შეიძლება ამ კაცის ხელისუფლებისგან ჩამოშორება. თანაც ეს კაცი სრულიად ახალგაზრდაა. რა ასაკშიც ის დაასრულებს თავის საპრეზიდენტო მოღვაწეობას, თითქმის მთელ მსოფლიოში პოლიტიკოსები იმ ასაკში იწყებენ აქტიური პოლიტიკური კარიერის შექმნას.** ადამიანი, რომელიც ისე ძალიანაა ხელისუფლებაზე შეყვარებული, როგორც სააკაშვილი (რომელსაც თავი უკვე იმპერატორად წარმოუდგენია), ასე ადვილად დათმობს ძალაუფლებას?

**— ვინ შეიძლება მომავალ პრეზიდენტად ვივარაუდოთ?**

— პრეზიდენტის როლში, ალბათ, უნდა ვიხილოთ ისეთი პიროვნება, როგორიც არის არც წყალი და არც ღვინო — დავით ბაქარაძე. ეს არის აბსოლუტურად დეგრადირებული პიროვნება, რომელსაც თავისუფლად შეუძლია მოერგოს ყველა ბოთლს. ბაქრაძეზე უკეთესის მოძებნა ძნელია. დღევანდელი გადასახედიდან სააკაშვილისთვის წარმოუდგენელი და მიუღებელი იქნება ის, რომ პრეზიდენტად იყოს ისეთი გავლენიანი პიროვნება, რომელსაც პირადი მე, ამბიცია აქვს. მას სჭირდება ისეთი ადამიანი, რომელსაც არანაირი ამბიცია არ გააჩნია, აბსოლუტურად არაფერს წარმოადგენს და, უბრალოდ, დაიკავებს თანამდებობას. აბა, შეხედეთ მისი მინისტრებიდან, გარდა ერთისა (ვგულისხმობ ვანო მერაბიშვილს, რომელსაც პრეზიდენტი ენდობა, მაგრამ ის ჩუმადაა და თავის საქმეს აკეთებს), რომელიმე რამეს წარმოადგენს? მერაბიშვილი გინახავთ სადმე ტელევიზიებში ანდა პრესაში ყელყელაობდეს, როგორც დანარჩენი მინისტრები? ვითომ თავშიჩარტყმულივით ჩუმადაა, მაგარამ ის ყველაზე კარგად ასრულებს თავის საქმეს. დანარჩენები კი ეკრანებზე ჩანან, მაგრამ სრულიად უბადრუკ შთაბეჭდილებას ტოვებენ. განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის მინისტრი, რომ აღარაფერი ვთქვა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ახალ მინისტრზე, ქალბატონ ვერა ქობალიაზე. ეს ადამიანები უსუსური, ყოვლად გაუნათლებელი პიროვნებები არიან. **სააკაშვილს არ სურს თავის გარშემო გავლენიანი, კომპეტენური და პროფესიონალი ადამიანები ჰყავდეს, რადგან პროფესიონალი კითხვას შეუბრუნებს.** რამდენად პროფესიონალი იყო, ვერ გეტყვით, ისიც თინეიჯერული ასაკის გახლდათ, გეგა მგალობლიშვილს ვგულისხმობ, მაგრამ სიტყვა რომ შეუბრუნა, როგორც ამბობდნენ, მობილური ტელეფონი მიიღო სახეში. **სააკაშვილი არაა ის პიროვნება, რომელიც აიტანს შენიშვას ან თუნდაც მაგარ პრემიერ-მინისტრს, მაგარ პრეზიდენტს. მას სჭირდება თავშიჩარტყმული, აბსოლუტურად უსახო და უგვანო პრეზიდენტი.**

**— ქვეყანა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. როგორ უნდა მივიდეს 2013 წლამდე?**

— მე ვერ გეტყვით, როგორ უნდა მივიდეთ 2013 წლამდე, მაგრამ მისვლით, ალბათ, მივალთ, მივფორთხდებით. მართალია, ქვეყნის ეკონომიკა დანგრეულია და მძიმე სოციალური მდგომარეობაა, მაგრამ ასე თუ ისე ქვეყანა სულს ღაფავს და ჯერჯერობით არსებობს. **ჯერ კიდევ არის ამერიკისა და ევროკავშირის დახმარება ოთხ მილიარდნახევარი ევრო. ესეც რომ დამთავრდება, მაშინ მართლა ძალიან გაგვიჭირდება. ამას უნდა ველოდოთ დაახლოებით ერთ წელიწადში. ალბათ, ამის შემდეგ გაყიდიან ყველაფერს, რაც დარჩათ გასაყიდი.** ახლა ჟორდანიას ინსტიტუტი გამოიტანეს გასაყიდად. ამას რომ კაცი გააკეთებს, იგი ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე საერთოდ არ ფიქრობს! კაციშვილი ხმის ამომღები არაა და ვინ შეუშლის ხელს? საზოგადოება უკვე მიეჩვია ასეთ აღვირახსნილობას, საქართველოს მდგომარეობა რომ უკან-უკან მიდის, ამას საზოგადოება რატომღაც იტანს.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

## გაზიარებული



**მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:**

ყველაზე უფრო კარგი, ადვილი ფრენა არის მაშინ, როცა მფრინავი დაუჭერს გემოს, როცა დამოუკიდებლად ხდება მართვა თვითმფრინავის, როდესაც ბუნებრივი მდგომარეობა აქვს თვითმფრინავს, შეგიძლია, გაუშვა ხელი და სწორ მიმართულებას აიღებს. თავისით მიგიყვანს ადგილზე და იქ პატარა კორექტირებით თვითონ დაგსვამს მიწაზე. ზუსტად ასეა სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვა.

*„ასავალ-დასავალი“*



**ედუარდ შევარდნაძე, ექსპრეზიდენტი:**

1972 წლიდან პირველი პირი ვარ, მანამდე 7 წელი მინისტრი ვიყავი, სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე ვმუშაობდი. ხომ არ დავბრუნდე?

*„ასავალ-დასავალი“*



**შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:**

სააკაშვილი თავის შვილს ამერიკულ აკადემიაში ასწავლის და 20-ათასდოლარიან ქირას უხდის, ჩვენს ბავშვებს კი კულინარებად და ოფიციანტებად ამზადებს!

*„ასავალ-დასავალი“*



**ლევან ბერძენიშვილი, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

მიშა მიხვდა, რომ ამერიკის მხარდაჭერის იმედი აღარ უნდა ჰქონდეს, ამიტომაც დაიწყო ხავსის ძებნა. ამჯერად ამ ხავსს ჰქვია კონფედერაცია. დავუშვათ, ჩვენ სულელები ვართ და სააკაშვილს შევათრევინეთ ქვეყანა კონფედერაციაში, განა აზერბაიჯანელები და თურქებიც სულელები არიან, რომ თავიანთი სუვერენიტეტის ნაწილი დათმონ?

*„ყველა სიახლე“*



**ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი:**

ალიევს მთელი თავისი ინტელექტისა და დიპლომატიის მობილიზება დასჭირდა, რომ შოკური გამომეტყველება როგორმე დაეფარა. ასე არ იქცევა ნორმალური ადამიანი, მაგრამ აღარავინ აქცევს ყურადღებას სააკაშვილის გამოხდომებს. რა კონფედერაციაზე ლაპარაკობს, ამას პრეზიდენტს ვინ ჰკითხავს? ასეთი საკითხები საერთო-სახალხო რეფერენდუმით უნდა გადაწყდეს.

*„ყველა სიახლე“*



**ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი:**

მაშინ, როდესაც აქ ჩვენი სისხლისა და ხორცის კვნესა-გოდება ცას სწვდებოდა, ოპოზიციის ლიდერთა უმრავლესობა აჭარის პლაჟებზე ძვლებს იმაგრებდა და ტყავს იმუქებდა!

*„ასავალ-დასავალი“*



**შალვა ხაჭაპურიძე, ადვოკატი:**

როდესაც პატიმრები ითხოვენ სახარებას, მათ ეუბნებიან, სახარებას არ მოგცემთ, მაგრამ მოგცემთ „საიდუმლო სირობას“ და წაიკითხეთო! ერთ-ერთმა პატიმარმა ამაზე გამოთქვა პროტესტი, რის გამოც იგი ყველა პატიმრის დასანახად სცემეს და ახლაც კარცერშია ჩაგდებული.

*„ასავალ-დასავალი“*



**თენგიზ კიტოვანი, ყოფილი თავდაცვის მინისტრი:**

მე გადამცენ აფხაზურ მხარეს? ვინ უნდა გადამცეს აფხაზეთს? აფხაზებმა რაც დააშავეს, იმაზე აგონ პასუხი. ჯერ ერთი, რომ ეგენი აფხაზები არ არიან, თვითონ უნდათ აფხაზობა, თორემ ეთნიკური ქართველები არიან.

*„ყველა სიახლე“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# პური კიდევ გაძვირდება

**პურზე და პირველადი მოხმარების პროდუქტებზე ფასების მატებას ეკონომიკის ექსპერტები ჯერ კიდევ ივნისში პროგნოზირებდნენ, თუმცა ამისთვის ყურადღება მაშინ არავის მიუქცევია. დღეს კი, როდესაც პურის ფასმა 5-დან 15 თეთრამდე მოიმატა, ყველა ერთად გამოფხიზლდა. გაზრდილმა ფასებმა და მდგომარეობამ სერიოზულად შეაშფოთა მოსახლეობა. პურზე ფასის მატებას ხელისუფლება რატომღაც რუსეთის მხრიდან ხორბალზე ემბარგოს დაწესებას აბრალებს. როგორც ცნობილია, რუსეთმა ეს გადაწყვეტილება თავის დაზღვევის გამო ხანძრის შემდეგ მიიღო. მაგრამ არავინ უკვირდება იმას, რომ ხანძარი რუსეთში ივლისის ბოლოს გაჩნდა და ექსპერტებს ამის თაობაზე ინფორმაცია ვერანაირად ვერ ექნებოდათ.**



**ამბობენ, რომ პურზე ფასების ზრდა საბოლოო არაა და ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, საქართველოს მთავრობა რომელი ქვეყნიდან, რა ფასში შემოიტანს ხორბალს. აქამდე საქართველოში იმპორტირებული ხორბლის 95 პროცენტი რუსეთის ფედერაციაზე მოდიოდა. მოსკოვის გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობას აიძულებს, ხორბალი უკრაინაში, ყაზახეთში, კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიძინოს.**

ხორბლის შესაძლო დეფიციტზე პურის ქართულ ბაზარს მყისიერი რეაქცია ჰქონდა. აგვისტომდე ერთი ტომარა პურის ფქვილი საშუალოდ 29-30 ლარი ღირდა. მას შემდეგ, რაც რუსეთის წისქვილ-კომბინატებმა ფქვილის ფასი გაზარდეს, თბილისში, რუსთავში, თელავსა და ფოთში მდებარე წისქვილ-კომბინატებში 50 კილოგრამი ფქვილი 40-45 ლარი გახდა. საინტერესოა, თუკი ამჟამად საქართველო ძველ ფასში შეძენილ ხორბლის იმპორტულ მარაგს იყენებს, პურის ფასის გაზრდა რას უკავშირდება? **ლეიბორისტული პარტია პურის ფასის შეგნებულ გაზრდაში „ნაციონალურ მოძრაობას" ადანაშაულებს და პურის ბიზნესში ერთ-ერთ მონოპოლისტად პარლამენტარ არჩილ გეგენავას ასახელებს.**

**„ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სოციალური მდგომარეობის პირობებში კვლავ გრძელდება პურზე ფასის ზრდა. პური გაღარიბებული მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან, უმთავრეს პროდუქტს წარმოადგენს. პურზე ფასის ზრდა ამ სფეროში სახელისუფლო, ბიზნეს-მონოპოლისტი ბანდიტების მოქმედებითაა გამოწვეული. კერძოდ, ერთ-ერთი მსხვილი პურის მწარმოებელი კომპანია „კოლხი" პარლამენტის ნაციონალ წევრს, მთაწმინდის მაჟორიტარ დეპუტატს, სააკაშვილის კარის ბიზნესმენ არჩილ გეგენავას ეკუთვნის, რომლის კომპანიაც ბაზარზე პურის გაძვირებას განსაზღვრავს,"** — აცხადებენ ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლები.

## საქართველოში წარმოებული პურის ხარისხის გამო უხეშად ირღვევა მომხმარებელთა უფლებები

ცალკე თემაა პურის ხარისხი. **საქართველოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციამ მიმდინარე წელს რამდენჯერმე განაცხადა, რომ საქართველოში წარმოებული პურის ხარისხის გამო უხეშად ირღვევა მომხმარებელთა უფლებები.** ორგანიზაციის კვლევამ აჩვენა, რომ **საეჭვოა პურის არა მარტო ხარისხი, არამედ წონაც, რისი სტანდარტიც ქვეყანაში არ არსებობს.** საქართველოში არ არსებობს, ასევე, ამ სფეროში აკრედიტირებული სპეციალური ლაბორატორიაც, შესაბამისად, შეუძლებელია პურის ხარისხის დადგენა. ეს კი ხელს უწყობს პურის მწარმოებელს, რომ მომხმარებელი შეცდომაში შეიყვანოს.

**საქართველოს მოსახლეობა წელიწადში 850 ათას ტონა ხორბალს მოიხმარს. ქართული ხორბლის მოსავლის პროგნოზი წელს მხოლოდ 50 ათასი ტონის ფარგლებშია. საიდან და რა ფასად განხორციელდება 800 ათასი ტონა ხორბლის იმპორტი, ჯერ ბოლომდე გარკვეული არაა. შესაბამისად, უცნობია, საბოლოოდ რამდენჯერ გაძვირდება ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროდუქტი, პური, პურისმჭამელებით დასახლებულ საქართველოში.**

სოფლის მეურნეობის სამინისტრო იმედოვნებს, რომ ნოემბრამდე პურის ფასის დღევანდელ ნიშნულზე შენარჩუნება მოხერხდება, ექსპერტები კი ერთი ცალი პურის ფასის ლარამდე გაზრდას ვარაუდობენ.

ალბათ, ყველას გახსოვთ, ცოტა ხნის წინათ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დილმის ერთ-ერთ სუპერმარკეტში პირველადი მოხმარების პროდუქტების ფასებით რომ დაინტერესდა. პრეზიდენტმა პურის, შაქრის, წიწიბურისა და ზეთის ფასები იკითხა და დაასკვნა, რომ მხოლოდ პური გაძვირებულაო. რატომ დაუმალა გამყიდველმა პრეზიდენტს წიწიბურაზე, შაქარზე, ზეთსა და სხვა საკვებ პროდუქტებზე ფასების მატება, ეგ კიდევ საკითხავია. მთავარია, რომ პრეზიდენტმა საქვეყნოდ განაცხადა, მარტო პური გაძვირდაო და, ალბათ, ისიც იგულისხმა, ეს კი უნდა აიტანოთო.

**ნოდარ კაპანაძე, ეკონომიკის ექსპერტი:**

— შეუძლებელი არაფერია. არც ის გამიკვირდება, პურის ფასი მალე ლარი რომ გახდეს. პურის ფასის ასეთი ზრდა სხვადასხვა ფაქტორითაა გამოწვეული. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ წელს ხორბლის ცუდი მოსავალი იყო არამარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ხორბლის დეფიციტი კი, რა თქმა უნდა, იწვევს ფასის მატებას პურზე. ისიცაა, რომ, თუ პურს ყიდი 70 თეთრად და შეგიძლია გაყიდო 80 თეთრად, რატომაც არ გაყიდი. არ მინახავს ისეთი მეწარმე, რომელსაც ერთდროულად 300%-იანი მოგების ნახვა შეუძლია და ამ შანსს ხელიდან გაუშვებს. **საქართველოში საკვები ძირითადად პურ-პროდუქტებისაგან შედგება. ამის გამო პურზე ფასის მატება სერიოზულ პრობლემას უქმნის მოსახლეობას. პურზე ფასის მცირეოდენი მატებაც კი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და მძიმეა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის, ვიდრე, მაგალითად, ხიზილალის 10 000 %-ით გაძვირება. მოსახლეობას სხვა გამოსავალი მაინც არ აქვს, ყველა შემთხვევაში, იძულებულია, პური იყიდოს. მოსახლეობის მყიდველუნარიანობა თუ არ გაიზარდა, ამას ძალიან ცუდი შედეგი მოჰყვება.** უფრო მეტად გაიზრდება პოლარიზაცია შედარებით შეძლებულ ფენასა და ნაკლებადშეძლებულ ფენას შორის და უფრო მეტად დამძიმდება სოციალური ფონი. ხელისუფლებამ უნდა შეუმსუბუქოს მოსახლეობას მდგომარეობა, ერთჯერადი დახმარებები გაუწიოს მას, მაგრამ იგი მოკლევადიანი და ნაკლებშედეგიანი იქნება. ჩემი აზრით, **უფრო ტაქტიკური და ეფექტური იქნება, თუ ხელისუფლება დააწესებს ფასების ზედა ზღვარს. მაგრამ ამ მდგომარეობაში ასეთი რამის დაწესება შეუძლებელია.** არსებობს სუფსიდირების გზაც. სახელმწიფოს შეუძლია, შეიძინოს ხორბალი და იაფად მიჰყიდოს მეწარმეებს, მაგრამ ეს ქვეყნის ეკონომიკაში უხეში ჩარევაა და ცუდად აისახება ისედაც კრიზისში მყოფ ქართულ ეკონომიკაზე. ასებობს კიდევ გრძელვადიანი, მომქანცველი, მაგრამ შედეგიანი გზა. ესაა სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მარცვლეული კულტურის განვითარება. **საქართველოს აქვს იმის პოტენციალი, რომ დღევანდელზე გაცილებით მეტი ხორბალი მოიყვანოს. ეს დაარეგულირებს სიტუაციას და დაიცავს ქვეყანას კრიზისული ვითარებისგან.**

**გია ხუხაშვილი, ეკონომიკის ექსპერტი:**

— გამომდინარე იქიდან, რომ სამომხმარებლო ბაზარზე სერიოზული დაძაბულობაა, პურის ფასის ზრდას არ გამოვრიცხავ. საზოგადოებაში გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, თითქოს მეწარმეები ხელოვნურად აძვირებენ პურს, სიმართლეს მოკლებული არაა, თუმცა არ მგონია, იმხელა მარაგი ჰქონდეთ, რომ ძველ ფასში შეძენილი ფქვილი დღემდე მოჰყოლოდათ. ბუნებრივია, ამ სიტუაციით ვიღაცამ ისარგებლა, მაგრამ არ მგონია, ამას სპეკულაციური სახე ჰქონდეს. **პრობლემა პურის ფასი კი არაა, არამედ ის, რომ ადამიანებს არ აქვთ საკმარისი თანხა საკვების შესაძენად, გადაიხადონ ის, რაც ღირს. სახელმწიფოს არ ჰყავს კარგად უზრუნველყოფილი, დასაქმებული მოსახლეობა, არ ახდენს სოციალურად დაუცველი ადამიანების შემოსავლების კომპენსირებას ინფლაციის პარალელურად, რასაც ყველა პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლება აკეთებს.** შესაბამისად, ვიღებთ ასეთ კატასტროფულ სოციალურ სურათს. ხელისუფლების კონსტიტუციური მოვალეობაა, პირველ ყოვლისა, უზრუნველყოს ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება. ამისთვის არსებობს ხელისუფლება. **ფასების რეგულირებაზე კი არ უნდა ვსაუბრობდეთ ახლა, არამედ იმაზე, თუ რატომ არ აქვს ადამიანს შესაფერისი და შემოსავლიანი სამსახური, რომლის საშუალებითაც, პური გაძვირდებოდა თუ გაიაფდებოდა, მისი ყიდვის შესაძლებლობა ყოველთვის ექნებოდა.**

**თეო ტაბატაძე**

## მოკლედ




### „ბადაგონი" საუკეთესო ღვინოების ასეულში მოხვდა

1 სექტემბერს ლონდონის სამეფო ოპერის **თეატრში მსოფლიოში ღვინის ყველაზე პრესტიჟულ კონკურს „დეკანტერის" გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.** „ბადაგონის" ღვინოს „ალავერდის ტრადიციები" წლევანდელ „დეკანტერზე" ჟიურის უმაღლესი ჯილდო, გრან-პრი „რეგიონული ტროფი", ერგო და ევროპის საუკეთესო წითელი ღვინოების ასეულში შევიდა.

„ალავერდის ტრადიციები" ალავერდის მონასტრის ისტორიულ მარანში დაიწურა და ჩამოისხა უშუალოდ დოქტორ დონატო ლანატის — „ბადაგონის" მთავარი მეღვინის მიერ. კონკურსის ორგანიზატორების ინფორმაციით, გრან-პრი კონკურსში მონაწილე 11 ათასზე მეტი ღვინიდან მხოლოდ ასმა მიიღო.



### უვარგისი ოპოზიციის საშველი

**პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების" ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს გენიალური იდეა შესთავაზა: ხელი მოაწერეთ დოკუმენტს, რომ, სააკაშვილის წასვლის შემთხვევაში, 2-3 წლით ხელისუფლებაში მისვლაზე უარს იტყვითო.** „ხალხმა იცის, რომ ეს მთავრობა უვარგისია, მაგრამ ასეთივედ თვლის ოპოზიციასაც", — აცხადებს შაშიაშვილი და მტკიცედ სჯერა, რომ, თუ ოპოზიცია პოლიტიკურ ამბიციებს მოთოკავს და სახელისუფლო სავარძლებისთვის ბრძოლას სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლით ჩაანაცვლებს, ხალხი მის მიმართ ნდობით განიმსჭვალება. მაგრამ ოპოზიციასაც ჰკითხოს, უნდა ხალხის ნდობა ხელისუფლებაში ყოფნის გარეშე ან მის სანაცვლოდ?



### ბურჯანაძე მაკეინის წინააღმდეგ

**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ლიდერი ნინო ბურჯანაძე აშშ-ის სენატორ ჯონ მაკეინს ღია წერილს უგზავნის.** პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს სურს, მაკეინის მიერ „ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებულ სტატიას გამოეხმაუროს.

როგორც ცნობილია, სტატიაში ავტორი წერდა, რომ საქართველოში დემოკრატია და კანონის უზენაესობა ყვავის, რუსეთში კი მშვიდობიან დემონსტრაციებს არბევენ და ადამიანის უფლებები უხეშად ირღვევა. რა იცოდა მაკეინმა, რა შარში ყოფდა თავს. ახლა მოუწევს უპასუხოს ბურჯანაძეს, „სად დაინახა საქართველოში კანონის დიქტატურა; აპატიებდა თუ არა ბარაკ ობამას ქვეყნის ტერიტორიის 20%-ის დაკარგვას და ა.შ.".



### 25 მილიონი მინისტრისთვის

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი კობა სუბელიანი ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც 25 მილიონს ეძებს.**

რა ქნას, მინისტრის სავარძელი აქვს შესანარჩუნებელი და დაშვებული შეცდომები — გამოსასწორებელი. პირველი მოტივი რეალურია, მეორე — უცხოური ორგანიზაციებისთვის შელამაზებული. ამ მოთხოვნით მმართველ გუნდს უკვე მიმართა, მაგრამ „დასაბუთებული" უარი მიიღო – ხაზინა ცარიელია! „შეცდომები" კი ნამდვილად აქვს 25 მილიონის — წეროვანში რეკორდულად მოკლე დროში გაშენებული „ქალაქი", ასევე, რეკორდული ტემპებით იშლება.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ლალი გელაშვილი: თუ 15 სექტემბრამდე არ მოგვხედავენ, პროტესტის ნიშნად მერიასთან დავიწვავთ თავს

**თბილისის მერის გადაწყვეტილებით, დედაქალაქში გარევაჭრობა აიკრძალა. მიუხედავად იმისა, რომ გარემოვაჭრეებს მერია დახურულ ბაზრებში გადაყვანას სთავაზობს და წლის ბოლომდე გადასახადზე შეღავათების დაწესებასაც ჰპირდება, ისინი ბაზრებში შესვლაზე მაინც უარს აცხადებენ. მათი თქმით, გადასახადი იმდენად მაღალია, რომ ახალი წლიდან მის გადახდას ვერ შეძლებენ.**



გარემოვაჭრეები საკუთარი ოჯახების გადარჩენისთვის იბრძვიან; სოციალურად დაუცველი ამ მოქალაქეებისთვის ერთადერთი შემოსავლის წყარო მათი ჯოჯოხეთური შრომაა, ხელისუფლება კი ცდილობს, მათ ეს ერთადერთი საარსებო წყაროც წაართვას საკუთარი კორუფციული ინტერესების დასაკმაყოფილებლად. გარევაჭრობის აკრძალვის მიზანი სწორედ ისაა, რომ ეს ბიზნესი ათიათასობით ადამიანის ნაცვლად ნაცმოძრაობის ერთგული რამდენიმე საქმოსნის ხელში აღმოჩნდეს.

არავინ ამბობს, რომ გარევაჭრობა მოწესრიგებულია. სანიტარული და ვიზუალური თვალსაზრისით, საჭიროა მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ინტერესების დაცვა. მაგრამ ეს ისე უნდა გაკეთდეს, რომ გარემოვაჭრეების სასიცოცხლო ინტერესები არ შეილახოს და მათ მოწესრიგებულ პირობებში ვაჭრობის უფლება ჰქონდეთ.

**გარემოვაჭრეების ბრძოლა უფრო ორგანიზებული და წარმატებული რომ გამხდარიყო, გადაწყვიტეს საკუთარი პროფესიული კავშირი „გარემოვაჭრეთა პროფესიული ლიგა“ ჩამოეყალიბებინათ. ეს ჯგუფი იმ ადამიანებისგან შედგება, რომლებიც ამ სფეროში საქმიანობენ. თუ გარემოვაჭრეები კვლავაც აქტიურად იბრძოლებენ თავიანთი ინტერესების დასაცავად, მაშინ ხელისუფლება ვერ გაბედავს მათ დაჩაგვრას.**

ამ ეტაპზე გარემოვაჭრეები თბილისის საკრებულოსგან გარევაჭრობის რეგულირების შესახებ სამართლებრივი აქტის მიღებას მოითხოვენ, რომელიც მათ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან ერთად ხუთ პუნქტად ჩამოაყალიბეს. პროექტის ინიციატორები ამბობენ, რომ ამ აქტმა უნდა შეცვალოს ძველი, 2006 წლის თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება.

თბილისის საკრებულოს 2006 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით, **„დედაქალაქში გარევაჭრობად მიჩნეულ იქნეს ქალაქის ქუჩებზე, მოედნებსა და ტროტუარებზე, ასევე დასასვენებელ ადგილებში, მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან ვაჭრობა“.** გარდა ამისა, გადაწყვეტილებაში წერია, რომ საზოგადოებრივ ადგილებში გარევაჭრობისთვის განკუთვნილი ადგილები მოეწყოს ისე, რომ არ დაამახინჯონ ქალაქის იერსახე, ვაჭრობა განხორციელდეს მოქმედი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების, სხვა ნორმებისა და წესების დაცვით.

**„ვაჭრობისათვის დასაშვებად იქნეს მიჩნეული ყველა სახის საქონელი, გარდა მედიკამენტებისა, მომწამლავი ნივთიერებებისა და სახლის პირობებში დამზადებული კონსერვირებული პროდუქტებისა. მალფუჭებადი პროდუქტებისათვის აუცილებელია მაცივრის გამოყენება“,** — წერია პროექტის მეორე პუნქტში. ასევე, გარევაჭრობისთვის ნებართვა უნდა გაიცეს უსასყიდლოდ იმ პირებისთვის, ვინც 2010 წლის 10 აგვისტომდე იყო დაკავებული ამ საქმით. ერთ პირზე დროებით სარგებლობაში გადასაცემი მიწის ნაკვეთი, პროექტის მიხედვით, უნდა განისაზღვროს 2 კვადრატული მეტრის ოდენობით, ხოლო მოსაკრებელი ერთ კვადრატულ მეტრზე — 1 ლარის ოდენობით დღე-ღამეში.

**ახლა კი ასობით გარემოვაჭრე დაარბიეს, გაუნადგურეს სავაჭრო საქონელი. ისინი საპროტესტო აქციების შეწყვეტას მანამ არ აპირებენ, სანამ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება და არ მიიღებენ გარევაჭრობის ნებართვას. კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლების აზრით, გარემოვაჭრეების მოთხოვნები სამართლიანია და ხელისუფლება მათ არაადამიანურად ექცევა, რადგან სხვაგან არსებობის სახსარის პოვნისა და სამუშაოს შოვნის საშუალება არ აქვთ.**

**რაც შეეხება მერიის მიერ ბაზრებში შეთავაზებულ სავაჭრო ადგილებს, ისინი იქ შესვლას არ აპირებენ იმ მოტივით, რომ კლიენტი ბაზრებში ცოტაა, გადასახადი კი — მაღალი; თანაც ეეჭვებათ, კონკურეცია გაუწიონ ბაზრის მოვაჭრეებს. ბაზარში თავის დასამკვიდრებლად მათ რამდენიმე ათასი ლარი დასჭირდებათ. ეს თანხა კი არც ერთ მათგანს არ აქვს.**

ნებართვის არქონა გარემოვაჭრისთვის 20-დან 50 ლარამდე ჯარიმის ტოლია და გარდა ამისა, მას პროდუქტსაც ჩამოართმევენ. მართალია, კანონი იანვრიდან ამოქმედდება, მაგრამ გარემოვაჭრეებს უკვე პოლიციასთან ბრძოლით უწევთ ქუჩაში დგომა და საარსებო მინიმუმის მოპოვება. მათი თქმით, ისინი დღეში საშუალოდ 5 ლარს შოულობენ, ქუჩაში ვაჭრობა მათთვის პურის ფულის მოპოვების საშუალებაა და არა მომგებიანი ბიზნესი. **გარემოვაჭრეებისთვის ამ ერთადერთი გზის მოჭრა, ჩვენი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ლამის ულუკმაპუროდ დატოვებს.**

ჩვენს ქვეყანაში გარევაჭრობა იმ ფორმით, რომელიც დღესდღეობითაა, ადამიანებისთვის თვითგადარჩენის იძულებითი ფორმაა. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ხელისუფლება არ ქმნის მინიმალურ სოციალურ გარანტიებსაც კი და არ ზრუნავს მოქალაქეთა დასაქმებაზე. პირიქით, ცდილობს, ამ ადამიანებს ერთადერთი საარსებო წყარო წაართვას. **სააკაშვილის რეჟიმს პრობლემების მოგვარების საბაბით ადამიანის ჯგუფებზე ზღვარგადასული ძალადობა სჩვევია, რომელიც ყოველთვის ყველაზე სუსტებიდან იწყება. დღესდღეობით ისინი ასეთებად გარე მოვაჭრეებს მიიჩნევენ. ასე იყო, როცა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პირველი არჩევნები ჩატარდა, ისევე, როგორც 2008 წლის არჩევნებისა და ომის შემდგომ. ხელისუფლება როგორც კი ჩათვლიდა, რომ „თავი ქუდში ჰქონდა“, საზოგადოებაზე ძალადობას გარე მოვაჭრეებით იწყებდა. დღეს უკვე უფრო ორგანიზებულ შეტევაზეა საუბარი, არსებული რეჟიმი ამ საკითხით უფრო მეტადაა დაინტერესებული.**

ხელისუფლებამ გადაწყვიტა, არათუ მოაწესრიგოს გარევაჭრობა, არამედ ამ საქმიანობის უფლება წაართვას გაჭირვებულ ადამიანებს. კანონპროექტი გულისხმობს გამგეობებისთვის გარევაჭრობის ნებართვის გაცემის უფლების მინიჭებას აუქციონის ჩატარების გზით, რომელშიც ის გაიმარჯვებს, ვინც ყველაზე დიდ თანხას გადაიხდის. საქართველოში აუქციონებზე ვინც „იმარჯვებს“, ყველამ კარგად ვიცით. აქედან გამომდინარე, გარევაჭრობის ნებართვა რაიონების მიხედვით ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების ხელში აღმოჩნდება, რომლებიც შემდეგ აუქციონზე გადახდილ თანხაზე აპელირებით თითოეულ გარემოვაჭრეს, მათი საქმიანობის გაგრძელების უფლების სანაცვლოდ, მაღალ საფასურს მოსთხოვენ. ამ თანხას კი გარევაჭრობით დაკავებულ ადამიანთა უმრავლესობა ვერ გადაიხდის და, შესაბამისად, ისინი არსებობის ერთადერთი წყაროს გარეშე დარჩებიან. ეს ბიზნესმენები კი უკვე საკუთარ თანამშრომლებს დაასაქმებენ.

**ლალი გელაშვილი, გარემოვაჭრე, „გარემოვაჭრეთა პროფესიული ლიგის“ თანათავმჯდომარე:**

— 2006 წლის ბრძანებულებით გარევაჭრობა აიკრძალა, თუმცა მერე გიგი უგულავამ ისევ დაუშვა. არჩევნების წინა პერიოდში ჩვენთან მოდიოდნენ „ნაციონალები“ და გვპირდებოდნენ, რომ, თუკი არჩევნებში ხმას გიგი უგულავას მივცემდით, კარგ პირობებს შეგვიქმნიდნენ და უკეთეს ადგილებში დაგვასაქმებდნენ. არჩევნებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ, 10 აგვისტოს ღამეს, თავს დაგვესხნენ და გაგვინადგურეს შენახული საქონელი. უამრავი გაჭირვებული ადამიანის ბედია დამოკიდებული ვაჭრობაზე. ზოგს ონკოლოგიური ავადმყოფი ჰყავს სახლში, ზოგს — მცირეწლოვანი ბავშვები და ოჯახი შესანახი. ამათ კი უნდათ, ეს ერთადერთი საარსებო მინიმუმიც გამოგვაცალონ ხელიდან.

**სანაცვლოდ ბაზარში შესვლას გვთავაზობენ, რომელიც მერიის დაქვემდებარებაშია. მართალია, ნაწილი გარემოვაჭრეებისა, ვისაც უფრო ძვირადღირებული საქონელი აქვს, შევიდა ამ ბაზარში, მაგრამ დავრჩით 15 ქალი, ვისაც არ გვაქვს გადასახადის გადახდის საშუალება. ის ფაქტი, თითქოს ხელისუფლება იანვრამდე ათავისუფლებს გარემოვაჭრეებს ბაზარში გადასახადისგან, სიმართლეს არ შეესაბამება.** აქ ისეთებიც არიან, მარტო მზესუმზირასა და მიწის თხილს რომ ყიდდა. ასეთი ადამიანები ბაზარში როგორ უნდა შევიდნენ?

**თუ 15 სექტემბრამდე არ მოგვხედავენ, პროტესტის ნიშნად მერიასთან დავიწვავთ თავს. გაჭირვებული ადამიანების ცოდვით როგორ ისვენებენ პრეზიდენტი და მისი გარემოცვა?!** ნუთუ არ შეეძლოთ იმ გარემოვაჭრეებისთვის და ლტოლვილებისთვის ცოტაოდენი კომპენსაცია მაინც მიეცათ. ბაზრის კონკურენციას ჩვენნაირები ვერ გაუძლებენ. მინიმუმ 20.000 ლარის საქონელი რომ მაინც გვქონდეს, მაშინ კიდევ შეიძლება, მაგრამ როგორ შევიდეთ, როცა კაპიკებზე ვვაჭრობთ? ხანდახან ნასესხები 50 ლარით მიყიდია გასაყიდი პროდუქტი.

ის ადამიანი, რომელიც გარეთ ზის, ბაზარში ვერ დამკვიდრდება, ეს ყველამ იცის. ბევრჯერ თოვლში ვმდგარვარ, ფეხებგაყინული, იმის გამო, რომ ოჯახში რამე შემეტანა. გადასახადი 3-4 ლარამადე რომ იყოს, გადავიხდით, მაგრამ უფრო მეტის გადახდის საშუალება არ გვაქვს. **მთავრობას არ აქვს იმის უფლება, რომ გარემოვაჭრეს თავის რჩენის ყველანაირი საშუალება წაართვას. ხომ გამოგვიყენეს, ხმა მიგვაცემინეს, ახლა, რასაც დაგვპირდნენ, შეგვისრულონ. ჩვენ ასე არ გავჩერდებით, არავის უნდა ამბოხი და დაპირისპირება, მაგრამ ამათ კისერზე იქნება ჩვენი ცოდვა. ავდგებით და თავს დავიწვავთ, პასუხი უგულავასა და სააკაშვილს მოეთხოვებათ.** ძალლად არ გვაგდებენ. მიგვიღონ, დაგველაპარაკონ. კარებს რატომ გვიკეტავენ? ყველანაირ გზას გვისპობენ იმისთვის, რომ პრობლემა ზედმეტი გართულებების გარეშე მოგვარდეს. ასე თუ გაგრძელდა, იძულებულებს გაგვხდიან, რადიკალურ ზომებს მივმართოთ. რად უნდათ საკუთარ ქვეყანაში ჩვენნაირი ხალხის დაწიოკება და შევიწროება, ისედაც გაჭირვებული ხალხი ვართ?! ისე გვიკეთებენ, რომ ულუკმაპუროდ დავრჩებით. ესაა ქვეყანა, რომელზეც ასე აღტაცებით საუბრობს უცხოური მედია? **არ მინდა ისეთი ხელისუფლება, რომელიც, საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის გარდა, ყველაფერზე ფიქრობს.**

**ზურაბ შალაშვილი, გარემოვაჭრე:**

— მეტრო „მარჯანიშვილთან“ ტანსაცმლით ვვაჭრობდი. როცა გვითხრეს, ბაზარში შედითო, ავდექი და შევედი, მაგრამ გადასახადი ვერ გადავიხადე და ისევ გარეთ, უმუშევრად, მომიწია დარჩენა. 2-3 ლარი რომ იყოს გადასახადი, კიდევ გადავიხდიდი, მაგრამ 7 ლარს ხანდახან მთელი დღე ვერ ვვაჭრობ. ამ მთავრობამ ჯერ ჩვენ დაგვაწიოკა, მერე — ლტოლვილები; ცოტახანში, ალბათ, ყველას დაერევიან. ვეცდები, ჩემი უფლებები დავიცვა, არ მივცემ ხელისუფლებას იმის უფლებას, მე და ჩემს ოჯახს შიმშილით ამოგვხადოს სული.

**ლილი მიროტაძე**

## მოკლედ



### ევროკავშირი 23 მილიონს აღარ მოგვცემს

**საქართველოსთვის განსაზღვრული 4-მილიარდიანი დახმარების ფარგლებში გამოყოფილი მორიგი 23 მილიონი ევროს ტრანში შესაძლოა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის — კობა სუბელიანის მიზეზით შეფერხდეს.**

კომპაქტური ჩასახლების ადგილებიდან დევნილების მასობრივი გამოსახლების პრობლემის მოსაგვარებლად რესპუბლიკურმა პარტიამ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, მათ შორის ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელ პერ ეკლუნდს მიმართა და გარკვეული მასალებიც წარუდგინა. ეკლუნდმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურთან შეხვედრა მოითხოვა და მკაცრი გაფრთხილება მისცა: თუ დევნილების მიმართ მსგავს პოლიტიკას განაგრძობთ, 23-მილიონიან ტრანშს ვერ მიიღებთო.



### გაიყოს მონსტრი სამინისტრო

**„ქრისტიან-დემოკრატებს“ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აღარ მოსწონთ და ირწმუნებიან, რომ ის ორ დამოუკიდებელ უწყებად — ჯანდაცვისა და ოჯახის დასაქმებისა და სოციალური დაცვის სამინისტროებად უნდა გაიყოს.**

საკითხით განსაკუთრებით აღშფოთებული დეპუტატი მაგდა ანიკაშვილი აცხადებს, რომ ეს გიგანტური უწყება ხელოვნურად არის შექმნილი და არაეფექტურად ცდილობს, სრულიად განსხვავებული სფეროების მართვას. ჯანდაცვის სფეროს დღევანდელ დაკნინებულ ყოფასა და უბადრუკ დაფინანსებას მონსტრი სამინისტროს ორად გაყოფა უშველის — დაფინანსებაც გაიზრდება და პროგრამების ეფექტურობაც ამაღლდება. ოჯახის დასაქმებისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შექმნა კი ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი ყოფილა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# თქვენ, ბოდიში და...

**ეს ის შემთხვევაა, როცა შინაგანმა თვითცენზურამ იმდენად მილალატა, რომ უდიდესი სურვილი გამიჩნდა, მთელს ევროსაბჭოსა და ევროკავშირს დედა ვაგინო. მითუმეტეს, რომ სიტყვები – „დედა“ და „მამა“ ჩემი აღშფოთების მთავარი მიზეზია ამ შემთხვევაში.**

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ამ დღეებში იმისთანა რეზოლუცია მიიღო, ჩვენში მომრავლებული პედერასტები და ანტიქრისტეებიც კი ძნელად რომ წარმოიდგენდნენ. ვიღაც გონებასუსტი — **შვეიცარიის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი დორის შტუმპი ინიციატივით გამოვიდა: მთელმა ევროკავშირმა (47 ქვეყანა) ოფიციალური ტექსტებიდან სიტყვები „დედა“ და „მამა“ ამოიღონო, ეს „სექსისტური“ მეტყველების გამოვლინება გახლავთო.**

დორის (დოქსოპულო), შენ დედა გყავს?

**მკითხველს შევახსენებ, რომ სექსისტურ მეტყველებად ის ითვლება, როცა მკვეთრადაა ერთმანეთისგან გამიჯნული ქალი და მამაკაცი, ეჭვქვეშაა დაყენებული მათი თანასწორუფლებიანობა, რაშიც გონებაჩლუნგი ფემინისტები ქალის უფლებების დაკნინებას ხედავენ და ამბობენ, რომ ქალი მხოლოდ დიასახლისი არ გახლავთ.**

ვაი თქვენს პატრონს, უბედურო ფემინისტებო, ვინ მოგახსენათ, რომ ვინმე ქალს მხოლოდ დიასახლისად განიხილავს? თუმცა ფემინისტებს თავისი უბედურება და გაჭირვებაც ეყოფოდათ, ასე რომ არ გათავხედებულიყვნენ და მთელი ევროპისთვის რომ არ დაეწყოთ ჭკუის სწავლება — ვინ, როგორ უნდა იმეტყველოს. საფრანგეთში ხომ მიაღწიეს საწადელს, უდიდესი ტრადიციის მქონე სიტყვა „მადემუაზელ“ ამოიღეს ხმარებიდან და ახლა ყველა მანდილოსანს, გათხოვილია ის თუ გაუთხოვარი, მხოლოდ „მადამ“-ით მიმართავენ, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. **ახლა თურმე 47-მა ქვეყანამ უნდა დაივიწყოს, დედა და მამა და ისინი ნეიტრალურ და უსქესო „მშობლად“ უნდა მოიხსენიონ.**

ქალები, — განაცხადა ზემოხსენებულმა არარეალიზებულმა დორისმა, — არ უნდა განიხილებოდნენ, როგორც პასიური და მეორეხარისხოვანი არსებები, დედები და სექსუალური ობიექტებიო. ამას დიაგნოზის გარდა სხვა რამე ჰქვია?

გასაგებია, რომ ეს უბედურ დღეზე გაჩენილი დორის შტუმპი არც დედაა და თან ისეთი სიმახინჯეა, ვერც ერთი კახელი რომ მაგდენს ვერ დალევს და, შესაბამისად, ვერც სექსუალური ლტოლვის ობიექტი იქნება ვინმესთვის, ისეთი მამაკაცისთვისაც კი, რომელმაც რამდენიმე წელი უკაცრიელ კუნძულზე გაატარა და ქალი თვალით არ უნახავს, მაგრამ მთელი ეს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, ბოდიში და, რამ გამოასირა, ამ კრეტინიზმს რომ მხარი დაუჭირა?

**ამერიკაში ხომ, დიდი ხანია, იმძლავრეს; თუ კარგი დედმამიშვილი ხარ, გაბედე და ქალი წინ გაატარე ან მძიმე ჩემოდნის წაღებაში დახმარება შესთავაზე, იქვე გამოიძახებს პოლიციელს და შესაძლოა, ვირის აბანოში ამოგაყოფინონ თავი ბრალდებით — ქალს ზემოდან უყურებს და მეორეხარისხოვან არსებად მიაჩნიაო. სად ხართ გაზრდილები, თქვე უპატრონოებო?!...**

ამერიკაში კარგი, მაინც ვერ გაიგებ, ვინ რა ჯურისაა და რა ცომისგანაა მოზელილი, მაგრამ რამ გამოატვინა ევროპა, სადაც მეტ-ნაკლებად მაინც იყო აქამდე ძველი და კარგი ტრადიციები შემორჩენილი? და ეს ის ევროკავშირია, რომლისკენაც ჩვენ მივისწაფით და თავიან-ფეხებიანად გვინდა, რომ შევძვრეთ? ყველა — ყველა და ევროკავშირის რომელიმე წარმომადგენელმა თბილისში ყოფნისას დედაქალაქის დათვალიერება რომ მოინდომოს, გიდმა როგორ უნდა აუხნას, რას ნიშნავს „ქართვლის დედის“ ქანდაკება? ალბათ, ეტყვის, რომ ეს არის „ქართვლის ერთ-ერთი მშობელი“!

**ისე, ჩვენც რა გვიკვირს?! — ეროვნება ამოგვაღებინეს პირადობის მოწმობიდან, მამის სახელი ისტორიას ჩააბარეს, რწმენაზე გააფთრებული შეტევა მიდის, პედერასტები აღლუმების გამართვას ლამობენ და რა გასაკვირია, რომ შემდეგი ნაბიჯით ეს არასრულფასოვანი და ბუნებისგან დაჩაგრული არსებები (ადამიანსაც რომ ვერ უწოდებ) ადამიანის ფსიქიკის ჩამოყალიბების უმთავრეს ბურჯებს — დედისა და მამის ცნებას უტევენ? აბა, ოჯახში გაზრდილი ადამიანი იმას იტყვის, დედა და მამა სექსიზმის გამოხატულებაა და უსქესო „მშობლით“ შევცვალოთო?**

დამცინოს ვისაც უნდა, მაგრამ გადაჭრით ვიტყვი, რომ ეს ავადმყოფური ინიციატივა საქართველოში, ქართველობაში **ვერასოდეს ვერ მოიკიდებს ფეხს.** „ბებერმა მეძავმა“, ევროპამ, კი ის გააკეთოს, რაც უნდა.

**არჩილ ჩხარტიშვილი**

**P.S. ისე, საინტერესოა, ნეტავ, რას უპირებენ ჯონ ლენონის ცნობილ და ერთ-ერთ საუკეთესო სიმღერას – „Mother“? აკრძალავენ?**

# საქართველოს ბიუჯეტს კვლავ გაუჭირდა, ხელისუფლება ხარჯებს მოსახლეობის ხარჯზე ამცირებს

**მასშტაბური შემცირებების შემდეგ, რომლის ტალღამაც თითქმის ყველა საჯარო სამსახურს გადაუარა და ათასობით ადამიანი უმუშევარი დატოვა, გადარჩენილ თანამშრომლებს ბევრ სახელმწიფო უწყებაში გამოუცხადეს, რომ პრემიები, რომლებსაც ზოგიერთ უწყებაში ყოველკვარტალურად, ზოგან კი დღესასწაულებთან დაკავშირებით იღებდნენ, ველარ გასცემენ, რადგან საქართველოს ბიუჯეტს მეტისმეტად გაუჭირდა. გასულ კვირას ანაკლიაში, სადაც საკურორტო ზონა აწიოკებული, სახლებწართმეული მოსახლეობის ნასახლარებზე ეწყობა, პრეზიდენტმა უმრავლესობა შეკრიბა, ბიუჯეტის პრობლემა აღიარა და უმრავლესობას მოახსენა, საქართველოს ბიუჯეტს არ ულხინს და ქამრების შემოჭერა ისევ გვმართებსო.**

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს ტენდერს, ქ. თბილისში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (ქ. თბილისში გლდანი-ნაძალადევის რაიონში პოლიციის აკადემიის ტერიტორიაზე მდებ. N1 შენობა-ნაგებობის ნაწილი, #2, #12 და #14 შენობა-ნაგებობები), სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვე. სამუშაოს შესრულების ადგილი: ქ. თბილისი გლდანი-ნაძალადევის რაიონი პოლიციის აკადემიის ტერიტორია. დეტალური ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოების შესახებ მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში. დაფინანსების წყარო _ სახელმწიფო ბიუჯეტი. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1,806,520.00 ლარს. ტენდერი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული.

2. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, განცხადების გამოქვეყნების დღიდან **2010 წლის 7 სექტემბრის 16:00-საათამდე**, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, დ.უზნაძის ქ. #52, ოთახი #142.

ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველს შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც შემდეგ მისამართზე: 0102, ქ.თბილისი, დ.უზნაძის ქ. #52, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ოთახი #142.

3. სატენდერო მოსაკრებელი (150 ლარის ოდენობით) გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები – **სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი**

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს მთავრობის კანცელარია (მის: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

***2. შესყიდვის ობიექტი – საქართველოს მთავრობის კანცელარიის შემოსასვლელისა და მოქალაქეთა მისაღების სარემონტო სამუშაოები.***

***3. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.***

***4. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება – 215 500 ლარი.***

5. სამუშაოს შესრულების სავარაუდო ვადები - 2010 წლის სექტემბრიდან 2010 წლის 1 დეკემბრამდე.

6. ტენდერში მონაწილეობისათვის დაშვებულია სუბ-კონტრაქტორების გამოყენებაც.

7. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენისთანავე, 2010 წლის 3 აგვისტოდან 24 აგვისტოს 12 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს მთავრობის კანცელარია, ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7 (მე-2 სართული, ოთახი 228, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

8. 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში №200122900, საქართველოს სახელმწიფო ხაზინა, კოდი №220101222, სახაზინო კოდი №302004600.

ქამრების შემოჭერის ბრძანება პრეზიდენტმა ორი წლის წინათაც გასცა, მაგრამ მაშინ ჩინოვნიკებს არც ძვირადღირებული მანქანების ბიუჯეტის ხარჯებით შეძენა და არც კაბინეტების რემონტი მოუკლიათ. **მეტიც, როგორც „საქართველო და მსოფლიო“ წერდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთი ქვედანაყოფი ასიათასობით ლარს ქაღალდში ხარჯავდა, ხოლო მილიონი ლარი რეგიონში რაიონული პოლიციის შენობის გარემონტებისთვის იყო გაწერილი. საქართველოში ფინანსური კრიზისი მხოლოდ საშუალო ფენისთვის იგრძნობა.**

საქართველოში ყველაფერი რომ გაყიდულია და, რაც არ გაიყიდა, იმის გაყიდვაც მიმდინარეობს, არახალია. ომის შემდგომ დახმარების სახით შემოსული ოთხი მილიარდი დოლარიც ხელისუფლების მიერ ათვისებულია. ტურისტების იმედად დარჩენა კი დიდი ვერაფერი იმედია ფუფუნებას მიჩვეული თანამდებობის პირების მაღალი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სამთავრობო ხარჯებს ვერც ერთიორად გაზრდილი ჯარიმები უზრუნველყოფს. თუმცა ამ ხაზით ფულის ამოღებაზე საპატრულო პოლიცია თუ საგადასახადო სამსახურები გაორმაგებით მუშაობენ. **ივლისის თვეში 7 მილიონი ლარი შეუტანია ბიუჯეტში ახლადამოქმედებულ სააღსრულებლო ბიუროს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობას, მეტი თუ არა, 14 მილიონის ღირებულების ქონება ჩამოართვეს და ნახევარ ფასად გაუყიდეს.**

ეს ციფრი კი საქართველოში არსებული სოციალური ფონის პირობებში ნამდვილად საგანგაშოა.

მოკლედ, ქვეყნის ხელისუფლება ფინანსურ კრიზისს პროგნოზირებს და საკვები პროდუქტების ფასების კატასტროფული ზრდის კვალდაკვალ მაინც მოსახლეობისგან აგრძელებს ფულის ამოღებას. **სახელმწიფო უწყებებში კადრების შემცირება და ოპტიმიზაცია, პრემიების გაცემის შეწყვეტა ბიუჯეტის თანხებს კი დაზოგავს, მაგრამ საქმე ისაა, რომ კრიზისი მხოლოდ რიგითი თანამშრომლების შემოსავლების შეზღუდვაზე აისახება, რადგან მაღალი თანამდებობის პირების ხარჯები არა და არ მცირდება. ასევე არ მცირდება რემონტებში თუ სხვა ფუფუნებებში დასახარჯი თანხების ოდენობაც.** მაგალითად, სექტემბერში საქართველოს კანცელარია ტენდერს აცხადებს შემოსასვლელისა და მოქალაქეთა მისაღების სარემონტო სამუშაოებზე. სატენდერო განცხადებაში მითითებულია, რომ რემონტი 1 დეკემბრამდე უნდა დასრულდეს, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება 215.500 ლარია. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი გლდანი-ნაძალადევის რაიონში, პოლიციის აკადემიის ტერიტორიაზე, მდებარე შენობის რემონტს აპირებს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით და გამარჯვებულ კომპანიას, რომელმაც სამუშაო 6 თვეში უნდა დაასრულოს 1.806.520 ლარს გადაუხდის.

**საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ზურაბ აბაშიძის განცხადებით, თბილისის ბიუჯეტის 70 პროცენტი ექვს თვეში დაიხარჯა, რაც ხარჯების შეგნებულად არაპროპორციულად დაგეგმვაზე მიუთითებს. მისი ინფორმაციით, თბილისის ბიუჯეტიდან 6 თვეში 459 მილიონი ლარი დაიხარჯა, აქედან — ჯანდაცვაზე 13 მილიონი, სოციალურ დაცვაზე — 73, განათლებაზე 21 მილიონია დახარჯული.**

**არაპრიორიტეტული ხარჯვის ნიმუშია საბინაო კომუნალურ მეურნეობებში დახარჯული 48,9 მილიონი ლარი, რომელიც ექვს თვეში 12 მილიონი ლარით გაიზარდა. ამავე პერიოდში სოციალური ბიუჯეტი 11 მილიონი ლარით შემცირდა.** აბაშიძის აზრით, მილიონების გადასროლა გიგი უგულავას საარჩევნო ფონდში მოხდა, თანხა გაუგებარ პროექტებშია გაწერილი. ხელისუფლებას უკვე დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებები შეაქვს და მუნიციპალიტეტისთვის დამტკიცებულ თანხებს მოსახლეობის ნაცვლად პოლიციას ახმარს.

ადამიანის უფლებათა ცენტრ „ჰუმან რაითს ვოტჩის“ ინფორმაციით, 2010 წლის ექვს თვეში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან პოლიციის დასაფინანსებლად 89.879 ლარი დაიხარჯა და იგი, ძირითადად, პოლიციის კომუნალურ გადასახადებს, მონობარათებსა და საწვავის შეძენას მოხმარდა. **ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შეაძენინეს 1300 ლარის ღირებულების 372 ხელსაწმენდი და 2500 ლარის ღირებულების 676 ტუალეტის ქაღალდი. ასევე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შეიძინეს 80 ცალი 1200 ლარის გამფრქვევი სუნამო.**

იმისათვის, რომ შს სამინისტროს ხარჯების გადახდა დაევალდებულოს, რუსთავის მერის მიმართვის საფუძველზე საკრებულომ წინა საკრებულოს დადგენილებაში ცვლილებები შეიტანა და 2011 წლამდე შს სამინისტრომ რუსთავის პოლიციის სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა ივალდებულა. მოგეხსენებათ, **მუნიციპალიტეტის ხარჯები, ძირითადად, ქალაქის კეთილმოწყობაზე, სოციალურ პროექტებზეა გათვლილი, თუმცა სხვადასხვა რეგიონებში ხელისუფლებამ მოსახლეობას ის თანხებიც წაართვა, რომელიც მასზე უნდა დახარჯულიყო და ამ ფულით პოლიციის შენახვა დაავალა.**

ექსპერტები, საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის გათვალისწინებით, 2011 წლიდან ფინანსურ კრიზისს პროგნოზირებდნენ. ეს კრიზისი საქართველოში გაცილებით ადრე დადგებოდა, რომ არა ომის შემდეგ საქართველოში შემოსული უცხოური ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების 4,5-მილიარდიანი დახმარება. ამჟამად ეს თანხა გახარჯულია, საქართველო დახმარებას არ ელოდება, მეტიც, **საგარეო ვალებით ჩვენი ქვეყანა რეკორდს ხსნის, ადგილობრივი ბრუნვა კი მხოლოდ გაზულუქებული ჩინოვნიკების მოთხოვნილებებს თუ დააკმაყოფილებს.** შესაბამისად, ხელისუფლება ფუფუნებას აგრძელებს, მოსახლეობისთვის კი მძიმე ფინანსური კრიზისი იწყება.

## პოლიციის თანამშრომლებისთვის ტუალეტის ქაღალდს მუნიციპალიტეტი ყიდულობს



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# კახა ლომაიას იჭერენ?

**მოძრაობა „კმარათი“ სახელგანთქმული თეა თუთბერიძის, რომელმაც განათლების მინისტრ დიმიტრი შაშკინს პროკურატურაში უჩივლა, ხმაურიანი განცხადებების შემდგომ, მოვლენების ასეთ განვითარებას არავინ ელოდა. იმის ნაცვლად, რომ პროკურატურა, რომელსაც თუთბერიძემ სამინისტროს მხრიდან 2009-2010 წლის საფინანსო-საბიუჯეტო დოკუმენტაციის დამალვის შესახებ შეატყობინა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა, განათლების სამინისტროში შევიდა და არა შაშკინის გამინისტრების შემდგომი საქმეების, არამედ მისი წინამორბედების საქმიანობის შესწავლა დაიწყო, თანაც მოტივად თავად შაშკინის მოთხოვნა დაასახელა.**



პროკურატურის სრულიად ალოგიკური მოქმედება დროებით გადავდოთ და თუთბერიძის საჩივარს დავუბრუნდეთ. მას ასეთი ტიპის დაპირისპირება ადრე იუსტიციის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებულ სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან ჰქონდა. იმთავითვე ცხადი იყო, რომ ხელისუფლების ცალსახად მხარდამჭერი ორგანიზაციის წევრი, რომელსაც რევოლუციაში დიდი წვლილი მიუძღოდა, ხელისუფლების სასარგებლოდ მოქმედებდა. განცხადებები, რომელსაც მაშინ თუთბერიძე მაშინდელი იუსტიციის მინისტრ კოტე კემულარიასა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელ შოთა კოპაძის წინააღმდეგ აკეთებდა, საკმაოდ მწვავე და თანაც პირველი იყო, რევოლუციის შემდეგ თუთბერიძისა და „თავისუფლების ინსტიტუტის“ მხრიდან სახელმწიფო მოხელეების წინააღმდეგ მიმართული.

**თუთბერიძეს მხარს უბამდა სახალხო დამცველის აპარატიც. მაშინ სახალხო დამცველის მოადგილე ამჟამინდელი თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია გახლდათ. თუთბერიძისა და იუსტიციის მინისტრის დაპირისპირება იმით დასრულდა, რომ კოტე კემულარიამ და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსმა თანამდებობები დატოვეს. შოთა კოპაძის სავარძელი კი ბაჩო ახალაიამ დაიკავა.**

შაშკინის წინააღმდეგ აგორებული კამპანიაც, საზოგადოების წარმოდგენით, ალბათ, წინა შემთხვევის ანალოგიური იყო, თუმცა ამჯერად მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. **შაშკინი საქმიანობას აგრძელებს, პროკურატურაში დაბარებას კი შაშკინის წინამორბედები — ნიკა გვარამია, გია ნოდია და კახა ლომაია ელოდებიან.**

**კახა ლომაია ხელისუფლებამ რუსეთ-საქართველოს ომის დროს ფრანგ ჟურნალისტთან გაკეთებული გაუაზრებელი კომენტარის გამო აითვალწუნა. ამისთვის ლომაიას ბევრჯერ მოუხდა თავისმართლება, ამტკიცებდა, თითქოსა ჟურნალისტმა მისი კომენტარი შეცვალა, მაგრამ ლომაიას ველარაფერმა უშველა, უშიშროების საბჭოს მდივნის სავარძელს გამოამშვიდობეს და ელჩად გაგზავნეს.** სააკაშვილს სჩვევია მის კარს დაახლოებული ფიგურების თვალს მოშორება და მერე ანგარიშსწორება. ლომაიამაც, ალბათ, კარგად იცოდა, რა ბედიც ელოდა და ნირწამხდარი შეუდგა გაეროში ელჩის მოვალეობის შესრულებას.

**არ არის გამორიცხული, პრობლემები შეექმნას უცხოეთში სასწავლებლად წასულ ნიკა გვარამიასაც, რომლის წასვლის არაოფიციალურ მიზეზად მაშინ მერაბიშვილ-ადეიშვილის დაპირისპირება დასახელდა**

პროკურატურიდან გამოსული ინფორმაციით (ყველას კარგად მოეხსენება, რომ ამ უწყებიდან ინფორმაციები უმიზეზოდ არ ჟონავს), სამართალდამცავებმა ნოდიას მინისტრობისდროინდელი დარღვევები აღმოაჩინეს; თითქოს ნოდიას დროს ბურთების შესაძენად ასობით ათასი ლარი დაიხარჯა, რეალურად კი უვარგისი ბურთები შეიძინეს, თუმცა **ნაკლებ სარწმუნოა, პროკურატურას ნოდიას წინააღმდეგ რაიმე ინტერესი ჰქონდეს. პირიქით, ეს ინფორმაცია სხვა ძირეული საკითხების გადასაფარად გავრცელებულს უფრო ჰგავს.**

ერთადერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და სამარცხვინო, რაც გამოიკვეთა, ის იყო, რომ თურმე ნამინისტრალ გია ნოდიას, რომლის მინისტრობისას განათლების სამინისტროს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები ჰქონია, სულ არ სცოდნია, რას ნიშნავს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანება, რაც იგივეა, მასწავლებელმა, ჟურნალი რა არის, არ იცოდეს. ასეთი პარადოქსები ქართულ მინისტრთა კაბინეტში არცთუ ცოტაა. **მთავარი მაინც ის არის, რას ეძებს პროკურატურა რეალურად განათლების სამინისტროს ფინანსურ დოკუმენტაციაში, რაც, ალბათ, მალე გაირკვევა.**

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილმა შეფმა, ბადრი ბიწაძემ რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ პერიოდში ლომაიას მიმართ სერიოზული ბრალდებები გამოთქვა. **გარდა იმისა, რომ ბიწაძის განცხადებით, ლომაიამ ოჯახი საქართველოდან გაიყვანა, იგი განათლების მინისტრობის დროს 50 მილიონი ლარის მითვისებაშიც დაადანაშაულა, მაშინ ლომაიამ ეს ცრუ ბრალდებად მონათლა, თუმცა არ არის გამორიცხული, პროკურატურა ახლა იმ 50 მილიონის ბედს იკვლევდეს.**

განათლების სამინისტროში გასული წლების ფინანსური შემოწმების მოთხოვნით, შაშკინის მიერ პროკურატურის მიწვევა თეა თუთბერიძეზე შაშკინის კონტრშეტევაა, რადგან კახა ლომაია თავისი პროექტებითა და განათლების სისტემაში დანერგილი თავისუფლების ინსტიტუტისეული მეთოდებით სწორედ ამ ფრთის წარმომადგენელია; თეა თუთბერიძის ხმაურიანი განცხადებები კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, — ხელისუფლების გარკვეული ფრთის გამოძახილი. **„თავისუფლების ინსტიტუტსა“ და შაშკინს შორის რომ სიტუაცია დაიძაბა, ამის დასტურად ლომაიას მიერ გარექტორებული გიორგი ხუბუას თანამდებობიდან გათავისუფლებაც კმარა, რომელსაც, არაა გამორიცხული, კახა ლომაიას მსგავსად, პროკურატურაში მოუწიოს სირბილი. ასევე, არ არის გამორიცხული, პრობლემები შეექმნას უცხოეთში სასწავლებლად წასულ ნიკა გვარამიასაც, რომლის წასვლის არაოფიციალურ მიზეზად მაშინ მერაბიშვილ-ადეიშვილის დაპირისპირება დასახელდა.** ნიკა გვარამიას თანამდებობიდან წასვლა კი მერაბიშვილის აშკარა გამარჯვებას ნიშნავდა, რადგან ნიკა გვარამია სწორედ ადეიშვილის კადრად მოიაზრება.

ცხადია, პროკურატურა შაშკინის პერიოდის დოკუმენტაციასაც გადახედავს. სავარაუდოდ, მას საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელად ამზადებენ. ქართულ პოლიტიკურ ისტორიაში კი იმის მაგალითები, თუ როგორ ბარგდებიან პრემიერ-მინისტრები თუ ხელისუფლების სხვა მეორე და მესამე რანგის ფიგურები ოპოზიციაში, მრავლად არის. ხელისუფლება ამ დოკუმენტაციას სწორედ ასეთი შემთხვევისთვის შემოინახავს. **შაშკინს რომ დასამალი ბევრი აქვს, იმაშიც გამოიკვეთა, რომ „თავისუფლების ინსტიტუტს“ შესყიდვებისა თუ სხვა ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია დაუმალა და მოატყუა, აღნიშნული დოკუმენტაცია (დედნები) პროკურატურამ გაიტანაო.**

# ვანო ჩხარტიშვილმა შს სამინისტროს მაღალჩინოსანს საცოლე წაართვა

## ნუგზარ გაბრიჩიძის შვილის ქორწილში თამადა კახა თარგამაძე გახლდათ

**ყოფილმა პრემიერმა ზურაბ ნოღაიდელმა ცოტა ხნის წინათ ხმაურიანი განცხადება გააკეთა, რომ მის მეგობარ ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილს მის წინააღმდეგ ცრუ ჩვენების მიცემას აიძულებდნენ, რის გამოც ჩხარტიშვილი იძულებული გახდა, საქართველოდან გაქცეულიყო და თავი ლონდონისთვის შეეფარებინა. ვანო ჩხარტიშვილი ამ ამბის შემდეგ არავის გაახსენდებოდა, რომ არა კიდევ ერთი სკანდალური ინფორმაცია, რომელშიც ამჯერად დევნის ობიექტი შს სამინისტროს მაღალჩინოსანი აღმოჩნდა, ოღონდ რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, როგორც გაირკვა, მას ვანო ჩხარტიშვილი დევნის და კიევის აეროპორტში საცოლეც კი წაართვა.**

დავით ტაბუცაძე, რომელიც ცოტა ხნის წინათ პრეზიდენტმა ორდენით დააჯილდოვა და მამაცობისთვის გმირად შერაცხა, შს სამინისტროს კონტრტერორისტული ცენტრის უფროსი გახლდათ. მას რომანი ჰქონდა ვანო ჩხარტიშვილის ქალიშვილ ნათია ჩხარტიშვილთან, რასაც, როგორც ამბობენ, ტაბუცაძის კარიერა შეეწირა და იგი მერაბიშვილმა საკმაოდ გავლენიანი და მაღალი რანგის თანამდებობიდან სოდში, რიგითი სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე, ჩამოაქვეითა. როგორც ჩანს, ტაბუცაძეს სიყვარული უფრო ეძვირფასებოდა, ვიდრე კარიერა და თანამდებობა და ნათია ჩხარტიშვილზე დაქორწინებაც გადაუწყვეტია. მაგრამ საბოლოოდ ტაბუცაძემ სამსახურთან ერთად საყვარელი ადამიანიც დაკარგა, რადგან ვანო ჩხარტიშვილმა მას საცოლე პირდაპირ აეროპორტიდან „ააწაპნა“ და ლონდონში გაიტაცა.

**აეროპორტიდან ნათია ჩხარტიშვილის გატაცებამ არამარტო მისი საქმრო, არამედ უკრაინაში საქართველოს ელჩი ქათამაძე და უკრაინული მედიაც კი გააოცა. უკრაინის პროკურატურაში საჩივარიც შევიდა გატაცების ფაქტზე, თუმცა ადამიანი, რომლის საშუალებითაც ჩხარტიშვილმა საკუთარი ქალიშვილი მოიტაცა, უკრაინაში**



**საკმაოდ დიდი გავლენით სარგებლობს. იგი იულია ტიმოშენკოს ბლოკის წევრი, ბიზნესმენი ტარიელ ვასაძეა.** ტარიელ ვასაძის დაცვა დაედევნა ჩხარტიშვილსა და ტაბუცაძეს და იგი ლამის ტრაპიდან ჩამოსვეს. რაც შეეხება თავად ვასაძეს, არცთუ დიდი ხნის წინათ მისი რძალი გახდა საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორის, ნუგზარ გაბრიჩიძის ქალიშვილი. სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჯერ სასამართლოში, შემდეგ კი საპატიო პენსიაში გაშვებული გაბრიჩიძის შვილის ქორწილში თამადა თურმე კახა თარგამაძე გახლდათ.

ვასაძე-ჩხარტიშვილის ერთობლივ სპეცოპერაციას გაზეთი „უკრაინსკაია პრავდა“ ასე აღწერს: **„ტარიელ ვასაძის დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომლებმა აეროპორტში, თბილისი-კიევის თვითმფრინავიდან ქართველი ოლიგარქის, ვანო ჩხარტიშვილის ქალიშვილი, ნათია ჩხარტიშვილი გაიტაცეს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელ დავით ტაბუცაძესთან ერთად საქართველოში მოფრინავდა.**

**ნათია ჩხარტიშვილისა და ტაბუცაძის ქორწინების ჩაშლა ქალიშვილის მამამ, ვანო ჩხარტიშვილმა გადაწყვიტა, რომელიც ლონდონშია გაქცეული. წყვილი ოდესაში ისვენებდა, როცა გაიგო, რომ ქალიშვილს მამამისის ხალხი ეძებდა, საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა. აეროპორტში მათ ტარიელ ვასაძის დაცვა და აეროპორტის უსაფრთხოების თანამშრომლები დახვდნენ, ტაბუცაძემ საქმეში თავისი უკრაინელი კოლეგები ჩარია, მაგრამ ამ დროს აეროპორტში მათ ტარიელ ვასაძის დაცვამ და უსაფრთხოების სამსახურმა გზა გადაუკეტეს.**

**ტაბუცაძის მტკიცებით, უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ვალერი ხოროშკოვსკიმ შინაგან საქმეთა მინისტრს, ანატოლი მაგილევს დაურეკა, რომ მილიციის თანამშრომლები აეროპორტიდან გაეწვია. სანამ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, წყვილმა რეგისტრაციის გავლა მოასწრო და ასაფრენ ბილიკზე მიმავალ ავტობუსში ჩაჯდა, მაშინ ქალ-ვაჟთან უსაფრთხოების თანამშრომელი მივიდა, ნათიას პასპორტი მოსთხოვა და შიგ ფურცელი ამოუხია და, რაკი ამოხეული ფურცლით ვერსად შეძლებდა გაფრენას, აეროპორტში დაბრუნება მოსთხოვა. თავის მხრივ, საქმროს შარი მოსდეს, რომ ის ნათიას მოტაცებას აპირებდა. ტაბუცაძემ მოითხოვა, თუ ასეა, მაშინ მეც დამაკავეთო, მაგრამ მას ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს.**

**ნათია ჩხარტიშვილთან შეხვედრის საშუალება არ მისცეს უკრაინაში საქართველოს ელჩ გრიგოლ ქათამაძესაც, რომელიც შეხვედრას ნახევარი საათი ელოდა. ხოროშკოვსკის ბრძანებით, გოგონა ჯერ ტარიელ ვასაძის სახლში, შემდეგ კი ლონდონში გააგზავნეს“.**

ასე დაიწუნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ გმირად შერაცხული პოლიციელი საქართველოდან გაქცეულმა ბიზნესმენმა. ტაბუცაძე კი, რომელმაც ჯერ სამსახური, შემდეგ კი საცოლეც დაკარგა, უკრაინელი სამართალდამცავებისგან მომხდარზე რეაგირებას ელის.

გვერდები მოამზადა **სოფო გელაშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გაღიზიანებულნი



**მანანა ნიკოლაიშვილი, „განათლების ლიგის“ პრეზიდენტი, ექსპერტი:**

ხელისუფლება იმაშია დამნაშავე, რომ აქამდე გააჩერა 200 არააკრედიტებული უნივერსიტეტი. 20000 სტუდენტი და ამდენივე არაფრისმომცემი დიპლომი არის ასეულობით მილიონი ლარის წყალში გადაყრა. დიახ, მილიონობით ლარია ამოქაჩული ხალხის ჯიბიდან და ბევრი ახალგაზრდა ექვსი წლის მერე იგებს, რომ მის დიპლომს არავინ აღიარებს და ძალა არ აქვს. თქვენ ეს ადვილი საქმე გგონიათ? ისედაც სავსეა ფსიქიატრიულები ახალგაზრდებით.

*„კვირის ქრონიკა“*



**ირაკლი მელაშვილი, „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

დღეს ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, ვისაც შეიძლება აწყობდეს, ეს არის ვანო მერაბიშვილი... არჩევნების პერიოდში მთელი ძალაუფლება გადადის ვანო მერაბიშვილის ხელში. არსებული საარჩევნო კოდექსისა და გარემოს პირობებში მოიგებს მხოლოდ ის, ვისაც ვანო მერაბიშვილი დაუჭერს მხარს!..

*„კვირის ქრონიკა“*



**ზურაბ ტყემალაძე, „მრეწველების“ ერთ-ერთი ლიდერი:**

მივიჩნევ, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა გარკვეული დათქმით უნდა მიენიჭოს... დაუშვებელია პროცესების იმგვარი განვითარება, რომ ქართველები საკუთარ ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობად ვიქცეთ.

*„ყველა სიახლე“*



**გუბაზ სანიკიძე, „ეროვნული ფორუმის“ ლიდერი:**

რისი გეშინიათ, ქართველებო?! საჭმელი აღარ გაქვთ, მიწა წაგართვეს, ხელფასი აღარ გაქვთ, შვილებს ვეღარ ზრდით, მიცვალებულს ვეღარ მარხავთ და რიღასი გეშინიათ, გამაგებინეთ?!

*„ასავალ-დასავალი“*



**ირაკლი ალასანია, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი:**

სააკაშვილის მმართველობის დროს საკონსტიტუციო ცვლილებების მთელი ლოგიკა მოწმობს იმას, რომ პრეზიდენტი ყოველთვის საკუთარი ინტერესების მიხედვით ირგებდა კონსტიტუციას.

*„კვირის პალიტრა“*



**გიორგი გუგავა, ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

წიგნების ქურდ გიორგი ხუბუას შემდეგ, უნივერსიტეტს ახლა უკვე ზაქიჭამია სექტანტი ალექსანდრე კვიტაშვილი მართავს. სამარცხვინო ის არის, რომ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, რომელიც ქვეყნის ყველაზე თავისუფლად მოაზროვნე ხალხისგან უნდა შედგებოდეს, მზად არის, ხელისუფლებას ერთი თითის დაქნევაზე დაუწვეს და ნებისმიერი არჩევანი გაუპრავოს.

*„კვირის პალიტრა“*



**გიორგი გაჩეჩილაძე, მწვანეთა პარტიის ლიდერი:**

უცხოელები სანაგვეში და ფეკალიებში დასასვენებლად არ დადიან! იმ სასტუმროებისა და ბულვარების მშენებლობას სააკაშვილს ურჩევნია, აჭარაში კანალიზაცია მოაწესრიგოს! რომელ მილიონ ტურისტზეა ლაპარაკი, როდესაც ბათუმიდან პირდაპირ ზღვაში 20 მილიონი კუბმეტრი საკანალიზაციო მასა ჩაედინება! ასევე, პრაქტიკულად, არ იფილტრება ქობულეთიდან ზღვაში ჩამავალი კანალიზაციის შიგთავსი, რომელზეც გურიის კანალიზაციაც არის მიბმული!

*„ასავალ-დასავალი“*

# კონდიმ მიშა «გადააგდო»

**ამ ახალი რუბრიკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კვირის განმავლობაში მომხდარი მნიშვნელოვანი თუ უბრალოდ საინტერესო ფაქტების ობიექტური და სწორი ანალიზის საშუალებით, მიშას დავანახოთ სახელმწიფოში შექმნილი ვითარების რეალური სურათი, ხოლო მის თავგადაკლულ ფანებს „ფართოდ დახუჭული“ თვალები ავუხილოთ.**



ვფიქრობთ, ახალი რუბრიკა „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“ ყველაზე უკეთ ასახავს იმ მდგომარეობას, რომელშიც დღევანდელი ხელისუფლება და, აქედან გამომდინარე, მთელი საქართველო იმყოფება. როცა სააკაშვილი თავის „ნაციონალურ ორკესტრთან“ ერთად გვიჩიჩინებს, „მარადიული გაფურჩქვნის პროცესში“ ვიმყოფებითო, ქვეყანა უფსკრულისკენ სინათლის სიჩქარით მიექანება.

მაგალითად: **ორშაბათს კონდოლიზამ სააკაშვილი „გადააგდო“. სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმ ფაქტს, რომ ბათუმში ჩამოსულმა აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა დუბლინში უკანმოუხედავად მოქუსლა.** არადა, ვიდრე პატივცემული სტუმრები შავ ზღვაში შემოცურდებოდნენ, ხელისუფლების ტაკიმასხარებმა ტვინი წაიღეს, ესაო, ისაო, მოვა დეიდა კონდოლიზა და მერე ნახეთ, როგორ აქოს და ადიდოს „ჩვენი დემოკრატიაო“.

„შავმა ქალბატონმა“ კი ისიც არ იკადრა, რომ ვინმესთვის რაიმე აეხსნა, მოებოდიშებინა, მეჩქარებაო და ისე გაფრენილიყო, ე.ი. სააკაშვილი ძაღლადაც არ ჩააგდო, მეტიც, პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. რატომ? იმიტომ, რომ მიშას იმედი სწორედ აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი გახლდათ, რომელსაც „სააკაშვილ-მერაბიშვილის დემოკრატია“ ქებით ცამდე უნდა აეყვანა და ამით ამერიკელი პატრონებისთვის დაენახვებინა, „ჩვენი შუქურა“ ჯერ კიდევ ბჟუტავსო.

**თუმცა აშშ-ში ყველაზე უკეთ უწყიან, რომ „პროექტი სააკაშვილი“ დასრულდა და ახალ ვარიანტებსაც ამუშავებენ. მიშა გიჟს ჰგავს. ამის თქმა ახლა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით თამამად შეიძლება.** ხუმრობა საქმე ხომ არ არის, კაცს კონდოლიზას შავი ღიმილის ფონზე მსოფლიოსთვის თავი უნდა მოეწონებინა. ხელისუფლება დუმს, არ იცის, რა ახსნა მოუძებნოს ამ ამბავს. ხალხს ეს ფეხებზე კიდია — ამ დაქცეულ ქვეყანაში ვინც არ უნდა ჩამოვიდეს, მაინც არაფერი გვეშველებაო.

ოჰ, ანაკლია, ანაკლია! რამდენი იტრაბახა ჩვენმა მიშამ უმრავლესობასთან შეხვედრის დროს (მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა, კონდოლიზა თუ „გადააგდებდა“), ჩვენ რომ სახელმწიფოს ვაშენებთ, იმნაირი დედამიწის ზურგზე არ არსებობს, ფრენაც ვისწავლე და ახლა, როცა გამიხარდება, მაშინ გავაფრენო.

**„მე არა ვარ დიდი მოყვარული, მაგრამ ბევრ სხვადასხვა უაზრო თემაზე ვხარჯავ დროს, თვითმფრინავის ტარებას ვსწავლობ... გადახვევა გამომივიდა, მაგრამ ისე, რომ დავუკვირდეთ ფრენის საკითხს, ყველაზე კარგი, ადვილი ფრენა არის მაშინ, როცა მფრინავი გემოს დაუჭერს...“** — პრეზიდენტი რომ ასეთ აბდა-უბდას გადმოამჭევრმეტყველებს, ჭკუა აღარ უნდა მოჰკითხო.

სახელმწიფოს პირველმა პირმა საჯაროდ როგორ უნდა თქვას: **„უაზრო თემებზე ვხარჯავ დროს“.** ამ გულრწფელი აღიარებით გამოდის, რომ მას ქვეყნის სამართავად არ სცალია. ამას ვინ ჩივის, თურმე მიშას ფრენისთვის „გემო დაუჭერია“. მამაცხონებულო, მერაბიშვილივით სულ დაჭერები უნდა გელანდებოდეს? ვის გაუგია „გემოს დაჭერა“? მულამი მაინც გეთქვა?!..

ეს კიდევ არაფერი. სააკაშვილი, სულგანაბული და ძალად მომღიმარი „ნაციტების“ წინაშე ისე შევიდა „ბრძნადმეტყველების“ აზარტში, რომ მორიგი სისულელე წამოროშა: **„რა არის ბუნებრივი მართვა თვითმფრინავის?.. ძალიან უნდა მოუჭირო ხელი საჭეს, იღლება ხელი, რაღაც მომენტში გაგეშვება, წახვალ მიწისკენ და დაენარცხები...“**

როგორც ჩანს, მიშას პირდაპირი მნიშვნელობით ესმის სიტყვები: **სახელმწიფოს პირველი პირი.** ძნელია სხვა ახსნა მოუძებნო იმ ფაქტს, რომ ღრმადპატივცემულ პრეზიდენტს **ოცდაოთხი საათის განმავლობაში მოღებული აქვს ეს „პირველი პირი“ და, არის თუ არა სათქმელი, ყველაფერს როშავს.**

მინდა კითხვით მივმართო ხელისუფლების წარმომადგენლებსა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს: **ნუთუ სინდისი საერთოდ არ გაწუხებთ, როცა სააკაშვილის „ნაცოდვილარს“ საათობით უსმენთ, ტაშს უკრავთ და ფინია ძაღლებივით თვალებში შესციცინებთ?.. საოცარია! ამდენი წლის განმავლობაში თქვენ შორის ერთსაც კი არ ეყო იმის ვაჟკაცობა, რომ მიშიკოსთვის სიმართლე ეთქვა!**

**კვირის მნიშვნელოვანი მოვლენებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პრეზიდენტის დისკოთეკაზე მისვლის ფაქტი.** გეკითხებით, რა უნდოდა, ვინ ეპატიჟებოდა? როდის უნდა მოიშალოს ამ კაცმა ეროვნულ და უცხოურ დისკოთეკებზე სირბილი და ახალგაზრდა, მოცეკვავე გოგონების დანახვაზე არაადამიანურად გაბრწყინებულ-გაბოროტებული თვალების ბრიალი? არასოდეს! **საქვეყნოდ არის ცნობილი, რომ მისი აღმატებულება მოზღვავებული ჰორმონების შემოტევას წინააღმდეგობას არ უწევს. პირიქით, იგი მხოლოდ „განჰორმონებაში“ ჰპოვებს „ნამდვილ ბედნიერებას“.**

კიდევ ერთი საინტერესო რამ მოხდა საქართველოში, კონკრეტულად ბათუმში. **ვიღაცას დაებადა თხუთმეტმეტრიანი, დეკორატიული ბურთის „აღმშენებლობის იდეა“, რომლითაც, ალბათ, ევროპელების წინაშე ისევ და ისევ მიშამ უნდა მოიწონოს თავი: „ნახეთ, რამხელა ბურთები გვაქვსო!“.** თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ამის გამგონე ოფიციალური სტუმრები თუ ჩვეულებრივი, მოკვდავი, ტურისტები გაოცებისგან პირს დააღებენ; მითუმეტეს, როცა სააკაშვილი „დიდი ბურთებით“ რამდენიმე ენაზე დაიტრაბახებს. **ისე, ევროპელებს რა უნდა გაუკვირდეთ. ზოგიერთ ქვეყანაში იმხელა „დეკორატიული ისინი“ აქვთ, ამბიციურ პრეზიდენტს მათი დანახვისას ენა ჩაუვარდება...**

კინაღამ დამავიწყდა! **გაურკვეველი, უფრო სწორად, კარგად გარკვეული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე გია თორთლაძემ ხელისუფლების „პიარშიკობაც“ შეითავსა. იგი ჰიმალაის ერთ-ერთ მწვერვალზე ქართული დროშის აღმართვას გეგმავს, რომელსაც ექნება წარწერა: „საქართველო ოკუპაციის გარეშე“.** თორთლაძემ სერიოზულად განიზრახა ამ დროშის 8201 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ჩო იუზე დარჭობა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, **რომ ამ ადამიანს დღემდე ვერ გაუგია, ვინ არის და რა უნდა, ანუ თვითგამორკვევის პროცესშია. იქნებ ჰიმალაიზე გაუნათდეს გონება?!**

**ეგზომ ფვალებული**

## მოკლედ



### სუბელიანი ლტოლვილებს ეწირება

**ბოლო დროს პრესაში თითქმის ყოველდღიურად ქვეყნდება ინფორმაციები კობა სუბელიანის თანამდებობიდან შესაძლო გადაყენების თაობაზე, თუმცა იგი ამ დრომდე მინისტრად რჩება და, როგორც თავად აცხადებს, არსად აპირებს წასვლას.** მიუხედავად ამისა, ვრცელდება ხმები, რომ იგი, შესაძლოა, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ზაზა გოროზიამ ჩაანაცვლოს.

ლტოლვილთა სამინისტრომ დევნილების გასახლების პროცესი მას შემდეგ შეაჩერა, რაც საქართველოში აკრედიტებულმა ელჩებმა სუბელიანის უწყების წინააღმდეგ დიპლომატიური დემარში მოაწყვეს. საგარეო საქმეთა სამინისტროში აღნიშნულ ფაქტს კატეგორიულად უარყოფენ, მაგრამ, როგორც ცნობილი გახდა, მისი გაუხმაურებლობა თავად ელჩებმა ისურვეს. სუბელიანის სავარძელი კი სწორედ ამ დევნილების გამოსახლებას ეწირება.



### კეზერაშვილი წიგნებითაც ვაჭრობს

**ლეიბორისტული პარტიის მტკიცებით, სასკოლო წიგნების ბაზარზე ერთადერთი მონოპოლისტი თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილია.** ეს ახლა, მაგრამ ყოველთვის ასე ხომ არ იყო?! სასკოლო ნივთების ბაზარს კეზერაშვილამდელი პერიოდიც ახსოვს და ისიც, რომ მის მოსვლამდე ყველაფერი სულ სხვაგვარად იყო.

როგორც პარტიის ერთ-ერთი ლიდერი სოსო შატბერაშვილი ირწმუნება, გამოჩნდა კეზერაშვილი და გასამმაგდა ფასები. „სააკაშვილის მთავარი მოლარისა და ქვეყანაში შავი ფულის მთავარი გამთეთრებლის — დავით კეზერაშვილის კუთვნილი კომპანია „კარბო ლოჯისტი გრუპ ჯორჯია“ სხვადასხვა ქვეყნებიდან სასკოლო ნივთებისა და წიგნების ერთადერთი შემომტანია. წვრილ კომპანიებს კი, სააკაშვილის ბრძანებით, საბაჟოებზე საქონლის გადმოტანის საშუალებას არ აძლევენ“, — ამბობს შატბერაშვილმა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ენაბრგვილები მჭევრმეტყველებენ

**შემთხვევით არ დაგვირქმევია ახალი რუბრიკისთვის ასეთი სათაური: „ენაბრგვილები მჭევრმეტყველებენ“. ჩვენი მიზანია, მკითხველს უკეთესად გავაცნოთ იმ პოლიტიკოსების ნააზრევი, რომლებიც ქართულ პოლიტიკაში რაღაცას ცოდვილობენ. ცხადია, ისინი „მჭევრმეტყველებისგან“ შორს არიან, მაგრამ მათ მიერ გამოთქმული ფრაზები საკმაოდ საინტერესო ქვეტექსტებს შეიცავს და ურთიერთლანძღვის იშვიათ ნიმუშებს წარმოადგენს. ეს რუბრიკა ზუსტად და ამომწურავად უპასუხებს კითხვას, თუ ვინ შეიძლება იწოდებოდეს პოლიტიკოსად. პოლიტიკა ბერძნული სიტყვაა და ქვეყნის მართვის ხელოვნებას, მეთოდს ნიშნავს, ხოლო პოლიტიკოსი არის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული პირი. ჩვენს რეალობაში კი ყველაფერი სხვაგვარადაა: რასაც სააკაშვილი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ აკეთებს, ქვეყნის მართვის ხელოვნებასთან საერთო არაფერი აქვს. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ცხოვრებაც, რომელშიც, წესით, პოლიტიკოსი უნდა იყოს ჩართული, მხოლოდ მითია. გამოდის, რომ ჩვენ პოლიტიკოსები არ გვყავს. თუ ჩემი არ გჯერათ, ახალ რუბრიკას გაეცანით და ამ მარტივ ჭეშმარიტებაში იოლად დარწმუნდებით.**

**შალვა ნათელაშვილი**, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:



**„სააკაშვილი დაპატიმრების რეალური კანდიდატია! ამას გეუბნებით როგორც იურისტი!.. სააკაშვილს არ დასჭირდება საჰაერო თბილი წინდებით მომარაგება, მისი მაკლერი სიმამრი იქვე, ახლოს, ცხოვრობს და „პერედაჩს“ მიუტანს!“.**

მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო! თითქმის ოცი წელია, ნათელაშვილი ოცნებობს, ოცნებობს, ოცნებობს... და შეიძლება აუხდეს კიდეც!..

**„მიმდინარეობს საქართველოს სასტიკი ფეოდალიზაცია: სააკაშვილმა კახეთი გადასცა უჯიშო ფეოდალ ადეიშვილს, სამეგრელო – ახალაიებსა და ქობალიებს, მესხეთ-ჯავახეთი მერაბიშვილის სამფლობელოა, იმერეთი – აფერისტი კაკოია ბოზოხიძისა და მაქაცარიასი, მცხეთა-მთიანეთი კი ოკუპანტებთან შეკრულ ჩოჩიევ-ჩოჩელს უფეშქაშა!..“**

ეჰ, რატომ არა ხარ მეფე გიორგი?! თქვენი შემშინებელი დედამიწის ზურგზე არავინ მეგულებოდა, მაგრამ ვცდებოდი. რა მაგარი სირბილი გცოდნიათ. ამბობენ, ნოემბრის მოვლენების დროს, ნათელაშვილი ისე გარბოდა, ფეხებს სულ კეფაში ირტყამდა და ქურციკივით მიხტოდაო.

**ირაკლი მელაშვილი**, „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი:



**„ჩვენ რომ გვსაყვედურობენ — რა გაახურეთ საქმე ამ თქვენი აღმა-დაღმა სიარულითო, რა ვქნათ, სხვა გამოსავალი არ არის!..“**

არის გამოსავალი! ახლა პირიქით, დაღმა-აღმა იარეთ და დანიშნულების ადგილამდე აუცილებლად მიხვალთ. აი, საქმე რომ გაახურეთ, ეგ მართალია. იქნებ გამოკითხვა გეწარმოებინათ იმის შესახებ, უნდა თუ არა ამ დაბეჩავებულ ხალხს პოლიტიკოსების დანახვა და მათი „ნაბჟუტურების“ მოსმენ-წაკითხვა. მერწმუნეთ, შედეგი იქნება „უზარმაზააარი“. არა და არა!

**„მაზიანები“ ჰქონდათ ოპოზიციის ლიდერებს დადებული, რომ 12 მაისს სააკაშვილი თბილისში აღარ იქნებოდა. ერთი 12 მაისიც გავიდა, მეორე 12 მაისიც გავიდა და ეს კაცი ისევ აქ ზის“.**

ოპოზიციას რომ უყუროს კაცმა, იმდენი 12 მაისი გავა და ისე შეაბერდება სააკაშვილი სამეფო ტახტს, რომ ბოლოს, ალბათ, სოკოებიც გამოუვა. „მაზიანებს“ რაც შეეხება, ეტყობა, ე. წ. ოპოზიციის ლიდერები ერთმანეთს „აბოლებდნენ“. თორემ თითქმის ყველა მათგანი სააკაშვილს იყო მიყიდული და სამასათასიანი მიტინგის დაშლისა და „ნაცმოძრაობის“ გადარჩენის გეგმებს სათითაოდ აწყობდა.

**თენგიზ სიგუა**, ყოფილი პრემიერ-მინისტრი:



**„ვინ გელაპარაკება, ამას სააკაშვილი როშავს, ვერ ხედავ, რომ არავითარი რეაქცია არ არის მეორე მხრიდან?“**

რატომ გიკვირთ? საქართველოს „ნეტარი“ პრეზიდენტი, სააკაშვილი, მუდამ ასე საუბრობს თავის თავთან; მნიშვნელობა არ აქვს, უსმენს თუ არა ვინმე. ამ ადამიანს აქვს განსაკუთრებული „ნიჭი“ — ყოველ წინადადებაში, თუნდაც ორსიტყვიანში, სამ ტყუილს მაინც ამბობს; დაახლოებით ისე, როგორც ამას თავის დროზე თქვენ და თქვენი მსგავსი პოლიტიკოსები აკეთებდნენ.

**„სააკაშვილმა უკვე აგვიგდო ჩვენ, ახლა აგდებულ მდგომარეობაში ვართ... მაგას ფეხებზე კიდია საზოგადოებრივი აზრი, რასაც მინდა, იმას ვამბობ და იმას ვაკეთებო... აი, ამან უჩვენა, რომ ხალხი არის ძალიან დაჩმორებული...“**

როცა ბატონი თენგიზი ამ წინადადებას იწყებდა: „აი...,“ გავიფიქრე, უსათუოდ დიდ სიბრძნეს გადმოაფრქვევს-მეთქი და... ასეც მოხდა. ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი რომ დაჩმორებულ-დამონებულ მდგომარეობაში ჰყავს სააკაშვილს, აბსოლუტური ჭეშმარიტებაა. თუმცა პოლიტიკოსს, ყოფილსა თუ მოქმედს, ცოცხალსა თუ მკვდარს, ალბათ, უფრო მეტი თავშეკავება მართებს, ვიდრე ამ რუბრიკის ავტორს.

**ნინო ბურჯანაძე**, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარე:



**„მარაზმშია გადასული ხელისუფლებაც და სააკაშვილიც, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ მარაზმში ვართ გადასულები ჩვენ, ყველანი!“**

რას იწყევლები და რას იდაგები, შე ქალო, ოთხმოცი წლის იმერელი დედაკაცივით? მაშინ არ ვიყავით მარაზმში, როცა ნახევარი საქართველო ბურჯანაძეებს გეკუთვნოდათ? ჩვენ, რიგით მოქალაქეებს, გვაქვს მსგავსი „რაღაცების“ თქმის უფლება, თქვენ — არა! რატომ? იმიტომ, რომ, ვიდრე ხელისუფლებიდან არ გამოგიშვეს, ქვეყანაში დემოკრატია ყვავისო, იძახდი.

განა რამდენი გადაუხადე ამ ღვთისპირიდან გადავარდნილ ე. წ. ოპოზიციონერებს, გვერდში რომ დაგიყენეს და ლამის „თავდადებულ მამულიშვილად“ გაგასაღეს?! ნუთუ მარაზმი არ იყო ის, მამათქვენი ქართველ ხალხს კორმანარევ, კუბალინჯოიან პურს რომ აჭმევდა და მილიონებს აკეთებდა, ჰა? ეს „ჰა“ მრავლისმეტყველია და კარგად დაუკვირდით.

**„ისე, გასაბრაზებელი რომ არ იყოს, გულრწფელად უნდა შეგეცოდოს სააკაშვილი. ადამიანმა, რომელიც არც უნიჭოა და არც უნარმოკლებული, რა დღეში ჩაიგდო საკუთარი თავი და რა დამართა თავის თავს.“**

რა დღეში ჩაიგდო სააკაშვილმა საკუთარი თავი და იმ დღეში, რომ იშოვა მილიარდები, შეიძინა უზარმაზარი უძრავ-მოძრავი ქონება, ისწავლა თვითმფრინავის მართვა... დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად გაფრინდება და ათი ათასი მეტრის სიმაღლიდან დაგვიქნევს ხელს. რა ჭირს შესაცოდებელი?!

**გუბაზ სანიკიძე**, „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი:



**„თვითონ სააკაშვილი არის ხორცშესხმული ეროვნული სირცხვილი. არაფერი ამ ქვეყნისა სააკაშვილს არ სცხია – არც ქცევა, არც მეტყველება, ფასეულობებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. სააკაშვილი არის აბსოლუტურად ანტიქართული მოვლენა და ეროვნული სირცხვილი!“**

დაეთანხმო, დაგიჭერენ! არ დაეთანხმო და... ხვალ ესენი მოვლენ ხელისუფლებაში და მაინც დაგიჭერენ! მოკლედ, ქართული პოლიტიკა თავისი პოლიტიკანებიანად ეროვნული სირცხვილი და ანტიქართული მოვლენაა!

**„დილით რომ მეუბნები, შენთან ვარო და საღამოს ჩემზე ჭორაობ, ასე არ გამოვა ეს ამბავი!“**

გუბაზ ბატონო, თითქმის თუთაშხიასავით გამოგივიდათ: „არაა მაგი ჩემი საქმე, არავის საქმეში არ ვერევი მე და ნურც ნურავინ ჩაერევა ჩემს საქმეში!“

**„ეს პასუხი მჭირდება განსაკუთრებით დასავლეთისა და ამერიკისთვის. მე მათ შუბლზე ავაფარებ ამ დოკუმენტს და ვეტყვი, ა, ძმაო, თქვენი სანაქებო პროექტი, სააკაშვილი, თქვენი „დემოკრატიის შუქურა“ არჩევნებით წასვლას არ აპირებს და მისი სახით მიიღეთ ახალი რობერტ მუგაბე! მუგაბეს ზიმბაბვეში დიდი მხარდაჭერა ჰქონდა, მაგრამ ახლა არის კრეტინი, ავადმყოფი კაცი, რომელიც აშიმშილებს თავის ქვეყანას!“**

„ა, ძმაოს“ რომ ეტყვით, ვერ გაიგებენ. ჯობია, რუსულად მიმართეთ: „ბრატ!“ და ყველაფერი „იასნი“ იქნება.

**ირაკლი ალასანია**, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი:



**„შეფასებებს, ოპოზიციამ მიიძინა ან სული განუტევაო, საკუთარ პარტიაზე ვერ გავიზიარებ“.**

ვერ გაიზიარებთ და ნუ გაიზიარებთ! სიმართლე თუ გინდათ, ეს არის. თქვენმა პარტიამ ჯერ კიდევ მაშინ მიიძინა და მაშინ განუტევა სული, როცა ვითომდა მოკავშირეების ძებნაში იყავით გართული, სინამდვილეში კი უნიჭოდ დაწერილი სცენარის „ორმაგი თამაში ხელისუფლების სასარგებლოდ“ მთავარი მოღალატის როლს მონდომებით ასრულებდით.

თქვენ და თქვენმა „თანამებრძოლებმა“ იმდენი იხტუნეთ წინ და უკან, რომ ხალხმა ვერ გაიგო, „ვისი ბადრიჯანი ვის ბაჟეში იყო“. არჩევნების შემდეგ კი თქვენმა „სულგრძელობამ“ და „დახვეწილობამ“ ყველა გააკვირვა. გვახსოვს, როგორი დინჯი და არაფრისმეტყველი გამომეტყველებით მიულოცეთ სააკაშვილს „გამარჯვება“.

**„ლევან ბერძენიშვილის ზღვარგადასული შეფასებები საზოგადოებას არ უკვირს და არც ეს შეფასებაა ჩემთვის მოულოდნელი“.**

გაგიგებს მაგას ლევანი და ზღვარგადასული შეფასებები მერე ნახე. ძმებმა ბერძენიშვილებმა მუშტი-კრივი იციან, მტრისას! ბოკერიას მაინც ჰკითხეთ, ბარე ხუთჯერ ჰყავთ ნაცემი.

**ედუარდ შევარდნაძე**, ექსპრეზიდენტი:



**„სანდრო კვიტაშვილს არ ვიცნობ და ვერაფერს ვიტყვი. ერთხელ, მახსოვს, პრეზიდენტს ბატები და გედები რომ აერია ერთმანეთში, სანდრო კვიტაშვილი დაეხმარა.“**

აი, ხედავთ, სად გამოადგა კვიტაშვილს ბატი-გედურის ცოდნა! ყოჩაღ სანდრო! მეტი არც მოგეთხოვება, ეგ „განათლება“ სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობისთვის სრულიად საკმარისია.

**გია ბარამიძე**, სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში:



**„ტურიზმის პოპულარიზაციისა და განვითარების მიზნით გახლავართ უკრაინაში.“**

მითხარით, ვინ ეკითხება ევროინტეგრაციის მინისტრს ტურიზმის განვითარების საკითხების მოგვარებას? ბატონო გიორგი, რატომ გვატყუებთ? როდის იყო ქართველი კაცი უკრაინაში ტურიზმის განსავითარებლად დარბოდა?! კარგად ვიცით, „რასაც ავითარებდა“ იქ წლების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლება.

მოამზადა **ეგზომ წვალებულმა**

8 — 14 სექტემბერი, 2010 წელი. №32 (75)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



## არნო ხიდირბეგიშვილი:

# რუსეთმა უნდა განსაზღვროს, რა სურს საქართველოში

**ინტერვიუ პუბლიცისტ და პოლიტოლოგ არნო ხიდირბეგიშვილთან**

**კოსმეტიკური ცვლილებები, აშშ-ის მიერ დანიშნული ერთი მმართველის შეცვლა მეორეთი თუ ისეთი სტაბილური სისტემის შექმნა, რომლის დროსაც დიქტატურა ვერ იარსებებს, ხოლო რუსეთის ფედერაციასთან მეგობრობასა და პარტნიორობას ალტერნატივა არ ექნება!**



**მოღვაწეები, ვისაც რუსული სიტყვა ხალხამდე მიაქვთ, უფრო მეტს აკეთებენ, ვიდრე ერთად აღებული ყველა პოლიტიკოსი, ისინი რუსეთის სიყვარულს აიძულებენ!**

**— ბატონო არნო, თემა, რომელზეც დღეს თქვენთან საუბარი გვსურს, უშუალოდ უკავშირდება რუსული ენისა და მთლიანად რუსული სამყაროს მდგომარეობას საქართველოში. არავისთვის საიდუმლო არაა, რომ თქვენ, უკვე არაერთი წელია, მის გადასარჩენად იბრძვით.**

— აქვე შეგაწყვეტინებთ: ჩემი ბრძოლა, დაინტერესებული მხარის შესაბამისი მხარდაჭერის გარეშე, წმინდა წყლის დონკიხოტობაა! უფრო მეტიც, **ყველა დონ კიხოტს ერთი სანჩო-პანსა მაინც უნდა ჰყავდეს, მე კი მარტო ვარ!** ამ ბრძოლაში თანამოაზრეები არ მყავს.

**— ვის გულისხმობთ დაინტერესებულ მხარეებსა და თანამოაზრეთა არყოფნაზე საუბრისას?**

— უპირველესად, ამით რუსეთი უნდა იყოს დაინტერესებული: **რუსეთი, უბრალოდ, ვალდებულია, მეურვეობა გაუწიოს რუსულ სამყაროს — ენას, კულტურას, მედიას — მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. რუსული ენა რუსულ ტანკზე ძლიერია! მოღვაწეები, ვისაც რუსული სიტყვა ხალხამდე მიაქვთ, უფრო მეტს აკეთებენ, ვიდრე ერთად აღებული ყველა პოლიტიკოსი, ისინი რუსეთის სიყვარულს აიძულებენ! პრაქტიკულად, ისინი რუსეთის გავლენის აგენტები არიან მთელ მსოფლიოში, რომელთა წარმატებული მოღვაწეობა უმაქნისს ხდის „კგბ“-სა და „გრუ“-ს აგენტურის იქ ყოფნას.**

**— უკაცრავად, ბატონო არნო, მაგრამ თქვენ უფრო მეტს ლაპარაკობთ საქართველოში რუსული ენისა და რუსულენოვანი მედიასივრცის მნიშვნელობაზე, ვიდრე რუსეთი, მისი თანამემამულეები საქართველოში და ნაციონალური უმცირესობანი, ერთად აღებული... რით აიხსნება ეს?**

— რუსეთის შესახებ უკვე ვთქვი და, სიტყვა რომ არ შეგეწყვეტინებინათ, აზრს დავასრულებდი: დაინტერესებული მხარეებიდან იმ შეუმდგარ თანამოაზრეებზე გადავიდოდი, რომლებიც წეღან თავად ახსენეთ. **დიახ, მე გაცილებით მეტად ვღელავ რუსული ენის, რუსული სამყაროსა და რუს ხალხთან მეგობრობაზე, ვიდრე თქვენ მიერ ჩამოთვლილები. იმიტომ, რომ ქართველი ვარ და ეს მათზე მეტად მჭირდება!** თანამემამულეებსა და ნაციონალურ უმცირესობებს ისტორიული სამშობლო აქვთ, რომელიც მათ დაეხმარება, დაიცავს და გულში ჩაიკრავს, მე კი მხოლოდ საქართველო მყავს, დანაწევრებული, დაქსაქსული, გაძარცული; და არავინ — *„არც ღმერთი, არც მეფე და არც გმირი“* — არ იზრუნებს მის მომავალზე, გარდა ჭეშმარიტი ქართველებისა!

**ნაციონალური უმცირესობა, ნაციონალური უმრავლესობა... ეს ყველაფერი სისულელეა! მსოფლიოში მხოლოდ ორი ნაციაა — ჭკვიანთა და სულელთა. რომელ მათგანს განვეკუთვნებით ჩვენ, ქართველები, დაე, თითოეულმა ჩვენგანმა იფიქროს...**

ხოლო „რუსეთის ფედერაციის თანამემამულეები“ საერთოდ ნონსენსია: დიახ, იყო ქვეყანა სსრკ და იქ მცხოვრებ ხალხებს ერთი მამული ჰქონდათ, ამიტომაც ეწოდებოდათ თანამემამულეები; უბრალოდ — თანამემამულეები და არა სსრკ-ის თანამემამულეები! რას ნიშნავს რფ-ის თანამემამულეები საქართველოში?! იქნებ, ყველა არაქართველი რუსეთის თანამემამულეა?! ესეც სისულელეა: **რუსეთში მილიონ-ნახევარი ქართველი ცხოვრობს, ამიტომ რუსეთის ფედერაციის თანამემამულეები საქართველოში, პირველ რიგში, თავად ქართველები არიან!**

ჩემთვის არსებობენ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები და რუსეთის მოქალაქეები, ყოველგვარი „თანამემამულის“ ტიპის გარდამავალი რგოლების გარეშე, რომელთაგან ბევრმა 2008 წლის აგვისტოში პროტესტის ნიშნად ნახმარი უნიტაზები მიათრია თბილისში ამჟამად დახურულ რუსეთის საელჩოსთან და რომლებიც, როგორც კი ის კვლავ გაიხსნება, ისევ „ამოიდგამენ ენას“ და საელჩოსთან გრძელ რიგში ჩადგებიან, მუქთა ხიზილალიანი ბუტერბროდის დაგემოვნებისა და „გამარჯვების“ აღსანიშნავად ჭიქა არყის შესასმელად! იმ გამარჯვებისა, რომელსაც თურმე, დაე, შეუმჩნევლად, მაგრამ შეძლებისდაგვარად აახლოებდნენ... **იმდენად შეუმჩნევლად, რომ ვერავინ შენიშნა!**

პასიურობისა და განკერძოებულობის გამო მათ „მეხუთე კოლონასაც“ ვერასგზით უწოდებ. სავსებით მართალი ხართ: **განა რომელიმე მათგანი ამ წლების განმავლობაში საჯაროდ ერთხელ მაინც გამოსულა საქართველოში რუსული ენის დასაცავად?!** არა და აქ საქმე მარტოდენ კონფორმიზმთან, ლაჩრობასთან ან მატერიალურ დაინტერესებასთან როდი გვაქვს. **ისინი ვერ გრძნობენ, უფრო სწორად, საშუალება არ მივეცით, თავი ოდესღაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს სრულუფლებიან მოქალაქეებად ეგრძნოთ! ისევე, როგორც აფხაზებსა და ოსებს, რომლებიც ფართოდ უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილი ცენტრალურ ხელისუფლებაში და ცხინვალსა და სოხუმში პატარა თავადებივით კი არ მსხდარიყვნენ, არამედ თანაბარუფლებიანი პატრონები ყოფილიყვნენ თბილისში! ქართველები და თბილისი მათთვის მშობლიურად ვერ იქცნენ, რადგან გულთან ბოლომდე არ მივუშვით და ყოველთვის ვუვლებდით ზღვარს, რომელსაც ისინი აშკარად გრძნობდნენ! ისინი რუსეთის ფედერაციის „თანამემამულეები“ იყვნენ, შემდეგ კი მისი მოქალაქეები გახდნენ. ხომ არ დადგა დრო, ეს გაკვეთილად მივიღოთ?! ბევრ ჩვენგანს, ქართველს, ოსებსა და აფხაზებთან დისტანცია ეკავა, ასხვავებდა „ქართველსა და არაქართველს“. ჰოდა, მათაც იმათკენ გაიწიეს, ვისაც ისინი თანაბარუფლებიანად მიაჩნია!**

რატომ აღმოჩნდა მოჭიდავე კოკოითი ჩვენზე ჭკვიანი და ოსურთან ერთად რუსული ენაც დააკანონა? **განა „პაგონები ჩამოგვივარდებოდა“, ეს რომ ჯერ კიდევ საქართველოს წინა პრეზიდენტების მმართველობის ხანაში გაგვეკეთებინა, ეგებ მაშინ ჩვენი მოქალაქეები და ტერიტორიები არ დაგვეკარგა?! ამავე დროს უნდა წაგვეხალისებინა სახელმწიფოებრივი ენის — ქართულის სწავლება! როგორ? — უბრალოდ. სახელმწიფოში სერიოზულ თანამდებობებზე დაგვენიშნა აფხაზები და ოსები, ყველა არაქართველისთვის მიგვეცა საშუალება, ცოტათი „საჭე ემართა“! გარწმუნებთ, მაშინ ეს არაქართველები, ქართველებზე უფრო დიდი თუ არა, ნაკლები პატრიოტები არ იქნებოდნენ!**

**თუკი საქართველოში ინგლისური ენის პირველ ადგილზე დაყენება შეიძლება, თანაც მშობლიურ ქართულზე მაღლა, რა აქვს დასაწუნი რუსულს?! განა საქართველოში ტურიზმის არნახულად გასავითარებლად 160-მილიონიან მოსახლიანი მეზობელი ქვეყნის ენა საკმარისი არაა?! განა არსებობს მსოფლიოში მეორე ასეთი ნაყოფიერი ბაზარი ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ღვინისა და მინერალური წყლებისთვის?! განა ეს ერთადერთი არაა, რასაც დღეს ვაწარმოებთ და რასაც უკლებლივ ვყიდდით რუსეთში?!**

**დღეს ჯერ კიდევ არ არის გვიან, რუსული ენა მეორე სახელმწიფო ენად გამოვაცხადოთ — აი, ეს ოსებისა და აფხაზებისკენ გადადგმული ნამდვილად რეალური ნაბიჯი იქნება, გაცილებით რეალური, ვიდრე ჟენევის ფორმატი, ევროპელი შუამავლები და თითიდან გამოწოვილი ინიციატივები!**

მაგრამ დამნაშავე აქ მხოლოდ ჩვენი თავისებური პრეზიდენტები კი არ არიან, რომელთა დროსაც შიდა, ძმათამკვლელი კონფლიქტები ჩაღდებოდა (გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი), **დამნაშავეა მთელი საზოგადოება, რომელმაც ეს კონფლიქტები დაუშვა და მათში აქტიურადაც მონაწილეობდა! ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ბრალი არ მიუძღვით. ისინი ბრძანებას ასრულებდნენ; თანაბრად დამნაშავე არიან ისინი, ვინც ამ ბრძანებებს გასცემდა და ისინი, ვინც ამ ბრძანებას ტაშს უკრავდა!** ახლაც თვალწინ მიდგას ყველა სამთავრობო არხზე არაერთხელ ნაჩვენები 2008 წლის 8 აგვისტოს დოკუმენტური ტელეკადრები, სადაც ერთ-ერთი სოფლის მკვიდრი ქალი საბრძოლველად მიმავალ ჩვენს ტანკებს ცხვირსახოცს უქნევდა სიტყვებით: **„დიდი საქმე კეთდება, დიდი!“** მეორე დღეს ეს კადრები უკვე არააქტუალურად იქცა...

***„ოღონდ შევარდნაძე — არა!“*** — ამბობდნენ საქართველოში 2003 წელს. მერედა რით დამთავრდა კომპანია **„საქართველო შევარდნაძის გარეშე“?!**

***„ოღონდ სააკაშვილი — არა!“*** — ამბობენ დღეს რუსეთში და ავიწყდებათ, რომ **საქართველოს, სააკაშვილის სამშობლოს, შეუძლია მსოფლიოს კიდევ ბევრი სააკაშვილი აჩუქოს! ისინი საქართველოში ახლაც ათასობითაა! ყველა, ვინც დღეს საქართველოში პოლიტიკურ ფავორშია (განურჩევლად იმისა, ხელისუფლებაშია თუ ოპოზიციაში), სააკაშვილია!**

***„რამდენიც არ უნდა იმსჯელონ, რომ ორი წლისწინანდელი მოვლენების შემდგომ რუსული ენა დავიწყებას ეძლევა, ჩვენ გვესმის, ვინ ჩაიდინა დანაშაული და ვინ აგებს ამაზე პასუხს,“*** — განაცხადა 2010 წლის 5 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჯეიკობ ზუმთან მოლაპარაკებების შედეგების თაობაზე ჟურნალისტების შეკითხვებზე პასუხისას. ამის შემდეგ კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ რუსეთის ხელისუფლებას საქართველოში მიმდინარე პროცესების არასრული სურათი აქვს.

**— ბატონო არნო, ჩვენ გარკვეულწილად თემას გადავუხვიეთ...**

— არ გადაგვიხვევია! **„დაე რუსეთმა მოახდინოს საქართველოში თავისი გავლენის რეანიმირება, დაე, მიიჩნიოს ის თავისი ინტერესების ზონად, რეანიმირებული ავადმყოფის დღეები მაინც დათვლილია!“** — ფიქრობენ ამერიკაში და სავსებით მართალიც არიან. **რუსეთში უნდა გაერკვნენ, რა სურთ საქართველოში: კოსმეტიკური ცვლილებები, აშშ-ის მიერ დანიშნული ერთი მმართველის შეცვლა მეორეთი თუ ისეთი სტაბილური სისტემის შექმნა, რომლის დროსაც დიქტატურა ვერ იარსებებს, ხოლო რუსეთის ფედერაციასთან მეგობრობასა და პარტნიორობას ალტერნატივა არ ექნება!“ საერთაშორისო უწმინდურების საჯიჯგნად მეზობელი პატარა მართლმადიდებელი ქვეყნის მიტოვება კი უდიდესი უსამართლობა და სტრატეგიული შეცდომა იქნება მართლმადიდებელი დიადი რუსეთის მხრიდან!**

**მინდა დავძინო: ყველა, ვისაც დღეს საქართველოს პოლიტიკურ ავანსცენაზე ვხედავთ, პირფერი, მოღალატე და ლუსტრირებულია და, რაც მთავარია, სააკაშვილზე გაცილებით უნიჭოა! მათ არ უყვართ და არ იცნობენ რუსეთსა და რუსებს, ამიტომ დროა, ისინი კალენდრის ძველი ფურცელივით „გადავშალოთ“!..**

ესაუბრა
**გიორგი გიგიბერია**

**ყველა, ვისაც დღეს საქართველოს პოლიტიკურ ავანსცენაზე ვხედავთ, პირფერი, მოღალატე და ლუსტრირებულია და, რაც მთავარია, სააკაშვილზე გაცილებით უნიჭოა!**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# კრიზისის ფონზე მოსალოდნელი საპროტესტო გამოსვლებით შეშინებული ხელისუფლება ლტოლვილებს თბილისიდან ერეკება

**საქართველო უფლებადამცველი ორგანიზაციების კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. მიზეზი ომის დროს იძულებით გადაადგილებული ასობით ადამიანის სახელმწიფო შენობებიდან ძალით გამოსახლებაა. დედაქალაქის მერიამ და ლტოლვილთა განსახლების სამინისტრომ ლტოლვილებზე ზრუნვის ახალი პროექტი „პრევენცია“ წამოიწყეს, რაც ლტოლვილთა დიდი ნაწილის სასწრაფო წესით თბილისიდან გასახლებას ითვალისწინებს. რატომ დასჭირდა მერიას ამგვარი ნაბიჯის გადადგმა? ქალაქის მერიას იმ ობიექტების პრივატიზება სურს, რომლებშიც ლტოლვილები წლობით ცხოვრობდნენ თუ ამ ობიექტებით ინვესტორები დაინტერესდნენ?**

## აგენიცა მაისურაძე: თუ ასე გაგრძელდა, ბაგაფშის მთავრობას ჩავბარდებით



**ნურას უკაცრავად!**

**პროექტი გამიზნულია ლტოლვილთა, როგორც ყველაზე დაუცველი და პოლიტიკურად აქტიური მასის თბილისიდან მოშორებისთვის, რათა შემოდგომასა და ზამთარში, მაშინ, როცა სამთავრობო კულუარებში ფინანსური კრიზისის მორიგ ტალღას ელოდებიან, ეს ხალხი ოპოზიციამ არ გამოიყენოს. ვინ-ვინ და ნაციონალებმა ყველაზე კარგად იციან, თუ რა ძალაა ლტოლვილი ხალხი, სწორედ მათი დახმარებით მოვიდნენ ისინი ხელისუფლებაში.**

აფხაზეთიდან დევნილები, 18 წელია, თბილისში ცხოვრობენ. ბევრი მათგანი იმთავითვე ძველ საავადმყოფოებში, ბარაკებსა და გამომცემლობებში შეასახლეს, ახლა კი გამოსახლების ახალი ტალღა დაიწყო. თბილისის მუნიციპალიტეტმა დევნილების თბილისიდან მოშორება გადაწყვიტა. 13 აგვისტოს ათობით დევნილი ავტობუსებით აფხაზეთის საზღვართან, თბილისიდან 350 კილომეტრის დაშორებით, გადაიყვანეს; მისცეს გარემონტებული ბარაკები ელექტროგაყვანილობის, ავეჯისა და დასაქმების პერსპექტივის გარეშე. მანამდე ისინი თბილისში, ისნის სამხედრო ჰოსპიტლისა და ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების მთავარი შტაბის ყოფილ შენობებში ცხოვრობდნენ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ კი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოცხოეწერში დაასახლა.

**სოხუმიდან, ოჩამჩირიდან და გალიდან დევნილი 18 ოჯახი, უკვე კვირაზე მეტია, საკვებისა და ელექტროენერგიის გარეშე უმძიმეს პირობებში ცხოვრობს. ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლებმა თბილისში მათ უთხრეს, რომ ფოცხოეწერში საარსებოდ ყველა პირობა ექნებოდათ, თუმცა მათი დაპირება დღემდე შეუსრულებელია.** ჩამოთვლილ პრობლემებს უმთავრესი, უმუშევრობა, დაემატა. დევნილები თბილისში თავიანთ ოჯახებს ვაჭრობით არჩენდნენ, რაც მოსახლეობისგან დაცარიელებულ ფოცხოეწერში შეუძლებელია. თუ ხელისუფლებამ დევნილებს დროული მატერიალური დახმარება უკვე მეორედ არ აღმოუჩინა, პრობლემებს ვერ გაუმკლავდებიან.

ამ ფაქტს გაეროც გამოეხმაურა. **გაეროს დევნილთა სააგენტომ (UNHCR) შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ გამოსახლებები „აუცილებელი გამჭვირვალობისა და ინფორმაციის ცირკულაციის გარეშე განხორციელდა“.**

თურმე ადამიანის სრული ბედნიერებისთვის ლამინატი და მეტალოპლასტმასის ფანჯრები ყოფილა საჭირო. დაცინვაა, მეტი არაფერი. დევნილებისათვის ისეთი მინიმუმის მიცემაა საჭირო, რითაც ნორმალური საცხოვრებელი ადგილის შეძენას მაინც შეძლებს. 18 წლის შემდეგ ამ ხალხის დევნა კიდევ გრძელდება. ისინი უკიდურეს ზომამდე არიან მისულნი.

**„რასაც გადმოგვიგდებდნენ, იმითაც კმაყოფილი ვიყავით. აყროლებულ შენობებში შეგვასახლეს და სიხარულით ცას ვეწიეთ. ვფიქრობდით, როგორი კეთილშობილური ხელისუფლება გვყავს-თქო. გვშიოდა, გვციოდა და ვითმენდით. ვაცდიდით, გვეგონა ჩვენთვისაც მოიცლიდნენ. მოიცალეს და მხოლოდ უვარგისი ტერიტორიები გამოიმეტეს. 2013 წლის არჩევნებისთვის თუ ჭკვიანურად მოვიქცევით, ალბათ, შუქსაც ჩაგვირთავენ, გაზიც აგვიგიზგიზდება და შადრევნებსაც ააცეკვებენ ჩვენს ეზოებში,“** — აცხადებს ერთ-ერთი დევნილი.

ბევრს უკვე პროტესტის გამოხატვის ძალაც აღარ აქვს და ურეაქციოდ აგრძელებს მონურ ყოფას, რაც ყველაზე შემზარავი და საგანგაშოა. შეიძლება ერთი ღამე ქუჩაში გაათენო, წვიმასა და სიცივეს გაუძლო, მაგრამ მუდმივად ასე ვერ იცხოვრებ. **დევნილების გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა იმ ზომამდე მიიყვანა ბევრი მათგანი, რომ გადაწყვიტეს, რუსებსა და აფხაზებს ჩაბარდნენ და რუსეთის მოქალაქეობა მოითხოვონ.**

**„საქართველოს ხელისუფლებას არ ვჭირდებით. თუ ასე გაგრძელდა, იძულებულები ვიქნებით, ბაგაფშის მთავრობას ჩავბარდეთ. სოხუმში ჩვენს სახლს მოვძებნით, ახლობლები ცხოვრობენ იქ და ვიცით, დანგრეული არაა. იქ მაინც მოგვცემენ თავშესაფარს და ღია ცის ქვეშ ცხოვრება აღარ მოგვიწევს,“** — ეს სიტყვები აფხაზეთიდან დევნილ ქალბატონს აგენიცა მაისურაძეს ეკუთვნის.

შეიძლება ვიღაც გამოვიდეს და თქვას, ეს მოღალატეები რას როშავენო, მაგრამ ფაქტია, გამწარდა ხალხი. მათი უმრავლესობა უკიდურეს გაჭირვებაშია, საშინელ პირობებში ცხოვრობენ და იქიდანაც გამოყრით ემუქრებიან; აძლევენ რაღაც სამარცხვინო კომპენსაციებს, რომლითაც სახლის შეძენა ილუზიაა.

**რამდენიმე დღის წინათ ლტოლვილებმა კონსერვატიული პარტიის წევრ ლაშა ჩხარტიშვილის დახმარებით დევნილთა უფლებების დამცველი ორგანიზაცია ჩამოაყალიბეს. რა სიახლეებია დევნილების საკითხთან დაკავშირებით და მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მიმართავენ თუ არა ისინი რადიკალურ ზომებს, ლაშა ჩხარტიშვილს ვესაუბრეთ.**

**ლაშა ჩხარტიშვილი:**

— მდგომარეობა ისევ ძალიან მძიმეა. ბოლო თვე-ნახევარში 3000-ზე მეტი ოჯახი გამოასახლეს. ეს ადამიანები უსახლკაროდ დარჩნენ და მათი უმრავლესობა ნათესავებს აფარებს თავს. ზოგიერთი კი ქირით ცხოვრებას ახერხებს. უსახლკაროდ დატოვებულთა ბედი მხოლოდ მათ აქტივობაზეა დამოკიდებული. ყველანი უნდა გაერთიანდნენ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ისე ვერაფერს მიაღწევენ. ჩვენი დახმარებით მათ „დევნილთა სამოქალაქო მოძრაობა“ ჩამოაყალიბეს. ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი დევნილი გაათვითცნობიერონ და ჩართონ ამ პრობლემის მოგვარებაში. მიუხედავად ასეთი აქტიურობისა, დევნილთა რაღაც ნაწილი მაინც ფიქრობს, რომ გამოსახლებასა და უგულავა-მერაბიშვილის მიერ განხორციელებულ ძალადობას გადაურჩება. ხელისუფლება ებრძვის საზოგადოების სხვადასხვა ფენას, მათ შორის ლტოლვილებს, გარემოვაჭრეებს. დევნილების გააქტიურებისა და გაერთიანების გარეშე არაფერი გამოვა.

**— რატომ დაიწყეს მაინცდამაინც ახლა დევნილების გამოსახლება?**

— პირველ რიგში იმიტომ, რომ ხელისუფლებამ უკან მოიტოვა 3 არჩევნები და, როგორც ჩანს, მას აღარ სჭირდება დევნილების მოტყუება. სამწუხაროდ, ისინი ამ ხელისუფლებამ ბევრჯერ მოატყუა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ წინასაარჩევნო დაპირებებს შეუსრულებდენ, 2010 წლის მაისში დაკავებულ ფართს დაუკანონებდნენ, მაგრამ დღეს ისინი გარეთ გამოყარეს. მეორეს მხრივ, ხელისუფლება ცდილობს, დაცალოს თბილისი სოციალურად დაუცველი პირებისაგან, იქნებიან ესენი დევნილები თუ გარემოვაჭრეები. მათ, ალბათ, ეშინიათ, რომ ამ ადამიანებს მოთმინების ძაფი გაუწყდებათ და ამიტომ ცდილობენ თბილისიდან მათ მოშორებას.

**— დევნილები ისე არიან გამწარებული პრობლემებით, ზოგიერთი მათგანი აფხაზეთში გადასვლასა და რუსეთის მოქალაქეობის მიღებას აპირებს.**

— ეს არაა გამოსავალი, რადგან პუტინი და სააკაშვილი ერთნაირ პოლიტიკას აწარმოებენ. ამ შემთხვევაშიც დევნილები ცუდ პირობებში აღმოჩნდებიან. ისინი გათელავენ მათ უფლებებს და შეიძლება უარეს დღეში აღმოჩნდნენ, ამიტომ ეს ჩვენ არ გვინდა. ეს ადამიანები იმდენად გულგატეხილები არიან, აღარ იციან, რა გზას დაადგნენ. საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, მათ პრობლემები მოუგვაროს და ასე ბედის ანაბარა არ დატოვოს.

**— ფოცხოეწერში გადასახლებული დევნილები როგორ ეგუებიან იქაურ პირობებს?**

— ამ დროისთვის ფოცხოეწერში ოცამდე ოჯახია ჩასახლებული. არ ვიცი, რის გაკეთებას აპირებენ, მაგრამ ვიცი, რომ არანაირ შესაძლებლობას არ აძლევენ იმისათვის, რომ იარსებონ. ეუბნებიან, მიწა დაამუშავეთ და იმით ირჩინეთ თავიო, მაგრამ მოსავლის აღებამდე ერთი წელია და მანამდე შიმშილით ხომ არ დაიხოცებიან?!

**თეო ტაბატაძე**

# ზუგდიდში დევნილები გააქტიურდნენ და ძალის დემონსტრირებაზეც ალაპარაკდნენ

**ზუგდიდში განსახლებულმა დევნილებმა 7-წლიანი დუმილი დაარღვიეს და ხელისუფლებისთვის პასუხის მოთხოვნის მოტივით ზუგდიდში განთავსებულ აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობას მიადგნენ.**

„რაც ეს ხელისუფლება მოვიდა, ხმა არ ამოგვიღია, ველოდეთ, მაგრამ სასიკეთო ვერაფერი დავინახეთ, არც ისინი ზრუნავენ ჩვენზე. მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია. ბათუმის გალამაზება და მასზე სიმღერა ჩვენს გაჭირვებას არ შველის. სად არის დევნილებისთვის გამოყოფილი თანხები? რატომ არ მიმდინარეობს ჩვენთვის საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა? რატომ ხდება პოლისების გაცემა შერჩევით? რატომ არ ჩამოდიან ჩვენთან ბარამია და სუბელიანი? ჩვენ ვიცით, რომ ისინი არაფრის მაქნისები არიან, ხმას ამოიღებენ და სახლებში გაუშვებენ. ჩვენ მათთან შეხვედრა იმიტომ გვინდა, რომ ჩვენი სატკივარი მიიტანონ ცენტრალურ ხელისუფლებამდე. ამიტომ მოვითხოვთ ზუგდიდში გია ბარამიასა და კობა სუბელიანის ჩამოსვლას“, — განუცხადეს დევნილებმა ამ წარმომადგენლობის ხელმძღვანელს თორნიკე კილანავას და მას ათი დღის ვადა მისცეს. კილანავაც დაჰპირდა, რომ გია ბარამიასა და კობა სუბელიანს მათ დანაბარებს გადასცემდა.

ათი დღის შემდეგ დევნილები ისევ მიადგნენ თორნიკე კილანავას წარმომადგენლობაში, რომელმაც დამაიმედებელი პასუხი ვერ გასცა დევნილებს, უფრო მეტიც, ამ წარმომადგენლობის ქმედუუნარობის შესახებ აუწყა მათ და ერთიანობისკენ მოუწოდა. **„ჩვენი ბიუჯეტი ყოველწლიურად მცირდება, ხდება დევნილების დიფერენციაცია. ჩვენ არც ტენდერებში და არც დაგეგმარებასა და დაპროექტებაში არ გვიძახებენ. არც ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებებში არ გვიწვევენ. არც დევნილებს შორის იგრძნობა აქტიურობა, ამიტომ ერთად უნდა დავდგეთ, უნდა ვიაქტიუროთ, რომ გავხდეთ ანგარიშგასაწევი ძალა,“** — განუცხადა კილანავამ დევნილებს. მისი თქმით, გია ბარამია იყო ჩამოსული სამეგრელოში, შეხვდა წალენჯიხასა და ჩხოროწყუში განთავსებულ დევნილებს და ზუგდიდისთვის კი ვერ მოიცალაო.

რაც შეეხება კობა სუბელიანს, საეჭვოა, ზუგდიდში მათი მოწვევით ჩამოვიდესო.

იმედგაცრუებული დევნილები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ძალის დემონსტრირების გარეშე ვერაფერს მიაღწევენ. **„სანამ ძალას არ გამოვიყენებთ და არ ვაჩვენებთ ხელისუფლებას რა შეგვიძლია, ისნი ჩვენ არ მოგვხედავენ. სანამ პრეზიდენტის დასანახად და გასაგონად საპროტესტო აქციებს არ მოვაწყობთ, ნებისმიერი ასეთი შეხვედრა, წყლის ნაყვა იქნება,“** — აღნიშნეს დევნილებმა, რასაც ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ. **„ჩვენი უბედურება ისაა, რომ ვერ გავერთიანდით და ხელისუფლებას სათანადო პასუხი ვერ გავეცით. ამიტომაც დავდივართ ასე, პანლურამორტყმულები, ამას მე ხმამაღლა ვამბობ, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი,“** — განაცხადა ამ წარმომადგენლობის ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

დევნილებისა და მათი ხელისუფლების აზრები ერთმანეთს დაემთხვა. ასე რომ, შესაძლებელია, მალე ზუგდიდში ერთობლივი საპროტესტო აქცია ჩატარდეს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნით.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ექვსი არშესმენილი რჩევა და ათი მიზეზი, რატომ არის

**უგუნური თავდაჯერებულობით შეპყრობილმა საქართველოს ხელისუფლებამ თავისი რომ არ იცის და სხვისიც არ ესმის, უკვე არაერთხელ დავრწმუნდით. ეს ფაქტი უკვე აღარავის აკვირვებს და დიდად სადარდებელიც არ იქნებოდა, სახელმწიფოს რომ არ აწუხებდეს ამ უმწიფარობით გამოწვეული იარები.**

ჯეიმს კოლინზისა და მეთიუ როჯანსკის წერილმა, რომელსაც აქვე გთავაზობთ, არამარტო მკითხველთა ფართო წრეების დიდი ინტერესი გამოიწვია, არამედ, და რაც მეტად მნიშვნელოვანია, სერიოზულად დააფიქრა პოლიტიკური სპექტრი. გამოცდილი დიპლომატები იმ ათ მიზეზზე საუბრობენ, რის გამოც ვაშინგტონმა მოსკოვთან უნდა ითანამშრომლოს. ბუნებრივია, განსაკუთრებულ სიახლეს ამ პუბლიკაციაში ვერ ნახავთ, **ისედაც ყველასთვის ცხადია, რომ მსოფლიოს ორი უდიდესი და გავლენიანი სახელმწიფოს ურთიერთობა მხოლოდ თანამშრომლობის პრინციპებზე შეიძლება აიგოს, სხვაგვარად კონფრონტაცია გარდაუვალია. არცთუ ისე შორეული წარსულიდან კარგად გვახსოვს დაპირისპირების შედეგები. ახლა კი მსოფლიოში მიმდინარე თუ მოსალოდნელი პროცესები, უპირველესად, გიგანტების პარტნიორობის აუცილებლობაზე მიანიშნებს და ამ დროს პატარა ქვეყნებს ერთობ მოკრძალებულ ადგილს მიუჩენენ ხოლმე სადღაც კუთხეში.**

არ ვიქნებით გულწრფელი, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს ხელისუფლების კეთილგონიერების იმედი გვაქვს და გვჯერა, „კარნეგის ფონდის" პროგრამების ხელმძღვანელების მოსაზრებებს გაითვალისწინებენ. ჩვენს შემთხვევაში საკუთარ შეცდომებზე სწავლის სურვილსაც ნაკლებად ავლენენ ძალაუფლების ეიფორიაში მყოფი „ნაციონალები"; ყველას გვახსოვს მათი ქადილი: „რუსეთს ნიღაბი ჩამოვგლიჯეთ და მისი სახე მთელ მსოფლიოს დავანახეთო". ამ „სახეს" ჯეიმს კოლინზი მთელი ოთხი წლის განმავლობაში მოსკოვში აშშ-ის საელჩოს ყველაზე დიდი კაბინეტის ფანჯრიდან ყოველდღე ხედავდა და ეს ფაქტი მის არგუმენტებს კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას ჰმატებს.

**მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს ომის ორ წლისთავზე საქართველოს ხელისუფლება თითქოს გონს მოეგო, „ვირზე წაღმა შემოტრიალდა" და საგარეო საქმეთა მინისტრის პირით უკვე მერამდენედ განაცხადა, „მზად ვართ, ვესაუბროთ რუსეთს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ საკითხზე ყოველგვარი წინაპირობების გარეშეო", ყველასათვის ნათელია, რომ ამგვარი საუბარი უბრალოდ არ შედგება ცნობილი მიზეზის გამო: რუსეთის ხელისუფლებას არ სურს ურთიერთობა საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან.**

ვითარება ერთობ ტრაგიკულია, არადა, ხელოვნურად გაღვივებული დაპირისპირება გაცილებით იოლად მოგვარდებოდა, საქართველოს ხელისუფლებას, ელემენტარულად, მოსმენა რომ შეეძლოს. ჯერ კიდევ ორი წლის წინათ, აგვისტოს ომი ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც რომ არავის დაესიზმრებოდა და საქართველოს პოლიტიკური სპექტრი 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებოდა, **უცხოურ პრესაში გამოქვეყნდა ცნობილი პოლიტოლოგის, გლობალიზაციის ცენტრის ხელმძღვანელის, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას ვრცელი ინტერვიუ, რომელშიც ავტორიტეტული მეცნიერი მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობდა და კონკრეტულ რჩევებსაც იძლეოდა.** მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტს შემოგთავაზებთ და თავადაც დარწმუნდებით, რომ მათი გათვალისწინების შემთხვევაში ქართული სახელმწიფოსთვის უდიდესი საფრთხეების აცილება ნამდვილად შესაძლებელი იყო.

**„კატეგორიულად უნდა უგულებელვყოთ რაიმე სამხედრო ბლოკში გაერთიანების იდეა, რადგან ეს საქართველოს მტრად აქცევს მეზობელ ძლიერ სახელმწიფოებს... საქართველო მშვიდობიანი, ყველა ქვეყნისადმი კეთილგანწყობილი, ღია და, სამხედრო თვალსაზრისით, ნეიტრალური სახელმწიფო უნდა იყოს".**

**„რუსეთისა და საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესების ერთიანობაზე დაფუძნებით უნდა მივაღწიოთ რუსეთის ხელისუფლების, რუსული პოლიტიკური ელიტის მხრიდან ურთიერთგაგებასა და აქტიურ მხარდაჭერას..."**

**„აუცილებელია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობებსა და ადგილობრივ ელიტურ ჯგუფებთან პირდაპირი დიალოგის გამართვა, ხოლო პარალელურად — მოქალაქეთა მასობრივი კონტაქტებისთვის პირობების შექმნა. ბუნებრივია, პირველ ეტაპზე ეს რუსეთის შუაკაცობით მოხერხდება, მაგრამ დროთა განმავლობაში შემუშავდება მექანიზმი, რომელიც პროცესს შეუქცევად ხასიათს შესძენს. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ დიალოგი შესაძლებელია და კონკრეტული კომპრომისების მიღწევაც სავსებით რეალურია".**

ეს მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია იმ ექვსი რჩევიდან, რომელსაც ცნობილი პოლიტოლოგი ხელისუფლებას სთავაზობდა მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად. თუმცა რჩევებთან ერთად იმასაც აცხადებდა, რომ მის მიერ **შემოთავაზებული წინადადებების განხორციელება მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოს პატრიოტულად განწყობილ ხელმძღვანელობას შეეძლო, რომელიც საკუთარი ხალხის ეროვნული ინტერესებით მოქმედებს.**

სამწუხაროდ, ხელისუფლებამ არ შეისმინა ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას შეგონებები და საქართველო უდიდესი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

## ათი მიზეზი, რის გამოც ვაშინგტონმა მოსკოვთან უნდა ითანამშრომლოს

**წელიწად-ნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც ბარაკ ობამამ რუსეთთან ურთიერთობებში „გადატვირთვის" ღილაკს დააჭირა ხელი, მაგრამ შერიგების პროცესი ჯერ სუსტია, არასრული და მას პოლიტიკური უთანხმოება ახლავს თან. რა თქმა უნდა, რუსეთი შეერთებული შტატებისთვის მარტივი მოკავშირე არ არის.**

**ავტორიტარული, მაგრამ არა უსაფრთხო, ეკონომიკურად მძლავრი, მაგრამ ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი ეს ქვეყანა ცივი ომის დასრულების დღიდან ამერიკელი პრეზიდენტებისთვის გამოწვევაა. ბოლოდროინდელი ამბებიც ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა. ივლისში პრემიერ-მინისტრის ყოფილი მოადგილისა და ოპოზიციური მოძრაობა „სოლიდარნოსტის" ლიდერ ბორის ნემცოვის დაპატიმრებას ობამას ადმინისტრაციის მხრიდან რუსეთის მიმართ ძალიან მწვავე კრიტიკა მოჰყვა. გასულ ოთხშაბათს კი რუსეთმა განაცხადა, რომ აფხაზეთში (რეგიონი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს გამოეყო) საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები განათავსა. ბუნებრივია, ეს განცხადება შეერთებულ შტატებს არ გაახარებდა, რომელიც, უკვე მეორე წელია, იქ არსებული დაძაბულობის განმუხტვას ცდილობს.**



**მაგრამ როგორი რთულიც არ უნდა იყოს ეს პარტნიორობა, ვაშინგტონი თავს უფლებას ვერ მისცემს, არ ითანამშრომლოს მოსკოვთან. რონალდ რეიგანმა ასეთი თანამშრომლობის პრინციპს ყველასთვის გასაგები ფორმულირება მოუძებნა: „ენდე, მაგრამ გადაამოწმე". ეს კარგი სახელმძღვანელო პრინციპი იყო ცივი ომის დროს შეიარაღების შემცირებაზე მოლაპარაკებების მონაწილეთათვის, მაგრამ ის დღესაც აქტუალურია. ურთიერთთანამშრომლობა ერთადერთი გზაა წინსვლისთვის და, აი, ამის დამადასტურებელი ათი მიზეზი:**

1. რუსეთის ბირთვული იარაღი აშშ-ის არსებობისთვის კვლავ საფრთხეს წარმოადგენს. ბერლინის კედლის დაცემიდან ოცი წლის შემდეგ რუსეთის არსენალში კვლავ ათასობით საბრძოლო რაკეტაა, თანაც ასობით ასეთი იარაღი ამერიკულ ქალაქებზეა დამიზნებული და საბრძოლო მზადყოფნის რეჟიმშია. ეს საფრთხე თავისით არ გაქრება, არსენალის შემცირებისთვის საჭიროა პირდაპირი ორმხრივი მოლაპარაკებების გამართვა შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის შეიარაღების შემცირებაზე. ახალი START-ი, სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შემცირებაზე ახალი შეთანხმება, რომლის განხილვაც სენატში იგეგმება, მორიგი ხელშეკრულებაა ორ ქვეყანას შორის შეიარაღებაზე კონტროლის ორმხრივ შეთანხმებათა იმ გრძელ სიაში, რომლის სათავეც ჯერ კიდევ ცივი ომის პერიოდიდან იწყება. დღემდე ის ერთადერთი მექანიზმია, რომელიც რუსეთის ბირთვულ ობიექტებს ამერიკელი ინსპექტორებისთვის ხელმისაწვდომს ხდის. **სტრატეგიული შეიარაღების შემცირებაზე პირველი START-ი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ცივი ომის დროს ბირთვულ შეიარაღებაზე კონტროლის დაკარგვის მოსათოკად, ხოლო ახალი შეთანხმებით, ბირთვული შეიარაღების არსენალი კიდევ 30%-ით უნდა შემცირდეს, დღევანდელი რაოდენობრივი დონიდან, 2200 ერთეულიდან 1500-მდე თითოეული მხრიდან. მეტიც, პრეზიდენტმა ობამამ და მისმა რუსმა კოლეგამ დიმიტრი მედვედევმა ბირთვული შეიარაღების სრულ განადგურებაზე გრძელვადიანი მიზნობრივი ორიენტირი შეათანხმეს, მაგრამ ამის მიღწევას ისინი მხოლოდ ერთობლივი მუშაობით შეძლებენ;**

## ახლახან, აფხაზეთში ჯარების შეყვანის მიუხედავად, ამ ტერიტორიის თაობაზე მოლაპარაკებების გზით დავის მოგვარება ჯერ კიდევ შესაძლებელია

2. რუსეთს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კენჭისყრის დროს საერთაშორისო არენაზე. მოსკოვს, რომელიც ერთ-ერთია გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრიდან, ვეტოს უფლება აქვს და მისი გამოყენება ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებულ ნებისმიერ რეზოლუციაზე შეუძლია. ის სულ ახლახან მოიქცა ასე, როდესაც ირანის წინააღმდეგ უფრო მკაცრი სანქციების შემოღების მცდელობას ჰქონდა ადგილი. ის ასე მოქმედებდა 2009 წელს, როდესაც მსგავსი მცდელობები ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებით ხორციელდებოდა, რომელმაც ბირთვული ცდები მეორედ ჩაატარა. თუკი რუსეთი ასეთ რეზოლუციებს მხარს დაუჭერს, ეს დაარწმუნებს ჩინეთს და სხვა ქვეყნებს, რომ ის არ დაბლოკონ. **გადატვირთვის პოლიტიკის დაწყების შემდეგ მოსკოვისა და ვაშინგტონის ურთიერთობებს ამერიკული დიპლომატიისთვის გამაძლიერებლის ფუნქცია აქვს. რუსეთი არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისეთ ეკონომიკურ ორგანიზაციებში, როგორებიცაა „დიდი რვიანი" და „დიდი ოცეული", რითაც ეკონომიკურ საფრთხეებთან ბრძოლაში კოორდინირებული მიდგომების ფორმირებას უწყობს ხელს.** ასე მაგალითად, 2008 წელს რუსეთმა მხარი დაუჭირა „ოცეულის" რეზოლუციას, რომელიც პროტექციონიზმს, ინვესტიციებისა და ვაჭრობისთვის ბარიერების შექმნაზე უარს ითვალისწინებდა;

3. რუსეთი დიდია. მისი საზღვრები ევროპაზე, ცენტრალურ, აღმოსავლეთ აზიასა და არქტიკაზე გადის. ყველა ამ რეგიონში აშშ-ს მნიშვნელოვანი ინტერესები აქვს და არ შეუძლია იქ დესტრუქციული კონკურენციის დაშვება. **ავღანეთში კონტრპარტიზანული კამპანიის მიმდინარეობის ფონზე შეერთებული შტატები ცენტრალური აზიის რეგიონის სტაბილურობაში უკიდურესადაა დაინტერესებული.** ის რუსეთზე დამოკიდებულია არამხოლოდ უშუალო თანამშრომლობით ზურგის უზრუნველყოფის საქმესა და ინფორმაციის მიღებაში, არამედ ისეთი საფრთხეების გაუქმებაში, როგორიც, მაგალითად, ყირგიზეთში წარმოიქმნა პოლიტიკური არეულობისა და ძალადობის სახით. **მოსკოვის კავშირები პოსტ-საბჭოთა სივრცის ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან კვლავ მტკიცე და მნიშვნელოვანია. მოსკოვს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „გაყინული კონფლიქტების" დარეგულირებაში, რაც ისეთ სახელმწიფოებს, როგორებიცაა მოლდოვა, საქართველო და აზერბაიჯანი ხელს უშლის, მიაღწიონ ეკონომიკურ კეთილდღეობასა და პროგრესს ევროკავშირში გაწევრების გზაზე.** ახლახან მოსკოვმა კვლავ გამოხატა ინტერესი მთიანი ყარაბაღისა და დნესტრისპირეთის გაყინული კონფლიქტების დარეგულირებაზე. **ახლახან, აფხაზეთში ჯარების შეყვანის მიუხედავად, ამ ტერიტორიის თაობაზე მოლაპარაკებების გზით დავის მოგვარება ჯერ კიდევ შესაძლებელია. ასეთი დარეგულირების ფარგლებში აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილი შეიძლება დაუბრუნდეს საქართველოს, სანაცვლოდ კი აფხაზეთი შეინარჩუნებს ავტონომიურ სტატუსს, ისევე, როგორც მეორე თვითგამოცხადებული რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთი;**

4. უდიდესი მნიშვნელობა აქვს რუსეთის ბუნებრივ პირობებს. ეს თვალსაჩინოდ და ძალიან დრამატულად ცხადყო რუსეთის დასავლეთში გაჩენილმა კატასტროფულმა ხანძრებმა. ეს ქვეყანა ერთდროულად არის როგორც მსოფლიოში მიმდინარე კლიმატური ცვლილებების მსხვერპლი, ასევე უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრეების პატრონი; მათ შორის, გადამწვარი ტყეებისაც, რომლებიც აუცილებელია გლობალური დათბობის აღსაკვეთად. **რუსეთი, რომელსაც დედამიწაზე ხმელეთის 10% უკავია და ფლობს მტკნარი და ოკეანის წყლების უზარმაზარ რესურს, ასევე მენდელეევის პერიოდული სისტემის თითქმის ყველა ელემენტის საბადოს, შეუცვლელი პარტნიორია მსოფლიოს ▶**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რომელთა გათვალისწინება გვმართებს

# რუსეთი მნიშვნელოვანი

**...გარემო პირობების პასუხისმგებლიანი განკარგვის საკითხებში; რაც შეეხება კლიმატურ ცვლილებებს, აქ სერიოზული მუშაობაა საჭირო, თუმცა პროგრესი აშკარაა.** რუსეთს გამონაბოლქვის მოცულობით მსოფლიოში მეოთხე ადგილი უკავია, მაგრამ, კოპენჰაგენის შეთანხმებაზე ხელმოწერით, მან აიღო ვალდებულება, რომ ამ გამონაბოლქვს 1990 წლის დონეზე დაბლა, 20-25%-ით, შეამცირებდა. კიდევ ერთი ნეგატიური მომენტია ის, რომ რუსეთი ნავთობის მოპოვების დროს თანმდევ აირს მაშხალაში წვავს, თუმცა მედვედევი დასთანხმდა, წვის დროს დღეს ატმოსფეროში მიმავალი აირის 95%-ის შეგროვებას. მან შარშან, ასევე, მოაწერა ხელი რუსეთში პირველ კანონს ენერგოეფექტურობაზე, რომელიც მოითხოვს, რომ პროდუქტს ენერგოეფექტურობის დონის მიხედვით შესაბამისი მარკირება უნდა გააჩნდეს, ასევე, 2014 წლის შემდეგ ნათურების გავარვარებაზე აკრძალვას აწესებს. დიახ, რუსეთი სხვა ვალდებულებებში ვადებითა და შედეგებით ჩამორჩება, მაგრამ ისევე, როგორც ჩინეთმა დაალაგა ამ მხრივ სიტუაცია პეკინის ოლიმპიადის წინ, **მოსკოვს შეუძლია, მისი სიმტკიცე რეალობად საოცრად სწრაფად აქციოს, თუკი საერთაშორისო თანამშრომლობა სწორად და საკმარისად იქნება აწყობილი. იმავე დროს რუსეთს იმ ყველაფრის უზარმაზარი ბუნებრივი მარაგებიც აქვს, რაც კლიმატს ასუფთავებს: ცალკე აღებულ მის ციმბირის რაიონებში იმაზე მეტი ჟანგბადის გამომმუშავებელი ტყეები და მტკნარი წყლის მარაგია, ვიდრე მთელ კონტინენტურ ევროპაში;**

5. რუსეთი მდიდარია. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ცნობილ ჯგუფში „ბრიკი“ რუსეთის აღმნიშვნელი ასოა „რ“. ბაზრის მოცულობით, ის მსოფლიოში მეთორმეტე ადგილზეა, ხოლო სავალუტო მარაგებით — მესამეზე და ამ ქვეყნის როლი მსოფლიო ბაზრებზე მხოლოდ იზრდება. **რუსეთი ნედლეულით ვაჭრობაში მნიშვნელოვანი მოთამაშეა. იქ მყიფე, მაგრამ მაინც მიმზიდველი საფონდო ბირჟა მუშაობს და ეს ქვეყანა უცხოური ინვესტიციებისთვის გახსნილია, მათ შორის იმ სფეროებშიც, რომლებიც სახელმწიფოს ეკუთვნის.** რუსულ კომპანიებს სულ უფრო ხშირად უჭირავთ თვალი ქვეყნის ფარგლებს მიღმა, მიისწრაფვიან სტრატეგიულ პარტნიორობათა ფორმირებისკენ, აქტივების შეძენისა და იქ მათი პროდუქციის რეალიზაციისკენ. **რუსეთი, რომელსაც ძალიან მტკივნეულად გადააქვს მსოფლიო ფინანსური კრიზისი (ეკონომიკური ზრდა იქ 2009 წელს თითქმის 8%-ით შემცირდა), უკიდურესადაა დაინტერესებული იმით, რომ მსგავსი მოვლენები აღარ განმეორდეს.** პერიოდული უკანდახევების მიუხედავად, ისეთების, როგორიცაა, მაგალითად, ზაფხულის ხანძრების შემდეგ ხორბლის ექსპორტის აკრძალვა, **რუსეთს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, თავისუფალი ვაჭრობით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანდეს. მოსკოვი ცდილობს, მისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდეს ამერიკული და ევროპული ტექნოლოგიები და მმართველობითი უნარები, რათა საკუთარი თავის მოდერნიზება მოახდინოს.** გადამეტებული ბიუროკრატია და ფართოდ გავრცელებული კორუფცია რუსეთის შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას ყველაზე სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნის, მაგრამ მედვედევმა, რომელიც მოდერნიზაციისკენ მიისწრაფვის, ძალიან აქტიური საუბარი დაიწყო ამ პრობლემების გაუქმების აუცილებლობაზე, ხოლო თანამშრომლობა დასავლეთის ისეთ გამჭვირვალე ქვეყნებთან, როგორიც შეერთებული შტატებია, მას ამ საქმეში დაეხმარება;

6. ერთი სიტყვა: ენერგია. ამერიკა მისი ცხოვრების წესით ძლიერაა დამოკიდებული ნედლი პროდუქციის (განსაკუთრებით, ბენზინი, ბუნებრივი აირი და ნახშირი) სტაბილურ და პროგნოზირებად ფასებზე. რუსეთი კი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს საწვავის ამ ორგანულ სახეობათა მოპოვების, წარმოებისა და მათზე ფასების ფორმირების საქმეში. **რუსეთი მსოფლიოში ცნობილი აირის მარაგების დაახლოებით მეოთხედის მფლობელია და დღეს ის გლობალური ექსპორტის 20%-ზე მეტს უზრუნველყოფს. ნავთობის მოპოვების საქმეში მას, საუდის არაბეთის შემდეგ, მსოფლიოში მეორე ადგილი უკავია და, შეერთებული შტატების შემდეგ, მეორეა ნახშირის საბადოების მოცულობით. ვაშინგტონისთვის კარგი ამბავია ის, რომ რუსეთი ე. წ. „ოპეკის“ ქვეყნების ნავთობმომპოვებელი კარტელის წევრი არ არის, რისი წყალობითაც, მას მოქმედების მეტი თავისუფლება აქვს და, ექსპორტის შემცირების ნაცვლად, მისი გაზრდა შეუძლია, რითაც ფასებს დაწევს.** როდესაც საუბარია ბაზრისთვის ენერგორესურსების მიწოდებაზე, ცხადია, ბევრი გაიხსენებს ე. წ. გაზის ომებს რუსეთსა და უკრაინას, ასევე, რუსეთსა და ბელარუსს შორის, რომელთა გამოც ბოლო წლებში აღმოსავლეთ ევროპა რამდენიმეჯერ კინაღამ გაიყინა. დიდწილად პრობლემა საბჭოთა მემკვიდრეობაა – რუსეთის დასავლელი მეზობლების ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა, რომლებსაც დასავლეთში რუსული გაზის მომარაგების გადაფარვა შეუძლია. დღესდღეობით მოსკოვი ამ პრობლემის გადაწყვეტის გზებს აშშ-თან, ჩინეთთან და დასავლეთ ევროპასთან ერთად ეძებს, რაც მოითხოვს ახალი მილსადენების მშენებლობას ბალტიისა და შავი ზღვების, ასევე, ციმბირის გავლით;

7. რუსეთი ტერორთან (და სხვა უბედურებებთან) ომში ერთგული მოკავშირეა. **2008 წლის რუსულ-ქართული ომის შემდგომ, რთულ დღეებშიც კი, მოსკოვი და ვაშინგტონი ეფექტურად განაგრძობდნენ თანამშრომლობას ტერორიზმთან, ნარკოტიკებთან, ინფექციური დაავადებების გავრცელებასთან ბრძოლის, ასევე, სხვა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრიორიტეტულ სფეროებში.** ბოლო დროს ქვეყნები მუშაობენ ორმხრივი საპრეზიდენტო კომისიების ფარგლებში და ისეთი კატასტროფების შემდგომი დახმარების სტრატეგიის კოორდინირებას ახდენენ, როგორიცაა მიწისძვრა ჰაიტიზე და შეტაკებები ყირგიზეთში. ვაშინგტონიც და მოსკოვიც აღიარებენ, რომ ამგვარ კრიზისებზე სწრაფ და ორგანიზებულ პასუხებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სისუსტეების დაუშვებლობისა და მათი გამოყენების აღსაკვეთად, მაგალითად, ექსტრემისტული დაჯგუფებების მხრიდან, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების ვაკუუმით მხოლოდ გაიხარებდნენ. **რუსეთი შეერთებული შტატების უმნიშვნელოვანესი პარტნიორია, ასევე, მის სამართალდამცავ საქმიანობაში ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ.** ამ ეტაპზე ეს ორი ქვეყანა ცენტრალურ აზიაში კონტრაბანდის მარშრუტების შესწავლითაა დაკავებული, ხოლო რუსეთი შეერთებულ შტატებს აწვდის ინფორმაციას, რომელიც თალიბებისა და ავღანელი საველე მეთაურების დაფინანსების საიდუმლო ქსელებს ეხება;

8. გზა თეირანისა და ფხენიანისკენ მოსკოვზე გადის. რუსეთს უნიკალური ურთიერთობები აქვს ირანთან და ჩრდილოეთ კორეასთან. ეს ქვეყნები კი ვაშინგტონს ყველაზე მეტად აშფოთებს ბირთვული გაუვრცელებლობის თვალსაზრისით. წარსულში კრემლი საკუთარ გავლენას მოლაპარაკებების წარმოების შესაძლებლობათა შენარჩუნებისთვის იყენებდა. ის მაღალი რანგის დიპლომატებს გზავნიდა თეირანში და მას ისეთ სტიმულებს სთავაზობდა, როგორიცაა, მაგალითად, მშვიდობიანი ატომის ათვისება და შეიარაღების მიწოდება (მართალია, მოსკოვი არ ჩქარობს ირანისთვის თანამედროვე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების S-300-ის გადაცემას, რომელთა გამოყენებაც აშშ-ისა და ისრაელის საჰაერო თავდასხმის ჩაშლისთვის შეიძლება). **ვაშინგტონს დღეს მოკავშირეები ისე სჭირდება, როგორც არასდროს, მოკავშირეები, რომლებსაც ისეთი ზემოქმედების ბერკეტები აქვთ, რომ შეუძლიათ დამნაშავეთა დასჯა და ბირთვული შეიარაღების გავრცელების აღკვეთა მთელ მსოფლიოში. აუცილებელია, ასევე, მოძრაობის მართვა პირადი მაგალითით, ხოლო, რადგან შეერთებული შტატები და რუსეთი მსოფლიოში უმსხვილესი ბირთვული სახელმწიფოები არიან, მათ სტანდარტების კანონმდებლებად აღიქვამენ.** თუკი ისინი ვერ შეძლებენ ბოლოდროინდელი მოკრძალებული შეთანხმების რატიფიცირებას ბირთვული შეიარაღების ურთიერთკონტროლზე, მათ გაუჭირდებათ, სხვა ქვეყნებს გაუვრცელებლობის სფეროში მსგავსი ქმედებებისკენ მოუწოდონ;

9. რუსეთს შეუძლია, იყოს მშვიდობისმყოფელი. მოსკოვს შეუძლია, გარკვეული როლი ითამაშოს საკვანძო რეგიონალური კონფლიქტების მოგვარებაში, ხოლო თუკი ის ამას მოინდომებს, პროგრესის გზაზე ხარვეზების გამოსწორებაც ძალუძს. **რუსეთი ახლოაღმოსავლური „კვარტეტის“ წევრია, რომელიც ექვსმხრივ მოლაპარაკებებს აწარმოებს ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღისგან თავისუფალ ზონად გარდაქმნაზე. მოსკოვი არის იმ სამუშაო ჯგუფების წევრიც, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცის კონფლიქტების დარეგულირებაზე მუშაობს. ეს არის ეუთოს მინსკის ჯგუფი მთიან-ყარაბაღზე, ასევე, ჯგუფი 5+2 დნესტრისპირეთის კონფლიქტზე. ასეთ პოსტსაბჭოთა რეგიონებში რუსეთს ტერიტორიული დავების მშვიდობიან მოგვარებაში წვლილის შეტანის უნიკალური უნარი გააჩნია.** მას შეუძლია სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის უზრუნველყოფა ყოფილ მოწინააღმდეგეებს შორის, ასევე, მშვიდობისმყოფელის როლის შესრულება დარეგულირებაზე საბოლოო შეთანხმების მიღწევის შემდეგ. ახლო აღმოსავლეთში რუსეთი ძველებურად მართავს მნიშვნელოვან კომერციულ და სადაზვერვო ქსელს და დიდი გავლენა აქვს სირიელებზე, რომლებისთვისაც საჭიროა იმისკენ მოწოდება, რომ უფრო პროდუქტიული როლი ითამაშონ არაბულ-ებრაულ სამშვიდობო პროცესში;

10. რუსეთი ამერიკულ პროდუქციას ყიდულობს. ვიდრე ამერიკული ეკონომიკა ცდილობს რეცესიისთვის თავის დაღწევას, ყველა ეთანხმება იმას, რომ ექსპორტის გაზრდა ეკონომიკური ზრდისთვის საკვანძო კომპონენტია, რუსეთი კი მსხვილი ბაზარია. ამერიკულმა კომპანიებმა: „Boeing“-მა, „International Paper“-მა და „John Deere“-მა მილიარდობით დოლარი ჩადეს რუსეთში შვილობილ და ერთობლივ კომპანიებში. **მთლიანობაში დღეს რუსეთში ბიზნესი ათასზე მეტ ამერიკულ კომპანიას აქვს. ისინი იქ მარტო იმისთვის არ მუშაობენ, რომ მისი უზარმაზარი ბუნებრივი რესურსები და მაღალკვალიფიციური მუშახელი გამოიყენონ, არამედ იმიტომაც, რომ ამერიკულ პროდუქციაზე დააკმაყოფილონ მისი მოთხოვნილება.** რუსეთის საშუალო ფენას ფართო მოხმარების საქონელი სჭირდება და ქვეყნის კომპანიები სულ უფრო აქტიურად ცდილობენ მოწინავე ამერიკული ტექნიკისა და აღჭურვილობის შეძენას. 2004 წლიდან 2008 წლამდე, როდესაც ფინანსური კრიზისი წარმოიქმნა, აშშ-სა და რუსეთს შორის სავაჭრო ბრუნვამ 100%-ს გადააჭარბა და წლიური მაჩვენებლით 36 მილიარდ დოლარს მიაღწია; მართალია, 2009 წელს ეს ციფრი მესამედზე დავიდა, მაგრამ მომავალ ათწლეულში დაბალანსებული სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისა და ჩამოყალიბებისთვის დიდი პოტენციალი არსებობს.

**მოკლედ, რუსეთი აუცილებელია. და ვიდრე შეერთებული შტატები მსოფლიო ეკონომიკაში მონაწილეობს და საკუთარი საზღვრების მიღმა ინტერესები აქვს, მას არ ექნება სხვა გამოსავალი, თუ არა რუსეთთან ურთიერთობის მხარდაჭერა.**

**კარგი ურთიერთობები კი უკეთესია.**

**ჯეიმს კოლინზი,**
აშშ-ის ელჩი რუსეთში 1997-2001 წლებში; „კარნეგის ფონდში“ საერთაშორისო მშვიდობისთვის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამების ხელმძღვანელი;

**მეთიუ როჟანსკი,**
„კარნეგის ფონდში“ საერთაშორისო მშვიდობისთვის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამების ხელმძღვანელის მოადგილე.

Forieng polisy



**პოსტსაბჭოთა რეგიონებში რუსეთს ტერიტორიული დავების მშვიდობიან მოგვარებაში წვლილის შეტანის უნიკალური უნარი გააჩნია**

**რადგან შეერთებული შტატები და რუსეთი მსოფლიოში უმსხვილესი ბირთვული სახელმწიფოები არიან, მათ სტანდარტების კანონმდებლებად აღიქვამენ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# რუსეთი „კრასნოდარის არმიას“ ქმნის

**გენერალ-ლეიტენანტ იური ნეტკაჩევის განცხადებით, რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ქვეყნის სამხრეთით შეირაღებული ძალების დაჯგუფება გააძლიეროს.** მისი ინფორმაციით, ახალი „კრასნოდარის არმიის“ შტაბი მაიკოპთან განლაგდება. მის დაქვემდებარებაში გადავა ყველა სამთო შენაერთი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაშია დისლოცირებული, მათ შორის ახალშექმნილი სამთო ბრიგადები დაღესტანსა და ყარაჩაი-ჩერქეზეთში, აგრეთვე, აფხაზეთში განლაგებული ქვედანაყოფები, — წერს „Независимая Газета“.

# რისთვის ემზადება აზერბაიჯანი?



**„რუსეთი აზერბაიჯანს ოთხ სამაშველო „Ка-32“-ის ტიპის ვერტმფრენს მიაწვდის“, — იტყობინება „АРА“.** სავარაუდოდ, საუბარია მოდიფიკაცია „Кд-32ПС“-ზე. ეს უკვე მეორე კონტრაქტია მსგავსი ტიპის ვერტმფრენებზე, 2 „Ка-32“ აზერბაიჯანმა მიმდინარე წლის მაისში მიიღო. უკრაინაში კი აზერბაიჯანელებმა გასულ წელს 11 ვერტმფრენი „Ми-24“ და ერთი თვითმფრინავი „МиГ-29УБ“ შეიძინეს, აგრეთვე, — 29 „БТР-70 და 35 თვითმავალი ჰაუბიცა: მათ შორის 29 არის 122 მმ. „2С1 Гвоздика“, ექვსი კი — 152 მმ. „2С3 Акация. შედარებისთვის: საქართველომ 2009-ში უკრაინაში მხოლოდ 5 „БТР-70“ შეიძინა.

# იმედია, ეს ომი არ მოხდება

**ავსტრალიურმა ანალიტიკურმა ცენტრმა „Air Power Australia“-მა გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც შედარებულია აშშ-ის საბრძოლო ავიაციისა და რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის შესაძლებლობები.** ექსპერტებმა შესაძლო კონფლიქტში ამერიკული ავიაციის გადარჩენის შესაძლებლობა გამორიცხეს. მათი აზრით, რუსულ საჰაერო თავდაცვის საშუალებებთან ვერაფერს გახდებიან არა მხოლოდ „F-15“, „F-16 და „F/A-18, არამედ მეხუთე თაობის „F-35 Lightning II-იც კი. ისინი თვლიან, რომ „С-400 Триумф“-ს დღესდღეობით მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. ერთადერთი ამერიკული თვითმფრინავი, რომელიც შესაძლო დაპირისპირებაში საიმედოდ გამოიყურება, „F-22 Raptor“-ია. ავსტრალიელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მისი წარმოების შეწყვეტა აშშ-ის მხრიდან სტატეგიული შეცდომა იქნება.

# ევროპაში საზიარო ფლოტი იქმნება



**„The Time“-ის ცნობით, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ავიამზიდების ერთობლივ გამოყენებას გეგმავენ.** საუბარი ორ ბრიტანულ და ერთ ფრანგულ ხომალდს ეხება. გეგმის თანახმად მუდმივ მორიგეობას ზღვაში ერთ-ერთი მათგანი განახორციელებს. გამოცემის ვარაუდით, იდეა ნაკარნახევია ეკონომიკური მოსაზრებებით; მისი ხორცშესხმის შემთხვევაში, ბრიტანეთს შეეძლება, უარი თქვას ორი სარეზერვო (თითოეული 5,2 მილიარდი ფუნტის ღირებულების) ავიამზიდის აგებაზე და დღეს არსებულ „HMS Ark Royal“-სა და „HMS Illustrious-ს მხოლოდ ერთი ხომალდი დაამატოს.

# პირველად ჩინეთის ისტორიაში

**ჩინეთი პირველი ავიამზიდის აგებას წლის ბოლომდე შეუდგება, — იტყობინება იაპონური სააგენტო „კიოდო“.** მოსამზადებელი სამუშაოები დასრულებულია, ამასთანავე, აშენებულია ორი საწვრთნელი კომპლექსი, სადაც მომავალი ავიამზიდისთვის მფრინავებს მოამზადებენ. 2015 წლამდე დაგეგმილია ფლოტის შემადგენლობაში ორი ხომალდის შეყვანა, ხოლო 2020 წლისათვის ჩინელები მწყობრში კიდევ ორი (ატომური) ავიამზიდის აგებას გეგმავენ, რაც აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ძალთა ბალანსს მნიშვნელოვნად შეცვლის. „კიოდოს“ ცნობით, მონაწილეობას პირველი ჩინური ავიამზიდის შექმნაში უკრაინელი გემთმშენებლებიც მიიღებენ.

# ბუნდესვერის მზე ჩაესვენა

**ის ტემპი და გაქანება, რომლითაც გერმანიის ხელისუფლება ბუნდესვერს ამცირებს, დამკვირვებლების გაკვირვებას იწვევს. საინტერესოა, რა პროცესები მიდის არმიაში, რომელიც „ცივი ომის“ დროს დასავლეთ ევროპაში ყველაზე ძლიერი იყო. პირადი შემადგენლობა, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინათ 250 ათასამდე შემცირდა, კიდევ 100 ათასით შეიკვეცება. სახმელეთო ჯარებში 92 ათასი სამხედრო მოსამსახურის ნაცვლად 54 ათასი დარჩება. ზურგისა და უზრუნველყოფის სამსახურში საშტატო ერთეულების ორი მესამედი გაუქმდება, იქ 34 ათასამდე ადამიანი იმსახურებს, სამედიცინო სამსახურში კი — 12,5 ათასი.**



გეგმა „Modell 4“-ის თანახმად, რომლითაც თავდაცვის უწყება არმიის რეორგანიზაციის პროცესში, სავარაუდოდ, იხელმძღვანელებს, დივიზიებისა და ბრიგადების რგოლი საერთოდ გაუქმდება; ბატალიონები ყოფილი დივიზიების შტაბების საფუძველზე შექმნილ 4 „ოპერატიულ სარდლობას“ დაექვემდებარებიან. ამავე დროს, სატანკო და მოტომსროლელთა ბატალიონების ხარჯზე მსუბუქი ქვეითების ხვედრითი წილი გაიზრდება.

## სატანკო და მოტომსროლელთა ბატალიონების ხარჯზე მსუბუქი ქვეითების ხვედრითი წილი გაიზრდება

პირველ ოპერატიულ სარდლობას ორი სატანკო, ორი მოტომსროლელთა და ოთხი მსუბუქ ქვეითთა ბატალიონი დაექვემდებარება; ამასთანავე, სადაზვერვო, საარტილერიო, საინჟინრო და ლოჯისტიკის ქვედანაყოფები; სულ — 10 ათასამდე სამხედრო, 116 ძირითადი საბრძოლო ტანკი, 88 ქვეითთა საბრძოლო მანქანა, 100-მდე საარტილერიო დანადგარი.

მეორე ოპერატიულ სარდლობას დაექვემდებარება საჰაერო-სადესანტო და მსუბუქი ქვეითების აერომობილური ქვედანაყოფები, აგრეთვე, მოიერიშე და სატრანსპორტო ვერტმფრენები. სულ 7000-მდე სამხედრო, 40 მოიერიშე ვერტმფრენი, 80 მსუბუქი და 96 საშუალო სატრანსპორტო ვერტმფრენი.

მესამე ოპერატიულ სარდლობას დაექვემდებარება ისეთივე ქვედანაყოფები, როგორც პირველს ერთი სატანკო ბატალიონის და საარტილერიო ქვედანაყოფის გამოკლებით (58 ძირითადი საბრძოლო ტანკი, 88 ქვეითთა საბრძოლო მანქანა). მეოთხე ოპერატიული სარდლობის განკარგულებაში ამდენივე ტექნიკა და 50-მდე საარტილერიო დანადგარი იქნება, რადგან მას შერეული საარტილერიო პოლკი დაექვემდებარება, მსუბუქი ქვეითების ბატალიონთა რაოდენობა ამ შემთხვევაში ერთით ნაკლებია, მათ ადგილს სამთო მსროლელები იკავებენ.

სატანკო პარკი, რომელიც „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში 10-ჯერ შემცირდა და ამჟამად მხოლოდ 390 ძირითად საბრძოლო ტანკს ითვლის, 270 ერთეულამდე შემცირდება; ნაწილობრივ გაუქმდება „Leopard 2“ -ის მოდერნიზაციის პროგრამაც. ადრე ნავარაუდევი 450 ერთეულის ნაცვლად შეძენილი იქნება მხოლოდ 280 ქვეითთა საბრძოლო მანქანა „Puma“. შემცირდება იმ ვერტმფრენების რაოდენობაც, რომელთა შეძენას ბუნდესვერი გეგმავდა: 40 „Tiger (80-ის ნაცვლად) და 90 (122-ის ნაცვლად) სადესანტო-სატრანსპორტო „NH-90“.

„Deutsche Marine შეირაღებიდან ხსნის 8 ფრეგატს 15-დან, 10 (ყველა) სარაკეტო კატარღა „Gepard-ს და 21 (ყველა) ვერტმფრენ „Sea King“-ს. 10 წყალქვეშა ნავიდან დარჩება მხოლოდ უახლესი 212 პროექტის სუბმარინები, სულ ახლახან მოდერნიზებულ 206 პროექტის წყალქვეშა ნავებს კი ჩამოწერენ. ახალი ხომალდებიდან ფლოტი მიიღებს ►

# რატომ არ ესვრიან მტერს ჯარისკაცები?

**საქმეში ჩაუხედავი ადამიანების წარმოდგენით, სამხედროები საბრძოლო მოქმედებების დროს მოწინააღმდეგეს ისეთივე სიზუსტითა და შემართებით ესვრიან, როგორც სწავლებებზე, რეალობა კი ცოტა სხვანაირია; ადამიანს, იმისათვის, რომ სხვა ადამიანს ესროლოს, ძალიან სერიოზული ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა უწევს.**



მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჯორჯ მარშალმა ჩაატარა გამოკვლევა, რომლის შედეგებმა ამერიკელი გენერლები საგონებელში ჩააგდო. ომში მონაწილე ქვეითების გამოკითხვით დადგინდა, რომ მოწინააღმდეგის მიმართულებით მათგან მხოლოდ 25% ისროდა. ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ აქ საუბარია არა სროლაზე დამიზნებით, არამედ სროლაზე მოწინააღმდეგის მიმართულებით; დამიზნებით გამოკითხულთა მხოლოდ 2% ისროდა. საინტერესო სტატისტიკა იყო საჰაერო ძალებშიც. აღმოჩნდა, რომ მოწინააღმდეგის თვითმფრინავების 50% ამერიკელი მფრინავების 1%-მა ჩამოაგდო. მოგვიანებით სამხედრო ისტორიკოსებმა გამოთვალეს, რომ საჰაერო ბრძოლებში იაპონური თვითმფრინავების 90%-ზე მეტი ამერიკული გამანადგურებლების პილოტების 10%-მა ჩამოაგდო. აქ საქმე მხოლოდ კონკრეტული ქვეითებისა და პილოტების კარგ საბრძოლო მომზადებაში როდია, რაც უფრო დიდია ალბათობა, რომ სამხედრო მოწინააღმდეგის სახეს ან ფიგურას დაინახავს და მას „ადამიანად აღიქვამს“, მით უფრო ნაკლებია შანსი, რომ იგი მისი მიმართულებით გაისვრის. ტანკისტებთან და არტილერისტებთან საქმე სხვაგვარადაა, ბომბდამშენების პილოტებზე რომ არაფერი ვთქვათ.



## ქვეითების მეოთხედი ბრძოლის წინ კარგავდა კონტროლს მარჯვენა ხელზე ან საჩვენებელ თითს ვერ ამოძრავებდა და, შესაბამისად, სროლა არ შეეძლო

**გამოკვლევებმა ერაყის ომის დროს უცნაური ფსიქო-ფიზიოლოგიური ფენომენი დააფიქსირეს, ქვეითების მეოთხედი ბრძოლის წინ კარგავდა კონტროლს მარჯვენა ხელზე ან საჩვენებელ თითს ვერ ამოძრავებდა და შესაბამისად სროლა არ შეეძლო. საინტერესოა, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ჯარისკაცი ცაცია იყო, ხდებოდა მარცხენა ხელის პარალიზება; ჯარისკაცების დაახლოებით 25 პროცენტს ბრძოლის წინ უნებლიე შარდვა ეწყებოდა.**

იქნებ საქმე ისაა, რომ ამერიკელები ცუდი ჯარისკაცები არიან? მართალია, მსოფლიო ომებისა და შემდგომი კონფლიქტების დროს ამერიკელი ქვეითები ახლო დისტანციაზე ბრძოლისას მოწინააღმდეგესთან ან მოკავშირესთან შედარებით, რბილად რომ ვთქვათ, არც ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ, თუმცა მესამე რაიხის არქივები ცხადყოფენ, რომ მსგავსი პრობლემები ვერმახტის ჯარისკაცებსაც ჰქონდათ, თანაც პროცენტული მაჩვენებლები ამერიკულისგან არ განსხვავდება. ხელებისა და საჩვენებელი თითების „გაყინვის“ ეპიდემიაზე აღმოსავლეთ ფრონტზე გერმანელი სამხედროები თავის მემუარებ- ►

◀ F-125 კლასის 3 ფრეგატს, ნავარაუდევი 4-ის ნაცვლად.

შეირაღებიდან იხსნება 87 თვითმფრინავი „Tornado“ (187-დან) და 15 სატრანსპორტო „Transall C-160” (86-დან), იგეგმება უარის თქმა 37 „Eurofighter Typhoon-ის შეძენაზე.

ბუნდესვერში მიმდინარე პროცესების საერთო სურათი შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ძალები, რომლებიც გერმანელი გენერლების განკარგულებაში დარჩება, საკმარისი მხოლოდ ერთი ოპერატიული მიმართულების გადაფარვისთვის იქნება (გეოგრაფიულ ფაქტორებს თუ გავითვალისწინებთ). **იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხედველობაში გერმანული ორგანიზებულობისა და დისციპლინის ფენომენს მივიღებთ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ახალმა ბუნდესვერმა არმიის დონის თავდაცვითი ოპერაცია „გაქაჩოს“, შეტევითზე რომ არაფერი ვთქვათ.** ხოლო, თუ ვითარებას უფრო სკეპტიკურად შევაფასებთ, შეიძლება ვივარაუდოდ, რომ ახალი შესაძლებლობების მაქსიმუმი შეზღუდული (მაგ., სამშვიდობო) ოპერაციების ჩატარება იქნება, ისიც მესამე სამყაროს ქვეყნებში, ირეგულარული ფორმირებების წინააღმდეგ.

მართალია, დღეს არაფერი არ მიანიშნებს ევროპაში ისეთი ომის დაწყების შესაძლებლობაზე, რომელშიც სახმელეთო ჯარების დიდ მასებს გამოიყენებენ, თუმცა არასტაბილურობა მსოფლიოში ყოველდღე ახალ საფრთხეებს წარმოშობს. **გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტორი: ბუნდესვერი ევროპაში ნატოს ძლიერების ბურჯი იყო, ახალ ვითარებაში კი, გერმანელი ექსპერტების შეფასებით, ჩრდილოატლანტიკურ ბლოკს აღარ შეეძლება, მას ისე დაეყრდნოს, როგორც ამას ადრე აკეთებდა.** ალბათ, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ბერლინი სწორედ ამ ვითარების მიღწევას ცდილობს; ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე ხარჯების შემცირებისთან ერთად, მას შეიძლება ნატოში საკუთარი პასუხისმგებლობის სფეროს შემცირება სურს და ეს სავსებით ობიექტური მიზეზებით გაამართლოს. პარადოქსულია, მაგრამ გარკვეულ პირობებში ამ ნაბიჯებმა შეიძლება ძველი მოკავშირეებისგან გერმანიის დამოუკიდებლობის ხარისხი გაზარდოს.



◀ ში საკმაოდ ხშირად მიუთითებდნენ.

საინტერესო მომენტია: ერთის მხრივ, ლოგიკა თითქოსდა კარნახობს ჯარისკაცს, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ის არ გაისვრის და არ მოკლავს მტერს, შეიძლება დაიღუპოს, თუმცა, როგორც ჩანს, აქ საქმეში ინსტინქტები ერთვება, რომელთათვის წინააღმდეგობის გაწევა არ ძალუძს. **მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ამ მხრივ ადამიანის ქცევა ყველაზე მეტად ძაღლის ქცევას ჰგავს, მოჩვენებითი აგრესიულობის მიუხედავად, ძაღლი ასევე „იყინება“ მაშინ, როდესაც გარემოებათა გამო სხვა ძაღლი უნდა მოკლას და მაქსიმალურად ცდილობს, ეს არ გააკეთოს. საინტერესოა, რომ მაიმუნებს, განსაკუთრებით შიმპანზეს, რომლებიც ადამიანის „ახლო ნათესავებად“ ითვლებიან, მსგავს სიტუაციებში აგრესიულობა და სისასტიკე ახასიათებთ. ადამიანის ბუნება კი სხვა ადამიანის მოკვლას ეწინააღმდეგება. ამასთანავე, მხედველობაში უნდა მივიღოთ რელიგიის ფაქტორი და რიგი სხვა გარემოებები.**

საბოლოო ჯამში, ხანგრძლივი საბრძოლო მოქმედებების დროს ჯარისკაცებს უმუშავდებათ შესაბამისი უნარ-ჩვევები და შეხედულებათა სისტემა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს, მეტ-ნაკლებად ეფექტურად იბრძოლონ, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ახალბედა ჯარისკაცებს ეხება, ოფიცრებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი მათ მდგომარეობაზე კონტროლის შენარჩუნებაა, თუ არა და — ქვედანაყოფის საბრძოლო პოტენციალი ნულამდე დაეცემა, რაც მძიმე შედეგებს მოასწავებს. ცხადია, აღწერილი პრობლემებისგან დაზღვეულნი არც ოფიცრები არიან.

**პენტაგონის კვლევებმა აჩვენა, რომ იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მსგავსი პრობლემებისგან თავისუფალია, 2-3%-ს არ აღემატება. ისინი კარგად იბრძვიან, საკუთარ თავს ნაკლებად უფრთხილდებიან და მოწინააღმდეგის მოკვლა მათთვის განსაკუთრებულ პრობლემებს არ უკავშირდება, თუმცა აღსანიშნავია, რომ ჯარში გაწვევამდე (და მის შემდეგაც), როგორც წესი, ფსიქიკასთან პრობლემები ჰქონდათ; ომის შემდეგ ისინი ხშირად დამნაშავეთა სამყაროს უერთდებიან.** ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ ქვედანაყოფები მხოლოდ ასეთი ადამიანებისგან დაკომპლექტება მათზე კონტროლის შენარჩუნება სათუო გახდება. გამონაკლისის დაშვება, ალბათ, მხოლოდ იმ სპეცრაზმებისთვის შეიძლება, რომელთა მოქმედების სპეციფიკა რთულ პირობებში ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიურ ბრძოლებში მონაწილეობას გულისხმობს.

**სამოქალაქო პირებს ხშირად უკვირთ, რომ სამხედროების უმეტესობა ჩვეულებრივ ცხოვრებაში უაღრესად მშვიდობისმოყვარე ადამიანია, თუმცა ეს გასაკვირი, ალბათ, არ უნდა იყოს; სამხედროებმა ადამიანის სიცოცხლის ფასი იციან და ისიც კარგად ესმით, რომ ომს მშვიდობა სჯობს.**

## ტონი ბლერი: შეიარაღებული ჩარევა გარიყული ქვეყნების საქმეებში დღეს «უფრო აუცილებელია, ვიდრე ოდესმე»



**ყოფილი პრემიერ-მინისტრი თავის საგარეო პოლიტიკას იცავს. როგორც ჩანს, ერაყისა და ავღანეთის გამოცდილებამ მას ბრძოლის ჟინი არ დაუკარგა**

**გლობალიზაციამ გარიყული ქვეყნების საქმეებში შეიარაღებული ჩარევა დღეს იმაზე აუცილებელი გახადა, ვიდრე ეს ოდესმე იყო,** – წერს ტონი ბლერი თავის მოგონებებში. ყოფილი პრემიერ-მინისტრი მხოლოდ იმას ნანობს, რომ ზიმბაბვეს პრეზიდენტი რობერტ მუგაბე არ დაამხო.

მას ასევე აშკარად სჯერა იმისა, რომ ირანის ბირთვულ ამბიციებთან დაპირისპირება საჭირო, ამისთვის კი ძალის გამოყენება აბსოლუტურად შესაძლებელია. ერაყისა და ავღანეთის გამოცდილებამ მას ბრძოლის ჟინი არ დაუკარგა.

ის აღიარებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებისკენ სწრაფვამ მასში შუამავლის როლი გააძლიერა, რომელსაც ახლოაღმოსავლეთის კონფლიქტში ასრულებდა. **„პირადად მე მანამდე არასდროს მიგვრძნია არც ასეთი უძლურება და არც ასეთი ლტოლვა მართვისადმი,“** — წერს იგი.

თუმცა მისი ლიბერალური ინტერვენციონიზმის პოლიტიკა არა ახლოაღმოსავლეთში, არამედ ბალკანეთში გაფორმდა. **„საგარეო პოლიტიკაში... მოულოდნელად თვალი ამეხილა.** — ხსნის იგი, – **ამის საბაბი კოსოვო იყო“.**

ბლერი დარწმუნებულია, რომ გლობალიზაციის შედეგად საშინაო და საგარეო პოლიტიკებს შორის ბარიერი ინგრევა. სატელევიზიო ახალი ამბების საშუალებით ცნობები უცხოურ კრიზისებზე ყველა ოჯახში აღწევს. **„სამყარო გაჟღენთილია არა მხოლოდ ეკონომიკური ან ანგარებიანი, არამედ ემოციური კავშირებით. ეს გულებს ისევე ეხება, როგორც გონებას“.**

წარსულის გახსენებისას ის აღიარებს, რომ ამისთვის მზად არ იყო. **„1997 წლის კამპანია მთლიანად საგარეო პოლიტიკურ კამპანიას ეძღვნებოდა. იმ მზიან დილით, როდესაც მე პირველად მივაბიჯებდი დაუნინგ-სტრიტზე, ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, რომ ჩემი მმართველობის დროს ბრიტანეთი ოთხ ომში ჩაერთვებოდა, შოკირებული დავრჩებოდი“.**

**„ვიწრო, ეგოისტურ ინტერესებზე“ დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა მოძველდა,** — ამტკიცებს იგი, — **გლობალური ალიანსები... საერთო გლობალურ ღირებულებებს უნდა ეფუძნებოდეს“.** ამით წაიშლება ძველი პოლიტიკური ზღვარი მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის.

**„ჩვენ უცნაურ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, როდესაც ლიბერალური დემოკრატიის დამკვიდრების მხარდაჭერა „ნეოკონსერვატიზმად“ ითვლება, ხოლო სხვა ქვეყნების საქმეებში ჩაურევლობა — „პროგრესულად“.**

მისთვის პირველი გამოცდა კოსოვო გახდა. **„ეთნიკურმა წმენდებმა და მკვლელობებმა აბსოლუტურად შეცვალა ჩემი დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკის მიმართ,“** — აღიარებს ბლერი. ვიდრე ევროპა დროს აჭიანურებდა, აშკარად ანიჭებდა რა უპირატესობას დაშოშმინების პოლიტიკას, ბლერმა **„საოცრად აქტიურად დაუჭირა მხარი პრობლემის სამხედრო ძალით გადაწყვეტას“.**

მისი თქმით, მან აშშ-ის პრეზიდენტი ბილ კლინტონი დაარწმუნა, მონაწილეობა მიეღო საჰაერო დაბომბვებში, მიუხედავად იმისა, რომ შეერთებულ შტატებს რეგიონში უშუალო დაინტერესება არ გააჩნდა. **„სინამდვილეში ეს ჩემთვის მორალური საკითხი იყო და ასეთმა მიდგომამ, გარკვეულწილად განსაზღვრა ჩემი შეხედულებები ინტერვენციასა და სამხედრო ჩარევაზე“.**

ბლერი კლინტონს უწოდებს „ყველაზე შთამბეჭდავ პოლიტიკოსს“, ვისაც კი ოდესმე შეხვედრია. ყოფილი პრემიერ-მინისტრი აღფრთოვანებული წერს მათი ურთიერთგაგების შესახებ და იხსენებს, როგორ შეძლეს მათ ერთხელ ამერიკული აუდიტორიის „მიუზიკ-ჰოლის ვარსკვლავებზე არანაკლები დოზით“ მოხიბვლა.

ბლერის პოზიციას ბევრი აკრიტიკებდა. ის მათ კონტრ-არგუმენტებს ასე აყალიბებს: **„ომის დაწყება შედარებით იოლია, მაგრამ დასრულება — რთული. ომის დროს უდანაშაულო ადამიანები იღუპებიან, წარმოიქმნება არასასურველი შედეგები, ცუდი სიტუაციები უარესდება“.**

სამხედრო ოპერაციებისთვის სამიზნეების არჩევაზე მან ასეთი კომენტარი გააკეთა: **„მე ხშირად მეუბნებოდნენ: თუკი შენ შეძელი სიერა-ლეონეს ბანდიტებისგან, [სლობოდან] მილოშევიჩისგან, თალიბებისგან და სადამისგან გათავისუფლება, რატომ ვერ შეძლებ მუგაბეს მოშორებას? პასუხი ის არის, რომ მე ამას სიამოვნებით გავაკეთებდი, მაგრამ ეს ნაბიჯი მიზანშეწონილი არ იქნებოდა. საქმე ის არის, რომ ჩემთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, მას მტკიცე მხარდაჭერა ჰქონდა მეზობელი აფრიკული სახელმწიფოებისგან. მათ ჩემი მხრიდან ნებისმიერი ტიპის ჩარევაზე სასტიკი რეაქცია ექნებოდათ“.**

ბლერი იმასაც იხსენებს, თუ როგორ ცდილობდა იგი კოსოვოსთან დაკავშირებით სხვა ევროპელი ლიდერების „ინტერესების მხარდაჭერას“. კოსოვო მის მორიგ სამხედრო ჩარევის მოდელად იქცა. მისი მოგონებების ერთ-ერთი მუდმივი თემა გენერლებთან მეგობრობაა.

**„ლიდერს უწევს იმის გადაწყვეტა, ამართლებს თუ არა მიზანი ხარვეზებს,** – ამტკიცებს იგი, – **მეტიც, მას გადაწყვეტილების მიღება ისე უწევს, რომ ზუსტად არ იცის, ეს ხარვეზები როგორი იქნება, მათ შორის იმ შემთხვევისთვისაც კი, თუ მიზანი მიღწეული ვერ იქნება,... სხვათაშორის, ამ კონტექსტში, გადაწყვეტილების მიღებაზე უარიც გადაწყვეტილებაა,... ქმედებასაც და უმოქმედობასაც თავისი შედეგები მოსდევს“.**

ბლერი წერს, რომ სიერა-ლეონეში 2000 წელს დემოკრატიის აღდგენის ოპერაცია **„ჩემი ათწლიანი პრემიერმინისტრობის პერიოდის ყველაზე სადავო ეპიზოდია, თუმცა ეს არის ის, რითაც მე ყველაზე მეტად ვამაყობ“.** ბლერის მამა ერთ დროს ამ აფრიკული ქვეყნის დედაქალაქ ფრითაუნის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა.

**საკუთარ საგარეო-პოლიტიკურ ღონისძიებებზე საუბრისას, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ყველაზე იშვიათად ახსენებს გაეროს რეზოლუციებს ან საერთაშორისო სამართალს, რაც უცნაურია, თუკი მის იურიდიულ განათლებას გავითვალისწინებთ.**

ერთ-ერთ ეპიზოდში ის კურიოზულად უახლოვდება კერენსკის მთავრობის (სოციალ-დემოკრატებთან შედარებით) 1917 წლის ბოლშევიკების თამამი ქმედებებით ფარულ აღფრთოვანებას.

„დესპოტური ან დიქტატორული რეჟიმების“ საქმეებში სამხედრო ჩარევის თეორიის სისტემატიზირების მცდელობისას, ის აღნიშნავს: **„შესაძლოა, ისინი არ ქმნიდნენ მეზობლებისთვის საფრთხეს ან შეიძლება მარტივად დაექვემდებარნენ დიპლომატიურ შეკავებას. ზოგჯერ, როგორც ეს მუგაბეს შემთხვევაში მოხდა, ჩარევა, პრაქტიკული თვალსაზრისით, გამართლებული არ არის“.**

ასეთ დროს აუცილებელია გადაწყვეტილების მიღება. **„თუკი ცვლილებები ევოლუციური გზით არ განხორციელდება, ღირს კი მათი განხორციელება რევოლუციის საშუალებით? ვისაც სამხედრო ძლიერება გააჩნია, უნდა გამოიყენონ თუ არა მათ სამხედრო ძალა?“**

ერაყის საკითხის განხილვისას, ის ამტკიცებს, რომ ომში მოწინააღმდეგეებს არასდროს მიიჩნევდა „არც სულელებად და არც გონებასუსტებად“.

11 სექტემბერზე საუბრისას, ის აღიარებს: **„მე სათანადოდ ვერ შევაფასე პრობლემის სიღრმე.... იმ დროს მე რომ მცოდნოდა, ათი წლის შემდეგაც ავღანეთში ვიომებდით, ეს სერიოზულად დამაკარგვინებდა წონასწორობას, თუმცა იმედი მაქვს, რომ მაინც იგივე გადაწყვეტილებებს მივიღებდი როგორც ავღანეთთან, ისე ერაყთან დაკავშირებით“.**

ის ირანის საკითხში უკომპრომისოა. მას მიაჩნია რომ თეირანი საფრთხეა, განსაკუთრებით იმ კონტექსტში, რასაც ბირთვული იარაღის ტერორისტების ხელში მოხვედრის საფრთხე ჰქვია. **„ირანსა და მის ბირთვულ ამბიციებს, პირველ რიგში, ამერიკა უპირისპირდება,** — წერს იგი, — **მაგრამ მოდი გულწრფელად ვთქვათ: ირანი მისი არაბი მეზობლებისთვის გაცილებით დიდი საფრთხეა, ვიდრე აშშ-ისთვის.... ამიტომაც არის ის მნიშვნელოვანი. ირანი, რომელსაც ბირთვული ბომბი აქვს, იმას ნიშნავს, რომ მის მიღებას სხვებიც შეეცდებიან. ეს სერიოზულად შეცვლის ძალთა ბალანსს როგორც რეგიონში, ისე მთელ ისლამურ სამყაროში“.**

„გუარდიანთან“ ინტერვიუში მან განაცხადა: **„მზად არ ვარ, შევეგუო იმ რისკს, რომ ირანს ბირთვული იარაღი ექნება“.**

BBC-სთან ინტერვიუში, ბლერმა ენდრიუ მარის განუცხადა: **„ვფიქრობ, აბსოლუტურად მიუღებელი იქნება, თუკი ირანი ბირთვული იარაღის წარმოებას შეძლებს; ვფიქრობ, წინააღმდეგობისთვის უნდა მოვემზადოთ, თუ საჭირო გახდა, სამხედრო ძალითაც. დარწმუნებული ვარ, რომ, თუკი ირანელები ბირთვული იარაღის წარმოებას განაგრძობენ, ჩვენ სხვა ალტერნატივა არ დაგვრჩება. ეს ირანს მკაფიოდ და გასაგებად უნდა ავუხსნათ“.**

**ოუენ ბოიკოტი**,
გარდიანი

guardian.co.uk

8 — 14 სექტემბერი, 2010 წელი. №32 (75)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# გამოსრიალებული პრეზიდენტისა და მეყინულე გუდვინის არაკი

## სააკაშვილს ვანკუვერში მარტო ვერონიკა არ უპოვნია

**ავტორიტეტი აქვს მიხეილ სააკაშვილს მთელს ვანკუვერში და, კერძოდ, ქალაქ დორვილის ხელოვნური ყინულის მოედნების მწარმოებელ კომპანია Synthetic Ice-ში, ხოლო ამ კომპანიის პრეზიდენტი ფრანსუა ბილოდო და მენეჯერი ჯონ გუდვინი მისი სიყვარულით დნებიან, როგორც ადრეგაზაფხულის მზეზე თებერვლის ლოლოები, წვეთ-წვეთად, მაგრამ შეუქცევადად.**



ყველაფერი დაიწყო იმით, რომ, როგორც **Postmedia News**-სა და **Vancouver Sun**-ში წერს **ბრუს კონსტანიტო, „ჯონ გუდვინთან 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის პირველ კვირა დღეს უცნაური სატელეფონო ზარი გაისმა. საქართველოს პრეზიდენტის პროტოკოლის რეფერენტმა მას უთხრა, რომ პრეზიდენტს დასავლეთ ვანკუვერის ყინულის ხელოვნურ მოედანზე სრიალი სურდა“.**

სურდა და ვინ ეტყოდა უარს? პირიქით, დროზე ადრე გახსნეს სპეციალურად მიხეილ სააკაშვილისთვის მოედანი და ისიც **„დაახლოებით საათ-ნახევრის განმავლობაში სრიალებდა“.**

ასე აღმოაჩინა ვანკუვერში პატივცემულმა მიხეილმა მეორე სუბსტანცია — ხელოვნური ყინულის მოედანი. პირველი ვერონიკა ქობალია იყო, ორივე კი — საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების გადაუდებლად აუცილებელი პირობა.

ორ დასახელებულ კანადელთაგან ბედნიერების მწვერვალზე პირველი გუდვინი ავიდა. სწორედ მან განუცხადა Vancouver Sun-ის ჟურნალისტს, „რომ ამაყია, რადგან სააკაშვილი კანადური ტექნოლოგიით მოიხიბლა“, რამაც „ბედნიერი მოვლენების სერიას“ დაუდო სათავე და „Synthetic Ice-ს ახალ ბაზარზე შეღწევის საშუალება მისცა“.

განსაკუთრებული ბედნიერება მაინც ის იყო, რომ, როგორც ბრუს კონსტანტინო წერს, **„გუდვინი საკმარისად ეკონტაქტა პრეზიდენტს მისი სამდღიანი ვიზიტის დროს, რათა მიმხვდარიყო, რომ ის „შესანიშნავი კაცია“ („მიშა მაგარიას“ კანადური ვარიაცია), რომელსაც უყვარს ხალხთან ურთიერთობა“...**

ოღონდ ეს „ხალხი“ არ უნდა იყოს ქართველი ლტოლვილები კონფლიქტური რეგიონებიდან და თბილისის ძირძველი მოსახლეობა. სამ დღეში სამჯერ სამი გუდვინიც ვერ მიხვდებოდა, რომ იგი განუდგა დედაქალაქს და ბათუმში ფაშად დაჯდა, როგორც ასლანი იჯდა, აბაშიძე, ისე და იქამდე, სანამ აჭარა საქართველოს არ დავუბრუნეთ.

**„როდესაც ის აეროპორტისკენ გაემგზავრა, — განაგრძობს გუდვინი, — ხელი ჩამომართვა, ორჯერ გადამეხვია და მითხრა, რომ ის ძალიან აფასებდა ყველაფერს, რაც ჩვენ მისთვის გავაკეთეთ“.**

ცრემლი არ ჩამოუგორდა? იცის ხოლმე.

სენტიმენტალიზმისგან შორსაა ფირმის პრეზიდენტი ფრანსუა ბილოდო. ამ ბიზნესმენის ბედნიერება დაიწყო მას შემდეგ, რაც **„42 წლის პრეზიდენტმა“ საქართველოდან ჩატანილი საკუთარი „ციგურები ჩაიცვა (!) და დაახლოებით საათ-ნახევრის განმავლობაში სრიალებდა 15X30 მეტრიან პოლიეთილენის ზედაპირზე“.** მას შემდეგ და ამის შედეგად **„კანადურმა Synthetic Ice-მ საქართველოში ორი მოედანი დაამონტაჟა“** — მესტიაში და ბათუმში. გაბედნიერდები, აბა რა, როცა **თითო მოედანი 125000 აშშ დოლარი ღირს და ახლო მომავალში საქართველოში „ათიდან თოთხმეტამდე ასეთი მოედნის გაყიდვაა დაგეგმილი“.**

ბედნიერებამ კანადაშიც იცის კარზე მიდგომა: „შანსი, რომ მასზე (ხელოვნურ ყინულზე. — ა.ს.) საქართველოს პრეზიდენტი ისრიალებდა, მილიონიდან ერთი იყო“ (Vancouver Sun).

ამ ერთადერთ შანსს „მწვანე სვიტერი და ჯინსი ეცვა“.

ნაცნობი ფერია მწვანე: მოლისფერი შარვლით სრიალებდა გასულ ზამთარს უმაღლესი პირი საქართველოისა ბაკურიანის თეთრ თოვლზე და, როგორც მაშინ თქვეს, ბაკურიანელმა კერძო მესაკუთრეებმა ბოსლებში ჩაკეტეს ლორთქო ბალახს დანატრებული ძროხები, ორმხრივი უბედურების თავიდან ასაცილებლად.

მილიონიდან ერთი შანსი და — ორ მილიონამდე დოლარის შემოსავალი საქართველოს ბიუჯეტიდან ხელოვნური ყინულის მოედნების მწარმოებელი კანადური კამპანიის გასამდიდრებლად გაღებული.

Vancouver Sun-ის პუბლიკაციაში რამდენჯერმე დასახელებულმა გუდვინმა თქვა, რომ **„სააკაშვილისთვის ვანკუვერის ვიზიტი ძალიან მძიმე იყო, რადგან აქ ქართველი მოციგურავე** (ასეა ტექსტში. **— ა.ს.) ნოდარ ქუმარიტაშვილი დაიღუპა“.**

**ძალიან მძიმე იყო და პრეზიდენტი „დაახლოებით საათ-ნახევრის განმავლობაში სრიალებდა 15X30 მეტრიან პოლიეთილენის ზედაპირზე“.**

მწვანე სვიტერით და ჯინსით... თუმცა, მიშას რა... ჩვენ ვიკითხოთ რა გვეშველება გამოსრიალებული ხელისუფლების ხელში, თორემ ამათ სასრიალო არ გამოელევათ.

# მამის სახელი გაგვიუქმეს, ახლა სამშობლოსაც გვართმევენ



**საუკუნის წინათ ვლადიმერ ლენინმა ვიღაცას მისწერა, რომ ერთი ქართველი ჩაუჯდა ეროვნულ საკითხს. „ერთი ქართველი“ იოსებ ჯუღაშვილი იყო. 1912-1913 წლებში შეიქმნა და გამოიცა თეორიული ნაშრომი: „მარქსიზმი და ეროვნული საკითხი“. ერთი საუკუნის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი შეეჭიდა ამავე ფენომენს და გასულ აგვისტოში ავლაბრის რეზიდენციაში მიწვეული სტუდენტების — ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების წინაშე გამოსვლისას ახალი დეფინიცია შემოგვთავაზა: საქართველოს მრავალეთნიკური ერი.**

### ვის ეკუთვნის საქართველო? ანუ შევსულვართ კომუნიზმში და ეგაა

ყოველგვარი ეჭვის გასაფანტად, სიტყვასიტყვით გაგიმეორებთ სააკაშვილის ნათქვამს: **„საქართველო არის მრავალეთნიკური ქვეყანა. როცა ვლაპარაკობ ქართველ ერზე, მე ვიძახი საქართველოს მრავალეთნიკური ერი. და როცა ვლაპარაკობ ქართველ ხალხზე, ვლაპარაკობ საქართველოს ხალხი. იმიტომ, რომ საქართველო არ ეკუთვნის არც ეთნიკურად ცალკე აღებულ ქართველებს, არც ეთნიკურ აზერბაიჯანელებს, არც ეთნიკურ ოსებს, არც ეთნიკურ სომხებს. საქართველო ეკუთვნის ყველას ერთად“.**

ძალიან შეგეშალათ, პატივცემულო!

საქართველო მართლაც არ ეკუთვნის რაღაც გაუგებარ წარმონაქმნს — „ეთნიკურად ცალკე აღებულ ქართველებს“ (?!). საქართველო, სადაც, **აგრეთვე,** ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, სომხები, ოსები, აფხაზები (რომლებიც დაავიწყდა მკვლევარს), ასევე — ებრაელები და სხვები, **დიაღაც ეკუთვნის ქართველებს!** ამიტომაცაა იგი საქართველო და არა უსახო „მულტიეროვნული“ რეგიონი სამხრეთ კავკასიაში.

პატივცემულ სააკაშვილს აშკარად ერევა ერთმანეთში ორი განსხვავებული ცნება — **ხალხი** და **ერი.**

**ხალხი,** ენციკლოპედიური განმარტებით, არის ერთი ქვეყნის ან სახელმწიფოს მოსახლეობა ერთობლივად.

**ერი** სულ სხვაა. ასევე ენციკლოპედიური განმარტებით, ერი არის: **„ადამიანთა სოციალურ-ისტორიული ერთობის ფორმა, რომელიც ყალიბდება ტერიტორიის, ეკონომიკური კავშირების, საერთო-ეროვნული ლიტერატურული ენის, ეროვნული კულტურის ძირითად თავისებურებათა და მათთან დაკავშირებული ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე“** (ქსე, ტ. 4, გვ. 189).

დიდი ახსნა-განმარტება არ უნდა სჭირდებოდეს იმის გაგებას, რომ მხოლოდ ერთ ტერიტორიაზე ცხოვრება და მხოლოდ ეკონომიკური კავშირების არსებობა არ არის საკმარისი ერთიანი ერის ჩამოსაყალიბებლად. აკი გვეუბნებიან, რომ ერად ჩამოყალიბებისთვის ამასთანავე აუცილებელია საერთო-ეროვნული ლიტერატურული ენა, ეროვნული კულტურის ძირითადი თავისებურებანი და მათთან დაკავშირებული ფსიქიკური წყობის ერთობა.

სააკაშვილი ამ ყველაფერს უარყოფს და აბსოლუტურად ავანტიურისტულ ვარიანტს წარმოგვიდგენს, რომელსაც მოსაზრებასაც ვერ უწოდებ.

განვაგრძოთ.

**„როცა ვლაპარაკობ ქართველ ხალხზე, ვლაპარაკობ საქართველოს ხალხი“,** — ბრძანებს მიხეილ სააკაშვილი.

საოცარია, რით ვერ დაიმსახურა ქართველმა ხალხმა პატივი, რომ ქართველ ხალხზე ლაპარაკისას პატივცემული მიხეილი ლაპარაკობდეს ქართველ ხალხზე, ხოლო საქართველოს ხალხზე ლაპარაკისას — საქართველოს ხალხზე?!

მაგრამ, როგორც ვხედავთ, ასე არ ფიქრობს, და მის პერსონალურ ფიქრთა დინებას, გინდა-არ გინდა, მივყავართ ერთ, კარგად ნაცნობ ფორმულირებამდე: **„საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა ისტორიულად ახალი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობა — საბჭოთა ხალხი“** (Советский Энциклопедический словарь, М. 1989, стр. (881). ხოლო ის მულტიეროვნული წარმონაქმნი, რომელსაც გულისხმობს და ელოლიავება მიხეილ სააკაშვილი, სხვა არაფერია, თუ არა ელემენტარული პლაგიატი: **„ადამიანთა სოციალური ერთობის უმაღლესი ფორმა“ ანუ „კომუნისტური ერთობა“, რომლის აუცილებელი წინაპირობაა „ერთა სოციალისტური თანამეგობრობა“** (ქსე, ტ. 4, გვ. 190).

ორატორის ლოგიკას თუ გავყვებით, ამ გაგანია კაპიტალიზმის აღმავლობის პერიოდში შევსულვართ კომუნიზმში და ეგაა!

### ცრუდიმიტრი თუ დემეტრე თავდადებული?

ტელეეთერიდან კი ლინგვისტური აღმოჩენები გვეყრება თავზე ხოშკაკალასავით: „გვესწრება ჩვენ აქ დიმიტრი შაშკინი. **დიმიტრი შაშკინის სახელიც და გვარიც არის რუსული წარმომავლობის“.**

ესეც ახალი ამბავი!

გვარზე არავინ კამათობს. სახელს მივხედოთ, მის „რუსულ წარმომავლობას“.

ჰყავდათ, როგორ არ ჰყავდათ რუსებს დიმიტრები, უამრავი, იყვნენ მეფეთა ნუსხაშიც, თანაც — ორი, მაგრამ ორივე ცრუ.

ცრუდიმიტრი I (1605-1606) პოლონელების მიერ შემოგზავნილი ყოფილი მართლმადიდებელი დიაკვანი, კათოლიკობაში გადასული, რომელიც თავს ივანე მრისხანეს შვილად ასაღებდა, სინამდვილეში კი გალიციელი ბოიარინის — ბოგდან ოტრეპიევის შვილი იური, ანუ გრიგორი ოტრეპიევი იყო.

ცრუდიმიტრი II, ტუშინისა და კალუგის ქურდად მოხსენიებული, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, უკრაინელი მღვდლის შვილი იყო, სხვა წყაროებით — მონათლული ებრაელი, რომელიც ცრუდიმიტრი I-ის ამალაში მსახურობდა.

მაგრამ ხომ სრული აბსურდია, რომ ამის გამო „დიმიტრის“ „რუსულ წარმომავლობაზე“ ვილაპარაკოთ? მით უფრო, რომ თვითმარქვიებზე 3-4 საუკუნით ადრე ბრწყინვალე მეფეები გვყავდა ქართველებს — დემეტრე პირველი, დავით აღმაშენებლის ვაჟი და დემეტრე მეორე, თავდადებულად წოდებული!

დიმიტრობის აბსურდამდე სიტყვალლაბუცობის ფიანდაზებს მივყავართ, როგორც წესი.

ცნობისთვის: **დემეტრე (თანამედროვე ფორმა დიმიტრი) ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს „მიწა-დედას“; ანტიკური მითოლოგიის მიხედვით, დემეტრე — დედამიწა, „ნაყოფის დედა“, იგივე „დიდი დედაა“.**

### ვინ შეიძლება გახდეს საქართველოს პრეზიდენტი?

გაკვირვება და გაოცება ახლა ნახეთ, როცა მიხეილ სააკაშვილი ლინგვისტიკიდან პოლიტიკაზე გადადის:

**„რა თქმა უნდა, საქართველოში დღეს არის სიტუაცია, როცა პრეზიდენტი შეიძლება გახდეს შაშკინიც, შეიძლება გახდეს ყურბანოვიც, შეიძლება გახდეს ნებისმიერი სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელიც, იმიტომ, რომ ჩვენ შევქმენით სიტუაცია, როცა ქართველი ხალხი აღიქვამს თავის თავს, როგორც ერთიან მთლიანობას“.**

ქართველი ხალხი, რა თქმა უნდა, თავის თავს აღიქვამს, როგორც მთლიანობას, მაგრამ ეს მთლიანობა, ერთობა მიხეილ სააკაშვილს კი არ შეუქმნია (ჩვენ შევქმენითო, რომ შემოგვაპარა), არამედ ისტორიამ, ხალხმა, თაობებმა. საუკუნეების პროდუქტია ერთიანი ქართველი ხალხი, ოღონდ არა მიხეილ სააკაშვილის გაგებით — „როცა ვლაპარაკობ ქართველ ხალხზე, ვლაპარაკობ საქართველოს ხალხზე“.

**Словоблудие — აქვთ რუსებს ასეთი განსაზღვრება, რომელიც სიტყვამრუშობას ნიშნავს. ამის მაგალითია მოხმობილი ციტატა ქართველ ხალხზე.**

ეს ერთი.

მეორე დებულება, რომლის მიხედვით, საქართველოში პრეზიდენტი შეიძლება გახდეს „ნებისმიერი სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი“, უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ სიტყვამრუშობა — **პოლიტსიძვაა** აშკარა: არ შეიძლება გახდეს საქართველოში ქვეყნის პირველი პირი არც შაშკინი (ზოგადად), არც ყურბანოვი (ესეც ზოგადად) და არც „სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი“. ქართველი უნდა იყოს! ამას რა დამტკიცება სჭირდება?!

თუმცა საქართველოში ყველაფერი შეიძლება მოხდეს!

**P.S. ნათქვამია: სიცოცხლე ფუფუნებაა, რადგან ვცოცხლობთ იმაზე ნაკლებს, ვიდრე არ ვცოცხლობთ. რა ტყუილად შემომეფლანგა ეს ფუფუნება ამ სიტყვამრუშობის გადამკიდე.**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ხომ გეუბნებოდი, გაფრინდებიან-მეთქი, შე გალსტუკიანო პეპელა!

**ვაჯობეთ რუსეთს! დედა ვუტირეთ: თუ ვლადიმერ პუტინი ყვითელი „ჟიგულით“ დიდ ავტოგარბენში პირადად მონაწილეობდა, რაც რუსეთის საავტომობილო მრეწველობის პროპაგანდას ისახავდა მიზნად, მიხეილ სააკაშვილმა, შტურვალთან მჯდომმა, აჭარის თავზე წრე შემოხაზა ავტოპილოტზე ჩართული თეთრი თვითმფრინავით, ვარშალომიძის თანხლებით, რომელსაც ფერი ჰქონდა დაკარგული ასეთი პილოტის მგზავრის ამპლუაში ყოფნის გამო.**


ბედის ნებიერა




თან რადიოკავშირით ინგლისურად ემუსაიფებოდა, ალბათ, ავიადისპეტჩერს, რითაც დაგვიმტკიცა, რომ სრულფასოვანი მფრინავია, თუშეთში ვალიკოს „მიმინოდ“ მუშაობის პერიოდის მსგავსი პილოტი.

სხვა რა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი მიზანი ჰქონდა ამ საჩვენებელ ტელეგაფრენას, ვერაფერს მოგახსენებთ. კი ამბობენ, მაგრამ არ მჯერა, რომ **ეს იყო ჟურნალისტიკის სამარცხვინო ჟანრის — ავტოინტერვიუს მსგავსი მცდელობა, როცა საკუთარ საკაცობრიო მისიაში დარწმუნებული ავტორი რედაქციას სთავაზობს ინტერვიუს თავის თავთან: „წაიკითხეთ და აღივსეთ შურით!“**

ამ შემთხვევაში წასაკითხი არაფერი იყო, შესაშური — მით უფრო!

ხოშის გასწორება — კი.

აღშფოთება — ზღვარგადასული:

— ეს ჩვენი პრეზიდენტი ცაში რომ დასეირნობს, ჩამოვიდეს მიწაზე და მოგვხედოს!

— ძარღვებს იგლეჯდა ლტოლვილი ქალბატონი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ სხვებთან ერთად აგვისტოს მიწურულს უპატრონოდ აჰყარა დროებითი თავშესაფრებიდან.

— ტყუილად მივეცით ხმა?!

არა, ქალბატონო, ტყუილად არ მიგიციათ ხმა: 2013 წლამდე გეყოლებათ პრეზიდენტად; შემდეგ — პრემიერ-მინისტრად. ესაა ტყუილი და ამაოება?!

# «მეგობარი» პოლონეთი საქართველოს «თმობს»

**ერთ-ერთ უცხოურ პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ „ომი** (რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომი. — ა.ს.) **სააკაშვილს დასავლეთელი მოკავშირეების ნდობის ფასად დაუჯდა, რომელთა უმრავლესობა უკვე შეშფოთებული იყო** (კვლავ „შეშფოთება“! — ა.ს.) **პრეზიდენტის აშკარა ავტორიტარული დამოკიდებულებით დემოკრატიისა და თავისუფალი მედიის მიმართ“.**




სხვაგვარად რომ ვთქვათ, ავტორიტეტი დაეკარგა, რომელიც ისედაც დაკარგული ჰქონდაო.

ამის, ეგებ, ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია პოლონეთის აშკარა გულაცრუება ჩვენზე, მიუხედავად იმისა, რომ დაღუპული პრეზიდენტის სახელობის ქუჩაც კი გავხსენით თბილისში და კიდევ იმის მიუხედავად, რომ სააკაშვილი პირადად დაესწრო ლეხ კაჩინსკის დაკრძალვის ცერემონიას.

**პოლონეთის მიერ საქართველოს უპირობო მხარდაჭერის პოლიტიკა დასრულდა.**

ამას რამდენიმე ფაქტი ადასტურებს.

პოლონეთის პრესის ინფორმაციით, **„ვარშავამ საქართველოში ევროკავშირის ელჩის პოსტზე თავისი კანდიდატურის დანიშვნის იმედიც დაკარგა“.**

მიზეზი პოლონეთის ახლადარჩეული პრეზიდენტის პოზიციაში უნდა ვეძებოთ, თუმცა მოსაძებნი არც არაფერია, რადგან გაზეთ Rzeczpospilita-სთვის ახლახან მიცემულ ინტერვიუში, ვარშავისა და თბილისის ურთიერთობებზე საუბრისას, **ბრონისლავ კომოროვსკიმ არაორაზროვნად განაცხადა, რომ საქართველოს მისი ისეთივე იმედი აღარ უნდა ჰქონდეს, როგორიც ლეხ კაჩინსკისა. „მე არ გავემგზავრები უცხოეთში მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საქართველოს პრეზიდენტს სურს“,** — ხაზგასმით აღნიშნა მან, რითაც პრინციპულად გაემიჯნა თავის წინამორბედს, რომელიც პირველსავე დაძახილზე მზად იყო საქართველოში ჩამოსასვლელად.

კომაროვსკის ასეთ პოზიციას **რუსული პრესის** მკვეთრი რეაქცია მოჰყვა: **„პოლონეთი საქართველოსთან მეგობრულ დამოკიდებულებაზე ამიერიდან უარს ამბობს“, „პოლონეთის პრეზიდენტმა საქართველოს მისი ადგილი მიუჩინა“**. ეს უკანასკნელი, სლენგს თუ გამოვიყენებთ, ასე იშიფრება — ადგილზე მოსვა...

რუსული **„იზვესტია“** კი ასკვნის, რომ **პოლონეთისთვის „საკვანძო პარტნიორი“ რუსეთი გახდა.**

უნდა ვთქვათ ისიც, რომ, მართალია, კომაროვსკი საქართველოს კვლავ ცნობს დიპლომატიურ მოკავშირედ და მხარს უჭერს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ, ამასთან, **თბილისი კორექტულად გააკრიტიკა მილიტარისტული ძალის გაზრდის გამო.**

არაკორექტულობას სხვა სახელმწიფოთა მიმართ ჩვენ ვართ მიჩვეულები მიხეილ სააკაშვილის გადამკიდე.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ პოლონეთი არ მიიღებს ევროკავშირის ელჩის თანამდებობას თბილისში. არის სხვა ვარიანტი: Gazeta Prawna-ამ გამოაქვეყნა ევროპარლამენტის პოლონელი წევრის, პოლონეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, **იაცეკ სარიუშ-ვოლსკის** წერილი, რომელშიც მითითებულია, რომ ამ ადგილს ბულგარეთის წარმომადგენელი დაიკავებს.

შეიძლება, მართლაც ასე მოხდეს. ბულგარეთს, როგორც ახლახან ეროვნული რადიოთი გამოსვლისას განაცხადა ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ **კონსტანტინე დიმიტროვმა**, ორი კანდიდატურის წარდგენა შეუძლია — ფილიპ დიმიტროვისა და სტეფან ტაფროვის, რომელთაც წარმატებით გაიარეს შერჩევის პროცესი.

ორიოდ სიტყვა ცნობისთვის აღნიშნული კანდიდატურების შესახებ.

**ფილიპ დიმიტროვი** მემარჯვენე-ცენტრისტი და ყოფილი პრემიერ-მინისტრია. ის ევროპარლამენტის დეპუტატად 1991 წელს აირჩიეს, ამ მოვალეობას მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში ასრულებდა. მოგვიანებით, საკუთარი ქვეყნის ელჩი იყო გაეროსა და შეერთებულ შტატებში. **სტეფან ტაფროვიც** მემარჯვენე-ცენტრისტია და ბულგარეთის ელჩად მუშაობდა საფრანგეთში, იტალიასა და დიდ ბრიტანეთში.

ევროკომისიის სპიკერმა EurActiv-ს განუცხადა, რომ ამ საკითხზე გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

# კრიტიკის ქარცეცხლი



ხელისუფლების ასეთ ზრუნვას კონფლიქტური რეგიონებიდან ლტოლვილი მოსახლეობის მიმართ დაუყოვნებლივ გამოეხმაურა უცხოეთის პრესა. **საერთო პათოსი ასეთია: „საქართველოს უფლებადამცველი ორგანიზაციების კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა ომის დროს იძულებით გადაადგილებული ასობით ადამიანი სახელმწიფო შენობებიდან ძალით გამოსახლების გამო. სახელმწიფოს ამ შენობების გაყიდვის იმედი აქვს“.**

სახელმწიფოს — ვერონიკა ქობალიას სახით, რომელიც ეკონომიკის მდგრადი განვითარების მინისტრად დასვეს და რომელმაც, ადამიანების მასობრივი გამოყრის რეფორმატორული პოლიტიკის ეფექტიანობა ჯერ მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურებიდან თანამშრომლების ოპერატიულად მოხსნა-გათავისუფლებაზე მოსინჯა და ახლა კობა სუბელიანისა და პოლიციის ვაჟკაცური დახმარებითა და ხელშეწყობით ლტოლვილების მასობრივად გაპანღურების გზით გათავისუფლებული შენობები გამოაქვს აუქციონზე — ეგებ, ვინმე გასულელდეს და შეიძინოს!

მაგრამ ვის რა ჯანდაბად უნდა ის ამორტიზებული შენობები და ვინ სულელი გადაყრის მილიონებს ისეთ ჯართში, როგორიც, მაგალითად, გამომცემლობა „სამშობლოს“ ორი შეტყუპებული კორპუსია კოსტავასა და ყოფილი ბელინსკის ქუჩების კუთხეში?! აკი არც არავის გაუკრავს ჯიბეზე ხელი ფინანსთა სამინისტროს ყოფილ შენობაში, 4,5 მილიონ ლარად რომ ეყიდა!

თუ აიძულებენ, ანუ „შეაწერენ“, სხვა ამბავია!

**„13 აგვისტოს ათობით დევნილი ავტობუსებით გადაიყვანეს შორეულ სოფელში, თბილისიდან 350 კილომეტრის დაშორებით, აფხაზეთის საზღვართან, სადაც მათ მისცეს გარემონტებული ბარაკები ელექტროგაყვანილობის, ავეჯისა და სამუშაოს პოვნის პერსპექტივის გარეშე“,** — ეს უკვე **კონკრეტიკაა, მაგრამ არც ერთადერთი და არც გამონაკლისი...**

**როგორც ყოველთვის,** საერთაშორისო ორგანიზაციების რეაქცია წუხილისა და შეშფოთების გამოხატვის იქით არ მიდის: „ამ კვირას გაეროს დევნილთა სააგენტომ (UNHCR) **შეშფოთება** გამოთქვა იმის გამო, რომ გამოსახლებები „აუცილებელი გამჭვირვალობისა და ინფორმაციის ცირკულაციის გარეშე განხორციელდა“, თუმცა განაცხადა, რომ „პროცედურების გაუმჯობესების მხრივ პროგრესიც იყო“.




**როგორც ყოველთვის**, მიკიბულ-მოკიბული, ჩახლართულ-ჩახვეული და არაფრისმთქმელი განცხადება, რომელსაც, ასევე, **როგორც ყოველთვის,** არავითარი შედეგი არ მოჰყვება.

ცოტა უფრო ფხიანი ჩანს დიდი ბრიტანეთის უფლებადამცველი ორგანიზაცია Amnesty International-ის აგვისტოს ანგარიშში ჩაწერილი მოთხოვნა, რომლითაც საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, „ომის გამო იძულებით გადაადგილებულ პირებს „მინიმუმზე მეტი გაუკეთოს“.

უპასუხებს ამ მოწოდებას ჩვენი ხელისუფლება, — რაც გავუკეთეთ, მინიმუმზე მეტიაო და — მორჩა კინო! ჰაერში გამოეკიდება კეთილი სურვილი Amnesty International-ის: „მთავრობამ უნდა უზრუნველყოს მათი (**ლტოლვილების** — ა.ს.) დასაქმება, ჯანდაცვა და შეღავათები“.

დასკვნა ერთადერთია: არავინ დადგება ომის ბილიკზე საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ლტოლვილთა პრობლემების გამო.

ლტოლვილებმა რა უნდა გააკეთონ ამ ვითარებაში?

ლტოლვილებმა მომავალ არჩევნებში ხმა უნდა მისცენ „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებს. როგორც იცით, გამეორება ცოდნის დედაა!

პარადოქსია? სხვა ხომ ყველაფერი აწყობილი გვაქვს დანიის სამეფოში...

გვერდები მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ცერებზე ცეკვა «პაკაზუხობა» კი არ არის, ისტორიული ნიუანსებითაა ნასაზრდოები

**გამოხმაურება გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ (№30. 11-17 აგვისტო, 2010 წ.) გამოქვეყნებულ წერილზე „ვართ თუ არა „პაკაზუხები“.**

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელობა ამ ჟარგონადქცეული რუსული სიტყვისა საყოველთაოდ ცნობილია, მაინც ჩავიხედე რუსულ-ქართულ ლექსიკონში, სადაც აღნიშნულია: **Показуха — საუბარში: კიცხვითი მოჩვენებითობა; მოსაჩვენებელი კეთილდღეობა.** ხოლო ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „მოჩვენებითი“ (მოჩვენებითობა არ არის შეტანილი) განმარტებულია, როგორც არანამდვილი, მოსაჩვენებელი, ფარისევლური, ე.ი., თუ ზუსტ ძველისძველ ქართულ სიტყვას ვიხმართ, კითხვა ქართულად შეიძლება ასე დავსვათ: „ვართ თუ არა ფარისევლები“?

რასაკვირველია, სტატიაში დასახელებული ნაკლოვანებები და შეიძლება კიდევ სხვაც, ჩვენდა სამწუხაროდ, შემორჩენილია ქართულ სინამდვილეში და მათი აღმოფხვრა დიდად საშური საქმეა, მაგრამ ძნელია, დაეთანხმო აზრს, რომ ქართველებს გულგრილი და განურჩეველი დამოკიდებულება გვაქვს იმ დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ, რომლებიც ასე მრავლადაა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში — ამაზე ხომ ნათლად მეტყველებს ის ათასობით სისხლის სამართლის საქმე, რომლებიც სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლოშია გადაგზავნილი და სამართლიან გადაწყვეტილებას ელოდება. აღარაფერს ვამბობ საპროტესტო გამოსვლებზე, საინფორმაციო საშუალებებში გაკეთებულ უკმაყოფილების გამომხატველ განცხადებებზე და ა.შ.

მავანთა მხრიდან უსუსური თავის მართლება, — „რა გინდა, რომ ქნა?! ტრადიციაა ასეთი!“, — სტატიის ავტორს ტრადიციულ მარაზმად აქვს შერაცხული, რაშიც სრულიად ვეთანხმები. უპრიანი იქნებოდა, გვეთქვა, რომ ზოგიერთი ტრადიციის გაუკულმართებულ ფორმასთან გვაქვს საქმე. მავანთ უნდა შევახსენოთ, რომ საუკუნეებს გამოტარებული ტრადიციების (ქართული სტუმარმასპინძლობა, ქართული სუფრა, თამადის ინსტიტუტი და ა.შ.) ასე დაკნინება დღევანდელი ფსევდოლიბერალების „წისქვილზე ასხამს წყალს“ (გავიხსენოთ თუნდაც ამასწინათ ქართული ქეიფის „გეიფად“ მონათვლა).

ქართულ სტუმარმასპინძლობაზე, ქართულ ტრადიციულ სუფრაზე ბევრი სასიკეთო დაწერილა არა მარტო ჩვენში, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, ამიტომ ამ საკითხს აღარ ჩავუღრმავდები, ერთს აღვნიშნავ მხოლოდ, — არ შეიძლება ერთი (ან რამდენიმე) უგვანი სუფრა მთელ ქართულ პურობაზე განვაზოგადოთ.

რამდენიმე წლის წინათ საქართველოს საპატრიარქოს პირველად სტუმრობდა ერთი ბერძენი ეპისკოპოსი. როცა იგი საღმრთო ლიტურგიის შემდეგ ტრაპეზზე მიუწვევიათ, სუფრაზე შეუსვიათ ტრადიციული ქართული სადღეგრძელოები. ტრაპეზის შემდეგ ეპისკოპოსს უბრძანებია: **„საოცარი ხალხი ყოფილხართ ქართველები, საღმრთო ლიტურგია სუფრაზე გადმოგიტანიათო“.**

ახლა კი სტატიის იმ ბოლო აბზაცზე, რომელმაც ჩემი აღშფოთება გამოიწვია. მოვიყვან ციტატას მთლიანად: **„ისე, ერთხელ ერთმა ნაცნობმა მკითხა და ვერაფერი ვუპასუხე (რა დაგიმალოთ და ამ საკითხზე პასუხი არც დღეს მაქვს) — ჩვენ თუ „პაკაზუხები“ არ ვართ, გაფიცებ, ამიხსენი, რატომ უნდა მოგინდეს ადამიანს ფეხის წვერებზე ცეკვა?“.**



**ცერებზე ცეკვა, ქართველი მამაკაცის აღმაფრენით, ზეცისკენ სწრაფვით, ფსიქოლოგიური განწყობით, მისი ყოველდღიური სამეურნეო-საყოფაცხოვრებო შრომითი საქმიანობით, ისტორიული ნიუანსებით უნდა იყოს ნასაზრდოები**

ისე, ხუმრობა იქით იყოს და ხვალ-ზეგ შეიძლება ვილაცამ ჰკითხოს გურულ კაცს, — ქართველები „პაკაზუხები“ თუ არ ვართ, რატომ ვმღერით კრიმანჭულსო? კრიმანჭულის შემსრულებელს, ერთხელ უცხოეთში ხომ ყელში ჩახედეს, რაიმე ხომ არ აქვს ჩადგმული, ასეთ საოცარ ჰანგებს რომ გამოსცემსო.

აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, რომელსაც ფეხით ჰქონდა შემოვლილი მთელი საქართველო და შესანიშნავად იცნობდა ქართულ ფოლკლორს, წერდა: **„ტყიან ქვეყანაში, ტყით ნორმალურად შეხამებული ქვეყნის შვილი უფრო ხალისიანია, პირდაპირი, ვიდრე უტყეო ქვეყნისა. კრიმანჭული კოპწია ტყით შემოსილ გორაკებიან გურიაში უნდა წარმოშობილიყო, მელოდიური „ჩქიმი არაბა“ — კოლხეთის ვრცელ დაბლობზე; „ურმული“ ქართლის ვაკის მთვარიანი ღამეების პირმშო შვილია, „ჩაკრულო“ კი — კახეთის შეტბორებული ვაკისა; დიადი „ლილე“ უეჭველად თეთნულდისა და უშბას კალთებზე უნდა დაბადებულიყო.**

**„Ей ухнем“, „Волга, Волга мать родная“ განა ვოლგის სანაპიროთა ღვიძლი შვილი არაა, ისე, როგორც გრძელი და დაუსრულებელი ბაიათი უტყეო ირანისა ან შუა აზიისა?**

**რა იქნებოდა ჩვენი მხარე, იგი ტყით რომ არ იყოს დაფარული, რომ არ იყოს „ცაფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“, ნახევარუდაბნოში ვინ იმღერებდა კრიმანჭულს ან „ხასანბეგურას“, „ჩაკრულოს“, ან „სუფრულს“** (ნ. კეცხოველი — მკერდში დაჭრილი ბუნება. თბ. 1973 წ. — თსუ-ს გამომც. გვ. 37).

მიუხედავად იმისა, რომ არც მოცეკვავე გახლავართ და არც ქორეოგრაფიის სპეციალისტი, არ გამჭირვებია აღნიშნული საკითხის შესახებ მწირი, მაგრამ ყურადსაღები ცნობის მოპოვება:

**1. „პატრიარქატმა ჩვენ შემოგვინახა მამაკაცთა ცეკვა ცერებზე, რომელსაც დღემდე ეყრდნობა მსოფლიო კლასიკური ბალეტი,“** — ბრძანებს ბატონი ქართლოს კასრაძე თავის ცნობილ წიგნში „ტრიუმფით მსოფლიოს გზებზე“, რომელიც მან საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის (მხატვრული ხელმძღვანელები ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი) შემოქმედებას უძღვნა;

**2. „ცერული“ — უძველესი ქართული (სვანური) ხალხური ცეკვა. ასრულებენ მამაკაცები ცერილეთების გამოყენებით სამხმიანი სიმღერის ფონზე (ცერშედგომები), როგორც საცეკვაო ილეთი, დამახასიათებელია საერთოდ მთის ფოლკლორისათვის და აღმოცენებულია მთიელთა ყოფიდან (ფეხის წვერებზე სიარულის ჩვევა)“** (ქსე — XI ტ. ცერული — ა. თათარაძე. თბ. 1987 წ. გვ. 203).

როგორც ისტორიკოსები და ქართული ფოლკლორის მკვლევარები აღნიშნავენ, ქართული ცეკვის ისტორია ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იწყება. ქართველმა ხალხმა ათასწლეულებისორომტრიალში გამოატარა ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად ცეკვა, რომელშიც თავისი ხალასი გრძნობები და განცდები, აზრები და სული ჩააქსოვა და ჩაადუღაბა.

როგორ ფიქრობთ (ვეკითხები კითხვისა და სტატიის ავტორს), იმ შორეულ წარსულში, როდესაც არ არსებობდა საინფორმაციო საშუალებები და კავშირები, როდესაც ხალხი (ქართველები) ვიწრო ტომობრივ და გეოგრაფიულ არეალში ცხოვრობდა, რომელ ჭკუათმყოფელს მოუვიდოდა აზრად, რომ შეექმნა ცეკვა სხვის მოსაჩვენებლად, როგორც თქვენ ბრძანებთ, „საპაკაზუხოდ“?!

ჩემი აზრით, ცერებზე ცეკვა, ქართველი მამაკაცის აღმაფრენით, ზეცისკენ სწრაფვით, ფსიქოლოგიური განწყობით, მისი ყოველდღიური სამეურნეო-საყოფაცხოვრებო შრომითი საქმიანობით, ისტორიული ნიუანსებით უნდა იყოს ნასაზრდოები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფეხის წვერებზე ცეკვა (ჩემი აზრით), ორიოდე ქართულ ცეკვაში გვხვდება — „ცერულში“ და „შეჯიბრში“, რომელშიც ქართველი მამაკაცები ერთმანეთს ეჯიბრებიან სიჩაუქეში, სიმარდეში, მოხერხებულობაში. ამას შეიძლება დაემატოს, თუმცა არა ქართული, მაგრამ დიდი ხნის მივიწყებული, ბატონ ილიკო სუხიშვილის მიერ აღდგენილი და საუცხოოდ დადგმული ოსური ხალხური ცეკვა „სიმდი“, რომელშიც მამაკაცის ცერებზე ცეკვაში ქალისადმი დიდი მოკრძალება და პატივისცემაა ჩაქსოვილი.

**რევაზ ტომარაძე**

## მოკლედ



### კონგრესმენები გვეწვევიან

**6 სექტემბერს საქართველოს ეწვევა ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დელეგაცია.** დელეგაცია ხუთი წევრისგან შედგება. დემოკრატებს მასში ჯეინ ჰარმანი და პიტერ ველჩი წარმოადგენენ, ხოლო რესპუბლიკელებს — ჩარლზ დენტი და სინტია ლუმისი. დელეგაციას, რომელიც საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესა და სხვებს შეხვდება, დემოკრატი კონგრესმენი ჯიმ მარშალი უხელმძღვანელებს. განხილვის თემა იქნება აშშ-საქართველოს ურთიერთობები, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმებისადმი აშშ-ის მხარდაჭერა და საქართველოს მონაწილეობა ავღანეთის სამშვიდობო მისიაში.



### ახვლედიანის წინასწარმეტყველება

**ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანის პოლიტპროგნოზის თანახმად, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე სახელისუფლო გუნდი დაიშლება.** შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილსა და იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილს თავიანთი გუნდები ეყოლებათ; საკუთარ ამალას შემოიკრებს თბილისის მერი გიგი უგულავაც, რომელიც 750-მილიონიან ბიუჯეტს განკარგავს. საეჭვოდ ჰქონია საქმე პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს. მას გუნდი მხოლოდ იმ შემთხვევაში ეყოლება, თუ პარლამენტს გააძლიერებს. ზოგიერთ „ნაცელს“ კი ამდენი გუნდიდან ერთშიც არ მოეძებნება ადგილი და ოპოზიციაში მოუწევს გადაბარგება.




### „აგვისტო. რვა“

**ფილმების „თურქული გამბიტი“ და „რუსეთის იმპერია“ რუსეთში მცხოვრები უზბეკი რეჟისორი ჯანიკ ფაიზიევი აგვისტოს ომის შესახებ ფილმს გადაიღებს.** ფილმის „აგვისტო. რვა“ გადაღებას რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტი მხარდაჭერის მიზნით გარკვეულწილად დააფინანსებს.

„ჩვენთვის, ისევე, როგორც ყველა ადამიანისთვის, ომი უბედურებაა. ვცდილობთ, შევქმნათ პაციფისტური კინო, რომელშიც არავინ იქნება კარგი ან ცუდი. ჩვენ, უპირველესად, ადამიანი გვაღელვებს, მისი ბედი, დედა, შვილები, სიყვარული... მხატვრული კინოთი ვართ დაკავებული და არა პოლიტიკურით ან დოკუმენტურით“, — ამბობს ფაიზიევი. ფილმი ფიოდორ ბონდარჩუკისა და კონსტანტინე ერნსტის საპროდიუსერო კომპანია „გლავკინოს“ ერთ-ერთი პირველი პროექტი იქნება.



### წერილი რუსეთის პატრიარქს

**„გთხოვთ, მიმართოთ თქვენი ძალისხმევა, რათა შეაჩეროთ ეს დამანგრეველი პროცესი“, — ამ სიტყვებით პარლამენტის ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა პაატა დავითაიამ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილს აფხაზეთში ქართული ეკლესია-მონასტრების ე. წ. რესტავრაციასთან დაკავშირებით მიმართა.** წერილში ხაზგასმულია, რომ რესტავრაცია არ არის გამიზნული ძეგლთა პირველადი სახის შესანარჩუნებლად და, მათი აღდგენის ნაცვლად, ძეგლების ისტორიულ-კულტურული სახის განადგურება მიმდინარეობს. რამდენადაც ეს ქმედებები სრულად ეწინააღმდეგება რუსეთის საპატრიარქოს პოზიციას, დავითაიას პატრიარქის დახმარების იმედი აქვს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# წყალბადის ბომბი საბჭოთა კავშირისთვის

# პერსევსის უკანასკნელი დავალება

**საბჭოთა დაზვერვა ჩინებულად იყო ინფორმირებული მანჰეტენის პროექტის — ამერიკული ატომური ბომბის შექმნის პროგრამის თაობაზე. ერთ-ერთი წყარო 60 წლის წინათ გამოაშკარავდა: 1950 წლის დასაწყისში ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს კლაუს ფუქსი, რომელიც 1933 წელს ნაცისტური გერმანიიდან გამოიქცა და მოგვიანებით ბრიტანეთის მოქალაქეობა მიიღო. 1944-1946 წლებში იგი აშშ-ში, ლოს ალამოსში ამერიკის ბირთვული ცენტრის თეორიული განყოფილების თანამშრომელი იყო. ამ ცენტრში ატომური იარაღის შექმნაზე მუშაობდნენ. ფუქსი გამოტყდა, რომ 1945 წელს საბჭოთა აგენტს პირველი ამერიკული ატომური ბომბის კონსტრუქციისა და მოქმედების პრინციპის შესახებ დაწვრილებითი ცნობები მიაწოდა.**


კლაუს ფუქსი (მარცხნივ)


ფიზიკოსი ედვარდ ტელერი

1950 წლის 1 მარტს ფუქსს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 1959 წელს ვადამდე გათავისუფლებული გდრ-ში გაემგზავრა, სადაც დროთა განმავლობაში ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე იყო. ფუქსის ყოფილმა ხელმძღვანელმა, დიდმა მეცნიერმა ჰანს ბეტემ ერთხელ განაცხადა, რომ ფუქსი მისთვის პირადად ცნობილი ერთადერთი ფიზიკოსია, რომელმაც რეალურად შეცვალა მსოფლიო ისტორიის მსვლელობა.

**საბჭოთა დაზვერვას ლოს ალამოსში კიდევ ერთი ინფორმატორი ჰყავდა: ფიზიკოსი ექსპერიმენტატორი თეოდორ ელვინ ჰოლი, მანჰეტენის პროექტის ყველაზე ახალგაზრდა მეცნიერი თანამშრომელი. 1944 წლიდან მოყოლებული იგი საბჭოთა დაზვერვას ამერიკის ატომური პროქტის შესახებ ძალზე ღირებულ ინფორმაციას აწვდიდა.**

ახლახან ცნობილი შეიქნა, რომ ფუქსი და ჰოლი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და არც კი უეჭვიათ პარტნიორის არსებობა. შემდგომში ჰოლს მეტად გაუმართლა — ყოველ შემთხვევაში ციხეს გადაურჩა. 1962 წელს იგი სამუშაოდ დიდ ბრიტანეთში, კემბრიჯის უნივერსიტეტთან არსებულ კავენდიშის ცნობილ ლაბორატორიაში გადავიდა. ამერიკაში კი მეტად აღარ დაბრუნებულა.

**1992 წელს კა-გე-ბეს გადამდგარმა პოლკოვნიკმა ვლადიმირ ჩიკოვმა იმ გარდასული დღეების მოგონებები გამოაქვეყნა. იგი ირწმუნებოდა, რომ საბჭოთა დაზვერვას ლოს ალამოსში კიდევ ერთი აგენტი, მეტსახელად პერსევსი ჰყავდა. ჩიკოვის თქმით, თავდაპირველად მას კოდური სახელწოდება არტურ ფილდინგი მიენიჭა.**

2009 წელს აშშ-ში გამოიცა წიგნი „ბირთვული ექსპრესი: ბომბის პოლიტიკური ისტორია და მისი გამოცდა," რომელიც ამერიკული ატომური იარაღის შემქმნელებმა — თომას რიდმა და დენი სტილმანმა დაწერეს. რიდიცა და სტილმანიც დარწმუნებული იყვნენ, რომ პერსევსი, იგივე არტურ ფილდინგი, რეალურად არსებული პიროვნება იყო. მათი აზრით, პერსევსი ლოს ალამოსში წლების განმავლობაში მუშაობდა და თვალსაჩინო თანამდებობებიც ეკავა. წიგნის ავტორები ირწმუნებოდნენ, რომ მისი ნამდვილი სახელიც იცოდნენ. სტილმანი იმასაც კი იხსენებდა, რომ 90-იანი წლების შუა ხანებში მან ფილდინგი „გამოითვალა" და მის შესახებ სანტა-ფეში გფბ-ს განყოფილებას აცნობა. თუმცა, თანამშრომელი, რომელსაც ფილდინგმა თავისი ეჭვები გაუზიარა, ავად გახდა, ხოლო გამოჯანმრთელების შემდეგ სამუშაოდ სხვა ქალაქში გადაიყვანეს და საქმეს მსვლელობა არ მიეცა. რაკი არტურ ფილდინგი ცოცხალი აღარ იყო, „ბირთვული ექსპრესის" ავტორებმა მისი ვინაობა აღარ გაამჟღავნეს.

რიდისა და სტილმანის აზრით, ფილდინგი, ფუქსისა და ჰოლის მსგავსად, საბჭოთა დაზვერვასთან წმინდა იდეური მოსაზრებებით თანამშრომლობდა. ამის შემდგომ კი საბჭოეთზე გული აიცრუა და ყველა კონტრაქტი დაარღვია. ამის მიუხედავად, მოსკოვმა იგი არ დაივიწყა, თუმცა 1954 წლის გაზაფხულამდე არ შეუწუხებია. მერე კი ფილდინგს საბჭოთა აგენტი დაუკავშირდა და ბოლო სამსახურის გაწევა სთხოვა. ფილდინგი დაყაბულდა და საბჭოთა დაზვერვასაც იგი მეტად აღარ შეუწუხებია. სამაგიეროდ, მის მიერ გაწეული ბოლო სამსახური ერთობ ფასეული აღმოჩნდა: არც მეტი, არც ნაკლები, ფილდინგმა


ყველაზე ძლიერი ავიაბომბი


პირველი თერმობირთვული აღჭურვილობის აფეთქება

საბჭოთა მეცნიერებს წყალბადის ბომბის კონსტრუქციის ძირითადი პრინციპი გაანდო, რომლის შესახებაც მათ ჯერ არაფერი იცოდნენ.

**1940-იანი წლების დასაწყისში ბირთვულ ფიზიკოსებს უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდათ იმაში, რომ ბომბის შექმნა მაღალგამდიდრებული ურან-235-ითა და პლუტონიუმით შეიძლებოდა.** სწორედ იმხანად აშშ-ში, გერმანიასა და იაპონიაში რამდენიმე ფიზიკოსს აზრად მოუვიდა, რომ ატომური აფეთქებით შესაძლებელი იყო დეიტერიუმის — წყალბადის მძიმე იზოტოპის აალება, რომელიც ბირთვული რეაქციების სერიების შემდგომ ჰელიუმად გადაიქცეოდა და გიგანტური რაოდენობის ენერგიას გამოყოფდა. პირველად ეს ნობელის პრემიის ლაურეატმა ენრიკო ფერმიმ დაასკვნა, რომელიც მაშინ კოლუმბიის უნივერსიტეტში მუშაობდა. 1941 წლის სექტემბერში თავისი აღმოჩენა მან უნგრელ ედვარდ ტელერს გაანდო, რომელმაც უმალ დაიწყო ფიქრი ზებომბის შექმნაზე. გათვლებმა აჩვენა, რომ ერთი გრამი დეიტერიუმი ჰელიუმად ტრანსფორმაციისას 150 ტონა ტრინიტროტოლუოლის სიმძლავრით ფეთქდება, რაც იმას ადასტურებდა, რომ ერთი მეგატონიანი ბომბისთვის 12 კგ დეიტერიუმიც საკმარისი იყო.

**ლოს ალამოსის ლაბორატორია სამუშაოებს 1943 წლიდან შეუდგა და ტელერმაც იქ გადაინაცვლა. ჩატარებულ სამუშაოთა შედეგები დახურულ კონფერენციაზე წარმოადგინეს და იმსჯელეს იმ ზებომბის შექმნის რეცეპტზე, რომელიც ისტორიაში Classical Super-ის სახელწოდებით შევიდა. ამ კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილე იყო რობერტ ფუქსიც, რომელიც 1945-46 წლებში მათემატიკოს ჯონ ფონ ნეიმანთან თანამშრომლობდა. 1948 წლის 13 მარტს თავისი მუშაობის შედეგები და ცნობები პროექტ CLASSICAL SUPER -ის თაობაზე მან საბჭოთა დაზვერვას გააცნო, სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელებმა კი ეს ინფორმაცია სტალინს, ბერიასა და მოლოტოვს გადასცეს.**

1946 წლის ზაფხულში ტელერი და მისი კოლეგები „კლასიკური" ზებომბის შესაძლებლობებში დაეჭვდნენ და გამოთქვეს მოსაზრება, რომ ატომური აალებით გამოწვეული აფეთქების ტალღა მძიმე წყალბადს გაფანტავდა და ჰელიუმად გადაქცევას არ დააცლიდა. მაშინ ტელერმა და მათემატიკოსმა სტანისლავ ულამმა წყალბადის ბომბის შექმნის ახალი სქემა წარმოადგინეს. 1952 წლის 31 ოქტომბერს წყნარი ოკეანის მარჯნის კუნძულ ენივეტოკზე მსოფლიოში პირველი თერმობირთვული აღჭურვილობა, ორსართულიანი სახლის სიმაღლისა და 82 ტ წონის „მაიკი", ააფეთქეს. აფეთქების საერთო სიმძლავრემ 10.4 მეგატონა შეადგინა. ეს თითქმის 700 ჰიროსიმას უდრიდა. ეს სწორედ ის ზებომბი იყო, რომელზეც ტელერი მრავალი წლის განმავლობაში ოცნებობდა.


თერმობირთვული იარაღის გამოცდა

1954 წლის 1 მარტს მარჯნის კუნძულ ბიკინზე ამერიკელებმა თავიანთი მეორე თერმობირთვული აღჭურვილობა „ბრავო" ააფეთქეს. მისმა სიმძლავრემ „მაიკისას" 15 მეგატონით გადააჭარბა. მომდევნო 7 კვირის განმავლობაში იმავე პოლიგონზე კიდევ ოთხი თერმობირთვული მუხტი ააფეთქეს.

რიდისა და სტილმანის ვარაუდით, 1954 წლის მარტში იდუმალ არტურ ფილდინგს საბჭოთა აგენტი დაუკავშირდა და „ბრავოს" მუშაობის პრინციპის თაობაზე ცნობები მოსთხოვა. ფილდინგმა თხოვნის უგულებელყოფა ვერ გაბედა და რადიაციული იმპლოზიის საიდუმლო გასცა. ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, დანარჩენი საბჭოთა მეცნიერებმა გააკეთეს.

**ამ ჰიპოთეზის განსამტკიცებლად ის გარემოებაც გამოდგება, რომ ამგვარი ცნობების მიწოდება მხოლოდ წყალბადის ბომბზე უშუალოდ მომუშავე ადამიანს შეეძლო. ეს კაცი ვერ იქნებოდა ჰოლი, რომელიც იმხანად ჩიკაგოს უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლობდა, ვერც — ინგლისში დიდი ხნის წინ დაბრუნებული ფუქსი. ასე რომ, საბჭოთა სპეცსამსახურებს ლოს ალამოსში ერთადერთი კარგად გათვითცნობიერებული ინფორმატორი რჩებოდათ და ის სწორედ მისტერ ფილდინგი იყო...**

მოამზადა
**ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net


# აჰმედ სუკარნო — მესია-დიქტატორი



**იგი მზის ამოსვლისას დაიბადა ქალაქ სურაბაიში, მუსლიმანისა და ინდუისტის ოჯახში, ბიჭს კუსნო დაარქვეს. იაველებს სწამდათ, რომ ხარის წელიწადში, განსაკუთრებით კი განთიადისას, დაბადებული ბავშვი ბედისწერის რჩეული იყო, რომელსაც გმირის მომავალი ელოდა. კუსნომაც თავი მესიად წარმოიდგინა, მაგრამ დიქტატორად იქცა და თავისი სამშობლო ანარქიისა და ქაოსის უფსკრულში დანთქა.**

„რჩეული“ სუსტი და ავადმყოფი ბავშვი გამოდგა და მამამისმაც, რომელსაც სჯეროდა, რომ შვილს ყველა უბედურება სახელის გამო ატყდებოდა თავს, მას ძველინდური ეპოსის — „მაჰაბჰარატას“ გმირი მებრძოლის სახელი კარნო დაარქვა და დაუმატა პრეფიქსი „სუ,“ რაც „საუკეთესოს“ ნიშნავს.

და სუკარნოც თავისი სახელის მძევლად იქცა. აღმოსავლეთ იავის ერთ-ერთი საუკეთესო სკოლის დამთავრების შემდეგ, იგი მებრძოლ პოლიტიკოსად იქცა და გააერთიანა სამი მიმდინარეობა — ნაციონალიზმი, ისლამიზმი და მარქსიზმი, რომლებსაც გამათავისუფლებელი მოძრაობა ეფუძნებოდა. **ძალაუფლების მოსაპოვებლად სუკარნომ შექმნა საკუთარი — ინდონეზიის ნაციონალური პარტია და განაცხადა, რომ ის მარაჰენების, უბრალო ხალხის, ინტერესებს წარმოადგენდა.**

ბედისწერის რჩეულს გამუდმებით უთვალთვალებდა პოლიცია. 1929-1931 და 1933-1942 წლებში იგი ციხეში ან გადასახლებაში იმყოფებოდა ინდონეზიაში ჰოლანდიის კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობისთვის, მაგრამ ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდა. მთელ ქვეყანაში მოგზაურობდა და მგზნებარე სიტყვით გამოდიოდა. **მალე სუკარნო ინდონეზიელი ხალხის აღიარებულ ბელადად იქცა. ხალხისთვის იგი ბუნგ-კარნო (ძმა კარნო) და დამოუკიდებლობის მოციქული იყო.** ინდონეზია სამი საუკუნის განმავლობაში ცდილობდა ჰოლანდიის კოლონიური უღლის გადაგდებას და დამოუკიდებლობა მხოლოდ XX საუკუნის შუა ხანებში მოიპოვა, როცა ნაციონალურ-გამათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში სუკარნო ჩაუდგა.

იაპონელებმა ჰოლანდიელები არქიპელაგიდან 1942 წელს განდევნეს და სუკარნომ ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა დაიწყო, რაც მიზნის მისაღწევად გამიზნული კომპრომისი იყო, რადგან იაპონია ინდონეზიას დამოუკიდებლობის მინიჭებას დაჰპირდა, მაგრამ სიტყვის შესრულება გააჭიანურა. **სუკარნომ და მისმა უახლოესმა თანამოაზრეებმა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია მეორე მსოფლიო ომში ტოკიოს კაპიტულაციიდან მესამე დღეს გამოაცხადეს.**

1945 წლის 17 აგვისტოს სუკარნო სიტყვით გამოვიდა მის სახლთან გამართულ მიტინგზე და ინდონეზიელ ხალხს ქვეყნის ბედ-იღბლის განკარგვისკენ მოუწოდა. ინდონეზიელმა პატრიოტებმა



აჰმედ სუკარნო, 1970 წლის ივნისი



იოსიფ ბროზ ტიტო და სუკარნო



სუკარნო ფიდელ კასტროსთან ერთად



ჯონ კენედი და სუკარნო



სუკარნო და ნიკიტა ხრუშჩოვი

ინდონეზიის რესპუბლიკის ნაციონალური დროშა აღმართეს და იაპონური რადიოსადგურის მალულად გამოყენებით მსოფლიოს ახალი სუვერენული სახელმწიფოს წარმოშობა ამცნეს.

**ხალხმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ ქვეყნის ბატონ-პატრონი სუკარნო გახდა. 1945 წლის 18 აგვისტოს იგი პრეზიდენტად აირჩიეს.** კონსტიტუციამ პირველ პრეზიდენტს შეუზღუდავი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალაუფლება მიანიჭა და მანაც ამ უფლებამოსილების გამოყენება არ დააყოვნა. მისი ერთ-ერთი პირველი ბრძანებულებით, რესპუბლიკის მოქალაქეები ერთმანეთს ესალმებოდნენ სიტყვით **„მერდეკა“** (თავისუფლება) და ხელის აწევით, ხუთივე თითი სუკარნოს მიერ გამოცხადებული 5 პრინციპის — ინდონეზიური ნაციონალიზმის, ინტერნაციონალიზმისა თუ ჰუმანიზმის, დისკუსიისა თუ დემოკრატიის, სოციალური კეთილდღეობისა და ღვთის რწმენის სიმბოლიზებას ახდენდა. **ქვეყანაში მმართველობის მონოკრატიული ფორმა დამყარდა, სადაც საარჩევნო წარმომადგენლობითი ორგანოები არ არსებობდა.**

თავისი პირველი 10-წლიანი არსებობის განმავლობაში რესპუბლიკამ გამოიარა ინგლისის ოკუპაცია, ინგლისელების კვალდაკვალ მოსულ ჰოლანდიელებთან ომი, პარლამენტარიზმი, სახალხო მღელვარებანი, არმიის უკმაყოფილება და დაუბრუნდა იმ ნიშნულს, საიდანაც დაიწყო — 1945 წლის კონსტიტუციას. ქვეყანა, რომელშიც პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობდა, სამოქალაქო ომის ზღვარზე იდგა. სუკარნო კი ბუდას იდუმალი ღიმილით თვალყურს ადევნებდა ამ პოლიტიკურ დაკადაკას და ელოდა, როდის მიაკითხავდნენ „ნაციის მამას“ „შვილები“ დახმარების სათხოვნელად. ისინიც მივიდნენ და სთხოვეს.



სუკარნო დამოუკიდებლობის გამოცხადებისას

მაშინ სუკარნომ ქვეყანაში „მართვადი დემოკრატია“ შემოიღო და თან ხალხს ამშვიდებდა: **„ძმებო და დებო, დიქტატორობას არ ვაპირებ, რადგან დემოკრატი ვარ, თუმცა... ჩემი დემოკრატია ლიბერალური არაა“.** მალე მან ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა და მინისტრთა კაბინეტი დაითხოვა. 1957 წლის აპრილში კი პრეზიდენტმა სუკარნომ „მოქალაქე სუკარნოს“ ახალი კაბინეტის ფორმირება დაავალა, რის შემდეგაც დაითხოვა პარლამენტი და მემარჯვენე და მემარცხენე ოპოზიციის ლიკვიდირება მოახდინა. ამასთან, ირწმუნებოდა, რომ ხალხის ნებას ასრულებდა.

იგი აცხადებდა: **„მე ინდონეზია ვარ. მე რევოლუცია ვარ,“** ქვეყანას თავს ახვევდა **„ინდონეზიურ სოციალიზმს“,** ხალხს კი განუმარტავდა: **„ჩვენი სოციალიზმი ნაზავია. პოლიტიკური თანასწორობის იდეა აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან ვისესხეთ, სულიერი თანასწორობისა — ისლამისა და ქრისტიანობისგან, ხოლო თანასწორობის მეცნიერული იდეა — მარქსიზმისგან. ამას ჩვენი ნაციონალური თვითმყოფადობა „მარჰაენიზმი“ დავუმატეთ და შემოვიღეთ „ჰოტონგ-როინგის“ პრინციპები, რაც ერთად ცხოვრებას, შრომასა და ურთიერთდახმარებას ნიშნავს“.**

ეს შხამიანი ნაზავი იყო და ამიტომ ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ — დროებითმა სახალხო საკონსულტაციო კონგრესმა სუკარნოს ზეწოლით 1963 წლის გაზაფხულზე იგი ქვეყნის უცვლელ პრეზიდენტად დანიშნა. თუმცა **სუკარნოსთვის საკმარისი არ აღმოჩნდა ნაციონალური გმირობა, მას სურდა, მთელ მსოფლიოს მესიად მოვლენოდა. აკი განაცხადა კიდეც: „მთელ ჩემს ცხოვრებას უზენაესი ძალა წარმართავს. მე ღვთის ნებას ვასრულებ, რადგან ამისთვის დავიბადე“.**

არადა, ნაციის მამის მიერ გატარებულმა ყველა რეფორმამ კრახი განიცადა. ბევრ ქალაქში არ იყო სასმელი წყალი, საღამოობით ელექტროენერგიასაც თიშავდნენ. ქვეყანა ლატაკდებოდა, რასაც ინფლაციაც დაერთო. **ინდონეზიაში ანარქია და ქაოსი სუფევდა, ხოლო სუკარნო ფუფუნებაში ცხოვრობდა და ახალ-ახალ სასახლეებს იშენებდა.**

არმიაში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი დაჯგუფება: კონსერვატიული — „გენერალთა კავშირი“ და მემარცხენე — „1965 წლის 30 სექტემბრის მოძრაობა“. ერთმაც და მეორემაც თავი სუკარნოს დამცველად გამოაცხადეს, მან კი შემრიგებლის როლის შესრულება გადაწყვიტა.

ამასობაში ხელისუფლების სათავეში გენერალ სუჰარტოს ხელმძღვანელობით მესამე ძალა მოვიდა. 1966 წელს სუკარნოს უცვლელი პრეზიდენტის წოდება ჩამოერთვა, თუმცაღა რევოლუციის ბელადის ტიტული შეუნარჩუნდა. ბელადმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, არაერთხელ სიტყვითაც გამოვიდა, მაგრამ მას აღარავინ უსმენდა. **იგი კორუფციასა და იმგვარი პოლიტიკის გატარებაში დაადანაშაულეს, რომელმაც შედეგად ნაციის პოლიტიკური, ეკონომიკური და მორალური კრიზისი გამოიწვია, თუმცა არ გაუსამართლებიათ, რადგან სამხედროებმა დაასკვნეს: სუკარნოს გასამართლება მთელი ინდონეზიელი ხალხის გასამართლებას ნიშნავს.** ამიტომ გარე სამყაროსგან მის სრულ იზოლაციას დასჯერდნენ.

„ნაციის მამას“ კი ძველმა სნეულებებმა შეახსენა თავი, გაუხშირდა გულის შეტევები. 1970 წლის ზაფხულში მისი მდგომარეობა უკვე უიმედო შეიქმნა და 21 ივლისს რევოლუციის ბელადი აღესრულა. სუკარნოს ეპოქა დასრულდა და ქვეყანაში ახალი წესრიგი დამყარდა.

სუჰარტოს ბრძანებით, ყოფილი პრეზიდენტი ზარზეიმით დაკრძალეს, ხოლო გარდაცვალების მეცხრე წლისთავზე მისი ხსოვნის აღსანიშნავი მემორიალიც აღმართეს...

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ორსახოვანი იასირი

**იგი ბევრ მეფესა და პრეზიდენტს მოესწრო, ყველა დროს მორგო და ყველა გააცურა. ნობელის პრემიის ლაურეატი, მშვიდობისმყოფელი და თანამედროვე ტერორიზმის ერთ-ერთი მამამთავარი პოლიტიკოსი-მაქცია იყო, რომლის ცხოვრებაც საიდუმლოების საფარველში გაეხვა...**



**იასირ არაფატი, სავარაუდოდ, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ლაბორატორიებში შემუშავებული ახალი თაობის საწამლავებით მოკლეს**

არაფატის მოკვლა არაერთხელ სცადეს ისრაელის „მოსადმა," სირიელმა აგენტებმა, ირანის სპეცსამსახურებმა, თუმცა ვერაფერი დააკლეს, რადგან მას ცეცხლი და მახვილი არ ეკარებოდა. თუმცა, მარტოსულად დარჩენილმა მოხუცმა სიკვდილთან ბოლო ორთაბრძოლა მაინც წააგო.

ყველაფერი კი ბანალური შაკიკითა და ციებ-ცხელებით დაიწყო, რასაც პალესტინის ლიდერი ბოლო ხანს ხშირად უჩიოდა. ოქტომბრის ბოლოს რამალაში, მის რეზიდენციაში, ტუნისელი ექიმები ჩავიდნენ, რომლებმაც დაასკვნეს, რომ არაფატმა გრიპის ერთ-ერთი ფორმა გადაიტანა და უკან გაბრუნდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ კი პალესტინის ბელადის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და გადაწყდა, რომ სამკურნალოდ საფრანგეთში გადაიყვანდნენ.

მოკლე ხანში კი უცნაური მოვლენები დაიწყო, რომელთა ახსნაც ფრანგული მედიცინის ვარსკვლავებმა ვერ შეძლეს. გამოჯანმრთელების პირას მყოფი არაფატი უცებ კომაში ჩავარდა. **მისი სიცოცხლის ბოლო დღეებში კი პალესტინის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა აჰმედ კურეიმ განაცხადა, რომ იასირ არაფატი, სავარაუდოდ, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ლაბორატორიებში შემუშავებული ახალი თაობის საწამლავებით მოკლეს.**

ჟურნალ „ფორბსის" მონაცემებით, იასირ არაფატის ქონება 300 მლნ დოლარად იყო შეფასებული, რაც ლატაკი პალესტინის ლიდერს ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ მსოფლიო ლიდერად აქცევდა. ერთი ვერსიით, მის მილიონებზე თვალი ეჭირა არა მარტო ახალგაზრდა ცოლს — სუჰას, არამედ „ჰამასისა" და ისლამური „ჯიჰადის" ექსტრემისტებსაც ინტიფადის (პალესტინის აჯანყების) საწარმოებლად. 2002 წლის გაზაფხულზე, პალესტინის ავტონომიაში ანტიტერორისტული ოპერაცია „დამცავი კედლის" ჩატარებისას ისრაელის თავდაცვის არმიის ოფიცრებმა აღმოაჩინეს საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებდა, რომ არაფატი თავისი ქონების დიდ ნაწილს ფარულად მართლაც ახარჯავდა პალესტინურ „ჯიჰადს".

**1986 წლის 30 სექტემბერს ბეირუთში, პირდაპირ საბჭოთა კავშირის საელჩოს წინ უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა საკონსულოს თანამშრომელი არკადი კატკოვი, საელჩოს ექიმი ნიკოლაი სვირსკი და კა-გე-ბეს რეზიდენტურის ორი ოფიცერი — ოლეგ სპირინი და ვალერი მირიკოვი გაიტაცეს.** ლიბანში ხალხს ხშირად იტაცებდნენ, მაგრამ ისინი ამერიკელები, ინგლისელები ან ფრანგები იყვნენ. საბჭოელ მოქალაქეზე კი ხელის აღმართვას ვერავინ ბედავდა. ამავე დროს ტერორისტები საკმაოდ მალე „გამოცხადდნენ". ისინი უწინ უცნობი ორგანიზაციის „ჰალედ ბენ ალ-ვალიდის ძალების" ბოევიკები აღმოჩნდნენ, რომლებსაც ერთობ კატეგორიული მოთხოვნები ჰქონდათ: რუსებს პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ ახლო აღმოსავლელი მოკავშირის — სირიის დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომელმაც „ჭეშმარიტი მუსლიმანების" წინააღმდეგ ძმათამკვლელი ომი გააჩაღა ჩრდილოეთ ლიბანში. ამიტომ მოსკოვს ზეწოლა უნდა მოეხდინა დამასკოზე და სირიის სამხედრო ოპერაცია შეეჩერებინა. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ტერორისტები მძევლების მოკვლით დაიმუქრნენ და მოკლე ხანში თავიანთი განზრახვის სერიოზულობაც დაადასტურეს: გატაცებისას დაჭრილი ანდრეი კატკოვი მიტოვებულ სტადიონზე მიიყვანეს და ჩაცხრილეს.

კიდევ უფრო ელდისმომგვრელი აღმოჩნდა საბჭოთა რეზიდენტურისთვის უცაბედი აღმოჩენა: **საბჭოთა მძევალთა გატაცების იდეა იასირ არაფატის მიერ კონტროლირებადი პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ადგილობრივი ბირთვის წიაღში იშვა, ხოლო ოპერაციას არაფატის ყოფილი პირადი მცველი იმად მუნიე, მეტსახელად „აფთარი" ხელმძღვანელობდა, რომელმაც კატკოვი საკუთარი ხელით დახვრიტა.**



ბენიამინ ნეთანიაჰუ, არაფატი, ნაბილ შაათი



იცხაკ რაბინი, ბილ კლინტონი და იასირ არაფატი თეთრ სახლში 1993 წლის 13 სექტემბერს



ინტიფადის პირველი ტერორისტი თვითმკვლელი ქალი ვაფა იდრისი

ყველაფერი იმით დასრულდა, რომ საბჭოეთის გენმდივანმა მიხეილ გორბაჩოვმა პირადი წერილი გაუგზავნა სირიის ლიდერ ჰაფეზ ასადს და სთხოვა, თავი შეეკავებინა პალესტინელთა წინააღმდეგ რაიმე ქმედებებისგან. სირიელებმა კრემლს ანგარიში გაუწიეს და ოპერაციები შეწყვიტეს. თუმცა, არაფატის პირადი ბრძანებით, მძევალთა გათავისუფლება მაინც გადაიდო... მან და მისმა თანამოაზრეებმა კიდევ ერთი თავხედური კომბინაციის ჩატარება განიზრახეს, რომლის აუცილებლობაც არაფატს კვლავ დამასკოს ქმედებებმა უკარნახა, რომელიც იმჯერად ბეირუთის გარეუბნებს არაფატისტებისა და „ჰეზბოლაჰისგან" წმენდდა. პალესტინის ლიდერმა კვლავ შანტაჟს მიმართა და მოსკოვს ქარაგმულად გადაუკრა: ან ისევ ზეწოლას განახორციელებთ დამასკოზე, ანდა... ჰაფეზ ასადმა მოსკოვს ამჯერადაც გაუწია ანგარიში. ტერორისტების მოთხოვნა შესრულდა, მაგრამ... მძევლები კვლავ ტყვეობაში დარჩნენ. პალესტინელებმა მეტი უსაფრთხოებისთვის ისინი „ჰეზბოლაჰის" ბოევიკებს გადასცეს.

**მაშინ საბჭოთა რეზიდენტი „ჰეზბოლაჰის" სულიერ ლიდერს — შეიხ ფადლალას შეხვდა და პოპულარულად აუხსნა, რომ კა-გე-ბეს გრძელი ხელები ჰქონდა და საბჭოთა მოქალაქეების დაღუპვას ორგანიზაციის ბოევიკებსა და მათ ხელმძღვანელებს ძალზე ძვირად დაუსვამდა.** შეიხმა გადაწყვიტა, რომ კა-გე-ბეს მტრად მოკიდება მაშინ, როცა ისრაელის „მოსადი" უკვე გადამტერებული ჰყავდა, არ ღირდა... შეხვედრიდან ორი დღის შემდეგ მძევლები გაათავისუფლეს.

თავდაპირველად იასირ არაფატზე გავრცელებული მითი მას იმ პოლიტიკოსად წარმოაჩენდა, რომელიც პალესტინელი ხალხის დასაცავად მთელი ცხოვრება „სამართლიან ბრძოლას" აწარმოებდა და დიდხანს წარუმატებლად ლამობდა თავისი კანონიერი უფლების რეალიზებას დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე. **თუმცა მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად პალესტინის ლეგიტიმურ ლიდერადქცეული არაფატი უწინდებურად ტერორისტად დარჩა.**

1950-60-იანი წლების დასაწყისში იგი ფედაინთა (პალესტინელ პარტიზანთა) ერთ-ერთი საველე მეთაური იყო, რომელმაც ისრაელელებთან ბრძოლის სასტიკი, მაგრამ ეფექტიანი მეთოდი შეიმუშავა: **მისი ბოევიკები თავს ესხმოდნენ სასკოლო ავტობუსებს. ებრაელ ბავშვებზე თავდასხმა ისრაელისა და მსოფლიო თანამეგობრობის შანტაჟის იარაღად იქცა.** არაფატის გათვლა ზუსტი აღმოჩნდა. პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია გაერომ აღიარა და იასირ არაფატმა სრული კონტროლი დაამყარა საერთაშორისო დახმარების, ფულისა და იარაღის ნაკადებზე.

1998 წელს, ისრაელთან სამშვიდობო მოლაპარაკებების მარცხით დასრულების შემდეგ, დაიწყო პალესტინური ინტიფადა — აჯანყება, რომელმაც ათასობით ებრაელისა და რამდენიმე ათასი პალესტინელის სიცოცხლე იმსხვერპლა. ამ ინტიფადისას, რომლის ორგანიზატორი არაფატი, ხოლო ძრავი „ფაჰთი" და არა „ჰამასი" ან „ისლამური ჯიჰადი" იყვნენ, ძალზე აქტიურად იყენებდნენ ტერორისტ-თვითმკვლელებს. **აფეთქებებს ავტობუსებში, კაფეებში, დისკოთეკებზე, ბაზრებზე, სადგურებსა და სხვა ხალხმრავალ ადგილებში, თვალსაჩინოდ უნდა დაენახვებინა ებრაული სახელმწიფოსთვის, რა ელოდა, თუკი არაფატთან დათმობებზე არ წავიდოდა.** ისრაელის ყოველი მორიგი საპასუხო დარტყმის შემდგომ, რომელსაც მსოფლიო ტელეარხები აშუქებდნენ, ეკრანზე უთუოდ გამოჩნდებოდა პალესტინის ლიდერი და აცხადებდა, რომ მსოფლიომ კვლავ იხილა სიონისტი აგრესორის სახე... დასავლეთს, რომელზეც ინტიფადის პროპაგანდისტული მეთოდი იყო გათვლილი, დიდხანს არ სჯეროდა, რომ „ხალხის რისხვას" სინამდვილეში პალესტინის ხელმძღვანელობა მართავდა.

ინტიფადის მექანიზმი მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად მუშაობდა, მანამდე, სანამ 2001 წლის ბოლოდან საზარელი აფეთქებები არ გაისმა ჰადერში, იერუსალიმსა და ჰაიფში. იასირ არაფატი კვლავაც შეეცადა ისრაელის დადანაშაულებას, მაგრამ ამჯერად ჯორჯ ბუშმა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალურ ლაშქრობას, განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთში ტერორის ტალღა სწორედ არაფატმა ააზვირთა. იმავე დღეს ევროპის სახელმწიფოებმა პალესტინური ორგანიზაციების საბანკო ანგარიშები გაყინეს.

პალესტინის უცვლელმა ბელადმა უცებ აღმოაჩინა, რომ ინტიფადა, როგორც მისი ცხოვრებისეული პროექტი, ფიასკოთი დასრულდა და აღარ წარმოადგენდა თანამემამულეების სისხლით „დამზადებულ" პოლიტიკური დღეგრძელობის ელექსირს. ასე რომ, არაფატის პოლიტიკური აღსასრული ფიზიკურ სიკვდილამდე დადგა. **ინტიფადის მთავარი მსხვერპლი იგი თავად აღმოჩნდა.**

**მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად პალესტინის ლეგიტიმურ ლიდერადქცეული არაფატი უწინდებურად ტერორისტად დარჩა**

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# არწივი გაიბოტენის თავზე

**გერგეტის „სამება“ შორიდან მყინვარწვერის მკერდზე ამოსულ შროშანს წააგავს და საქართველოს ერთ-ერთ ვიზუალურ სიმბოლოდაც შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამ სიმბოლოში არის რაღაც მისტიკური და ღვთაებრივი. იქნებ, ამიტომაცაა, რომ ძველთაგან მომდინარე, ჩვენი ნეტარი მამანი მყინვართა სანახებში დამკვიდრებასა და დაყუდებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.**




ბეთლემის კარი



ფანშეტის გამოქვაბული და მთავარი კოშკი

გერგეტის სამებიდან ჩრდილო-დასავლეთით მიმავალი წავარნებით მეტეოსადგურში შეიძლება მოხვედრა, იქიდან კი მთამსვლელს ბეთლემის ქვაბებში ან სულაც მყინვარწვერზე შეუძლია ასვლა.

ეს ის ბეთლემის ქვაბებია, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ თავისი ბრწყინვალე პოემა „განდეგილი“ მიუძღვნა. აქვე აღსანიშნავია, რომ „განდეგილს“ მიმსგავსებული სიუჟეტი შემონახულია ხევში შემორჩენილ ერთ-ერთ ძველ თქმულებაში.

**ამ თქმულების თანახმად, მონადირეზე გათხოვილ ერთ-ერთ ქალს ბეთლემიდან მომავალი ბერის სიყვარული ჩავარდნია გულში და ქმრისთვის მოუტყუებია: ფთილის დახვევის დროს ბეთლემის ხატის მიზეზი გამომივიდა, მასთან შეხვეწილი ვარ და სალოცავად იქ უნდა წავიდეო. ქალს ქმარიც თან გაჰყოლია, მაგრამ გზაზე ცოლს კიდევ ერთხელ უთქვამს ტყუილი: ხატის სანთელი სახლში დამრჩა, წადი, მომიტანე, მე კი აქ დაგელოდებიო. ქმარი რომ წასულა, დიაცს დრო უხელთებია, ჭექაქუხილში გამოქვაბულებს მიახლოვებია და საშველად ყვირილი მოურთავს. ბერებს ჯაჭვი ჩაუშვიათ და ქალი აუყვანიათ. მერე, რაღაც მანქანებით, ქალი სწორედ იმ ბერის სენაკში მოხვედრილა, რომლის ინტერესიც ჰქონია... და ასე შემდეგ...**

**ბეთლემის ქვაბები და მისი შემოგარენი ძალიან ძველი დროიდან ბერთა საყუდელი ალაგი ყოფილა. აქ უნდა ემოღვაწა წმინდანად შერაცხულ იოსებ მოხევეს — ბერს, რომელმაც პირველად შედგა ფეხი მყინვარწვერის თხემზე.**

* * *

დაახლოებით იქ, სადაც თერგს აჩხოტის წყალი უერთდება, მდინარეზე ხიდია გადებული. აქ ახლა სოფელი არშაა. გაღმა კლდეში ნაკვეთი დიდი პარეხია, რომელსაც „დევთა ქობი (ქვაბი)“ ჰქვია. ამ გამოქვაბულში, თურმე 500 ცხვარი ეტევა (საერთოდ, „პარეხი“ კლდეში გამოკვეთილ სადგომს ნიშნავს და სიტყვა „ფარეხიც“ აქედან უნდა მოდიოდეს, როგორც ცხვრის სადგომი, მაგრამ ბუნებრივ პარეხებს ადრე ადამიანებიც, მეტადრე კი ბერებიც, იყენებდნენ თავიანთ საცხოვრებლად).

დევთა ქობის ახლოს არის არშის ცნობილი ნაციხარი, მაგრამ ამ მიუვალი ციტადელიდან დღეს თითქმის არაფერია შემორჩენილი. XII საუკუნეში აქ თურმე დემეტრე პირველის ერთ-ერთი ერთგული თანამებრძოლი, წარმოშობით სურამელი, ვინმე ბაბალი გამაგრებულა და ციხის ჩასარაზად განჯიდან წამოღებული ცნობილი კარის კლიტე გამოუყენებია. ამაზე ერთი ხალხური ლექსიც არსებობს:

**„არშას ბაზალი ღურმაი**
**ვეფხი კლანჭებზედ**
**დგებაო,**
**განჯას შეგლიჯა კლიტენი**
**ჩემ არშას მოუხდებაო“.**

და კიდევ: ეს ის არშის ციხეა, რომელშიც გიორგი სააკაძეს მოღალატე ანდუყაფარ ამილახვარი და მისი სპარსი მეუღლე ჰყავდა გამომწყვდეული.

კიდევ უფრო მაღლაა მცირე სოფელი თოთი, რომელშიც ავსაჯანიშვილები და წიკლაურები ცხოვრობენ.

სოფელი ფანშეტი ზედ თერგის ნაპირზეა, მაგრამ იმ ლამაზ კოშკამდე, რომელმაც თვალი მოგვტაცა გაღმიდან, პარეხთა კიდევ ერთი მცირე კომპლექსია. იგი, გადმოცემის თანახმად, ბეთლემის ბერების მიერაა გამოთხრილი. ფანშეტი მოზრდილი სოფელია მთის პირობაზე. აქ ძირითადად საბაურები, სამქანაშვილები და ჩონიაშვილები ცხოვრობენ, რომელთაც ძველთაგან თავ-თავიანთი კოშკები ჰქონიათ. ამათ შორის ყველაზე ძველი მოსახლენი, მგონი, საბაურები ყოფილან, რასაც, სხვათა შორის, კლდეზე მიკრული მათი კოშკის ხანდაზმულობაც საცნაურს ხდის. სოფელში ტყუპმა დებმა — ქეთევანმა და თამარმა რომ გაგვიწიეს მოგზაურობა, სწორედ საბაურები აღმოჩნდნენ. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სასწავლებლის მოსწავლეებმა ერთი აქაური გადმოცემა გვიამბეს: **საბაურების შემდეგ ფანშეტში, თურმე, კავთისხევიდან ამოსული სამქანა დამკვიდრებულა. ეს სამქანა ფრიად შეძლებული კაცი ყოფილა და ძლიერ კოშკიც აუგია. ნათქვამია, რომ კოშკის ცალი კედლის აყვანაში მას 60 ხარი უძლევია, კირითხურონი კი სულ ბატკნის ხორცით დაუპურებია. ამის მერე სამქანას გერგეტში მცხოვრები ცოლისძმა — ჩონია მიჰკედლებია. გასულა დრო და ჩონიას სამქანასთვის წილი მოუთხოვია, იქვე დასახლებულა და ერთი კოშკი მასაც აუგია. ეს ორი კოშკი დღესაც გვერდიგვერდ დგას, ბანიან სახლებთან ერთად, მაგრამ სიმტკიცითა და სიდიდით სამქანას კოშკი ჭარბობს აშკარად.**

უნდა ითქვას, რომ დაუცლელად შემორჩენილ ხევის სოფლებში სიძველის ყველაზე მეტი ნიშანი გერგეტისა და ფანშეტის ძველ უბნებს აზის.

ვდგავარ მიტოვებული სახლის ბანზე და თვალწინ ფიქალის კედლების თავზე ამოსულ ყაყაჩოთა ალერსს ვუყურებ, აქა-იქ, ქვის კიბეზე, ბალახი უხრის თავს ნიავს, მოშლილ ყორეზე ჭინჭარს გადაუვლია, რომელიღაც ეზოში ცხენი ფრუტუნებს და ქათამი კრიახობს. გაღმა, შორს, რაც კი ცაზე ნისლი იყო, ერთად შეუკრიბავს ქაბარჭინას მწვერვალს და თავი შეურგავს, ეტყობა შუბლს იგრილებს...

რაკი „გერგეტის სამების“ შემდეგ ისევ მოვხვდით თერგის იმავე, მარცხენა სანაპიროზე, მომენტით ვსარგებლობთ და მდინარის აყოლებაზე, სამხრეთ-დასავლეთით ვაგრძელებთ გზას, რათა გაიბოტენის ეკლესია მოვძებნოთ. გული გვიგრძნობს, რომ იგი ძალიან ძველი საყდარი უნდა იყოს. აღმოჩნდა, რომ ეკლესია უშუალოდ სოფელ გაიბოტენში კი არ დგას, არამედ ზედ თერგის ჭალაში, სოფელ ტყარშეტთან ახლოს.

შიფერით გადახურული ტაძარი შორიდან კოლექტივიზაციის დროინდელ ხუხულას ჰგავს, რასაც თავისი მიზეზი აქვს და ამას მიახლოვებისთანავე მივხვდით. კოლექტივიზაციის დროს ეკლესიას, ჩანს, მარცვლეულის შესანახად იყენებდნენ და, სამხრეთის კედელს თუ არ ჩავთვლით, იგი ერთიანად კირის თეთრი ხსნარითაა შეთითხნილი. ზედ რომ წაადგები, მაშინღა მიხვდები, რაგვარ სიძველესთან გაქვს საქმე. ეს არის კვირაცხოვლის ეკლესია, რომელსაც ადგილობრივები კვირაძალს ან შემოკლებით კვირიეს უწოდებენ. იგი ერთხანს ყაზბეგელებს ეკუთვნოდათ, მაგრამ მერე გასამრჯელოდ გადაუციათ ავსაჯანიშვილებისთვის. ტაძარი სიგრძეში მხოლოდ 7 მეტრია, სიგანეში — 5, მაგრამ ისეთი დიდი ლოდებითაა ნაგები, გაგიკვირდებათ. ერთი ლოდი, მაგალითად, სიგრძეში 162 სანტიმეტრია, ხოლო სიმაღლეში — 40. ამასთანავე, ეს ლოდები ორპირადაა დაწყობილი და შუაში თხელი დუღაბი აქვს. ამიტომაცაა, რომ საყდარს მცირეოდენი ბზარიც კი არ აქვს, ერთი ესაა მხოლოდ — დროთა განმავლობაში მოშვავებულ მიწას ლამის სანახევროდ დაუფარავს და ახლა ნიადაგის ზედაპირიდან მხოლოდ 3,5 მეტრის სიმაღლეზეა დარჩენილი. ასე რომ, სამხრეთის ერთადერთი კარიდან წელში მოხრილი თუ შეხვალთ შიგნით. ლოდებზე კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას — იგი ანდეზიტისაა და ღვინისფერი ყოფილა. კალატოზს მათი დამუშავება გაჭირვებია, მაგრამ წყობაში თარაზულობის დაცვა ასე თუ ისე მოუხერხებია.

შიგნით ეკლესია აღმოსავლეთისა და დასავლეთის მცირე სარკმლებით ძლივს ნათდება, საკურთხევლის კედელი სწორკუთხაა და შიგნით ასევე სწორკუთხა ერთი ნიშია დატანებული. ქვის კანკელზე ამჟამად ხის ძელია შემოდგმული, რომელიც მარტივ სახურავს იმაგრებს. ეკლესიისთვის სამხრეთიდან ხის ფარდული მიუშენებიათ და გრძელი მაგიდაც დაუდგამთ. იქვე ზარია ჩამოკიდებული.

**გაიბოტენის „კვირაცხოველს“ ამდენ ყურადღებას იმიტომ ვუთმობ, რომ იგი ჯეროვნად არ არის შესწავლილი. არადა, ხევში შემორჩენილ ეკლესიათა შორის უძველესი უნდა იყოს. იგი, სულ მცირე, 13 საუკუნისაა.**

სტეფანწმინდა-ხევის ეპარქიის მწყემსმთავარს, ეპისკოპოს იეგუდიელს ტაძრისათვის პირველი ყურადღება მიუქცევია, ბერები გამოუგზავნია და ძეგლის მიმდებარე ტერიტორია გაუწმენდია. ეკლესიაშიც სისუფთავეა, კანკელის წინ წითელი ლენტია გაბმული. ტაძარზე სამხრეთიდან მიდგმული ხის ღია ფარდულისათვის არ უხლიათ მხოლოდ ხელი, რადგან კვირაცხოვლობის დღესასწაულზე მოსული მლოცველები წვიმის შემთხვევაში მას აფარებენ ხოლმე თავს.

ვზივარ ახლა ამ ფარდულში და თერგის შორეულ ღრიალს ვუგდებ ყურს. აქვე ჩამობმულ ზარზე ჩიტი-ჩიორა შემოსკუპულა და ბუმბულს იწმენდს ნისკარტით. მაღლა, ცაში, არწივი ბონიობს — არემარეს ზვერავს.

უბის წიგნაკში ბოლო შენიშვნები შემაქვს. მერე კი სუფთა გვერდზე მსხვილი ასოებით ვწერ: „სნო“.

ხვალ სნოს ხეობაში უნდა შევიდეთ, რომელიც მეოთხედი საუკუნეა არ მინახავს.

**ბელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**



ფანშეტის კოშკები





გაიბოტენის ეკლესია

# რუსეთ-ოსმალეთის ომი

**ოსმალეთის სულთანმა 1806 წლის 18 დეკემბერს ომი გამოუცხადა რუსეთს, ხოლო მცირე ხნის შემდეგ ელჩიც გაგზავნა ნაპოლეონთან კავშირის შესაკვრელად. რუსეთის მთავრობისათვის ახლა უკვე ზავი სპარსეთთან მეტისმეტად საჭირო საქმე იყო და გუდოვიჩსაც შესაფერისი ბრძანება მოუვიდა პეტერბურგიდან. ამავე დროს ოსმალთა წინააღმდეგ გადაწყვეტილი იყო შეტევითი ომის წარმოება მათი განდევნის მიზნით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ციხეებიდან: ანაპიდან, სოხუმიდან, ანაკლიიდან, ფოთიდან, ბათუმიდან, გონიოდან. მაგრამ სიტუაციას ის ართულებდა, რომ სპარსეთი ზავს არ თანხმდებოდა. ის რუსთა ჯარის საქართველოდან გასვლას მოითხოვდა, ხოლო რუსეთის მთავრობა ამიერკავკასიიდან ფეხს არ იცვლიდა.**



ნიკოლაი დმიტრიევ-ორენბურგსკი „გრივიცკის რედუტის ხელში ჩაგდება“

1806 წლის ზაფხულიდან სპარსეთში ნაპოლეონის ელჩი იყო ჟობერი. მისი მთავარი ცდა ის იყო, რომ სპარსეთი ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინა. შაჰის კარზე ამ დროს სპარს დიდებულთა შორის ორი დასი იყო. ერთი ინგლისთან კავშირს მომხრეობდა, მეორე საფრანგეთს ირჩევდა. **ნაპოლეონის დაპირებებით მოხიბლული შაჰი უფრო საფრანგეთის მხარეზე იხრებოდა. ჟობერს წარმატება ხვდა. 1807 წელს შაჰმა ელჩობა მიავლინა მირზა რიზა-ხანის მეთაურობით ნაპოლეონთან სამხედრო კავშირის გასაფორმებლად. მეორე მხრით, შაჰმა ოსმალეთს კავკასიაში რუსთა ჯარის წინააღმდეგ საერთო მოქმედება შესთავაზა. შეთანხმება მოხდა და მოწოდება-პროკლამაციები შაჰისა და სულთანის სახელით მოეფინა იმიერისა თუ ამიერკავკასიის ხალხებს.** უკვე 1807 წლის დასაწყისში კავკასია ისევ ღელავდა და გაზაფხულზევე დიდი ომის მოლოდინში იყო. ჯერ ისევ რვა თებერვალს ოსმალთა დესანტი ყულევს დაეცა, მაგრამ უკუქცეულ იქნა.

რაკი სპარსეთთან ზავის დადება არ მოხერხდა, გუდოვიჩმა მის წინააღმდეგ თავდაცვითი ომის წარმოება გადაწყვიტა, რათა მთავარი ძალები ოსმალთა წინააღმდეგ შეტევით ომში გამოეყვანა.

გუდოვიჩმა ოსმალებს სამი მიმართულებით შეუტია. გენერალი ნესვეტაევი ყარსზე წავიდა, თვით გუდოვიჩი წალკის გზით ახალციხის საფაშოზე გაემართა, ქუთაისში მდგომ გენერალ რიკჰოფს კი ფოთზე მისვლა ებრძანა.

**ბრძოლა ფოთთან.** ამავე დროს გენერალი რიკჰოფი ქუთაისიდან ფოთისაკენ წავიდა და ამ ციხეს ალყად შემოადგა. ციხეს იერიში არ უხერხდებოდა და რიკჰოფმა ხანგრძლივი ალყის გეგმა მიიღო. ამასობაში ოსმალებმა მეშველი ჯარი გამოაგზავნეს, რომელიც ბათომს მოვიდა. ამით ოსმალები რუსთა მოალყე ჯარს გარემოცვას უპირებდნენ. რიკჰოფმა საფრთხე იგრძნო, ციხეს მოეცალა და ყულევ-ჭალადიდს დადგა. აქ მას წალკიდან გუდოვიჩის ბრძანება მოუვიდა, რათა ქუთაისს დაბრუნებულიყო.

**ბრძოლა გუმბრთან.** რუსთა ჯარის ამ წარუმატებლობამ თურქები გაამხნევა. ოსმალთა სერასკერი ყარსის მიმართულებით შეტევაზე გადმოვიდა. ნესვეტაევი ყარსის საფაშოდან გამოვიდა, გუმბრს (ლენინაკანი) გამაგრდა და მტრის მოძალებულ იერიშებს მხნედ იგერიებდა. ნესვეტაევის მისაშველებლად თვით გუდოვიჩი წავიდა. აქ 17 ივლისს გადამწყვეტი ომი მოხდა. ოსმალები დამარცხდნენ და გამარჯვების მოქადული სერასკერი უკუიქცა და ყარსში ჩაიკეტა.

ამ ომში სპარსეთმა მონაწილეობის მიღებაც კი ვერ მოასწრო. როცა აბას-მირზა სპარსელთა ჯარით გუმბრს მოუახლოვდა, რათა ოსმალთა სერასკერს მიშველებოდა; მან შეიტყო, რომ მოკავშირე უკვე დამარცხებულიყო. აბას-მირზამ გაცლა ამჯობინა და მშვიდობიანად სპარსეთს დაბრუნდა.

**ფინკენშტეინის ხელშეკრულება.** სწორედ ამ ხანებში, როცა ამიერკავკასიაში ომი იყო გაჩაღებული, **ევროპაში, ფინკენშტეინის სასახლეში 4 მაისს, 1807 წელს საიდუმლო ხელშეკრულება დაიდო ნაპოლეონსა და სპარსეთის შაჰს შორის. ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი საქართველოს შეეხებოდა. საფრანგეთის იმპერატორი ცნობდა შაჰის „უფლებას“ საქართველოზე და ივალებდა, ყოველი ღონე ეხმარა, რათა აეძულებინა რუსეთი, რომ ამ ქვეყნიდან გასულიყო.** სხვა მუხლის თანახმად, ნაპოლეონი მიაწვდიდა სპარსეთს თოფებს, ზარბაზნებს, ინსტრუქტორ-ინჟინრებს. შაჰი კი მოვალე იყო, ინგლისელებისათვისაც ომი გამოეცხადებინა და ინდოეთს სალაშქროდ მომზადებულიყო.

ამ ხელშეკრულების შესაბამისად იყო, რომ ნაპოლეონმა სპარსეთში სამოღვაწეოდ გაგზავნა 150 კაცისაგან შემდგარი მისია გენერალ გარდანის მეთაურობით, რომელიც თეირანს ჩავიდა 24 დეკემბერს, 1807 წელს. მისიაში მრავლად იყვნენ მაღალკვალიფიციური დიპლომატები, სამხედრო საქმის სპეციალისტები, ტექნიკოს-ინჟინრები, მეცნიერები. მისვლის უმალვე ამ მისიამ ფრიად ინტენსიური მოქმედება გააჩაღა და დიდი გავლენაც მოიპოვა.

**ტილზიტის ზავი.** ამავე ხანებში ასეთივე ხასიათის ხელშეკრულება მზადდებოდა ოსმალეთთან, რომელსაც ნაპოლეონი მოლდავიას, ვალახიას, ბესარაბიას, ყირიმსა და საქართველოს აღუთქვამდა. შემდეგ ამას უნდა მოჰყოლოდა ოსმალეთ-საფრანგეთ-სპარსეთის კავშირი ინგლის-რუსეთის წინააღმდეგ. მოსალოდნელი იყო, რომ კავკასიაში მძიმე მდგომარეობა შეიქნებოდა. მაგრამ სწორედ ამ დროს, 1807 წლის 9 ივლისს, ნაპოლეონსა და ალექსანდრე ხელმწიფეს შორის ზავი დაიდო (ტილზიტის ზავი), რომელმაც პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობა ახლო-აღმოსავლეთშიაც სულ ერთიანად შეცვალა.

**ტილზიტის ზავის თანახმად, საფრანგეთი და რუსეთი ურთიერთის მოკავშირენი ხდებოდნენ. ამ ძლიერი მოკავშირის შეძენის მიზნით ნაპოლეონმა ადვილად გასწირა ოსმალეთი.** ტილზიტის ზავის თანახმად, ნაპოლეონი რუსეთ-ოსმალეთს შორის ზავის მოსაშუალედ გამოდიოდა, ხოლო ამავე ხელშეკრულების საიდუმლო მუხლით ისიც გათვალისწინებული იყო, რომ, თუ ოსმალეთი ნაპოლეონის მოსაშუალებას არ დასჯერდებოდა და რუსეთს ზავით არ შეეკვრებოდა, მაშინ რუსეთ-საფრანგეთი საკითხს დასვამდნენ ოსმალეთის ურთიერთშორის განაწილების შესახებ. საქმე აქამდე არ მივიდა და ნაპოლეონის მოციქულის მონაწილეობით 24 აგვისტოს, 1807 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის დროებითი ზავი დაიდო.

ამ ზავის შესახებ ამიერკავკასიაში მოქმედ მოწინააღმდეგეთაც აცნობეს და 2 სექტემბერს საქართველოს მთავარმართებელსა და ოსმალთა სერასკერს შორის დაზავება მოხდა.

**საფრანგეთის მისიის მარცხი სპარსეთში და ოსმალეთში.** მიუხედავად ამისა, სპარსეთში საქმის უკმაყოფილონი იყვნენ. ფინკენშტეინის ხელშეკრულება არ სრულდებოდა, საქართველო ისევ რუსეთის ხელში რჩებოდა. სპარსელებმა საფრანგეთზე გული აიცრუეს, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის მისია დიდის ცოდნით და ენერგიით მუშაობდა. ფრანგებმა ევროპულ სამხედრო წესზე გაწვრთნეს 4000 კაცისაგან შემდგარი რაზმი. მოაწყვეს ზარბაზნების ჩამოსხმის საქმე, სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების წესით გაამაგრეს ციხეები, მაგრამ ყველაფერი ეს შაჰს არ აკმაყოფილებდა და უპირველეს ყოვლისა საქართველოდან რუსთა გასვლას მოითხოვდა. უამისოდ ის უარს ამბობდა ინდოეთს ლაშქრობაზე და ინგლისთან შეთანხმების სურვილსაც კი აღარ მალავდა. ძველი მტაცებელი — ეს კბილებმოცვეთილი მგელი ეხლა თურმე „სამართლიანობის“ არგუმენტსაც მიმართავდა და ამტკიცებდა, რომ ქართველ ხალხს რუსთა ბატონობა არ სურდა, რაზედაც ნაპოლეონის გენერალი მართებულად შენიშნავდა: უეჭველია, მოსახლეობა უჩივის რუსთა უღელს, მაგრამ შესაძლებელია, ის ამ უღელს არჩევდეს შაჰის დესპოტურ უღელთან შედარებითო.

**ერთის სიტყვით, საფრანგეთმა რუსეთი და სპარსეთი ვერ მოარიგა. ამის მიზეზი საქართველოს საკითხი იყო. საფრანგეთის ამ მარცხით ინგლისელებმა მოხერხებულად ისარგებლეს. საქართველოს შოვნას ახლა ისინი შეჰპირდნენ შაჰს და საფრანგეთის გავლენა სპარსეთში სულ ერთიანად გააქარწყლეს.** 1809 წლის 12 მარტს ინგლისის წარმომადგენელმა გარფორდ ჯონსმა მოახერხა სპარსეთის შაჰთან საკავშირო ხელშეკრულების დადება. კავშირის პირობა იყო, რომ ინგლისი სპარსეთს უფასოდ მიაწოდებდა იარაღს და ყოველწლიურად ორ მილიონ მანეთს ოქროთი — რუსეთის წინააღმდეგ ომის საწარმოებლად. სპარსეთი კი კისრულობდა, რომ თავის ქვეყანაში საფრანგეთის აგენტებს არ გააჭაჭანებდა.

დამარცხებულმა საფრანგეთის მისიამ ჯერ კიდევ 13 თებერვალს დატოვა თეირანი.

ასეთივე წარმატება ხვდა ინგლისის დიპლომატიას ოსმალეთშიაც, **რუსეთ-ოსმალეთის დროებითი ზავი ხანმოკლე აღმოჩნდა. საბოლოოდ ვერ მორიგდნენ, თანაც ზავის შუამავალი ნაპოლეონი სულ უფრო და უფრო რუსეთის სასარგებლოდ საქმიანობდა. ოსმალეთში აღშფოთებული იყვნენ ნაპოლეონის „ღალატით“. რუსეთმა ისარგებლა ხელსაყრელი ვითარებით და დამარტოხელებულ ოსმალეთს 1808 წლის მიწურულს ულტიმატუმი წარუდგინა: ან ომი, ან ზავი შემდეგი პირობით: ოსმალეთს რუსეთისათვის უნდა დაეთმო მოლდავია, ვალახია, უნდა ეცნო სერბიის დამოუკიდებლობა და რუსეთისად უნდა ეცნო საქართველო (ქართლ-კახეთი), იმერეთი, სამეგრელო.**

აი, ამ კრიტიკულ დროს ოსმალეთს კავშირი შესთავაზა ინგლისმა. შეთანხმება 1809 წლის 5 იანვარს მოხდა. ინგლისთან ამ შეთანხმებით წელმომაგრებულმა ოსმალეთმა 13 აპრილს 1809 წელს რუსეთის ულტიმატუმი უარყო და რუსეთ-ოსმალეთის ომიც განახლდა, რომელიც 1812 წლის 28 მაისამდე აღარ შეწყვეტილა.

**თავისი მხრით, სპარსეთიც არა ნაკლებ „უცნაურ“ მოთხოვნილებას აყენებდა. შაჰი მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიას თავისად თვლიდა და რუსეთის მიერ მის დაცლას მოითხოვდა.**

ინგლისის ელჩი ჯონსი, თეირანში რომ მოკალათებულიყო, ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა სპარსეთსა და რუსეთს შორის ზავი არ დადებულიყო. და ეს ზავი არც შეიძლებოდა ინგლისის თანხმობის გარეშე. ხელშეკრულების თანახმად, ინგლისი ფულად სუბსიდიას სპარსეთს მანამ აძლევდა, ვიდრე ეს უკანასკნელი „საქართველოსათვის“ რუსეთის წინააღმდეგ ომს აწარმოებდა. ასე რომ, სპარსეთის შაჰი ინგლისის დაქირავებული მოლაშქრის მდგომარეობაში იყო და ჯამაგირს — 2 მილიონ ოქროს მანეთს — მანამ იღებდა, ვიდრე დამქირავებლის სურვილის თანახმად ომობდა.

ასე რომ, საზავო მოლაპარაკების შესახებ მოციქულობა როგორც რუსეთის, ისე სპარსეთის მხრით დროის მოგების ხერხიღა იყო.

ინგლისის ელჩი ჯონსი ღონეს არ ზოგავდა იმისათვის, რომ რუსეთის წინააღმდეგ სპარსეთ-ოსმალეთის სამხედრო კავშირი განეხორციელებინა. მართალია, ოსმალეთის მთელი გულისყური დუნაის ფრონტს ჰქონდა მიპყრობილი; ამიტომ მას საშუალება აღარ ჰქონდა, ამიერკავკასიის ფრონტისათვის მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა გამოეყო, მაგრამ, სამაგიეროდ ოსმალეთს კავკასიის მთიულებში დიდი გავლენა შეეძლო. მარტო ის რად ღირდა, რომ ამ დროს კავკასიის მთიანეთში მაჰმადიანობა სწრაფად ვრცელდებოდა. ეს ფაქტი უეჭველი მოწმობა იყო რუსეთის მთავრობის პოლიტიკის უვარგისობისა, მაგრამ ამავე დროს იგივე იყო მოწმობა ოსმალეთის გავლენის ზრდისაც.

**„ჟამი ხსნისა“,**
**ნაწილი მეხუთე**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**



**გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის**
**«ისტორიული მემკვიდრეობა»**
**მეცხრე ნომერი**

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გამოიხატოთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# 10 ყველაზე პოპულარული შეთქმულების თეორია



**ფარმაცევტთა სამედიცინო შეთქმულება**

**ბევრს, მათ შორის ცნობილ მეცნიერებსაც, მიაჩნიათ, რომ მთელი მსოფლიოს ფარმაცევტული კომპანიები დანაშაულებრივ შეთქმულებაში მონაწილეობენ იმ მიზნით, რომ საზოგადოებას მკურნალობის ნამდვილად ეფექტიანი მეთოდები დაუმალონ.** ფარმაცევტული ინდუსტრიის წარმომადგენლები საშუალებას არ აძლევენ ხალხს, მთლიანად გათავისუფლდნენ დაავადებებისგან, რათა ზეშემოსავალი არ დაკარგონ.



**ჯონ კენედის მკვლელობა**

**1963 წელს აშშ-ის პრეზიდენტ ჯონ კენედის დალასში ლი ჰარვი ოსვალდმა ესროლა. საგამოძიებო კომისიამ ივარაუდა, რომ ოსვალდი მარტო არ მოქმედებდა და გასროლაც რამდენჯერმე მოხდა.** იმ მოვლენების შესახებ სრული სიმართლე დღემდე არ გამჟღავნებულა, ამიტომ საუბარი ამ კონსპიროლოგიური შეთქმულების შესახებ ალბათ, კარგა ხანს არ შეწყდება.



**„დასაზომბებელი რეკლამა“**

**თავის დროზე კვლევებმა დამარწმუნებელი რეკლამის თაობაზე ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია, თუმცა ამ კონსპიროლოგიური თეორიის მომხრეთა „კვლევები“ და მტკიცებულებები უგულებელყვეს.** რასაკვირველია, ქვეცნობიერ დონეზე გავლენა არსებობს, მაგრამ ძალზე ძნელია, ადამიანს რაიმეს კეთება აიძულო არაცნობიერი რწმენის გავლენით.

**სიონელ ბრძენთა ოქმები**

**ეს ანტისემიტთა საყვარელი წიგნი იყო, რომელსაც XX საუკუნის 30-იან წლებში ნაცისტებიც იყენებდნენ ებრაელი ხალხის გენოციდის გასამართლებლად.** ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ „სიონელ ბრძენთა ოქმები“ გაყალბებული წიგნია, რომელსაც დღესაც გამოსცემენ და ავრცელებენ.



**სატანისტების შემოტევა**

**სატანისტების შეთქმულება, აგერ უკვე რამდენიმე ათეული წელია, დისკუსიების პოპულარულ თემას წარმოადგენს.** განსაკუთრებით ხშირად ამ თემაზე აშშ-ის მედიაში გასული საუკუნის 80-იან წლებში მსჯელობდნენ. საბოლოოდ, სატანისტების შეთქმულების თეორია მაინც არ დადასტურდა, თუმცა მისი მომხრეები მიიჩნევენ, რომ ეს კულტის მომსახურეთა ეფექტური კონსპირაციის წყალობით მოხდა.





**პოლ მაკარტნის სიკვდილი**

**ლეგენდარულ ჯგუფ „Beatles“-ის წევრი სინამდვილეში ჯერ კიდევ 1966 წელს გარდაიცვალა და იგი ორეულით შეცვალეს, ხოლო ნამდვილი მაკარტნის სიკვდილი საზოგადოებას დაუმალეს.** ასეთია ეს თეორია, რომელშიც ლოგიკა არაა, მაგრამ ბევრს მისი სჯერა.

**პრინცესა დაიანას სიკვდილი**

**ცოტას სჯერა, რომ ასეთი ცნობილი პიროვნების სიკვდილი უბედური შემთხვევის შედეგი იყო.** გამოჩნდნენ ისეთებიც, ვინც ყველაფერში ბრიტანულ დაზვერვას ადანაშაულებდა, რომელმაც თითქოსდა ეს ავტოკატასტროფა მოაწყო. ეს მოსაზრებები მაინც შეამოწმეს და უარყვეს.





**როსუელის ინციდენტი**

**ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ თეორიას დედამიწაზე უცხოპლანეტელთა სტუმრობა წარმოადგენს.** სკეპტიკოსებსაც კი სჯერათ, რომ 1947 წელს როსუელში მართლაც ჩამოვარდა ამო, რის დამალვასაც ყველანაირად ცდილობდა ხელისუფლება. სავარაუდოდ, ეს ამო კი არა, სამხედროებისთვის შექმნილი ზესაიდუმლო ზონდი იყო.



**ამერიკელების გადასხდომა მთვარეზე**

**საუბარი იმ ვიდომასალების სავარაუდო ფალსიფიკაციაზე, რომლებზეც მთავრეზე ამერიკელების გადასხდომაა ასახული, ამ მოვლენებიდან მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყო.** თუმცა, თუ პირველი გაფრენა გაყალბდა, რა უნდა ვთქვათ შემდგომ ექსპედიციებზე, რომლებშიც ათობით ასტრონავტი მონაწილეობდა და რით ავხსნათ მაშინ დედამიწაზე მთვარის ნიმუშების არსებობა, რომელთა გამოკვლევებზეც მთელი მსოფლიოს მეცნიერები მუშაობენ?



**11 სექტემბრის ტერაქტები აშშ-ში**

**უეჭველია, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტები კარგად დაგეგმილი და ორგანიზებული იყო,** მაგრამ ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან? ნუთუ მხოლოდ უსამა ბინ ლადენი? ეგებ, მას ამერიკის სპეცსამსახურებიც ეხმარებოდნენ ან, უბრალოდ, დაუშვეს, რომ ეს მომხდარიყო? ამაზე პასუხი ჯერჯერობით უცნობია.

## ყველაზე ძვირადღირებული ფოტოსურათი

**მხატვრისა და ფოტოგრაფის მენ რეის Glass Tears (შუშის ცრემლები) პირველი ფოტოსურათი იყო, რომლის ფასმაც 1 მლნ გირვანქა სტერლინგს გადააჭარბა.** ფოტოსურათი 2000 წელს გაიყიდა. როგორ ცნობილია, მისი მხოლოდ ოთხი ასლი არსებობს, რომლებიც პარიზში, 1930-იანი წლების დასაწყისში დამზადდა. ფოტო ამერიკელმა კერძო კოლექციონერმა შეიძინა. ნიუ იორკელი დილერი პიტერ მაკჰილი, რომელმაც „შუშის ცრემლები“ გაყიდა, მენ რეის მეოცე საუკუნის ყველაზე დიდ ფოტოგრაფად მიიჩნევს.



## ყველაზე ძვირადღირებული სიგარეტი




**ბრიტანულმა თამბაქოს მწარმოებელმა კომპანიამ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სიგარეტი „Treasurer“ გამოუშვა. ერთი კოლოფი 24 ევრო ღირს და მსოფლიოს 40 ქვეყანაში მხოლოდ სპეციალურ მაღაზიებში იყიდება. კომპანია კვირაში 2.5 ათას კოლოფ სიგარეტს აწარმოებს.** მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სიგარეტი „Virginia“ სუფთა თამბაქოთი მზადდება და დელიკატური მოტკბო სუნი აქვს. „Treasurer“-ი ალუმინის კოლოფშია მოთავსებული და ექსკლუზივის მოყვარულთათვის ჩინებული საჩუქარია.

## ყველაზე დიდი ვარსკვლავი



**მეცნიერებმა აღმოაჩინეს მზეზე 10 მლნ-ჯერ კაშკაშა უზარმაზარი ვარსკვლავი, რომლის მასაც მნათობისაზე 265-ჯერ მეტია.**

**ეს ციური სხეული, პროფესორ პოლ კროუტერის ხელმძღვანელობით, ბრიტანელმა ასტრონომებმა აღმოაჩინეს, რისთვისაც ნასას კოსმოსური ტელესკოპი „ჰაბლი“ და ევროპის ობსერვატორიის უძლიერესი დანადგარები გამოიყენეს.**

**ხსენებულ აღმოჩენამდე ასტრონომები დარწმუნებული იყვნენ, რომ ვარსკვლავის მასა მზისას, შესაძლოა, მხოლოდ 150-ჯერ აღემატებოდეს. მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ეს ვარსკვლავი უწინ უფრო დიდი იყო — მილიონზე მეტი ხნის წინათ ის მზის მასას 320-ჯერ აღემატებოდა. ასტრონომების თქმით, ეს ვარსკვლავი ჩვენი გალაქტიკის შუაში რომ მოათავსო, ის მზეზე კაშკაშა იმდენით იქნება, რამდენითაც მზეა მთვარეზე კაშკაშა.**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# 10 ყველაზე უნიკალური ადგილი აზიაში



**გუჯარათი, ინდოეთი**

**ქვეყანაში ბამბისა და მარილის ყველაზე დიდი მწარმოებელი გუჯარათის შტატი მაჰათმა განდის სამშობლოა.** 2005-2006 წლებში მძიმე მუსონებმა აქ უდიდესი წყალდიდობები გამოიწვია, რის გამოც 1000 კაცი დაიღუპა, დაზარალდა ინფრასტრუქტურა და სოფლის მეურნეობა. მეცნიერთა აზრით, მზარდად ცვალებადი კლიმატი უფრო მეტ მუსონურ ქარიშხლებსა და წყალდიდობებს გამოიწვევს.



**ჩერაპუნჯი, ინდოეთი**

ჩანჩქერებით გარშემორტყმული და ღრუბლებით დაფარული ჩერაპუნჯი დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე ტენიანი ადგილია. მიუხედავად ამისა, მისი მცხოვრებლები წყლის ნაკლებობას განიცდიან, რადგან აქ 8 თვის განმავლობაში არ წვიმს. გასული საუკუნის განმავლობაში კოკისპირული წვიმები იშვიათადაა, ხოლო ტყეების გაჩეხვის შედეგად წარმოქმნილი ეროზია მიწას წვიმის წყლის შენარჩუნების საშუალებას უზღუდავს.



**მდინარე განგი, ბანგლადეში**

**მდინარე განგისა და ბრაჰმაპუტრის მკვებავი ნივთიერებები განგის დელტაში ნიადაგს კვებავს.** 300 მლნ-მდე ადამიანი აქ მოყვანილ მცენარეულ კულტურებზეა დამოკიდებული. განგის აუზი სამხრეთ აზიაში ყველაზე დიდი ფართობისაა. კლიმატურმა ცვლილებებმა აქ შესაძლოა კოკისპირული წვიმების, წყალდიდობებისა და მუსონების გახშირება გამოიწვიოს.



**ბორნეო, ინდონეზია**

**ბორნეოს ტროპიკულ ტყეებში გადაშენებას გადარჩენილი ველური ორანგუტანგები ბინადრობენ.** თუმცა ამ ტროპიკულ ტყეებში, საგზაო მშენებლობებისა და პალმის ზეთის პლანტაციების გამო, ხეები იჩეხება, ხოლო ჰაერის მზარდი ტემპერატურა ტყის ხანძრებისა და ციებ-ცხელებით დაავადების რისკს ზრდის.

**მალდივის კუნძულები, ინდოეთის ოკეანე**

**მალდივები 1200 ტროპიკული კუნძულისგან შედგება, სადაც ქათქათა პლაჟები, ტანწერწეტა პალმები და კაშკაშა მარჯნის რიფებია.** გაეროს მონაცემებით, 2011 წლისთვის ზღვის დონე 59 სმ-ით აიწევს და მაშინ 1200-მარჯნისკუნძულიანი ჯაჭვი ინდოეთის კიდიდან 800 კმ-ში ნაწილობრივ წყალქვეშ აღმოჩნდება, მალდივის დიდი ნაწილი ხომ ზღვის დონიდან სულ მეტრ-ნახევარში მდებარეობს.



**კომოდო, ინდონეზია**

**კუნძულ კომოდოს გარშემო მოლივლივე ზღვა, თვალწარმტაცი მარჯნის რიფებისა და ფაუნის გამო, წყალქვეშ ცურვისთვის მსოფლიოში საუკეთესო ადგილია.** კუნძული Komodo დრაკონების (10 ფუტის სიგრძის ხვლიკების) სამშობლოცაა. ზღვის დონის მატება ამ მშვენიერ, მანგროს ხეებიან და ულამაზეს პლაჟებიან კუნძულს ჩაძირვით ემუქრება, ხოლო ჰაერის ტემპერატურისა და მჟავიანობის შემცველობის მომატებამ, შესაძლოა, მარჯნებიც გაანადგუროს.



**ტოკიო**

**მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი დედაქალაქია.** აქ გავრცელებულია მოვლენა, რომელიც „ცეცხლწაკიდებული კუნძულების" სახელწოდებითაა ცნობილი — მეგაპოლისების მახასიათებელი თავისებურება, როცა ავტომანქანების გამონაბოლქვისაგან ხელოვნურად მომატებული ჰაერის ტემპერატურა ადგილობრივ სასათბურე ეფექტს ქმნის. გლობალური ტემპერატურის მატებასთან ერთად ტოკიოს „სასათბურე ეფექტიც" გაიზრდება.





**ბანგკოკი, ტაილანდი**

**ბანგკოკი ტროპიკული დედაქალაქია, სადაც ტრადიციული აღმოსავლეთი დასავლეთის თანამედროვეობას ხვდება.** ამ ქალაქში ხშირია წყალდიდობები, განსაკუთრებით მუსონების სეზონისას. ქალაქი რბილ ფუნდამენტზე დგას, მჭიდროდაა დასახლებული და გრუნტის წყლების სიჭარბისგან ქვემოთ იწევს. შიშობენ, რომ ბანგკოკის დიდი ნაწილი ამ საუკუნის ბოლოს წყლისქვეშ არ აღმოჩნდეს.



**ლიბანი, ალ-მაკმალის მთა**

**ოდესღაც ლიბანის მთა-ბარი კედრის ხეებით იყო დაფარული, დღეს კი ტყის მასივთა ნაწილები მარტო ჩრდილოეთ ლიბანში, ალ-მაკმალის მთაზე, შემორჩა.** უკანასკნელი უძველესი კედრები ჰაერის ტემპერატურის მატების გამო აქაც საფთხის ქვეშ იმყოფება.



**არქიპელაგი მერგუი, ბირმა**

**გაშლილი ზღვები და თეთრი მარჯნის რიფები გადაშენების პირას მყოფი ზოგიერთი ზღვის ბინადარისა და მტაცებლის სამშობლოა.** მათ არსებობას კი სერიოზული საფრთხე ექმნება წყლის ტემპერატურის მატებისა და ოკეანის დინებათა ცვლილებების გამო, რაც მთელი კუნძულის ეკოსისტემასაც ემუქრება.



## ყველაზე უჩვეულო ხალიჩა

**ადამიანის ხელით შექმნილი ყველაზე უჩვეულო ხალიჩა ბაროდას მარგალიტის ხალიჩაა, რომელიც ბრილიანტებითა და მარგალიტებითაა ინკრუსტირებული. ხალიჩა ინდოეთში, ბაროდას ოლქში მოქსოვეს. მისი ისტორია მე-19 საუკუნეში, გაეკვარ კჰანდე პაოს მმართველობის ხანაში იწყება, რომელიც ისლამის სწავლებით მოიხიბლა და სურდა, მისდამი პატივისცემა მედინაში მოციქულ მუჰამედის საფლავთან ამ ხალიჩის მირთმევით გამოეხატა. თუმცა ინდუისტი მმართველი მანამდე გარდაიცვალა, სანამ ხალიჩის ჩუქებას მოასწრებდა, ამიტომ ეს შესანიშნავი ქმნილება ინდოეთში დარჩა.**

მარგალიტის ხალიჩის სიგრძე 2.64 მ, ხოლო სიგანე 1.73 მ-ია, ის აბრეშუმისა და ირმის ტყავისგან არის მოქსოვილი და ვერცხლისა და მუქი ოქროს ჩანართებითაა დამშვენებული, მოოჭვილია ორი მილიონი ნატურალური მარგალიტით, 2.5 ათასი ვარდისფერი ბრილიანტით, 1000-ზე მეტი ლალითა და 600 კოლუმბიური ზურმუხტით.

უნიკალური მარგალიტის ხალიჩა 2009 წელს კატარში, სოტბის აუქციონზე 5.458.000 დოლარად გაიყიდა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## «დაშვება» მეორმოცე სართულიდან



**ნიუიორკელი 22 წლის თომას მეიგილი ორმოცსართულიანი სახლის სახურავიდან გადმოხტა და, რაც უნდა საოცარი იყოს, ცოცხალი გადარჩა. დაშვება არც ისე სასიამოვნო აღმოჩნდა — ბიჭი ცათამბჯენის გვერდით გაჩერებულ ავტომანქანა Dodge Charger–ს დაეცა, უკანა შუშა ჩაამტვრია და პირდაპირ მანქანის სავარძელზე აღმოჩნდა გართხმული.**

ავტომანქანის მეპატრონე გაი მაკკორმაკი ირწმუნება, რომ ამ საბრალო წარუმატებელ თვითმკვლელს სიცოცხლე იმ ჯაგრისებმა შეუნარჩუნა, რომლებიც მანქანის მეპატრონეს მუდამ უკანა სავარძელზე ეწყო.

დაცემისას მეიგილმა ორივე ფეხი მოიტეხა და, პოლიციის ინფორმაციით, კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება. ეს ერთადერთია, რისი გარკვევაც პოლიციამ მოახერხა. სამწუხაროდ, ვერ დაადგინეს, რამ აიძულა ახალგაზრდა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა. მაგრამ მეიგილი საინფორმაციო საშუალებების არქივებში რეკორდსმენად არ მოიხსენიება, რადგან მასზე ადრე, 2007 წლის დეკემბერში, მინების მწმენდავი ალსიდეს მორენო 47-ე სართულიდან გადმოვარდა და ცოცხალი გადარჩა.

## მონაზვნების ჩემპიონატი სერფინგში



**პენსილვანიელი მონაზვნები 11 სექტემბრისთვის ნიუ-ჯერსიში დაგეგმილ სერფინგის ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას. ღონისძიება საქველმოქმედო ხასიათისაა და ბილეთებისა თუ სუვენირების გაყიდვის შედეგად შეგროვებული თანხა მთლიანად მონაზვნების სამეთვალყურეო თავშესაფარს გადაეცემა.** პირველად ამგვარი შეჯიბრი 1996 წელს ჩატარდა. მაშინ სერფერების ჯგუფმა თავშესაფრისთვის თანხის შეგროვება მოინდომეს. წლების განმავლობაში შეჯიბრი ძალზე პოპულარული გახდა. ამჟამად შოუზე დასასწრები ბილეთი 35 დოლარი ღირს. შეჯიბრის ტრადიციული სუვენირებიდან ყველაზე პოპულარულია მაისური, რომელზეც 73 წლის სერფერი მონაზვნის სურათია გამოსახული. მიუხედავად იმისა, რომ დოლორესი თავად ვერ სრიალებს დაფით, კამერების წინ დიდი სიამოვნებით პოზიორობს. თუმცა ცნობილია, რომ სპორტსმენებმა 83 წლის მონაზონს სერფინგის დაფით ტალღებზე სრიალი ასწავლეს.

## შარდის ვისკის ბრიტანული რეცეპტი

**ბრიტანელმა დეიმს გილპინმა ვისკის დამზადების საკუთარი რეცეპტი შეიმუშავა. რეცეპტის მთავარი ინგრედიენტი, არც მეტი, არც ნაკლები, ადამიანის შარდია. იდეის ავტორის თქმით, ამ ინგრედიენტის მისაღებად ნებისმიერი ადამიანი ვერ გამოდგება, ვისკი მხოლოდ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა შარდისგან შეიძლება დამზადდეს.** დეიმი გილპინმა პირველად ვისკის წარმოება თავისი დიაბეტიანი ბებოს შარდით დაიწყო, შემდეგ კი საქმეში უამრავი მოხუცი ჩართო. ახლა ის უკვე სასმელის ექსპორტზეც ფიქრობს. პროდუქტს სახელად Gilpin Family Whisky ჰქვია. „მწარმოებელი" შარდს ჯერ ფილტრავს, შემდეგ მისგან შაქარს გამოყოფს და მას განსაკუთრებული წესით ხარშავს. მიღებულ სითხეში სხვადასხვა ხარისხის ვისკის მცირე ულუფებს ამატებს. პროდუქტს პირველად ფართო საზოგადოების წინაშე 2010 წლის ლონდონის დიზაინერთა გამოფენაზე წარმოადგენენ, სადაც მსურველებს მისი გასინჯვის საშუალებაც ექნებათ.



# აშშ-ის ინტერესები კავკასიაში რუსეთისას არ ეწინააღმდეგება

# საქართველო და ამერიკა — ვინ ალაგმავს სააკაშვილს

**ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთში ომის ესკალაციითა და მასთან დაკავშირებული საკუთარი ქმედებებით ქვეყანა აბსოლუტურ კრახამდე მიიყვანა, მაგრამ პრეზიდენტი სააკაშვილი ძველებურად მტრულ განწყობას ინარჩუნებს და კვლავაც რუსული „საფრთხის" იდეითაა შეპყრობილი; ისიც კი განაცხადა: „თუ ტერიტორიიდან, სადაც ეთნიკური წმენდა მოახდინეს, მტრული ძალები შეტევაზე გადასვლას გადაწყვეტენ, მათ ფეხქვეშ ქართული მიწის ყველა კვადრატული მეტრი უნდა იწვოდეს — ასეთია ამოცანა".**



ამგვარი რიტორიკა თავისთავად ძალზე სახიფათოა და პროგნოზირებად მომავალში უახლოეს დიდ მეზობლებთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის აბსოლუტურად ყველა შანსს უკარგავს საქართველოს, მაგრამ აქ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის მხარდაჭერაა, რომელსაც სააკაშვილი, მიუხედავად თავისი აღვირახსნილი განცხადებებისა, ამ დრომდეც იღებს აშშ-ისგან. საჭირო არაა, აღინიშნოს, რომ ამერიკულმა გაზეთებმა საერთოდ გვერდი აუარეს სააკაშვილის „გადამწვარი მიწის" სტრატეგიას. როგორც ჩანს, ამან აბსოლუტურად არანაირი ზემოქმედება არ მოახდინა საქართველოს ხელისუფლების მიმართ არსებულ ამერიკულ წარმოდგენებზე და არც ამერიკულ-ქართული ურთიერთობების ხასიათზე. არადა, აღნიშნული დამოკიდებულება აუცილებლად უნდა შეიცვალოს როგორც საქართველოს, ისე ამერიკისა და რუსეთის ინტერესების გამოც.

**სააკაშვილს კვლავაც ჰყავს მაღალჩინოსანი მეგობრები ვაშინგტონში. სწორედ ის მეგობრები უჭერენ მხარს და იცავენ მის პოლიტიკას. სააკაშვილის მეგობრებს შორისაა არიზონის სენატორი ჯონ მაკეინი, რომელმაც 2008 წლის აგვისტოს ომის წლისთავთან დაკავშირებით სტატია დაწერა. ამ სტატიაში მაკეინმა ლამის ცამდე აიყვანა საქართველო და ამერიკის შეერთებულ შტატებს ამ ქვეყნის იარაღის მსხვილი პარტიებით უზრუნველყოფისკენ მოუწოდა.**

ობამას ადმინისტრაცია საქართველოსთან მიმართებაში ბევრად უფრო წინდახედულად მოქმედებს და პარალელურად მოსკოვთან ურთიერთობის დარეგულირებასაც ცდილობს. მეორეს მხრივ, ეს ადმინისტრაციაც მოვლენათა შეფასების ქართულ ვერსიას ემხრობა და სეპარატისტულ რესპუბლიკებში რუსეთის ძალების განლაგებას ოკუპაციას უწოდებს.

**გვერდი ავუაროთ აშშ-ის ძალზე საინტერესო ჩივილებს იმის თაობაზე, რომ რომელიღაც ქვეყანას სამხედრო ძალები საკუთარ საზღვრებს მიღმა ჰყავს განლაგებული, მაგრამ ამგვარი განცხადებები ცალსახად უბიძგებს თბილისს იმისკენ, რომ სულ უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს ამ ტერიტორიებზე რუსეთის შეიარაღებული ძალების განლაგების აღკვეთასა და დაძაბულობის ესკალაციას.** არადა, ვაშინგტონს ყველანაირი მიზეზი აქვს საიმისოდ, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის რაც შეიძლება სწრაფ დარეგულირებას შეუწყოს ხელი.

> **სააკაშვილის პრეტენზიების მხარდაჭერა გააჩენს ნაპერწკალს, რომელიც ცეცხლს შეუნთებს საქართველოსაც და აშშ-საც**

**ამერიკელთა მხრიდან სააკაშვილის ესოდენ სულელური მხარდაჭერა საქართველოს ლიდერს იმედს უღვივებს, რომ მომავალში ახალი კრიზისის შემთხვევაში ამერიკის მხრიდან მნიშვნელოვან მხარდაჭერას მიიღებს და ახლა ამ კრიზისის წარმოქმნის შანსებს ზრდის.**

**ბოლოსდაბოლოს, თუ ვაშინგტონი რუსეთის ჯარების განლაგებას ქვეყნის საზღვრებს გარეთ უკანონო ოკუპაციად აფასებს, ადრე თუ გვიან მას მოუწევს, საკუთარი განცხადებები კონკრეტული ქმედებებით შეცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში თავისივე რეპუტაციით მოუწევს ყველაფერზე პასუხისგება.** არავინ მოელის, რომ ამერიკელი პოლიტიკოსები ამ რესპუბლიკებთან დაკავშირებით რუსეთის ქმედებებს მოიწონებენ და გაამართლებენ, მაგრამ უამრავი ამერიკელი კვლავაც იმეორებს იმ შეცდომებს, რომლებმაც სააკაშვილს საშუალება მისცა, საკუთარი ქვეყანა ორი წლის წინათ აბსოლუტურ კატასტროფამდე მიეყვანა. ამ გამეორებადი შეცდომების გამო ძირითადად ქართველები დაზარალდებიან. ამერიკელებიც დაზარალდებიან, ოღონდ „ქართული სინდრომისგან", რომლის შესახებაც გასულ თვეში „Foreign Policy" წერდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი საბოლოო დარტყმის მსხვერპლი კვლავ ქართველები აღმოჩნდებიან.



**საკითხისადმი ვაშინგტონისეული მიდგომისგან განსხვავებით, ნამდვილმა მეგობრებმა სააკაშვილს პასუხი უნდა მოსთხოვონ იმისათვის, რომ მთელი ძალაუფლება მის ხელშია კონცენტრირებული, ახრჩობს ოპოზიციას და შეპყრობილია იმ ტერიტორიების „გათავისუფლების" იდეით, რომლებიც უკვე აღარასდროს დაექვემდებარება თბილისის კონტროლს. ვიდრე სააკაშვილს სჯერა, რომ ვაშინგტონი იზიარებს მის შეხედულებებს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის „გათავისუფლებასთან" დაკავშირებით, იგი კონფრონტაციის პოლიტიკას არ შეეშვება და მუდმივად ექნება იმედი, რომ მას საქართველოსთვის პოლიტიკური სარგებელისკენ მიმართავს.**

**მიუხედავად იმისა, აღიარებს თუ არა ვილაც სეპარატისტული რესპუბლიკების დამოუკიდებლობას, სისულელეა იმაზე ფიქრიც კი, რომ ისინი ოდესმე საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდებიან. ვაშინგტონს საქართველოში სჭირდება პრაგმატული ხელისუფლება, რომელიც მზად იქნება, მისთვის საძულველი რეალობა აღიაროს და ქვეყნის განვითარებაზე იფიქროს.** მაგრამ, ვიდრე ხელისუფლებაში სააკაშვილი და მისი მოკავშირეები არიან, ეს არ მოხდება. ვაშინგტონში სააკაშვილის მომხრეები ამას მტკიცედ უარყოფენ, მაგრამ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის „გათავისუფლებაზე" საუბრები ძალზე შორსაა რეალობისგან. ვიდრე რუსეთი ამაგრებს ამ ტერიტორიებს, საქართველო ვერ შეძლებს მათი ძალისმიერი მეთოდებით დაბრუნებას. მას არანაირი ბერკეტი არ აქვს საიმისოდ, რომ რუსეთის ჯარებს წასვლა აიძულოს. თავისი სიჯიუტით აშშ სასარგებლო წიაღისეულის უმსხვილეს ბაზარსა და ძალზე ძვირფას მეზობელს უპირისპირდება.

**ამერიკელთა უმეტესობას არ შეუძლია რაციონალურად იმსჯელოს საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებზე და ამის გამო ბევრ მათგანს სჯერა, რომ ეს ქვეყანა დემოკრატიული რეფორმების შუქურაა. არადა, პოლიტიკურ ასპექტში ის თითქმის არაფრით განსხვავდება ყოფილი საბჭოთა ქვეყნების უმრავლესობისგან. ძნელი გასაგებია, რატომ უყვართ ასე ძალიან ქვეყანა, რომლის შესახებაც ამერიკელთა უმეტესობამ პრაქტიკულად არაფერი იცის და დაახლოებით ათი წლის წინათ მისი არსებობის შესახებაც კი არ იცოდა.** საქართველოსადმი ამგვარი მიჯაჭვულობა სერიოზულად უშლის ხელს მცდელობებს, რომ სწორად იქნეს გაგებული აშშ-ის ინტერესები კავკასიაში. სინამდვილეში ამგვარი ინტერესები ძალზე მცირეა და ისინი აბსოლუტურად არ ეწინააღმდეგება რუსეთისას. **სააკაშვილის პრეტენზიების მხარდაჭერა კი შესაძლოა ცუდად დასრულდეს, რადგან ოდესმე ამგვარი პოლიტიკა აუცილებლად გააჩენს ნაპერწკალს, რომელიც ცეცხლს შეუნთებს საქართველოსაც და აშშ-საც. თუ სააკაშვილის ამერიკელ მომხრეებს მართლა სურთ, რაიმე კარგი გააკეთონ საქართველოსთვის, მაშინ უფრო აქტიურად უნდა ეცადონ, რომ ამ ქვეყნის პრეზიდენტმა პასუხი აგოს ყველაფერზე, რაც აქამდე ჩაიდინა, და მომავალშიც აღვირით დაიჭირონ.**

**დანიელ ლარისონი**
inosmi.ru

> **ვაშინგტონს საქართველოში სჭირდება პრაგმატული ხელისუფლება, რომელიც მზად იქნება, მისთვის საძულველი რეალობა აღიაროს**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# აშშ-ში მოიფიქრეს, «როგორ უნდა გამოიყურებოდეს უკეთ ახლო აღმოსავლეთი» ყველა ყველას წინააღმდეგ

**ამერიკელთა უკანასკნელმა საბრძოლო ბრიგადამ ერაყისა და კუვეიტის საზღვარი გადაკვეთა. სულ ერაყიდან 115 ათასზე მეტი ამერიკელი სამხედრო წავიდა. „დახმარებისა და მხარდაჭერის ბრიგადებად“ სახელშეცვლილი დანაყოფების სახით კი 50 ათასამდე სამხედრო ისევ ქვეყანაში რჩება. გეგმის მიხედვით, 2011 წლის ბოლომდე ისინიც უნდა წავიდნენ. 7 წლის წინათ დაწყებული სამხედრო ოპერაცია „შოკი და კანკალი“, რომელმაც მილიონამდე ერაყელისა და 4400-ზე მეტი ამერიკელის სიცოცხლე შეიწირა, დასასრულს უახლოვდება. ახლა ომი იწყება.**



**უკვე აზრი აღარ აქვს იმაზე საუბარს, რომ ამერიკელი სამხედროების მიერ ერაყის ოკუპაცია საერთაშორისო სამართლისა და გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების დარღვევით განხორციელდა. ახლა მხოლოდ იმ ფაქტის კონსტატირება უნდა მოხდეს, რომ ამან განაპირობა ის დიდი ომი, რომელიც ჯერაც არ დაწყებულა. ზემოხსენებული მსხვერპლი მხოლოდ პრელუდიაა იმისა, რაც რეგიონიდან ამერიკის ჯარების მთლიანად გასვლის შემდეგ დაიწყება. აშშ-მა დიდი წარმატებით გადალახა ის სიძულვილი, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ხალხებსა და კონფესიებს საუკუნეების განმავლობაში ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ. ამერიკის მტკიცებას, რომ ერაყის პოლიცია ქვეყანაში წესრიგს შეინარჩუნებს, ყოველდღიურად აბათილებს მრავალრიცხოვანი მსხვერპლით დასრულებული ტერაქტები.**

„პოსტამერიკულ“ ერაყში ყოველდღიურად ბობოქრობს არაბი შიიტებისა და სუნიტების შეიარაღებული დაპირისპირებები. ამას ემატება თურქი და ირანელი სამხედროების პერმანენტული შეჭრა ქვეყნის ტერიტორიაზე. გასათვალისწინებელია ერაყში მიმდინარე მოვლენებში სირიისა და საუდის არაბეთის აქტიური ჩარევაც. და ბოლოს, ყურადღებას იმსახურებს ერაყით „დაინტერესებულ“ სახელმწიფოთა ეთნო-რელიგიური დაპირისპირებები და ქვეყანაში სხვადასხვა ჯიშის ისლამისტი ტერორისტების არაკონტროლირებადი შედინება. დაძაბულობა ყოველ საათში მატულობს და ის, რაც ახლო მომავალში ერაყში დაიწყება, გულგრილს არავის დატოვებს.

**ერაყის უკანონო ოკუპაციამ საერთო ურთიერთსიძულვილი გააღვივა და ამ პრობლემის გადაუჭრელად ქვეყნიდან ჯარის გაყვანა დაუშვებელია. რეგიონში თითქმის გარდაუვალია ომი, რომელსაც „ყველა ყველას წინააღმდეგ“ ერქმევა. შეუძლებელია, ვაშინგტონი ამას ვერ აცნობიერებდეს და, თუ აცნობიერებს, რა მიზნით გამოჰყავს ჯარი ერაყიდან?**

**ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისის პოლიტიკურ-გეოგრაფიული „აღმოჩენა“ უნდა გავიხსენოთ: ახალი ახლო აღმოსავლეთი. პირველად ეს გამოთქმა რაისმა 2006 წლის ივლისში გამოიყენა. ახლახან კი პენტაგონის ჟურნალ „Armed Forces Journal“-ში გამოქვეყნდა სტატია სათაურით „სისხლიანი საზღვრები“, რომელსაც ხელს ამერიკული დაზვერვის ვეტერანი პოლკოვნიკი რალფ პეტერსი აწერს. სტატიას ძალზე დამაინტრიგებელი ქვესათაური ჰქონდა „როგორ უნდა გამოიყურებოდეს უკეთ ახლო აღმოსავლეთი“. სულ ერთი თვის შემდეგ გამოიცა მისი წიგნი სახელწოდებით „არასდროს შეწყვიტოთ ბრძოლა“.** სტატიაშიც და წიგნშიც ავტორი აღნიშნავს, რომ საზღვრების არასამართლიანობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნებისა და ხალხთა ურთიერთობებში; ამიტომ ახლო აღმოსავლეთში საზღვრები ხელახლა და „სამართლიანად“ უნდა დადგინდეს, ოღონდ არა დიპლომატიური, არამედ წმინდად საომარი მეთოდებით. **„ისტორიის ხუთი ათასი წელი ადასტურებს, რომ მხოლოდ ეთნიკური წმენდები და ომებია ეფექტური“, — აცხადებს ავტორი და ახალი ახლო აღმოსავლეთის საზღვრების შესაცვლელად სწორედ ამ მეთოდებს უწევს რეკომენდაციას.** პეტერსის გეგმის მიხედვით, ახალი საზღვრები შემდეგნაირად უნდა გაივლოს:

## აშშ-ს არც ძალები ეყო და არც სახსრები გრანდიოზული მასშტაბისა და შინაარსით საზარელი გეგმის განსახორციელებლად

უნდა გაჩნდეს თავისუფალი თურქმენეთი ახლანდელი ირანის, ერაყის, სირიისა და თურქეთის ტერიტორიებზე; ერაყის სუნიტური რაიონები უნდა გადაეცეს სირიას, სირიის ზღვისპირეთი — ლიბანს; ერაყის სამხრეთით უნდა შეიქმნას ახალი შიიტური არაბული სახელმწიფო, რომელსაც ირანისა და საუდის არაბეთის მიმდებარე ტერიტორიებიც შეუერთდება და მთელი არაბეთის გაერთიანებული ემირატებიც; საუდის არაბეთი, „უკვე წართმეული“ ნავთობიანი რეგიონების გარდა, მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს იემენს მისცემს. საუდის არაბეთს უნდა გამოეყოს ასევე მექა და მედინა და შეიქმნას ისლამის თავისუფალი ცენტრი; ირანის ჩრდილოეთი მთლიანად გადაეცემა აზერბაიჯანს, დასავლეთ პროვინციების მნიშვნელოვანი ნაწილი — თურქმენეთს, სამხრეთის ნაწილი — შიიტურ არაბულ სახელმწიფოს და კიდევ ერთ ახალ სახელმწიფოს, რომელსაც თავისუფალი ბელუჯისტანი ერქმევა. ირანს მთლად გული რომ არ გაუსკდეს, დასამშვიდებლად ავღანეთის დასავლეთი ერგო; ავღანეთი, თავის მხრივ, პუშტუნებით დასახლებულ პაკისტანის ტერიტორიას მიიღებს. სომხეთს არარატი დაუბრუნდება — ეს ერთადერთი დასამშვიდებელი აბია მისთვის ირანთან საზღვრის დაკარგვისა და უზარმაზარ აზერბაიჯანთან დამეზობლების გადასატანად.

**უდავოა, რომ „ახალი ახლო აღმოსავლეთის“ გეგმა აშშ-ის ერაყში შეჭრის ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი მიზეზი მაინცაა. უბრალოდ, აშშ-ს არც ძალები ეყო და არც სახსრები გრანდიოზული მასშტაბისა და შინაარსით საზარელი გეგმის განსახორციელებლად. ამიტომ ვაშინგტონმა გადაწყვიტა, საზღვრების ხელახალი მოხაზვის საქმე რეგიონის სახელმწიფოებისთვის მიენდო. აშშ-მა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ახლოაღმოსავლური „პოლიგონი“ ომისთვის მოემზადებინა. აღარ რჩება ეჭვი, რომ ამერიკული ჯარის გასვლისთანავე იქაურობას ტერორიზმის, ქაოსისა და ომის ქარცეცხლი წალეკავს. როდესაც ურთიერთდაპირისპირებული მხარეები ბრძოლით გაითანგებიან და ხალხს ომი გადაღლის, რეგიონში ამერიკა უკვე მშვიდობისმყოფელის სტატუსით დაბრუნდება. სამწუხაროდ, რეგიონის ხალხთა სიბრძნის იმედად ყოფნა გამორიცხულია. ომი გარდაუვალია და რეგიონში არ დარჩება სახელმწიფო ან ხალხი, რომელსაც ის არ შეეხება.**

იმავე 2006 წლის გაზაფხულზე ამერიკელმა სამხედროებმა ჩაატარეს სწავლება, რომლის დროსაც მუშავდებოდა აზერბაიჯანის დახმარების ოპერაცია მეზობელი სახელმწიფოს, პირობითად ახურასტანის (შენიღბული ირანი) აგრესიის პირობებში. სწავლების სცენარი აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა და სწავლებაც მის წამყვან სასწავლო დაწესებულებაში მიმდინარეობდა. სცენარის მიხედვით, ახურასტანი თავს დაესხა აზერბაიჯანს, აშშ კი ნავთობის ქვეყანას იცავდა თავისი ყველა სახის ჯარით. სწავლების „შედეგების“ თანახმად, ამერიკელები მტერს იგერიებენ, მაგრამ აზერბაიჯანის სამხრეთი თავდამსხმელის კონტროლქვეშ რჩება. საგულისხმოა, რომ აზერბაიჯანის სამხრეთი რეგიონის მკვიდრი ირანულენოვანი ხალხით თალიბებითაა დასახლებული. სამაგიეროდ, „აგრესორისაგან გათავისუფლებული“ აზერბაიჯანი ტერიტორიულ დანაკლისს ირანის ჩრდილო პროვინციების ხარჯზე ინაზღაურებს. მოკლედ რომ ვთქვათ, სწავლების შედეგები აბსოლუტური სიზუსტით იმეორებს „პეტერსის რუკას“, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ რუკის წარმომავლობას.



oilru.com

## დაპატიმრებულია ველოსიპედთან «შელაპარაკებისთვის»

**ამერიკელი მამაკაცი საკუთარ ველოსიპედთან შელაპარაკებისა და კამათის ბრალდებით დააკავეს და პოლიციაში გაამწესეს. ინციდენტი ფლორიდის შტატის ქალაქ სტუარტში მოხდა.**



თვითმხილველთა მტკიცებით, 68 წლის რიჩარდ ბეილონი თავის ველოსიპედს ბენზინგასამართ სადგურზე „დაესხა თავს“. მამაკაცი ბოლო ხმაზე უყვიროდა ორთვალას. ჩხუბის მიზეზი უცნობია. შემთხვევის ადგილას ოპერატიულად მივიდა პოლიცია, რომელმაც პროტოკოლში გულდასმით ჩაინიშნა მოწმეების ჩვენებები და „დამნაშავე“ განყოფილებაში წაიყვანა. სამართალდამცავთა მტკიცებით, დაკავებული ალკოჰოლის ძლიერი ზემოქმედების ქვეშ იყო.

## გერმანელს თავიდან ტყვია ამოუღეს



**გერმანელმა ექიმებმა ქალაქ ჰერნეში 35 წლის მამაკაცს თავიდან 22-კალიბრიანი ტყვია ამოაცალეს. მამაკაცმა ამ ტყვიით რამდენიმე წლის მანძილზე ისე იცხოვრა, რომ განსაკუთრებული დისკომფორტი არ შექმნია. ტყვია თავში მას შემდეგ აღმოაჩინეს, როცა პაციენტმა კეფაზე გაჩენილი სიმსივნის გამო საავადმყოფოს მიაკითხა.**

პოლიციამ გამოძიება დაიწყო. წინასწარი მონაცემებით, ეს ტყვია მამაკაცის თავში 2004 ან 2005 წლის საახალწლო ღამეს მოხვდა. როგორც თავად იხსენებს, ქუჩაში ფეხით სეირნობისას კეფაში რაღაც დარტყმა კი იგრძნო, მაგრამ ამისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მაშინ არ მიუნიჭებია.

პოლიციაში ვარაუდობენ, რომ ეს ერთ-ერთი იმ ტყვიათაგანია, რომლებიც ვიღაცამ საახალწლოდ ჰაერში ისროლა. მამაკაცი იმან გადაარჩინა, რომ ტყვია თავის კანსა და ქალას შორის გაეჩხირა, რამაც რამდენიმე წლის შემდეგ ანთებითი პროცესი გამოიწვია და დაზარალებული ექიმთან მივიდა.

## გადასახადი ჭარბწონიანობისთვის




**ჯორჯიის შტატში მცხოვრები მიშელ ფონვილი იძულებული გახდა, მანიკურის სალონში ზედმეტად ხუთი დოლარი გადაეხადა. როგორც დაწესებულების ადმინისტრატორმა განუმარტა, ეს გადასახადი ჭარბწონიანთათვის იყო.**

სალონის ადმინისტრატორ კიმ ტანის თქმით, მის სალონში დამონტაჟებული სავარძლები მხოლოდ 90 კილოგრამამდე სიმძიმეს უძლებს, მსუქანი კლიენტების გამო კი, შესაძლოა, მათ ძვირადღირებული რემონტი დასჭირდეს. კონკრეტულად რამდენს იწონიდა ფონვილი, არ კონკრეტდება, სამაგიეროდ ცნობილია, რომ მან სალონი საკუთარი უფლებების დარღვევასა და დისკრიმინაციაში დაადანაშაულა. საბოლოოდ სალონმა კლიენტს თავისი ხუთი დოლარი იმ პირობით დაუბრუნა, რომ ის აღარასდროს მივიდოდა ამ დაწესებულებაში.

# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21. 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**



# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება —
წმ. ანდრია პირველწოდებულის
სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ
ფონდის დირექტორს,
დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru





# აქ ყველაზე დაბალი ფასებია!




## «ტექნო ბუმში» ნამდვილი ბუმი დაიწყო

ტექნიკის მაღაზიათა ქსელ **„ტექნო ბუმში“** ნამდვილი ბუმი დაიწყო და პირველად საქართველოში **„ტექნო ბუმის“** საბითუმო ცენტრი საზეიმოდ გაიხსნა, სადაც მსოფლიო ბრენდების უახლესი ტექნიკის შეძენას საბითუმო ფასად შეძლებთ.

მენეჯმენტის ინფორმაციით, **საბითუმო ცენტრი განსხვავებული სისტემით იმუშავებს და სრულიად განსხვავებული ფასწარმოქმნის პოლიტიკა ექნება.**

გარდა იმისა, რომ **„ტექნო ბუმში“** საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე: კონდიციონერებზე, ტელევიზორებზე, ფოტოაპარატებზე, კომპიუტერებზე, მობილურ ტელეფონებსა და ნებისმიერ ტექნიკაზე — **ყველაზე დაბალი ფასებია**, „ბუმის ცენტრში“ ნებისმიერ მომხმარებელს ტექნიკის შეძენა საბითუმო ფასად შეეძლება.

ამისთვის მომხმარებელი **„ტექნო ბუმის“ ცენტრში** უნდა მობრძანდეს, გააკეთოს შენაძენი თავად ან მეგობრებთან ერთად. ნივთების რაოდენობა დაჯამდება და, ორი ან მეტი ნივთის შეძენის შემთხვევაში, მომხმარებელს მათი შეძენა საბითუმო ფასად შეეძლება.

**თბილისი, ვაჟა-ფშაველას №21, წერეთლის №1, აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ (საბითუმო ცენტრი)**








# მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი — ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



## გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას

- უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევასა და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
- ჰორმონულ, გენეტიკურ, იმუნოლოგიურ, ექოსკოპიურ, ენდოსკოპიურ გამოკვლევებს;
- სასქესო ინფექციების დადგენას, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
- სპერმის კომპიუტერულ ანალიზს;
- ხელოვნურ ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვას;
- ქალებსა და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენასა და მკურნალობას, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
- ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;
- სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკას, ქირურგიულ კორექციას;
- კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობასა და პროფილაქტიკას;
- ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენას; შობადობის რეგულაციას — მედიკამენტურ კონტრაცეფციას;
- ულტრასონოგრაფიულ, ბიოქიმიურ, ჰორმონულ, ციტოგენეტიკურ გამოკვლევებს.

**მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45; 99-61-97; 99-54-77**


საქართველო და მსოფლიო

# ესტუმრეთ ჩვენს საიტს

# http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net